

მაცნე

675-9/
1971/2

26

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

2.1971



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
 Отделение общественных
 наук

12014

თბილისი · 1971 · ТБИЛИСИ



ՄԱՇՆԵ

ՎԵՍՏՆԻԿ

Серия философии,
психологии,
экономики и права

2.1971

მაცნე



ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

2. 1971

სარედაქციო კოლეჯია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. შიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
А. Т. Бочоришвили, Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В., Пранги-
швили А. С., Тевзадзе Г. В., Микеладзе И. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380050, კუტუზოვის ქ., 19
Адрес редакции: Тбилиси 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.11.71; შეკვ. № 2014; ანაწილის ზომა 7×11¹/₂;
ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,45; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14,42; უე 01418; ტირაჟი 1000.
ფასი 1 მან.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

*
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

1781.2

შ ი ნ ა რ ს ი

ფილოსოფია

ა. ციციშვილი, კომუნისმისა და ჰუმანიზმის ურთიერთობის საკითხისათვის	7
ბ. ბაქრაძე, კატეგორიის განსაზღვრების პრობლემისათვის	16
ვ. შუშანაშვილი, დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკა ჰეგელის ფილოსოფიაში	23
გ. ჰელიძე, ჰეგელის დიალექტიკის მოდერნიზაციის შესახებ თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში	34
დ. გულივა, ბრენტი და ფიზიკისები	48

ფსიქოლოგია

ე. ჩხარტიშვილი, პრესტიჟის მოთხოვნილების ასაკობრივი განვითარების საკითხისათვის	62
ი. ბერსამია, ვოკალური შემსრულებლობის ზოგიერთი საკითხი განწყობის თეორიის შუქზე	81

ეკონომიკა

ი. ჰანტურია, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება (1933—1937 წწ.)	85
ბ. სტაშანაშვილი, მევენახეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში	97
ლ. პავლიაშვილი, საქართველოს სსრ მეხილეობა დიდი სამამულო ომის შემდგომ ხუთწლეულში (1946—1950 წწ.)	108
პ. ჰაპტავაძე, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების საქმეში	124
ბ. გუგუშვილი, თურქეთის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა	128

სამართალი

ო. გამყრელიძე, თანამონაწილეობის ბუნება	132
ვ. ტყეშელაძე, დანაშაულის შემადგენლობის აღწერილობითი და შეფასებითი ნიშნები	148

პუბლიკაცია

თ. კუპავა, ნიკოლოზ ტფილელის ეთიკური შეხედულებები	156
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. აბაშაძე, მ. კეკელიძე, ქართული სამართლის ისტორიის ძვირფასი შენაძენი	176
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

А. ШИМИНТИА, К вопросу о соотношении коммунизма и гуманизма	7
Г. БАКРАДЗЕ, К проблеме определения категории	16
Г. ШУШАНАШВИЛИ, Диалектическая и формальная логика в философии Гегеля	23
М. ЧЕЛИДЗЕ, О модернизации диалектики Гегеля в современной буржуазной философии	34
А. ГУЛЫГА, Брехт и физики	48

ПСИХОЛОГИЯ

Ш. ЧХАРТИШВИЛИ, К вопросу возвратного развития потребности в престиже	62
И. ГЕРСАМИЯ, Некоторые вопросы вокального исполнительства в свете теории установки	81

ЭКОНОМИКА

Г. ЧАНТУРИЯ, Развитие материально-технической базы сельского хозяйства Грузинской ССР (1933—1937 гг.)	85
А. СТЕПАНИШВИЛИ, Развитие виноградарство в Советской Грузии	97
Д. ПАВЛИАШВИЛИ, Плодоводство Грузии в послевоенное пятилетие (1946—1950 гг.)	108
Э. ЧАВЧАВАДЗЕ, Основные задачи НОТ на новом этапе развития промышленности Грузинской ССР	124
Б. ГУГУШВИЛИ, Отраслевая структура турецкой промышленности	128

ПРАВА

О. ГАМКРЕЛИДЗЕ, Природа соучастия	132
Г. ТКЕШЕЛИАДЗЕ, Описательные и оценочные признаки состава преступления	143

ПУБЛИКАЦИЯ

Т. КУКАВА, Этические воззрения Николоза Тбилиели	156
--	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. АБАШМАДЗЕ, М. КЕКЕЛИА, Важное исследование по истории грузинского права	176
--	-----

აკაკი ციციშვილი

კომუნიზმისა და კუმანიზმის ურთიერთობის
საკითხისათვის

ჰუმანიზმის პრობლემა მუდამ იყო და იქნება ადამიანის ინტერესის ობიექტი. მას ძრავალი სხვადასხვა ასპექტი გააჩნია. ჩვენ, ამჟერად, ამ პრობლემის სოციოლოგიური ასპექტი გვიინტერესებს და ჩვენი ანალიზიც სწორედ ამ მიმართულებით იქნება წარმართული. უფრო კონკრეტულად რომ დავაყენოთ საკითხი, ჩვენ გვინტერესებს კომუნიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერთობის საკითხი. კომუნიზმი რეალური მოძრაობაა, მისი თეორია მარქსიზმია და, მაშასადამე, კომუნიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერთობის გარკვევით ნათელი ეფინება აგრეთვე დღეისათვის ექსტრაქტულურ საკითხს — მარქსიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერთობის პრობლემასაც.

საერთოდ ჰუმანიზმს ადამიანი მიაჩნია უმაღლეს ღირებულებად. მარქსიზმი ჰუმანიზმის ამ ზოგად იდეას იზიარებს და თავის ფუნდამენტალურ პრინციპად სახაბს თეზის ადამიანის უმაღლესი ღირებულების შესახებ. ჰუმანიზმი არსებითად არის ყოველმხრივად განვითარებული პიროვნების წარმოქმნის პირობების შესახებ მოძღვრება. მარქსი სწორედ ამ პლანში აფუძნებდა კომუნიზმისა და ჰუმანიზმის ერთიანობის პრინციპს.

მარქსისტული ჰუმანიზმის საფუძველმდებელი პრინციპების იგნორირება და ფალსიფიკაცია, აი რა არის დამახასიათებელი ამჟამად მარქსიზმის აშკარა და ფართული კრიტიკოსებისათვის. ისტორიის მარქსისტული კონცეფცია, მარქსიზმის კრიტიკოსთა აზრით, შეუძლებლად ხდის კომუნიზმის ჰუმანიტურ საზოგადოებად, ხოლო მის შესახებ თეორიას — მარქსიზმს ჰუმანიზმად დასახვას.

როგორია, ამ შემთხვევაში, მარქსიზმის კრიტიკოსთა არგუმენტაცია? როგორც ცხობილია, ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ ბოლო მოუღო იდეალიზმის ისტორიას. მან წარმოების წესის ადამიანთა სოციალური ცხოვრების უკახასკნელ განმსაზღვრელ ძალად გამოცხადებით განდევნა იდეალიზმი მისი უკანასკნელი თავშესაფრიდან — ისტორიიდან. ამასთან ისტორიის მარქსისტულმა კონცეფციამ სოციალური ცხოვრების ცვალებადობა დასახა როგორც ბუნებრივი პროცესი, რომელიც ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. ეს ერთი მომენტი. მეორე მთავარი მომენტი, რომელზედაც მარქსიზმის კრიტიკოსები მიუთითებენ და, რომლის ყალბ ინტერპრეტაციასაც ისინი მარქსიზმის არაჰუმანიურობის დასამტკიცებლად აყენებენ, ეს ისაა, რომ მარქსმა თავისი ისტორიული კონცეფციით ბოლო მოუღო შეხედულებას, თითქოს შესაძლებელი იყოს საზოგადოების, როგორც მთლიანი ორგანიზმის, შესწავლა ინდივიდიდან, პიროვნებიდან გამოსვლით.

ეს ორი მომენტი ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში მარქსიზმის კრიტიკოსების მიერ ყალბად არის ინტერპრეტირებული. თუ სოციალური ევოლუცია თავისი ხასიათით ბუნებრივი პროცესის იგივეობრივია, თუ საზოგადოების განვითარება ბუნებრივი მოვლენების მსგავსად მკაცრი აუცილებელი კანონებითაა დეტერმინებული და, მაშასადამე, დამოუკიდებელია ადამიანთა ნებისა და მოქმედებისაგან, მაშინ, ცხადია, მათ მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ გულზე ზელი დაიკრიფონ და უცადონ იმას, თუ რას მოუტანს მათ ეს მკაცრად დეტერმინებული ბუნებრივი პროცესი. სოციალური პროცესის ამგვარად გაგების შემთხვევაში ადამიანი იქცევა მარიონეტად, გარდუვალი ბედისწერის სათამაშო თოჯინად. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, არ რჩება ადგილი თვით ადამიანისათვის, ადამიანურობისათვის. კონცეფციას, საიდანაც ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს, არ შეიძლება საერთო ჰქონდეს ჰუმანიზმთან, რომელიც ადამიანზე, მის ღირსებებზე, მის აქტიურ და შემოქმედებით ბუნებაზე ლაპარაკობს.

მეორე მომენტის შესახებ: როგორც ცნობილია, მარქსადმელი და მარქსის თანამედროვე შოაზროვნეები საზოგადოების ფიზიონომიის დადგენას პიროვნების მახასიათებლების დადგენით იწყებდნენ. სოციალური ორგანიზმის კვლევის გამოსავალი პუნქტი მათთვის იყო პიროვნება. მარქსმა თავისი სოციოლოგიური კონცეფციით დიამეტრალურად შეატრიალა საქმის ვითარება. თავის დროზე, თეზისი იმის შესახებ, რომ ისტორიას ინდივიდები ქმნიან, სოციოლოგიური აზროვნების უდიდესი მონაპოვარი იყო. ეს იყო ღვთაებრივი პროვიდენციალიზმის წინააღმდეგ გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი საზოგადოების ბუნების გაგებაში, ფატუმის კერპის სიკვდილი. მარქსმა თავის სოციოლოგიური კონცეფციით გაილაშქრა არა იმის წინააღმდეგ, რომ ისტორიას ადამიანები ქმნიან, არამედ იმის წინააღმდეგ, რომ პიროვნება, ინდივიდი არ შეიძლება იყოს სოციალური ორგანიზმის კვლევის გამოსავალი პუნქტი. პიროვნება თვითონხა პირობადებული სოციალური ევოლუციითა და საზოგადოებრივი ორგანიზმის სტრუქტურით და, მაშასადამე, კვლევა უნდა დაიწყოს არა ინდივიდის მახასიათებლების დადგენით, არამედ სოციალური ორგანიზმის ბუნების გარკვევით.

მარქსისტული სოციოლოგიის ეს მეთოდოლოგიური წანამდგარი მარქსიზმის კრიტიკოსების მიერ გამოყენებულია როგორც არგუმენტი მარქსიზმის არააქსიორობის დასამტკიცებლად. თუ, როგორც ამას მარქსის სოციოლოგიური კონცეფცია ამტკიცებს, ადამიანი თავის მახასიათებლებით მკაცრად განსაზღვრულია საზოგადოებრივი ორგანიზმის სტრუქტურით, თუ ადამიანი თავისი სოციალური გარემოს პროდუქტია, მაშინ, სად რჩება ადგილი ადამიანისათვის, მოქმედი სუბიექტისათვის? კონცეფციას, რომლის მეთოდოლოგიურა წაბამძღვრიდან ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს, მარქსიზმის კრიტიკოსების აზრით, საერთო არაფერი არ შეიძლება ჰქონდეს ჰუმანიზმთან, — თეორიასთან, რომელიც წარმოადგენს თავისუფალი და მოქმედი სუბიექტის შესახებ მოძღვრებას.

ორივე ზემოთ აღნიშნული მომენტი ორგანულად უკავშირდება პრობლემას, რომელიც თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურასა და ადამიანის შესახებ თეორიებში წარმოდგენილია, როგორც ადამიანის არსებისა (ესენციის) და არსებობის (ეგზისტენციის) ურთიერთობის საკითხი. რა რომელს უსწრებს წინ: არსება არსებობას თუ არსებობა არსებას? მარქსიზმის კრიტიკოსთა თვალსაზრისით ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს კრიტერიუმს მივაკუთვნოთ თუ

არა ესა თუ ის თეორია ჰუმანიზმს. თვალსაზრისი, რომელიც იტყვის, რომ არსება წინ უსწრებს არსებობას, ტრანსგანსაზღვრება თვითდეტერმინაციას, არ შეიძლება იყოს ჰუმანიზმი, ხოლო საზოგადოება, რომელიც ამგვარი წანამძღვრებით იქნება აშენებული, შეუძლებელია იყოს ჰუმანისტური. ასეთი თვალსაზრისი მარქსიზმის კრიტიკოსების აზრით, არის სწორედ მარქსიზმი. მარქსიზმი, რამდენადაც იგი სოციალურ პროცესს მიიჩნევს ბუნებრივ-აუცილებელ პროცესად, რამდენადაც იგი ინდივიდის, პიროვნების საზოგადოებით განსაზღვრის კონცეფციას ადგია და, მაშასადამე, არსებით არსებობის დეტერმინაციის თვალსაზრისს იცავს, აბსოლუტურად ეთიშება ჰუმანიზმს. მარქსიზმი ერთ მხარეს რჩება, ჰუმანიზმი — მეორე მხარეს.

ამ თეორიულ არგუმენტაციას მარქსიზმის კრიტიკოსები აძლიერებენ შემდეგი „დანამატებით“. მარქსიზმი ხომ კლასთა ბრძოლის თეორიაა, იგი ქადაგებს ახტაგონისტური კლასების ინტერესთა შეურიგებლობას, მათ შორის ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური წინააღმდეგობის ძალდატანებითი გზით გადაწყვეტის აუცილებლობას. მარქსიზმის ეს თეზისი, რომელიც ამ შემთხვევაში, მარქსის კრიტიკოსებს აბსტრაქტულად აქვთ წარმოდგენილი, მათი აზრით, ჰუმანიზმის ანტიპოდი. როგორ შეიძლება შევთავაზოთ „დიდი ჰუმანიზმის“ პრინციპებს ადამიანის მიერ ადამიანის წინააღმდეგ ძალდატანებითი მოქმედება? თეორიული არგუმენტაციის“ ეს „დანამატი“ მარქსიზმის აშკარა ვაყალბებაა. ჯერ ერთი, კლასთა ბრძოლის მარქსისტული თეორია უპირობოდ არ უშვებს ძველი წყობის ძალდატახებით გარდაქმნის აუცილებლობას. ძალდატახება უპირობოდ აუცილებელია მხოლოდ მაშინ, თუ მის დამცველებს სწორედ ქვეშაირი ჰუმანიზმის გრძნობა აქვთ დაკარგული და ნებით არ სურთ დასთონ ის, რაც ხელს უშლის ადამიანთა ისტორიის საერთო წინსვლას. საწინააღმდეგო პირობებში, მარქსიზმის თეორიის თანახმად, ძალდატანება აუცილებელი არაა. მეორე, არ არსებობს აბსტრაქტული ჰუმანიზმი. იგი ყოველთვის გარკვეულ, კონკრეტულ სოციალურ პირობებთან კავშირში უნდა იქნეს განხილული. დაბოლოს, შესამე, ადამიანის წინააღმდეგ ადამიანის ძალდატანებითი მოქმედების გამამართლებელი თვალსაზრისი მართლაც არის ჰუმანიზმის ანტიპოდი, მაგრამ მხოლოდ გარკვეული პირობით. თუ არსებობს ისეთი სოციალური სიტუაცია, სადაც ქვეშაირი ჰუმანიზმის პრინციპების გაშლისათვის რეალური პირობებია შექმნილი, მაშინ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ძალდატანება და სოციალური კოლიზიები მართლაც ჰუმანიზმის საწინააღმდეგო მოქმედება იქნება. მაგრამ თუ ექსპლოატაციანე დამყარებულ საზოგადოებაში რომელიმე თეორია ასაბუთებს ექსპლოატაციის გაუქმების აუცილებლობას და თანაც რაზმავს მასებს მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის, ასეთი თეორია ჰუმანიზმის ანტიპოდი კი არაა, არამედ, პირიქით, ქვეშაირი ჰუმანიური თეორიაა, ხოლო მასზე დამყარებული სოციალური ორგანიზმი — ხორცშესხმული ჰუმანიზმი.

როგორია მდგომარეობა თვით „თეორიული არგუმენტაციის“ მხრივ? რამდენხად კახოხიერია იგი მარქსიზმის მისამართით? თუ სწორია თვალსაზრისი, რომ ესეხციალიზმი შეუთავსებელია ჰუმანიზმთან და მხოლოდ ადამიანის ეგზისტენციის აღიარება შეიძლება იყოს ნამდვილი ჰუმანიზმი, უნდა ითქვას რომ მარქსიზმი არც ესეხციალიზმი და არც ისეთი მოძღვრება, რომელიც ადამიანს ეგზისტენციად აცხადებს, როგორც ეს ესმით, ვთქვათ, მაგალითად, ეგზისტენციალისტებს.

მარქსიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერთობის საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით ჩვენ მოგვიხდება ზოგიერთი არსებითი მომენტის აღნიშვნა. უწინარეს ყოვლისა, ყალბია საკითხის ისე დასახვა, თითქოს მარქსიზმი ადამიანის არსების წინასწარ მოცემულობის პოზიციასზე იდგეს. მარქსიზმის ისტორიული კოხციფცია გამორიცხავს ყოველგვარ პროვიდენციალიზმს. მისი აზრით ადამიანის ბედი წინასწარ არ არის დეტერმინირებული რაღაც უცხო ძალით, რომელიც ადამიანური სამყაროს მიღმა დგას. ადამიანი თვითონ ქმნის თავის აოციალურ ისტორიას. იგი თავისი საკუთარი ისტორიის სკულპტორია. როგორც მარქსი იტყოდა ადამიანები თავიანთი დრამის ერთდროულად ავტორებიც არიან და აქტიორებიც.

აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის ისტორიას, მისთვის უცხო რაღაც ტრანსცენდენტური ძალის რაიმე ჩარევის გარეშე, სრულებითაც არაა მარქსიზმის აღმოჩენა. იგი შესანიშნავად იყო წარმოდგენილი მარქსამდელი შოაზროვნების ნაშრომებში. უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრება უსათუოდ დიდი ხაბიჯი იყო იმ შეხედულებასთან შედარებით, რომელიც პროვლედციალიზმის თვალსაზრისზე იდგა. მარქსიზმმა თავის სოციოლოგიურ არსებაში უშენიშნოდ მიიღო ეს საღი აზრი. მაგრამ მარქსი თავის ისტორიულ კონცეფციას აქ არ შეჩერებულა. სოციალური ისტორიის კეთების საკუთრივ ადამიანის საქმედ დასახვა, მართალია, ნიშნავს ღვთაებრივი პროვიდენციალიზმის უკუგდებას, მაგრამ იგი სრულებითაც არ გულისხმობს ისტორიის გაგებაში იდეალიზმის დაძლევას. მარქსმა სწორედ ამ მიმართულებით გადადგა გადაძწყვეტი ხაბიჯი. ისტორიას საკუთრივ ადამიანები აკეთებენ, მაგრამ როგორ? მარქსამდელი სოციოლოგია თვლიდა, რომ ისტორიას ადამიანები აკეთებენ, მაგრამ აკეთებენ მას თავიანთი ინტერესებისა და მიზნების მიხედვით, თავიანთი ნების კარნახით. ძველი სოციოლოგია არ სვამდა კითხვას თვით ამ მიზნებისა და ინტერესების, ადამიანთა ნების უკანასკნელი განმსაზღვრელი მიზეზების შესახებ. რა ინტერესებთ ადამიანებს, როგორ მიზნებს ისახავენ ისინი და რატომ ზებავთ ასე და არა სხვანაირად? აი, საკითხი, რომლის გარკვევის გარეშე სოციოლოგია ვერ დადგებოდა მყარ ნიადაგზე. მარქსმა ამ საკითხზე ნათელი პასუხი მოგვცა. მან მიუთითა, რომ მთავარი და მთავარი ადამიანის სოციალურ ზოღვაწეობაში არის ცხოვრება, — ადამიანური ყოფიერება და, რაც აი უნდა გვეჩვენებოდეს, რომ თითქოს ვემსახურებით რაღაც მაღალს, იდეალურს, ვიდრე ცხოვრებაა, მხოლოდ ილუზიაა. ინტერესები და მიზნები, ნება და სურვილები სხვა არაფერია თუ არა ცხოვრებისეული ინტერესები, მიზნები, ნება და სურვილები. რამდენხდაც ეს ასეა ადამიანის სოციალურ საქმიანობაში მთავარი და გადაძწყვეტია ადამიანური ცხოვრების, ადამიანური ყოფიერების წარმოება, რომელიც, თუ მარქსის თეზისის ვულგარიზაციის არ მოვხდნით, ნიშნავს ყოველგვარი, როგორც მატერიალური ისე სულიერი დოვლათის წარმოებას. ეს არის მარქსის სოციოლოგიური კონცეფციის ფუნდამენტალური თეზისი.

ამასთან მარქსი აყალიბებს აგრეთვე თავისი კონცეფციის მეორე ფუნდამენტალურ თეზისსაც. იგი შექმნეგში მდგომარეობს. ადამიანები თავიანთ სოციალურ ცხოვრებას, სოციალურ გარემოს, თავიანთ ისტორიას ქმნიან არა თვითნებურად, არა ისე როგორც ეს მათ მოესურვებათ, არამედ გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე, გარკვეული ისტორიული აუცილებლობის პირობებში. სხვანაირად მათ არც შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი სოციალური ისტორია.

დავა ისტორიის მარქსისტული კონცეფციის წინააღმდეგ სწორედ ამ პუნქტიდან იწყება. როგორაა შესაძლებელი, რომ პროვიდენციალიზმი უკუვაგდოთ, არსებობის არსებით განსაზღვრის თეზისი უარვეყოთ, და იმავე დროს ვლიაროთ ადამიანის სოციალური საქმიანობის ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებელი აუცილებელი კახოზომიერებით დეტერმინაცია? ან, ადამიანის სოციალურ ყოფიერებას პრესტაბილური არსება, ადამიანის საზოგადოებრივ საქმიანობას — ობიექტური კანონზომიერება განაპირობებს, ან პრესტაბელური არსება გამოვობილი ქიმერაა და ადამიანი თავისი საკუთარი ნება-სურვილით ქმნის თავისი თავის ისტორიას. ან, ერთი ან, მეორე. მარქსიზმი მის კრიტიკოსთა თვალსაზრისით, პირველს ადგია, და ამიტომაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი არსი შეუთავსებელია ჰუმანიზმთან და ჰუმანიტურ პრინციპებთან.

მარქსიზმის ისტორიული კონცეფციის წინააღმდეგ ამგვარი ბრალდების წაყენება საქმის ხამდვილი ვითარების გაყალბებაა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მარქსის ისტორიული კონცეფცია სრულებითაც არაა ესენციალიზმში. ისტორიის ძატერიალისტური გაგება გადაჭრით უარყოფს ადამიანის არსების ფატალურად განსაზღვრის ყალბ თვალსაზრისს, მაგრამ აღიარებს და მასთან ლოგიკურად სავსებით თავსებადად მიაჩნია თეზისი იმის შესახებ, რომ ისტორიას — ადამიანის სოციალურ საქმიანობას, — მკაცრი ობიექტური კანონზომიერება განაპირობებს. როგორაა ეს შესაძლებელი? მართლაც, თუ უკანასკნელი თეზისი სწორია, სად რჩება ადგილი ადამიანის თავისუფლებისათვის, მისი შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ადამიანური ძალეების ქეშმარიტი გაფურჩხვეზისათვის, რომელთა გარეშე ჰუმანიზმზე ლაპარაკი მოკლებული იქნებოდა ყოველგვარ გონივრულ საფუძველს?

როგორც ზემოთ მრავალჯერ აღინიშნა ადამიანის სოციალური ცხოვრების ახსნის მარქსისტული თეორია უარყოფს ადამიანის არსებობის წინასწარ დადგეზილი არსებითი დეტერმინაციის კონცეფციას. ადამიანი თვითონ ქმნის თავის ისტორიას ყველა მთავარი და არამთავარი მახასიათებლებით. მაკრამ ეს როდი ხიშხავს იმას, რომ ისტორიის მარქსისტული გაგების თანახმად ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი წარმოების წესით იყოს დეტერმინირებულა. თვით მოთხოვნილება თვითგანხორციელებისა, რომლის გამოვლენასაც წარმოადგენს შემოქმედებითი სოციალური ისტორია, არ შეიძლება ჩაითვალოს წარმოების წესისაგან დამოკიდებულად. პირიქით, წარმოების წესი თვითონაა ადამიანის ამ სწრაფვის — ადამიანური ყოფიერების განხორციელების რეალური გამოვლენა. და ეს გარემოება ისტორიის მარქსისტულ კონცეფციაში გამოთქმულია იმ თეზისით, რომ წარმოება, ეკონომიკა თვითმიზანი კი არაა ადამიანის სოციალური საქმიანობაში, არამედ საშუალება, რითაც მთავარი, — ადამიანის თვითყოფიერება ფუძნდება. თვითყოფიერების განხორციელება — ასეთია ადამიანის და, მამასადაძმე, მისი მთელი სოციალური ისტორიის არსება. ადამიანისა და მამასადაძმე, მისი სოციალური ისტორიის ამ არსების განხორციელებას უქვემდებარებს ადამიანი ყველაფერს თავის სოციალურ საქმიანობაში.

ადამიანის არსებისა და ისტორიის დანიშნულების მხოლოდ ამგვარი გაგება შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ჰუმანიზმად. ეს რომ ასეა ნათელი ხდება შემდეგი მოსაზრების გამო.

ადამიანის ბუნების ზემოაღნიშნული გაგება, ჯერ ერთი, უზრუნველყოფს ადამიანის ისეთი ძირეული მახასიათებლების გაშლასა და განვითარებას, როგორიცაა თავისუფლება — სუბიექტურობა და ადამიანის საქმიანობის შემოქ-

მედებითი ხასიათი. თვითყოფიერებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტალურ ნიშანს და ქმნის მის ბუნებას, ადამიანს თავისუფალ, შემოქმედ. სუბიექტად წარმოგვიდგენს, რამდენადაც ის, რისკენაც იგი ესწრაფვის არ არის მასზე გარედან ჰოხეული ძალა. თვითყოფიერების მოთხოვნილება ადამიანის შინაგანი ბუნების გამოხატველი ძალაა და როდესაც იგი ამ ძალის კახობით მოქმედებს, მოქმედებს თავისი შინაგანი არსების მიხედვით, და, მაშასადამე, თავისუფალია. თავისუფლება ადამიანისა, მაშასადამე, ამ შემთხვევაში, უნდა გავიგოთ როგორც მოქმედება თავისი საკუთარი შინაგანი არსების მიხედვით. მხოლოდ ამგვარ ძალას, ადამიანის შინაგანი არსებით მოქმედ ძალას, შეუძლია ადამიანი ნამდვილ აქტიურ და შემოქმედ არსებად აქციოს. ამიტომაც გამოდის, სწორედ, ადამიანის ერთ-ერთ ძირეულ მახასიათებლად სუბიექტურობა. ადამიანი ყოველთვის და ყოველქამს გადის თავის თავიდან, ესწრაფვის მარადიულ ყოფიერებას — თვითსაფუძვლის მქონე ყოფიერებას. სხვანაირად შეუძლებელია იყოს, რამდენადაც მას საქმე აქვს დაუბოლოვებელ ყოფიერებასთან. მისი სამოღვაწეო ასპარეზი უსასრულო ყოფიერებაა. მან ამიტომ ყოველთვის უნდა იზრუნოს თავისი ყოფიერების განმტკიცებისათვის, მის უკვდავსაყოფად. როდის იქნება ეს გარანტირებული? მხოლოდ მაშინ, თუ იგი თვითსაფუძვლის მქონე არსებობას დაიმკვიდრებს.

ადამიანის თავისუფლების ზემოთ აღნიშნული გაგება არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს აუცილებლობას. თავისუფლების ინდეტერმინისტულ კონცეფციასა და თავისუფლების მარქსისტულ გაგებას შორის, არსებითი განსხვავებაა. პირველი აბსოლუტურად გამორიცხავს აუცილებლობას. ადამიანის მოქმედება არაფრით არაა პირობადებული, არც გარეგანი და არც შინაგანი ძალებით. იგი მოქმედებს ისე, როგორც ეს მას სურს. თავისუფლების ამგვარ გაგება ყალბი და შიუღბელია. ადამიანი თავის მოქმედებაში, რა სფეროსაც არ უნდა ეჭებოდეს იგი, ყოველთვის განსაზღვრულია და ობიექტური, — მისი ხებისაგან დამოუკიდებელ აუცილებლობას ექვემდებარება. არსების მიხედვით მოქმედება სწორედ ამგვარი აუცილებლობაა. ადამიანის ნებაზე არაა დამოკიდებული იმოქმედებს, თუ არ იმოქმედებს ადამიანი თავისი არსების მიხედვით; მან უსათუოდ უნდა იმოქმედოს სწორედ თავისი საკუთარი არსების მიხედვით. მისი მოქმედებაც სწორედ ამ არსების აუცილებლად განხორციელების მოთხოვნის რეალიზაციაა. ამიტომ ყალბია მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი თითქოს თავისი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებდეს. ნება ადამიანისა არსების შესატყვისია. ადამიანს ნებავე სწორედ ის, რაც მის არსების განხორციელებას უწყობს ხელს. რამდენადაც ეს აუცილებლობა წარმოადგენს საკუთრივ ადამიანის არსების განხორციელებას და არაა მასზე გარედან მოხვეული, იგი იმავე დროს წარმოადგენს თავისუფლებასაც. ადამიანს ნებავე ის, რაც მის არსებას შეადგენს და მოქმედებს მის შესატყვისად, ამიტომ, იგი თავისუფალია; მეორე მხრივ, ადამიანმა არ შეიძლება არ იმოქმედოს თავისი საკუთარი არსების მიხედვით და, იგი მართლაც მოქმედებს ამ უკანასკნელის მიხედვით. ამიტომ მისი მოქმედება ამ აუცილებლობითაა პირობადებული. ერთი სიტყვით, ადამიანის არსება არის სწორედ ის საერთო ძირი, რომლის სხვადასხვა, ერთიმეორის განსხვავებულ მხარეებსაც აუცილებლობა და თავისუფლება წარმოადგენენ. პრობლემის ამგვარი გაგება, ჩვენი აზრით, თავიდან გვა-

შორებს დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის ყალბ დაპირისპირებას და ხსნის ამ უკანასკნელ საკითხს, როგორც ყალბად დაყენებულ პრობლემას.

ამ პოზიციებიდან რაციონალურად წყდება აგრეთვე ცნობილი დებულება, როგელიც სოციოლოგიაში ადამიანისა და გარემოს ურთიერთობას ეხება. ადამიანი ცხოველისაგან სოციალურობით განირჩევა. მის სპეციფიკას საზოგადოებრივი გარემო ქმნის. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარ ჩვენთვის ეს არ არის. ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ თუ ადამიანი სოციალური გარემოს პროდუქტია, მაშინ, სად რჩება ადგილი მისი თავისუფლებისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის? პრობლემის ზემოთ აღნიშნული დაყენება, ჩვენი აზრით, ხათელს ფენს საქმის ნამდვილ ვითარებას ამ მიმართულებითაც. თუ მივიღებთ, რომ ადამიანი სოციალური გარემოსა და მისი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია, ისიც უნდა ითქვას, რომ სოციალურ გარემოს თვით ადამიანები ქმნიან და ცვლიან. უკანასკნელი თვისი ქველთავანვე ცნობილი იყო. მთავარი ისაა დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რისთვის ქმნიან და რატომ ცვლიან ადამიანები სოციალურ გარემოს. სოციალური გარემოსა და რთული საზოგადოებრივი ინსტიტუტების შექმნა ადამიანების მიერ სრულებითაც არ არის მათი თვითმიზანი. ადამიანის მიზანი სულ სხვაა: ესაა საკუთარი არსების განხორციელება. ამიტომაც არის, რომ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, არსებული სოციალური გარემო, როდესაც იგი ნაკლებ ეფექტურად ემსახურება ადამიანის არსების განხორციელების მთავარ მიზანს, ისევ ადამიანთა აქტიური მოქმედებით იცვლებიან და ადგილს უთმობენ ახალ უფრო ეფექტურ სოციალურ ინსტიტუტებს. რამდენადაც არსებული სოციალური გარემო ადამიანის არსების განხორციელებას ემსახურება და მის გარეშე საერთოდ შეუძლებელია ადამიანთა სოციალური საქმიანობა, იგი აუცილებელ დომინანტად წარმოსდგება. სოციალური ინსტიტუტები მხოლოდ გარსია, რომლის მეშვეობითაც ისტორიის არსების განხორციელება ხდება, და რადგანაც მათ თვით ადამიანები ცვლიან საკუთარი იმანენტური არსების მიხედვით, ისინი სრულებითაც არ წარმოადგენენ რალაც ფატალურ ძალებს და, მაშასადამე, მათ მიმართ ადამიანები თავისუფლებასა და შემოქმედებითობას ინარჩუნებენ.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, ეხება იმ საზოგადოებას, რომლის მიზანსაც ადამიანის თვითდამკვიდრება, — ადამიანის თვითარსებობის განხორციელება წარმოადგენს. დღემდე არსებული ისტორია მხოლოდ შესავალია ადამიანთა ხამდვილი ისტორიისა. ადამიანის ბუნების განხორციელება მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაშია შესაძლებელი. მხოლოდ კომუნისმში, როგორც ამას მარქსი იტყოდა, ადამიანის ბუნებისა და არსების შესაფერისი სოციალური ორგანიზაცია. მხოლოდ კომუნისმში შეუძლია მოხსნას ადამიანის არსებობისა და მისი კეშმარტი არსების ურთიერთ გათიშვა-გაუცხოება და მოახდინოს მათი ხამდვილი ერთიანობის დაფუძნება. თავისთავად ცხადია, საზოგადოება, რომელიც თავის მისიად ისახავს იმას, რომ ადამიანმა იარსებოს თავის საკუთარი არსების მი ედვით ხამდვილად ჰუმანისტური საზოგადოება იქნება, რამდენადაც ჰუმანიზმი სხვა არაფერია თუ არა დამკვიდრება ადამიანისა, რომელიც საკუთარი არსებით არსებობს.

როგელიც გადამწყვეტი პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც ადამიანის არსების, მისი თვითარსებობის განხორციელების გზაზე უნდა გადაიდგას და, როგორც ხამდვილად დგამს სოციალიზმში, ეს არის ადამიანის გაუცხოების ლიკვიდაცია. ბურჟუაზიული კერძო საკუთრება ნიშნავს ადამიანის გაუცხოებას

საკუთარი თავის მიმართ. შრომა და შრომის პროდუქტი, რომლის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს ადამიანის ეკონომიური ემანსიპაცია, ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში, არა თუ ასრულებს თავის ჭეშმარიტ ფუნქციას, არამედ მის სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებს: იძინებს შრომის მუშაკს. შრომა, შრომის პროდუქტის, მატერიალური დოვლათის ფორმაში ეთიშება უშუალო მწარმოებელს, ექცევა სხვის ხელში და ბატონობს ადამიანებზე. ბუნებაზე გაბატონების შეუცვლელი იარაღი, — შრომა თვით ადამიანებზე იწყებს ბატონობას. მარქსი აკეთებს რა ამ უკუღმართი ვითარების ანალიზს, მდის იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ადამიანის არსებასთან შეუთავსებელი სოციალური ვითარების ლიკვიდაცია. ამ არანორმალურ ვითარებაზე მარქსამდეც იცოდნენ და საკმარისი სიმკაცრითაც აკრიტიკებდნენ არსებულ სოციალურ უსამართლობას. მარქსმა პროლეტარიატის სახით მონახა ის საზოგადოებრივი ძალა, რომელიც ამ უსამართლობას ბოლოს მოუღებდა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს თავისი თავის განთავისუფლება არსებული ბორკილებისაგან. პროლეტარიატის გადაწყვეტი პოლიტიკური აქტი კერძო საკუთრების ლიკვიდაციაში იმავე დროს იქნება საერთოდ ადამიანის ემანსიპაცია. სოციალიზმის განხორციელებით საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე მსოფლიოს შთელ რიგ ქვეყნებში ეს პირველი გადაწყვეტი ნაბიჯი რეალობად იქცა. სოციალიზმმა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნებში, საბოლოოდ გადაწყვიტა დავა ადამიანსა და ადამიანს შორის და იგი ჭეშმარიტი ჰუმანიზმის გზაზე დააყენა.

ამ პირველი ძირითადი აქტის განხორციელებით, დასაწყისი მიეცა მთელი რიგი კარდინალური პრობლემების პრაქტიკულად გადაწყვეტას, პრობლემებისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იღვა ადამიანის ყურადღების ცენტრში.

ამ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის გონივრული რეგულაციის საკითხს. თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებს კომუნიზმსა და ანტიკომუნიზმს შორის შეუთრეველი ბრძოლის მთავარ ასპარეზად მიაჩნიათ პიროვნება და პიროვნების ბედი. ანტიკომუნიზმის წარმომადგენელთა აზრით კომუნიზმი, როგორც რეალური მოძრაობა, კლავს პიროვნებას, ფეხქვეშ თელავს მის ღირსებებს, აქცევს მას უზარმაზარი, დაუმორჩილებელი სოციალური ორგანიზმის უმნიშვნელო ხრახნად. მათი აზრით ტრაგიკულია პიროვნების ბედი როგორც man-ისა. ადამიანის გადაქცევა სოციალური მანქანის უმნიშვნელო ხრახნად, მართლაც, გულსამაჩუყებელია, მაგრამ არც მაშინაა ადამიანი უკეთეს მდგომარეობაში, როდესაც იგი პიროვნებამდე ამაღლებისათვის საჭირო კითხვას დასვამს: რატომ ან რისთვის არსებობს ადამიანი? ანტიკომუნიზმისტი იდეოლოგიის წარმომადგენელთა აზრით, ამ კითხვის დასმითაც ადამიანი უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდება: იგი ხვდება თავისი არსებობის აბსურდობას, მიგდებულობას, უცხოობას, სიკვდილის გარდუვალობას. ასეთია თეორიული განაჩენი, რომელიც ანტიკომუნიზმისტი იდეოლოგიას გამოაქვს პიროვნების მიმართ. სად არის გამოსავალი?

რეალური გამოსავალი, მარქსიზმის თანახმად კომუნიზმია. და ეს ნათლად დააბტყიცა სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკამ. სოციალიზმის დროს ადამიანი — პიროვნება ამაყად ჟღერს. ყველაფერი ადამიანისათვის, პიროვნების პარმონიული და ყოველმხრივი განვითარებისათვის — ასეთია სოციალიზ-

ძის საზრუხავი ამოცანა. რაც შეეხება საზოგადოებას, იგი არაა პიროვნების მი-
პართ უცხო, გარეგანი ძალა. საზოგადოება, სოციალური ინსტიტუტები, ადამიან-
ხის, როგორც სოციალური არსების ბუნებრივი გარემოა, რომლის გარეშე მას
არ შეუძლია ცხოვრება; პირველი შეორეს ისე ჰირდება როგორც ცოცხალ არ-
სებას ჰაერი და წყალი. და თუ საზოგადოება, სოციალური გარემო ფეხქვეშ თე-
ლავს ადამიანის ღირსებებს, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა ადამიანური ცხოვ-
რების ფორმაში — სოციალურობაში, არამედ იმ შინაარსში, რომელიც ამ ფორ-
მაში არის შოქცეული. სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკამ დაამტკიცა,
რომ ადამიანთა სოლიდარობა, ურთიერთობა, ადამიანის ძლიერების წყაროა,
ადამიანის თვითარსებობის განხორციელების აუცილებელი ფორმაა. ერთი
სიტყვით, ადამიანის ბუნების შესაფერისი საზოგადოებრივ ასოციაციაში იქ-
ნება პირველად რეალური შესაძლებლობა პიროვნების ჰარმონიული, ყოველ-
მხრივი განვითარებისათვის, პიროვნებისა და საზოგადოების ორგანული ერ-
თიანობისათვის.

ადამიანის ეკონომიურ და პოლიტიკურ ემანსიპაციას, როგორც ამას ნათ-
ლად აჩვენებს სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკა, თან მოყვა ადამიანის
ემანსიპაციის საერთო გზაზე ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, როგორი-
ცაა ახალი თავისუფალი სოციალისტური ერების წარმოშობა, ქალის ემანსიპა-
ცია და შრავალი სხვა მნიშვნელოვანი სოციალური აქტი. სოციალიზმით და-
იწყო პროცესი ადამიანის სულიერი სამყაროს გრანდიოზული გარდაქმნისა.
და რისთვის ყველაფერი ეს? ადამიანისათვის! ადამიანი არის მთავარი მიზანი
კომუნისმისათვის. ამიტომაც, როგორც მარქსი იტყოდა, კომუნისმი პრაქტიკუ-
ლი, ხორცშესხმული ჰუმანიზმია. იგი საბოლოოდ წყვეტს დავას არსებობასა და
არსებას შორის იმით, რომ აფუძნებს ისეთ საზოგადოებრივ ასოციაციას, რო-
მელიც ადამიანის არსების შესატყვისია. ამიტომ თვით მარქსიზმი, როგორც
კომუნისმის თეორია, არ შეიძლება არ იყოს ჰუმანიტური თეორია.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში)



გიორგი ბაძრაძე

კატეგორიის განსაზღვრების პრობლემისათვის

ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების პრობლემა — ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი პრობლემა — დღეს პრინციპულად გადაწყვეტილია მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში. ეს საკითხი შესწავლილია არა მარტო ზოგად ასპექტში, არამედ მეცნიერულად დამუშავებულია მთელ რიგ დეტალებშიც. შემეცნების პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის გადაწყვეტის მტკიცე მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს ასახვის ლენინური თეორია.

ასახვის ლენინური თეორიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს შემეცნების ფორმათა პრობლემა: რა ფორმებით შეიცნობს ადამიანი სინამდვილეს?

ვ. ი. ლენინი წერდა: „ადამიანის წინაშე არის ბუნების მოვლენათა ქსელი. ისტიქტიური ადამიანი, ველური, არ გამოყოფს თავის თავს ბუნებისაგან, შეგნებული ადამიანი გამოყოფს; კატეგორიები საფეხურებია გამოყოფისა, ე. ი. სამყაროს შემეცნებისა, საკვანძო პუნქტებია ქსელში, რომლებიც გვეხმარებიან ამ ქსელის შემეცნებასა და მის დაუფლებაში“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 83—84).

შემეცნების პროცესში ადამიანი აღმოაჩენს და შეისწავლის რა საგნის ნიშნებს, ადარებს მათ ერთმანეთს, ზოგს მიიჩნევს არსებითად, ზოგს არაარსებითად. საგნის ნიშანი ის არის, რითაც ერთი საგანი ემსგავსება მეორე საგანს. ან განსხვავდება მისგან. ნიშნების დაყოფას არსებით და არაარსებით ნიშნებად, საერთოდ, შეფარდებითი ხასიათი აქვს. ყოველ შემთხვევაში, მოცემულ პირობებში ის ნიშანი ჩათვლება არსებითად, რომელიც ასახავს საგნის შინაგან კანონ-ზომიერებას, მის არსებას. ეს ნიშნები აუცილებელია საგნისათვის და ამავე დროს საკმარისია მისი გამოყოფისათვის სხვა საგნებისაგან.

საგნის ნიშნების თანდათანობით შემეცნებასთან ერთად ბუნდოვანი წარმოდგენა საგანზე თანდათან გარკვეულ სახეს იღებს და ჩამოყალიბდება ცნება. ცნება, როგორც აზრი საგნის შესახებ, ასახავს მის არსებით ნიშნებს.

მსჯელობა, რომელიც დაადგენს ცნების შინაარსს, წარმოადგენს განსაზღვრებას. ცნების შინაარსი და ამის გამო განსაზღვრებაც, უტყველი არ არის. ცნების შინაარსი იცვლება სინამდვილის და ცოდნის განვითარების გამო. თუ პირველ შემთხვევაში ცნების შინაარსის ცვალებადობა დამოკიდებულია რაიმე ნიშნის ობიექტურ შემცვლაზე (ნიშანი წარმოიშვა, ან მოიხსოვ), მეორე შემთხვევაში ხაზი ესმევა ახალი ნიშნის აღმოჩენას ცოდნის განვითარების გამო. თუ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმოშობამ გაამდიდრა პროლეტარიატის დიქტატურის ცნება, იმიტომ, რომ წარმოიშვა დიქტატურის ახალი ფორმა, რომე-

ლიც აქამდე არ იყო, მაშინ ატომის ახალი ნიშნის აღმოჩენა, სახელდობრ მისი გაყოფადობა, საგნის განვითარებას კი არ მიეწერება, არამედ, ცოდნის განვითარებას.

აქედან გამომდინარეობს განსაზღვრების შეცვლის პრინციპულად ორი შესაძლებლობა.

ერთი და იმავე საგნის მრავალნაირი განსაზღვრების არსებობა ან განსაზღვრების წმირი ცვლა მეტყველებს საკითხის კვლევის ინტენსიურ ხასიათზე.

კატეგორიათა კვლევა სისტემატური სახით მოცემული აქვს არისტოტელეს; აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა მარტო არისტოტელეს „კატეგორიები“, არამედ მისი „მეტაფიზიკაც“, „ფიზიკაც“, „ანალიტიკებიც“ და ზოგიერთი სხვა შრომაც.

არისტოტელეს აზრით, კატეგორია უზოგადესი ცნებაა და ასეთი ცნებათა რიცხვი ათს უდრის. „სიტყვებიდან, რომლებიც გამოითქმება რაიმე კავშირას გარეშე, თითოეული აღნიშნავს ან (1) არსებას, ან (2) რაოდენობას, ან (3) თვისობრიობას, ან (4) მიმართებას, ან (5) ადგილს, ან (6) დროს, ან (7) მდგომარეობას, ან (8) ფლობას, ან (9) მოქმედებას, ან (10) ვნებას“¹.

არისტოტელეს აზრი, კატეგორიათა რაოდენობის შესახებ არ აღმოჩნდა ისეთივე სიცოცხლისუნარიანი, როგორც კატეგორიის არისტოტელესეული განსაზღვრება²; თუ კატეგორიათა რიცხვი უკვე თვით არისტოტელემ შეცვალა, სამაგიეროდ კატეგორიების, როგორც უზოგადესი ცნებების, განსაზღვრება მტკიცედ დამკვიდრდა ფილოსოფიაში.

უკანასკნელ წლებში მარქსისტულ ფილოსოფიაში აქტუალური გახდა კატეგორიათა პრობლემა. სასწავლო პროგრამებში და, შესატყვისად, ზოგიერთ სახელმძღვანელოში გაჩნდა დამოუკიდებელი მონაკვეთები კატეგორიების შესახებ. იწერება მხოვრაფეები და სტატიები, იხილავენ სხვადასხვა საკითხს დაკავშირებულს ფილოსოფიურ კატეგორიებთან და, როგორც წესი, განსაზღვრავენ კატეგორიის ცებას. საკითხის აქტუალობამ და კვლევის ინტენსივობამ განსაზღვრებათა მრავალსახეობა წარმოშვა.

მოვიყვანო რამოდენიმე მათგანს:

3. ვ. კოპნიის აზრით, არისტოტელესეული განსაზღვრება არ ხსნის კატეგორიათა არსებას. კატეგორია ცნებისაგან განსხვავდება, კოპნიის აზრით, არა მარტო ზოგადობის უფრო მაღალი ხარისხით (?!), არამედ ფილოსოფიის საგნის სპეციფიურობითაც: მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები თავის ერთობაში ასახავენ ობიექტური სამყაროს განვითარების უზოგადეს კანონებს³.

კატეგორიის ცნებისაგან ამგვარი გამოცალკეება არ მიგვაჩნია მისაღებად: ზოგადობის ხარისხით განსხვავება არ წარმოადგენს თვისობრივი განსხვავების საფუძველს, კატეგორია ისევ ცნებად რჩება. რაც შეეხება განსხვავებას გამოწვეულს საგნის სპეციფიურობით, ის არ ეხება კატეგორიის განსაზღვრებას.

¹ Аристотель, Категории, гл. 6.

² ვ. ფ. ასმუსის აზრით ასეთი განსაზღვრება არისტოტელეს არ მოუცია, მაგრამ ის ლოგიკურად გამომდინარეობს არისტოტელეს მსჯელობიდან იხ. В. Ф. Асмус, История античной философии, 1965, гл. 275.

³ იხ. ვ. ვ. კოპნიის სტატია „Категории, как выражение элементов диалектики“, კრებულში: „Во просы диалектического материализма“, М., 1960, гл. 361—362.

2. „მატე, ფილოსოფიის ... სერია, 1971, № 2

19014





ბას. ასახვის საგანი არ იძლევა საფუძველს კატეგორია თვისობრივად განსხვავოთ ცნებისაგან. ეს დებულება რომ მივიღოთ, იძულებული ვიქნებით ყოველი სპეციალური მეცნიერების ცნება, განვასხვავოთ ერთმანეთისაგან და მაშინ ცხების ზოგადი გახმარება — აზრი, რომელიც საგნის არსებით ნიშნებს ასახავს — უსაგნო დარჩება. კიდევ მეტი: საგნის სპეციფიურობაზე დამყარებული გახსენებების გამო უნდა ვაღიაროთ, რომ ფიზიკის კანონი, როგორც კანონი, განსხვავდება ქიმიის კანონისაგან და ა. შ.

სინამდვილეში ცნების განსაზღვრებაც და კანონის განსაზღვრებაც ერთია, მიუხედავად იმისა თუ: 1) რამდენად ზოგადია ესა თუ ის ცნება ან ესა თუ ის კანონი და 2) რას ასახვენ ისინი.

ვ. ი. ძალცივი ასე განსაზღვრავს ფილოსოფიურ კატეგორიებს: „ფილოსოფიური კატეგორიები — ეს ყველაზე ზოგადი ცნებებია ბუნებისა და საზოგადოების შესახებ, ცნებები, რომლებიც ასახავენ მატერიალური სამყაროს ყველა საგნების და შოვლენების ზოგად და არსებით ნიშნებს და კავშირებს“⁴.

მსგავს განსაზღვრებას გვაძლევს ი. თავაძე: „... ცნებები, რომლებიც ასახვენ საერთოდ სინამდვილის, ბუნების, საზოგადოების და აზროვნების საყოველთაო მხარეებს წარმოადგენენ ფილოსოფიურ კატეგორიებს“⁵.

ეს განსაზღვრებანი, მიუხედავად მათი მრავალსიტყვიანობისა, არაფერს ახალს არ უმატებენ არისტოტელეს განსაზღვრებას.

ასევე არაფერს ახალს არ გვეუბნებიან განსაზღვრებანი მოცემული მ. მ. როზენბერლის⁶, ლ. მ. არხანგელსკის⁷, მ. ტ. ბათირმურზაევის⁸, ი. დ. ანდრეევის⁹ და სხვა ავტორების მიერ. ყველა ეს განსაზღვრება წარმოადგენს არისტოტელეს განსაზღვრების სხვა სიტყვებით და ხშირად უფრო ბუნდოვნად გადმოცემას.

მოყვანილი ავტორებისაგან განსხვავებით, გ. ბაჩულაშვილს საკიროდ მიაჩნია არისტოტელესეული განსაზღვრება (რომელსაც იგი ცალმხრივად თვლის) შეავსოს შინაარსობრივი მხარით და გვაძლევს ასეთ განსაზღვრებას: „კატეგორია არის უზოგადესი ცნება, რომელიც მოვლენათა კავშირურთიერთობის რომელიმე ხაზილს ასახავს“¹⁰. ეს განსაზღვრება ვიწროა. მთელი რივი კატეგორიები არ ასახავენ „კავშირურთიერთობის რომელიმე ხაზილს“ — მაგალითად: მატერია, დრო, სივრცე, მოძრაობა და სხვა. ცხადია, აქ არ შეიძლება საკითხს შევუდგეთ ისე, რომ ვინაიდან, სინამდვილეში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, ამიტომ კატეგორიაც ასახავს კავშირურთიერთობის მხარეს, რადგან არა თუ კატეგორია, არამედ ყოველივე ცნება, წარმოდგენა და აღქმაც კი ასახავს კავშირურთიერთობის რომელიმე მხარეს და ამ შემთხვევაში განსაზღვრების ამ ხაზილს ყოველგვარი აზრიც დაეკარგებოდა — ის ტავტოლოგიად იქცეოდა.

⁴ В. И. Мальцев, Место и роль категорий в диалектическом материализме, М., 1960, гл. 3.

⁵ И. К. Тавадзе, О категориях материалистической диалектики; Труды ин-та философии АН Груз. ССР, т. VII, 1957, гл. 79.

⁶ М. М. Розенталь, О категориях материалистической диалектики, კრებულში: „Категории материалистической диалектики“, М., 1956.

⁷ Л. М. Архангельский, Категории материалистической диалектики, Свердловск, 1957, гл. 5.

⁸ М. Т. Батырмурзаев, Основные категории материалистической диалектики Махач-Кала, 1960, гл. 3.

⁹ И. Д. Андреев, Диалектический материализм, М., 1960, гл. 442.

¹⁰ გ. ბაჩულაშვილი, კატეგორიების კავშირი კ. მარქსის „კაპიტალში“, თბილისი, 1961.



ზემოშოყვანილი განსაზღვრებიდან გარეგნულად განსხვავდება ი. დ. ფანცხავას განსაზღვრება: „ფილოსოფიურ კატეგორიებს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ ცხებებს, რომლებიც ასახავენ რა ბუნების საზოგადოების და აზროვნების ყველაზე არსებით მხარეებს, საშუალებას იძლევიან სამყაროს რეგოლუციურად გარდაქმნისა“¹¹.

ამ განსაზღვრებაში მოტანილი ნიშანი, სამყაროს გარდაქმნის საშუალებისა, არაფერს ახალს არ გვაძლევს: სამყაროს გარდაქმნის იარაღი — მეცნიერებაა, ამგვარად, ასეთი საშუალებები იქნება ცნებებიც და თუ ფილოსოფიური კატეგორიები ცხებებია (როგორც ამას ი. ფანცხავაც აღიარებს), მათ უკვე ამით მიეწერებათ ეს ნიშანი.

არსებითად ისევ არისტოტელეს განსაზღვრებას იღებს ვ. პ. ტუგარინოვი და ცდილობს მის დაკონკრეტებას და გარღვევას: „კატეგორიები ეწოდება შეცხიერების და პრაქტიკის ისეთ ზოგად ცნებებს, რომლებიც გამოხატავენ ობიექტური სინამდვილის არსებით მოვლენებს და კანონზომიერებებს“¹². გარდა იმისა, რომ ამ განსაზღვრებას ახასიათებს იგივე ნაკლი, რაც სხვა ზემოშოყვანილ განსაზღვრებებს (განსაზღვრების მეორე ნაწილში მეორდება ის, რაც იგულისხმება პირველში), აქ ტუგარინოვი არღვევს განსაზღვრების წესებს: განსაზღვრება არ არის ნათელი, სახელდობრ, არ არის ნათელი რას წარმოადგენენ „პრაქტიკის ცნებები“ განსხვავებით „მეცნიერების ცნებებისაგან“.

ძალიან რთულ, მრავალსიტყვიან განსაზღვრებას აძლევს კატეგორიებს ვ. ს. ბიბლერი. მოვიყვანოთ სიტყვისიტყვით: „I Философские категории — это понятия, абстрагирующие друг от друга противоположные стороны всеобщих противоречий процесса развития (2) раскрывающие, благодаря этому, всеобщее логическое значение конкретных понятий, (3) выступающие, тем самым, узловыми пунктами процесса логического мышления“¹³ ამ განსაზღვრების შინაარსის გაგების გასაადვილებლად და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, ავტორი განსაზღვრების სამივე ნაწილს უკეთებს კომენტარს მაგალითების თანდართვით; მაგალითად: „საგანთა დიალექტიკაში“ ავტორს დაპირისპირებულ მხარეებად აღებული აქვს: „სამყარო—საგანი, მოძრაობა—უძრაობა, დრო—სივრცე“..

მთუხედავდ იმისა, რომ პირველივე შეხედვიდან ამ განსაზღვრებას ეტყობა, რომ ის ძალიან შორს არის იმ დეფინიციიდან, რომელსაც ენგელსი ახასიათებს. როგორც „უზოგადესი და ამავე დროს ყველაზე დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნების შოკლე გადმოცემას“ (ეურსივი ჩემია — გ. ბ.), მაინც ვეცდებით მის დეტალურ განხილვას.

ამ განსაზღვრებაში მოცემულია ცდა, გადმოცემულ იქნეს (1) კატეგორიათა ლოგიკური ფორმა, (2) კატეგორიათა შინაარსი და (3) კატეგორიათა ადგილი შემეცნების პროცესში. კატეგორიის ფორმა ცნებაა; შინაარსი — განვითარების მხარეები (დაპირისპირებული მხარეები); ადგილი შემეცნების პრო-

¹¹ И. Д. Панцхава, Диалектический материализм, М., 1958, стр. 232.

¹² В. П. Тугаринов, Соотношение категорий диалектического материализма, Ленинград, 1956; აგრეთვე იხ. მისი სტატია ჟურნ. „Вопросы философии“, № 3, 1956.

¹³ В. С. Библиер, О системе категорий диалектической логики, Сталинабад, 1958, стр. 6.

ცესში — კოხკრეტულ ცნებათა შინაარსის ახსნა და შემეცნების პროცესში საკვანძო პუნქტების ადგილის დაკავება.

ძველად წარმოსადგენი უნდა იყოს დრო და სივრცე, როგორც განვითარების დაპირისპირებული მხარეები. რაც შეეხება კატეგორიათა როლს შემეცნების პროცესში, — ხიშანი, რომ კატეგორიები ხსნიან კონკრეტულ ცნებათა შინაარსს, ისევე ვამეორებაა, ვინაიდან თუ კატეგორია ზოგადი ცნებაა, ამით უკვე წარმოადგენს ხაკლებად ზოგადი ცნების გასაღებს, ისევე როგორც ადამიანის ანატომია მიამუნის ანატომიის გასაღებია (მარქსი).

ყველა ზემომოყვანილი განსაზღვრების ავტორი არსებთანად იღებს არისტოტელეს განსაზღვრებას, მაგრამ ხედავს რა, რომ ეს განსაზღვრება, ეს ფორმა ვერ გადმოგვეცემს კატეგორიათა შინაარსის მთელ სიმდიდრეს, ცდილობს შეავსოს ეს ხაკლი. როგორც დაეინახეთ, ყოველგვარი ცდა ამ ნაკლის შესავსებად ჭერჭერობით უშედეგოა. ეს კანონზომიერიცაა. საკმარისია გავიხსენოთ ენგელსის აზრი განსაზღვრების შესახებ, რომ დავრწმუნდეთ ამაში. ენგელსი შენიშნავს, რომ დეფინიციები“ მეცნიერებისათვის... ყოველთვის არასაკმარისნი არიან ხოლმე, ერთადერთი რეალური დეფინიცია თვითონ საქმის არსის განვითარება და ისიც უკვე აღარაა დეფინიცია“. ამ დებულებას ენგელსი ასეთი მაგალითით ასურათებს: „იმისათვის რომ ავხსნათ, ვიცოდეთ და ვაჩვენოთ თუ რა არის სიცოცხლე, ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ სიცოცხლის ყველა ფორმა და ურთიერთკავშირში წარმოვიდგინოთ“, და შემდეგ განაგრძობს: „... ყოველდღიურ სიხმარად უზოგადესი და ამავე დროს ყველაზე დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნების მოკლე გადმოცემა ვერცთ წოდებულ დეფინიციაში ხშირად სასარგებლო და აუცილებელიც კი არის ხოლმე, და არც შეიძლება ზიანი მოიტახოს, თუ კი დეფინიციისაგან იმაზე მეტს არ მოითხოვენ, რის გამოხატვაც მას შეუძლია“¹⁴.

ზემომოყვანილ განსაზღვრებებში, ზოგიერთში, იმაზე მეტის მოთხოვნაა წამოყენებული, რისი ჩვენებაც განსაზღვრებას შეუძლია და სწორედ ამიტომ მას მხოლოდ ზიანი მოაქვს განსაზღვრებისათვის.

ამრიგად, მიუხედავად გარეგნული სხვაობისა, ყოველა ზემომოყვანილი განსაზღვრება შეიძლება დაყვანილ იქნეს არისტოტელეს განსაზღვრებაზე.

ცხება მით უფრო ზოგადია, რაც უფრო ნაკლები ნიშანი მოიაზრება მასში და რაც უფრო ზოგადია ეს ნიშნები. ყველაზე ზოგად ცნებებს არსებით ნიშანთა მინიმუმი უნდა გააჩნდეს და ეს ნიშნებიც, თავის მხრივ, ზოგადობის უმაღლეს ხარისხს უნდა შეიცავდნენ.

ყველაზე სრულყოფილი განსაზღვრება, რომელიც ლოგიკაშია მიღებული, ესაა განსაზღვრება უახლოესი გვართ და სპეციფიკური, სახეობრივი ნიშნით. როდესაც კატეგორიის განსაზღვრავთ ამ წესით უახლოესი გვართ — ცნებით, მასში ცხადია, ცნების ნიშანი — არსებითი ნიშნების ასახვა — ვადადის კატეგორიაზე. ცხების მოკულობა საერთოდ დამოკიდებულია, როგორცა ვთქვით, მასში მოაზრებულ ნიშნების რაოდენობაზე და ამ ნიშნების ზოგადობაზე. აქედან გამოძინიარე უზოგადეს ცნებაში მოიაზრება უზოგადესი ნიშანი.

განმარტავს რა განსაზღვრების რაობას, ვ. ი. ლენინი წერს: „რას ნიშნავს „განსაზღვრა“? ეს ხიშნავს უწინარეს ყოვლისა ამა თუ იმ ცნების მიყენებას მეორე უფრო ფართო ცნებისადმი. მაგალითად, როცა მე განსაზღვრავ: ვირა

¹⁴ ფრ. ენგელსი, ანტი-დუორინგი, 1952, გვ. 408.

ცხოველია-მეთქი, ცნებას „ვირი“ უფრო ფართო ცნებას მიეუყენებ. იბადება კითხვა: არსებობს თუ არა უფრო ფართო ცნება, რომელიც შემეცნების თეორიას შეეძლო გამოეყენებინა, ვიდრე ცნებები: ყოფიერება და აზროვნება, მატერია და შეგრძნება, ფიზიკური და ფსიქიკური? არა. ეს უკიდურესად ფართო, უაღრესად ფართო ცნებებია, რომელთაც არსებითად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნომენკლატურის ყოველთვის შესაძლებელ ცვლილებებს) დღემდე გნოსეოლოგია არ გასცილებია“¹⁵.

არსებითად, როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, ვ. ი. ლენინიც ეთანხმება არისტოტელეს განსაზღვრებას, ფილოსოფიური კატეგორიების, როგორც უზოგადესი ცხებებისა. არისტოტელეს განსაზღვრებაში ფაქტიურად უზოგადესი გვარი და სპეციფიკური ნიშანია: კატეგორია არის ცნება, ხოლო მისი ნიშანი როგორც ცნების დამახასიათებელი ნიშანი — ზოგადობაა. ზემოთყვანილ განსაზღვრებებში ჩვენ დავინახეთ ცდა, განეცალკეებინათ ცნება და კატეგორია მათი ზოგადობის ან სხვა რაიმე ნიშნის საფუძველზე; არისტოტელე კი არ აცალკევებს (ე. ი. აქ ისეთი ვითარება კი არ იქმნება, თითქოს ცნება სხვა იყოს და კატეგორია თვისობრივად სხვა), არამედ კატეგორიას, როგორც ცნებას, ახასიათებს ზოგადობის უმძლესი ხარისხის ნიშნით. მაღალი ხარისხის ზოგადობა კი უნდა გულისხმობდეს ამ ცნების შინაარსში ნიშნების მინიმუმს და ამ ნიშნების ზოგადობას.

ამრიგად, კატეგორია არის ცნება (ე. ი. ასახავს საგნის არსებით ნიშნებს — უახლოესი გვარის ეს ნიშანი საღესებით გადადის კატეგორიაზე), რომელსაც ერთი სპეციფიკური ნიშანი გააჩნია და სწორედ ის, რომ ეს ნიშანი ერთია — განაპირობებს მის ზოგადობას, ნიშნების მინიმუმის არსებობის გამო მისი მოცულობა მაქსიმალურად ფართოა ე. ი. მასზე ფართო ცნების მონახვა შეუძლებელია. კატეგორიაში, როგორც ცნებაში, მოიაზრება გარკვეულ საგანთა კლასის (ხოლო რადგან კატეგორია უზოგადესი ცნებაა, ამიტომ ეს საგანთა კლასი მთელ სინამდვილეს მოიცავს) უზოგადესი ნიშანი.

რაც შეეხება თვით საგნის რაობას — მატერიალურია ის თუ — იდეალური, ვითარდება ის თუ არა — ეს მსოფლმხედველობითი მხარეა და ამის ჩვენება არ მოეთხოვება განსაზღვრებას. ეს მსოფლმხედველობითი მხარე უკვე იგულისხმება კონტექსტში: „დიალექტიკური მატერიალიზმის კატეგორიები — უზოგადესი ცნებებია“.

რასაკვირველია, ცალკე აღებული განსაზღვრება კატეგორიებისა ღარიბია თვით კატეგორიასთან შედარებით, ის ვერ ასახავს მისი შინაარსის მთელ სიმდიდრეს, მაგრამ ეს კატეგორიათა განსაზღვრების ნაკლი კი არაა, არამედ საერთოდ განსაზღვრების სპეციფიკაა.

ცნება რა იმპერიალიზმის განსაზღვრებას, ვ. ი. ლენინი შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმძლესი სტადია“, წერს: „აუცილებელი რომ ყოფილიყო იმპერიალიზმის რაც შეიძლება მოკლე განსაზღვრის მიცემა, უნდა გვეთქვა, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია. ასეთ განსაზღვრებაში მოცემული იქნებოდა ყველაზე მთავარი...“

და შემდეგ: „მაგრამ მეტად მოკლე განსაზღვრებანი თუმცა მოხერხებულა, რადგან ისინი აჯამებენ მთავარს, მაგრამ საკმარისი მაინც არ არიან, რაკი მათგან ცალკე უნდა გამოიყოს იმ მოვლენის მეტად არსებითი ნიშნები, რომე-

15 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 177.

ლიც განსაზღვრულ უნდა იქნას... არ უნდა დაევიწყოთ პირობითი და შეფარდებითი მხიშვნელობა საერთოდ უველა განსაზღვრისა, რომელთაც არასოდეს არ შეუძლიათ შოიცვან მოვლენის ყოველმხრივი კავშირი მის სრულ განვითარებაში¹⁶.

კატეგორიის არისტოტელესეულ განსაზღვრებაში მოცემულია ის ძირითადი, რომელიც არსებითა კატეგორიისათვის და რაზედაც დაყრდნობით შეიძლება მისი სხვა ნიშნების გამოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს განსაზღვრება მხიშვნელოვნად ხანდაზმულია, ის მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და დღეს შესაძლებლად მიგვაჩნია კატეგორია ისევე განისაზღვროს, როგორც ის განსაზღვრა ორი ათასი წლის წინ არისტოტელემ: კატეგორია უზოგადესი ცნებაა.

ეს დებულება შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით კონსერვატულად მოგვეჩვენოს, მოსალოდნელია ასეთი ოპოზიცია: ნუთუ მეცნიერება, ფილოსოფია ორი ათასი წლის მანძილზე კატეგორიათა კვლევის საკითხში წინ არ წასულა, არ გაულრძავებია ცოდნა კატეგორიათა შესახებ იმდენად, რომ საფუძველი შექმნილი იყოს კატეგორიათა განსაზღვრების შეცვლისათვის?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვინაიდან კატეგორიათა განსაზღვრება ოცი საუკუნის განმავლობაში არ შეცვლილა, მაშასადამე კატეგორიათა პრობლემა არ ყოფილა აქტუალური და არც კვლევა ყოფილა ინტენსიური.

მართალია, არ შეიძლება ითქვას, რომ მთელი ოცი საუკუნის მანძილზე კატეგორიათა პრობლემა ერთნაირად აქტუალური, ხოლო მისი კვლევა — ინტენსიური და შედეგიანი ყოფილიყოს. არისტოტელეს შემდეგ კატეგორიათა კვლევას აწარმოებდნენ კანტი და ჰეგელი. მიუხედავად იმისა, რომ კანტისათვის კატეგორიები ადამიანის აზროვნების აპრიორული ფორმებია, ხოლო ჰეგელისათვის — აბსოლუტური სულის თვითშემეცნების საფეხურები, მათში მაინც არის საერთო ის, რაც ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა კატეგორიებში — კატეგორიები უზოგადესი ცნებებია თავისი ლოგიკური ფორმით.

კატეგორიათა არისტოტელესეული განსაზღვრება ცნების მოცულობით მხარეს ეხება და ვინაიდან კატეგორიათა კვლევის პროცესში მათი მოცულობის მხრივ უზოგადად ახალი არსებითი ნიშანი არ აღმოჩენილა, ამიტომ ეს ძველი განსაზღვრება თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ის განმარტებანი, რომელნიც ეძლევა ამ განსაზღვრებას, ე. ი. კატეგორიათა ესა თუ ის ინტერპრეტაცია დაწყებული კანტიდან თანამედროვე მკვლევარებამდე, ეხება კატეგორიათა შინაარსს და ატარებს მსოფლმხედველობით ხასიათს. სწორედ ამ ინტერპრეტაციათა სიმრავლე მოწმობს ამ საკითხის აქტუალობის და კვლევის ინტენსიურობას.

16 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 334—335.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



ბიოგრაფიული მონათხრობი

დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკა
კეპელის ფილოსოფიაში

არისტოტელემ თუმცა კატეგორიების ლოგიკური გამომდინარეობის თეორია არ მოგვცა, მაგრამ მან ამოსაყვარ კატეგორიად არსი აღიარა, ხოლო დანარჩენი კატეგორიები მის დახასიათებად გაიგო. აქ ერთგვარად ჩანასახის სახით მოცემულია კატეგორიების სისტემის სახით აგების ცდა, მაგრამ არისტოტელეს შერე შათი შთლიანობაში განხილვის აზრი გაქრა და ლოგიკის კატეგორიები ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე ისწავლებოდა, თვითონ ჰეგელი წერს: „მათზე არისტოტელეს მერე არავინ არ გონებდა“². ახალ დროში კატეგორიების ურთიერთიდან გამოყვანის საკითხი კანტის ფილოსოფიაში დაისვა. კანტი წერს: „მე კატეგორიების ერთი გარკვეული პრინციპისაგან დადგენა შეეძლო, ამიტომ ხელი მოვკიდე ამ ცხებების დედუქციას“³. ეს საკითხი კანტმა ვერ გადაწყვიტა. მან თუმცა კატეგორიების საფუძველი ტრანსცენდენტალური ცნობიერებაში აღმოაჩინა, მაგრამ თვით კატეგორიები ურთიერთ ლოგიკურ გადასვლებს ვერ დაუმორჩილა.

კანტის „წმინდა გონების კრიტიკაში“ ეს კატეგორიები ჩამოთვლილია და საფუძველ-შედგენის დამოკიდებულებაში არ არიან მოსული. კანტი კატეგორიების შთლიანობას შხლოდ თითოეული კატეგორიის ჭგუფში გვიჩვენებს. იგი თითოეულ ჭგუფში სამ კატეგორიას ათავსებს და მესამე პირველის და მეორის ერთიანობად მიაჩნია. ასე მაგალითად, მის კატეგორიებში, საყოველთაო არის მრავლობის ერთიანობა. შემოსაზღვრა არის რეალობა, რომელიც უარყოფასთან არის შთლიანობაში, ურთიერთშემოქმედება არის მიზეზობრიობა, რომელიც ერთი არსების მეორესთან კავშირს გამოხატავს, აუცილებლობა არის შესაძლებელი არსი, რომელიც განსჯის კანონების მიხედვითაა განსაზღვრული. კანტმა საბოლოოდ დიდი საქმე გააკეთა, კატეგორიების შიგნით ტრიალული კავშირი აღმოაჩინა და ამით კატეგორიების დიალექტიკურ გაგებას გასაქანი მისცა. ამის მერე ფიხტეს და შელინგის წინაშე დგება ეს ამოცანა, მაგრამ ის ვერც მათთან იღებს გადაჭრას.

ვერც ფიხტე და ვერც შელინგი ვერ აჩვენებენ კატეგორიების აუცილებელ გადასვლებს. ჰეგელის წინაშე დიდი ამოცანა იდგა, რაც მდგომარეობდა მთელი შეცხიერული შემეცნების კატეგორიების გროვაში, შინაგანი კავშირის აღმოჩენა

¹ წაკითხულია მოხსენებად 1970 წ. 30 ოქტომბერს ჰეგელის გარდაცვალებიდან 200 წ. თავისადმი მიძღვნილი თსუ ფილოსოფიის კათედრებისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე.

² Гегель, т. XI, с. 470.

³ კ ა ნ ტ ი, პროლეგომენები, გვ. 51.

ხსია და ლოგიკის ჩამოქნილ მეცნიერებად ქცევაში. მეცნიერებას ერთ-ერთი ძირითადი ხიშანი ის არის, რომ შექმენების საგნის მხარეთა სიმრავლეში შინაგანი კავშირი და კანონზომიერება აღმოაჩინოს. ჰეგელმა ეს დიდი საკითხი იმით გადაჭრა, რომ კატეგორიები დიალექტიკურ მეთოდს დაუმორჩილა. ამ მეთოდმა კატეგორიების ურთიერთობა, გადასვლების აუცილებლობა განსაზღვრა და ლოგიკა შეცნიერულ სისტემად იქცა.

კატეგორია ზოგადია, ხოლო, ჰეგელის აზრით, ზოგადი აზრია, გრძნობადი საგნების შინაგანი არსებაა. ლოგიკა დღემდე, ამბობს ჰეგელი, გაგებული იყო როგორც ადამიანის აზროვნების სუბიექტური ფორმის მეცნიერება. ეს არის ფორმალური ლოგიკა. ჰეგელის აზრით. ფორმალური ლოგიკის შესწავლას უმეველად სარგებლობა აქვს; იგი გონებას ამახვილებს, გვასწავლის აზრის მიზართვას. ისე, რომ ჰეგელისათვის ფორმალური ლოგიკა მეცნიერების ლოგიკა არაა. მას უფრო საყოველღეო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ გათენებისას ზამთარში გზიდან მარხილის სრილის ხმა ისმის, მამ წუხელ ძლიერი ყინვა ყოფილა. ის ამ ლოგიკას არ უარყოფს, მაგრამ ხედავს, რომ ის მეტად ვიწროა; ლოგიკის საგანი, მისი აზრით, უფრო ფართო უნდა იყოს. ეს არ შეიძლება აზრის სუბიექტური ფორმებით შემოისაზღვროს. ჰეგელის აზრით, სინამდვილეში არის აზრი და სწორედ ეს ობიექტური აზრია ლოგიკის საგანი. ობიექტური აზრი განვითარებადია, რომელიც დიალექტიკურ კანონზომიერებას ემორჩილება, ამიტომ ლოგიკა დიალექტიკური იქნება, რადგან ის აზრის დიალექტიკურ მოძრაობას შეისწავლის.

ჰეგელის აზრით, გრძნობადი სინამდვილის საფუძველში იდეაა, რომელიც თავის თვითშექცევას ახორციელებს და კატეგორიები არის ამ ლოგიკური იდეის გარკვეულობები; ესენი ლოგიკური იდეის შემეცნების საფეხურებს წარმოადგენენ, ამიტომ დიალექტიკა არა მარტო ლოგიკაა, არამედ ის შემეცნების თეორიაც არის.

ჰეგელის თეორიაში გონივრული და მისაღები ის არის, რომ მან იდეის მოძრაობა, ცვალებადობა როგორც თავისთავადი და აუცილებლობას დაქვემდებარებული წარმოადგინა, ხოლო მისი კატეგორიები გაიგო როგორც ერთმანეთთან აუცილებლობით დაკავშირებული, ანუ კატეგორიების ურთიერთში გადასვლა ხივითიერი სამყაროს მოვლენების ურთიერთში გადასვლის დავგარად გაიგო. ასეთია, მაგალითად, არსის საფეხურზე თვისობრიობის და რიცხობრიობის დამოკიდებულება. მათი დამოკიდებულების გასაგებად ჰეგელს მაგალითები ბუხების სინამდვილიდან მოჰყავს, ხოლო მათში იდეის მოძრაობას ხედავს. ასეთივე თავისთავადობისაა არსების კატეგორიები: იგივეობა, განსხვავება, წინააღმდეგობა, დაპირისპირება, ფორმა, შინაარსი, სინამდვილე, შესაძლებლობა და სხვ. ჰეგელი ყველგან იდეაზე ლაპარაკობს, ხოლო მისი კანონზომიერება არსებითად ბუნების კანონზომიერებას ემთხვევა, ამიტომ ჰეგელის ლოგიკა მის განყვებულ ქარგაში სინამდვილის კანონზომიერების ასახვაა. სწორედ ამიტომ, — ამბობს კ. მარქსი, — ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირაა დაყენებული, ანუ ის იდეიდან ამოდის, მაგრამ იდეას სხვაგვარად არ შეუძლია განვითარება თუ არა ისე, როგორც ბუნება ვითარდება, ამიტომ იდეა როგორც ამოსავალი უნდა უკუგდებული იქნეს და ბუნება უშუალოდ თავის კანონზომიერებას დაემორჩილოს.

ჰეგელის ფილოსოფიის გონივრული მხარე უფრო ნათელია მაშინ, როცა ის ცნებების საფეხურზე გადადის და ამ გადასვლას განიხილავს. მისი გაგებით არსი და არსება წინა საფეხურებია, რომლის მერე ცნება იბადება, არსი და არ-

სება ლოგიკური მოძრაობით ცნებებამდე მიდის; როგორც ჰეგელი წერს, „ობიექტური ლოგიკა, რომელიც არსს და არსებას განიხილავს, შეადგენენ ცნების გეგეზისურ ექსპოზიციას⁴. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტური ობიექტურისაგან დაიბადება, რომ სუბიექტური ობიექტურით არის განსაზღვრული. რასაკვირველია, ჰეგელის ფილოსოფიაში განვითარება თავისთავად არსებულის თავისთვის ქცევაში მდგომარეობს და ცნება, რომელიც არსის და არსების შედეგია, მათში არსებობს; განვითარება მხოლოდ იმაშია, რომ ის თავისში არსებული თავისთვის არსებულად იქცევა. როგორც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ის არის უდავო, რომ ის როგორც სუბიექტური ობიექტურით არის განსაზღვრული, მას მასში აქვს საფუძველი და მისი არსებობა სხვა არაფერია, თუ არა იმავე საფეხურის გავლა, რასაც არის და არსება წარმოადგენს. ეს არის ის გონივრული, რომელიც მისგან მარქსისტულ ფილოსოფიაშია შესული, მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით ხომ ცნება როგორც სუბიექტური ობიექტურის ანუ მატერიის განვითარების შედეგია. ჰეგელის ფილოსოფიის ამ მხარეს ლენინი დადებითად აფასებს. იგი მასში გონივრულს ხედავს. ლენინი წერს: „შევაბრუნოთ: ცნებები მატერიის უმაღლესი პროდუქციის ტერმინს უმაღლესი პროდუქტია“⁵. არის და არსება ჰეგელის ლოგიკაში განყენებული ბუნებაა, რომლის განვითარებამ ის უმაღლეს საფეხურზე, აზრის წარმოშობამდე მიიყვანა.

ჰეგელმა დაამსხვრია მეტაფიზიკური აზროვნების ჩარჩოები, სინამდვილეს დიალექტიკურად შეხედა და ადამიანი თავისი აზროვნებით წარმოადგა არა რაღაც მზაშარეული, არამედ როგორც სინამდვილის განვითარების შედეგი. ცხადია, ეს განვითარება აზრის ლოგიკურ სიბრტყეშია მოცემული, მაგრამ იგი სიხამდვილისდაგვარია და ამიტომ არის შესაძლებელი მის ლოგიკაში გონივრულის ძებნა და ნახვა.

ჰეგელი თუმცა ფორმალური ლოგიკის ფორმებს ფორმალური აზროვნების მოქმედების იარაღად თვლის, მაგრამ ის იძულებულია მათ ანგარიში გაუწიოს, ლოგიკის სისტემაში მოაქციოს და ობიექტური აზრის განხორციელების ფორმად გახადოს. ლოგიკურმა იდეამ ჰეგელის ლოგიკაში ადამიანების შემუშავებული და აღმოჩენილი აზროვნების ფორმები თავის კანვითარებას დაუძორჩილა და თავისი თვითშემცნების შინაგან ფორმად გახადა. ეს გასაგებიცაა, რადგან ჰეგელისათვის ნამდვილი ლოგიკური იდეაა, ყველაფერი ლოგიკური იდეის შექმნილია, სუბიექტური აზრის ფორმებიც მისი განვითარების საფეხურებია და ამიტომ ისინი მისი განხორციელების ფორმებს წარმოადგენენ.

ძველ ლოგიკაში, როგორც თვითონ ჰეგელი წერს, ცნება, მსჯელობა და დასკვნა ერთი მეორის გვერდით იყო წარმოდგენილი და არ ჩანდა ის შინაგანი კავშირი, რომლის მიხედვითაც ისინი ერთიმეორეს ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვენ. ამასთან ერთად ლოგიკაში არ ირკვეოდა აზროვნების ფორმების შექმნისებითი ღირებულება. არიან თუ არა ეს ფორმები ჰეგელის განვითარების განხორციელებისთვის შესაფერისნი? ასეთი საკითხი ძველ ლოგიკაში არ ისმებოდა. ჰეგელმა ეს საკითხები დასვა და თავის ლოგიკაში მათ პასუხი გასცა. ჰეგელის ლოგიკაში ცნებას არსის და არსების საფეხური უსწრებს, ცნების განვითარება მათ იმეორებს და ამიტომ თუ არის არსი, უნდა არსებობდეს არსის მსჯელობა და დასკვნა; თუ არსებობს არსება, უნდა არსებობდეს არსებას მსჯელობა და დასკვნ-

⁴ Гегель, т. VI, гл. 6.

⁵ ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რწეულები, ტ. 38, გვ. 163.

ხა. არსის და არსების მსჯელობა და დასკვნა არსის და არსების ასახვად გვევლინება. ამ ფორმებს არსი და არსება აქვს შინაარსად. ამიტომ არის, რომ ლენინმა, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის შემოქმედებითი მკითხველი იყო, მის ლოგიკაში ეს მხარე შეხიზნა და მატერიალისტურად წაიკითხა. ლენინი წერს: „ჰეგელმა მართლა დაამტკიცა, რომ ლოგიკური ფორმები და კანონები ცარიელი გარსი როდია, არამედ ობიექტური სამყაროს ასახვაა. უფრო სწორედ კი არ დაამტკიცა, არამედ გენიალურად გამოიცნა“⁶.

მაშასადამე, ჰეგელის ფილოსოფიის იდეალისტურ ფორმაში საღი მეცნიერული აზრია მოცემული. ეს საღი აზრი მარქსისტული ფილოსოფიის შემადგეხელ ხაწილს წარმოადგენს. მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით ხომ აზრი და მისი ფორმები ობიექტური სინამდვილის ანარეკლია. თვითონ ჰეგელი ამ მხარის შესახებ ასე წერდა: „არსის და არსების ორივე წინა სფეროს მიმართ განსაზღვრული ცხებები როგორც მსჯელობები წარმოადგენენ ამ სფეროებს რეპროდუქციას“⁷.

ჰეგელის აზრით, სწორედ ეს უდევს საფუძვლად მსჯელობების და დასკვნების კავშირს. მან უნდა განსაზღვროს მათი ურთიერთში გადასვლა, მაგრამ თუ იგი ამას ბოლომდე ვერ ატარებს, ეს მისი აბსოლუტური იგივეობის მოთხოვნით არის განსაზღვრული.

არსი და არსება როგორც იდეის საფეხურები აბსოლუტურ იდეაში უნდა ჩახტქმულ იქნენ. არსი და არსება, რომლებიც მსჯელობას და დასკვნას განსაზღვრავენ, თვითონ ლოგიკის იდეის გამონაკროთმებია და მას ემორჩილებიან⁸.

მსჯელობებისა და დასკვნების ურთიერთში გადასვლის ხასიათი, რომელიც ჰეგელი ვეთავაზობს, ბევრ შემთხვევაში ბნელი და გაუგებარია, რადგან ის ხელოვნურია. ამ მხარეს ფ. ენგელსი აღნიშნავს შმიდტისადმი მიწერილ წერილში. ის აქ ასე წერს: „ერთი კატეგორიიდან ან ერთი დაპირისპირებიდან მეორეზე გადასვლა თითქმის ყოველთვის თვითნებურია. როგორც მაგალითად დადებითი და უარყოფითი ილუპებთან, საფუძველში ჩადიან იმისათვის, რათა ჰეგელმა ამით საფუძვლის კატეგორიაზე გადასვლა შესქლოს“⁹. ამ აღნიშნული ხაკლის მიუხედავად, ჰეგელის ზოგადი მოთხოვნა მსჯელობებსა და დასკვნებს შორის კავშირის დადგენისა, რომელიც არსით და არსებით არის განსაზღვრული, მისი ფილოსოფიის საღი და გონიერული მხარეა. მსჯელობები და დასკვნები ურთიერთკავშირშია, რადგან არსი და არსება, რომლებიც ერთმანეთის გავრძელებას წარმოადგენენ, მათი შესაბამისი მსჯელობებისა და დასკვნების ურთიერთკავშირის საფუძველია.

წინა საფეხური მომავლისაგან არის განსაზღვრული. ამიტომ ეს მომავალი მისგან უნდა დაიბადოს, მოსახსნელი საფეხური ასე უნდა განვითარდეს, რომ მისგან ის დაიბადოს, რაც, ჰეგელის აზრით, აუცილებელია. მაშასადამე, აქ ვითარება უკუღმაა შტრიალებული: ნაცვლად იმისა, რომ მომავალი წარსულიაგან იყოს განსაზღვრული, ის, პირიქით, ვითარებას ქმნის და ამიტომ გადასვლები ბევრ შემთხვევაში ხელოვნურია და გაუგებარი. მსჯელობებისა და დასკვნე-

6 ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რეულები, ტ. 38, გვ. 177.

7 ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 360.

8 იქვე, გვ. 177.

9 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რეუელი წერილები, გვ. 487.

ზის გადასვლების ხელოვნურობა იმითაც აიხსნება, რომ ჰეგელი მათი ცვლილების აზრს ხედავს, მსჯელობების და დასკვნების ნაწილების ურთიერთ დამთხვევაში, რათა მათი გარეგნული მიმართება შინაგან მიმართებად იქცეს. ეს შინაგანი მიმართება უკანასკნელ საფეხურამდე მისული მოცემული მსჯელობისა და დასკვნის უარყოფამდე მიდის და ახალი მსჯელობის და დასკვნის წარმოშობის საფუძველი უნდა გახდეს. ჰეგელის მიერ სრულიად აუხსნელია, მსჯელობისა და დასკვნის ნაწილები თუ ერთმანეთს დაემთხვევა, როგორღა იქნებოდა ისინი ახალი მსჯელობისა და დასკვნის წარმოშობის საფუძველი. ასეთი ხელოვნურია არსის მსჯელობის არსების რეფლექსიის მსჯელობაში გადასვლა. ჰეგელს ეს გადასვლა ასე აქვს წარმოდგენილი. მაგალითისათვის უსასრულო უარყოფითი მსჯელობა ავიღოთ. „ლომი არაა მაგიდა“. ამ მსჯელობაში სუბიექტი და პრედიკატი სრულიად გამოყოფილია ერთმანეთისაგან. ერთი არ არის მეორე არა ხაწილობრივ, არამედ მთლად; სუბიექტს თუმცა მაგიდასთან არა აქვს მიმართება, მაგრამ მას ქვეყნის რაიმე საგანთან აქვს მიმართება. ამდენად სუბიექტი გამოდის თავისთავიდან და ის რეფლექსირებული ხდება. ასეთი მსჯელობის მაგალითია „ეს მცენარე სამკურნალოა“. მცენარეს, როგორც სუბიექტს, მიმართება აქვს არა ისევე თავისთავთან, როგორც ეს არსის მსჯელობაშია, არამედ სხვასთან. ის შეიძლება სხვის სამკურნალო საშუალება იყოს. მაშასადამე, არსის მსჯელობიდან ჰეგელი გადასვლას არსების მსჯელობაზე ახდენს. ცხადია, რომ ეს გადასვლა ხელოვნურია: არსის უსასრულო უარყოფითი მსჯელობიდან არსების მსჯელობა არ გამოდინარეობს. „ლომი არაა მაგიდა“. ეს მსჯელობა შეუძლებელია იმ მსჯელობაზე ვადაწყვანი იყოს, რომლის სუბიექტს მიმართება აქვს სხვა საგანთან. ასევე ხელოვნურია ცნების მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა. ცნების მსჯელობის უკანასკნელი სახეა აპოდიქტიური მსჯელობა: „ეს სახლი ამგვარად აგებული კარგია“ ცნების მსჯელობაა, რომელიც შეიცავს სუბიექტის და პრედიკატის ურთიერთდამთხვევას. კავშირი წარმოადგენს არა მათ გარეგან კავშირს, არამედ მათ სავსეობას. ჰეგელის აზრით, აქ სუბიექტი და პრედიკატი ცალ-ცალკე მსჯელობებს წარმოადგენენ, რომელთა ერთიანობას საშუალო ცნება ადგენს. სრულიად გაუგებარია ასეთი მსჯელობიდან დასკვნაზე გადასვლა. დასკვნაში ორი წინამძღვარია, ხოლო აქ ერთი მსჯელობაა, რომლის სუბიექტი და პრედიკატი, როგორც თვით ჰეგელი იტყვის, ერთი და იგივეა. პირიქით, იმისათვის, რომ ეს მსჯელობა დასკვნად იქცეს, საჭიროა ახალი ცნების შემოტანა, რაც სუბიექტ-პრედიკატის ცნებებს გააშუალებს და ამით მათი დამოკიდებულება დასკვნის სახეს მიიღებს.

ცხადია, რომ ეს არ ითქმის ყველა გადასვლაზე. ბევრგან ეს გადასვლა ისეთია, რომ ისინი, რითაც გადასვლა ხდება და რაშიც გადასვლა სრულდება, ბუნებრივ ერთიანობას ქმნიან. ამის მაგალითად შეიძლება დავსახელოთ აუცილებლობის, კერძოდ განყოფითი მსჯელობის, ცნების მსჯელობაზე გადასვლა. განყოფითი მსჯელობაში, „ხელოვნების პოეტური ნაწარმოები ან ეპიკურია, ან ლირიკული, ან დრამატული“, ეს მსჯელობა მოცულობის მიხედვით ცნებას წარმოადგენს. მაშ ამ მსჯელობას ცნებასთან აქვს საქმე და ამიტომ ამის მეორე შეიძლება ცნების მსჯელობაზე გადავიდეთ. ასევე ბუნებრივად შეიძლება ჩაითვალოს უზოგადესი მსჯელობიდან, აუცილებლობის მსჯელობაზე გადასვლა. ზოგად მსჯელობაში „ყველა ლითონი ელგამტარია“ „ყველა“ გვარზე მიუთითებს. რაკი რაიმე ნიშანი ყველას აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ნიშანი გვარას ნიშ-

ხია, ხოლო რაც გვარს ეკუთვნის, აუცილებლობით ეკუთვნის და ამიტომ ახლა შეიძლება აუცილებლობაზე გადასვლა.

სუბიექტისა და პრედიკატის დასკვნის ნაწილების ურთიერთდამთხვევა, როგორც ახალ საფეხურზე გადასვლა, სრულიად არათუ ხელოვნურია, არამედ გაუგებარიც. ერთი საფეხურიდან ან ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლა განსაზღვრული უნდა იყოს მისი თვითშემეცნების კუთხით ნაკლის აღმოჩენით და ახალი ცნების შემოტანით, რომელიც ამ ნაკლს მოხსნის და თვითშემეცნებას სრულს განდის. ჰეგელის მეთოდი ამ გადასვლას შეუძლებელს ხდის, რადგან მსჯელობისა და დასკვნის ნაწილების ურთიერთდამთხვევა არსებითად იგივეობაა, რომელიც შემდგომი განსხვავების დადგენას როგორც მსჯელობაში, ისე დასკვნაში შეუძლებელს ხდის. გადასვლა იმითლა განსაზღვრული, რომ წინარეს მერე შემდეგი უნდა დაიბადოს. ამ გადასვლების ხელოვნურობა იმის შედეგია, რომ ცნება, რომელიც ჰეგელის მტკიცებით არსის და არსების გაშლას წარმოადგებს, ხაშტვლად არსს და არსებას მოსწყდა და ის თავისთავში ტრიალით ახდენს ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლას. მიუხედავად ამ გადასვლების ხელოვნურობისა, მაინც ის არის ცხადი, რომ ჰეგელის ფილოსოფიაში ცნების კეშმარტება მსჯელობაშია. ეს კი საბოლოოდ დასკვნაში იშლება, მსჯელობა საფუძველს საჭიროებს და ცნება საფუძვლის ძიებისათვის დასკვნად ვითარდება. თუ პირველი მსჯელობა არსის მსჯელობა იყო, ახლა პირველი დასკვნა არსის დასკვნა იქნება, ისე, როგორც ჩანასახი მიიღეს საფეხურებს გადას მახამდის, ვიდრე საფეხურის ცოცხალ არსებად იქცეოდეს, ასევე ითქმის აქაც. ჰეგელის ფილოსოფიაში მსჯელობა და დასკვნა იმ საფეხურებს გაივლის, რის გაშლასაც ის წარმოადგენს და სწორედ ამიტომ პირველი დასკვნის სახე არსის დასკვნა იქნება. ის არსის თვისებებით არის განსაზღვრული, ისე როგორც არსის საფეხურზე საგნები ერთიმეორის გარეთ არის და მათ შორის არ არის შინაგანი კავშირი. დაახლოებით ასევე არის დასკვნაში. აქ კიდური ცნებები გარეგნულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მოძრაობის აზრი იმაშია, რომ ეს გარეგანი კავშირი შინაგანად იქცეს, ხოლო ეს უკანასკნელი იგივეობად. ეს მოხდება დასკვნის უკანასკნელ საფეხურზე. აქ დასკვნის ცნებებს შორის განსხვავება იხსნება, იგივეობა დგინდება და დასკვნაც უქმდება. გაყოფით კატეგორიული დასკვნა ჰეგელს ესმის, როგორც ცნებების სავსეობა, როგორც მათი ურთიერთდამთხვევა, რითაც დასკვნა ობიექტში გადადის. ცხადია, ეს გადასვლა სრულიად ხელოვნურია, გაყოფით კატეგორიული დასკვნა რაიმე საგნის ცნებას მოცულობის მიხედვით ამოსწურავს, მაგრამ რაიმე საგანი შეუძლებელია ერთად ყველა ის იყოს, ამიტომ დასკვნის ერთ-ერთი დგინდება, ყველა დანარჩენი უარყოფა და აქედან ობიექტზე გადასვლა სრულიად თვითნებურია.

ჰეგელი მსჯელობებისა და დასკვნების ურთიერთში გადასვლის განხილვისას დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს არ ემყარება. ის მსჯელობაში და დასკვნებში წინააღმდეგობის აღმოჩენის გზით არ მიდის. იგი მსჯელობაში და დასკვნაში ცნებების ურთიერთგარეგნობას ხედავს. დასაწყისში ცნებებს შორის შემთხვევითი კავშირია. მაგალითად, „ვარდი არის წითელი“ არის არსის მსჯელობა. აქ სუბიექტს და პრედიკატს შორის შემთხვევითი კავშირია, რადგან ვარდი მარტო სიწითლის მქონე კი არ არის, მას სხვა მრავალი თვისებაც აქვს. სიწითლეს მხოლოდ მისი თვისება არ არის, მრავალი საგანია, — რომელსაც ეს თვისება აქვს. ჰეგელის აზრით, ცნებებს შორის შინაგანი კავშირი



შყარდება ცხების მსჯელობაში, მაგალითად, „ასე და ამგვარად აგებული სახლ კარგია“ სწორედ ისეთი მსჯელობაა, სადაც სუბიექტი და პრედკატი ერთმანეთს ემთხვევა. მათ შორის შინაგანი კავშირი მყარდება. ასევეა საქმე დასკვნის მიმართაც. ჰეგელის აზრით, არსის დასკვნაში ცნებებს შორის გარეგანი კავშირია. ისინი ურთიერთით არ არის გაპირობებული. არსის დასკვნაშია განხილული დასკვნის ოთხივე ფიგურა. ურთიერთში გადასვლა სწორედ გარეგანი კავშირის მოხსნის გზით ხორციელდება. მეოთხე ფიგურაში ცნებები ერთმანეთს ემთხვევა და ამით ხდება გადასვლა რეფლექსიის დასკვნაში. მაშასადამე, ჰეგელის მიხედვით მსჯელობის და დასკვნის შინაგან კავშირს შინაგანი აუცილებლობის შექმნების მიზანი განსაზღვრავს, რისთვისაც ცნებების ურთიერთდამთხვევა და იგივეობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ჰეგელი დასკვნის ფიგურების თანამიმდევრობას იმ სახით იღებს, როგორც იყო მის დრომდე, მაგრამ ამ თანამიმდევრობით მათი განხილვა მის მეთოდს არ ეთანხმება. მისი მეთოდის მიხედვით შემთხვევითი კავშირი თანდათან უნდა მცირდებოდეს, ხოლო აუცილებლობის ნიშანი კი თანდათან მატულობდეს. შემთხვევითობა ნიშნავს სამი ცხების მიმართ კიდური ცნებების გარეგან კავშირს. მაგალითად,

ეს ვარდი არის წითელი,
წითელი არის ფერადი,
მაშ, ვარდი არის ფერადი.

საშუალო ცნება წითელი გარეგან კავშირშია ვარდთან და ფერთან, რადგან ვარდი შეიძლება სხვა ფერისაც იყოს ანდა ფერი მხოლოდ წითელი არ არის, სხვა ფერებიც არსებობს. ამ მხრივ აუცილებლობა პირველი ფიგურაში უფრო მეტია, ვიდრე მეორეში, შემთხვევითი კავშირი მეორე ფიგურაში უფრო მეტია. აქ ძნელია დავადგინოთ, რომელია დანასკვის სუბიექტი და რომელი პრედკატი, აგრეთვე სულ ერთია მეორე და მესამე ფიგურაში რომელი იქნება დიდი თუ მცირე წინამძღვარი. თუ ჰეგელის მეთოდიდან გამოვალთ, მაშინ უფრო სწორი იქნება მას ჯერ განეხილა მეორე ფიგურა როგორც პირველი, სადაც შემთხვევითი კავშირი მეტია; მერე განეხილა მესამე ფიგურა, როგორც მეორე, მესამე ფიგურად განეხილა პირველი ფიგურა, რომელშიც ეს შემთხვევითი კავშირი ნაკლებია, ხოლო მას ბუნებრივად მეოთხე ფიგურა მოჰყოლოდა, რომელიც უფრო ნაკლებად არის შემთხვევითი კავშირების მქონე. ეს ფიგურები, რომლებიც ჰეგელმა არსის არეში განიხილა, კვლავ მეორედებიან რეფლექსიის და აუცილებლობის კატეგორიულ დასკვნაში. განსხვავება აქ არა ფორმაშია, არამედ შინაარსში.

ჰეგელი ფორმალური ლოგიკის კანონების ძირეულ კრიტიკას ახდენს. ლოგიკის ამ კანონებს წმინდა მეტაფიზიკური განმარტება ჰქონდა, ე. ი. ეს კანონები საწყაროს კანონები იყო და ამიტომ მისი საყვედური თუ კრიტიკა უსაფუძვლო არ არის. საგნები განიხილებოდა როგორც წმინდა იგივეობას დაქვემდებარებული და არ ირკვეოდა ის საფუძვლები, რითაც საგნები იცვლება და ვითარდება. მეტაფიზიკური აზროვნებისათვის უცხო იყო განვითარება. ჰეგელის დამსახურება ის არის, რომ მან ეს კანონები ცალმხრივობისაგან გაათავისუფლა, საგნები ვაივო როგორც შინაგან დაპირისპირებული მხარეების ერთიანობა. მეტაფიზიკურ აზროვნებაში მოცემული უძრაობაში მყოფი სამყარო განვითარებას დაეპირაჩილა; აღიარა, რომ საგნის შინაგანი დაპირისპირება მისი განვითარების წყაროა. ჰეგელმა პირველმა შექმნა განვითარების თეორია, აღმოაჩინა მისი კა-



ხოხები და დაამტკიცა, რომ საგნების განვითარების საფუძველს დიალექტიკის კანონები წარმოადგენენ. ამ კანონების საფუძველზე მან მთელი შემეცნება გაცოცხლო და როგორც წინააღმდეგობის გზით მიმავალი განვითარება. სინამდვილის განვითარებაში გაგებისათვის მას იგივეობის კანონი არ გამოადგებოდა და ამიტომ ის ახალი კანონი უნდა შეეცვლიყო. ჰეგელი ამასი მართალი იყო. იგივეობის კანონი არ არის განვითარების ამხსნელი, მაგრამ აქედან როლი გამომდინარეობს მისი უარყოფის აუცილებლობა. საქმე ის არის, რომ იგივეობის კანონს განვითარების ახსნა არც მოეთხოვება. ის საგნის და შემეცნების გარკვეულობის კანონია და ის ამ არეში ხელშეუხებია. ყოველი საგანი იბადება და ისპობა. ამას განვითარების კანონი განსაზღვრავს, მაგრამ იმისათვის, რომ საგანი განვითარებაში იყოს, ამისათვის ის უნდა იყოს გარკვეული საგანი, რითაც ის ყველა საგნისაგან უნდა განსხვავდებოდეს. თუ საგანი განვითარებაშია, ის თავის ყველა საფეხურზე გარკვეული საგანი უნდა იყოს, თორემ სხვაგვარად არც მისი განვითარება შესაძლებელი და არც მისი შემეცნება. ყოველი საგანი განსხვავებული მხარეებისაგან შედგება, მაგრამ, ამის მიუხედავად, საგანი მაინც ერთი გარკვეული საგანია. ის ამ განსხვავებული მხარეების ერთიანობით არის ეს გარკვეული საგანი. რაკი ეს ასეა, ამიტომ უნდა მივიღოთ საგნის შინაარსობრივი იგივეობა, რომლის მიხედვითაც საგანი განსხვავებული თუ დაპირისპირებული მხარეებისაგან შედგება და უნდა მივიღოთ მისგან განსხვავებით ფორმალური იგივეობა, რომლის მიხედვითაც საგანი, მიუხედავად იმისა, რომ ის განსხვავებული მხარეების ერთიანობაა, მაინც ერთი და თავისთავთან იგივეობრივი საგანია. ჰეგელს ეს მხარე რომ გაეზიარებინა, მაშინ ის დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის კანონებს ერთმანეთს არ დაუპირისპირებდა, დიალექტიკური ლოგიკის გვერდით ფორმალურ ლოგიკასაც დაუშვებდა, როგორც მეცნიერების ლოგიკას.

ჰეგელის მიერ წმინდა იგივეობის კანონის უარყოფა არ მოხერხდა. დასკვნაში ცნებების ურთიერთდამთხვევა ნიშნავს მათ შორის იგივეობის დადგენას. დასკვნა აუცილებლობის მქონე მაშინ ხდება, როცა ის ცნებების იგივეობას ემყარება. ჰეგელი იმაზე მიუთითებს, რომ წმინდა იგივეობა არ არსებობს, რომ მასთან ერთად განსხვავებაც არსებობს. ეს აზრი სწორია, მაგრამ კანონი, რის საფუძველზეც დასკვნა ხორციელდება, იგივეობაა და არა განსხვავება. ცნებების ერთიანობაში მოყვანა მხოლოდ იგივეობას შეუძლია და არა განსხვავებას. შემეცნების მიზანი ის არის, რომ მის წინაშე არსებული მრავალსახიანობა კავშირში მოიყვანოს, რაც იმითაა მიღწეული, რომ განსხვავებულ საგნებში იგივეობა აღმოჩნდება, რის საფუძველზეც მათ შორის ერთიანობა დგინდება. მაშასადამე, არსებობს განსხვავებულთა იგივეობის კანონი და არა იგივეობის და განსხვავების კანონი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰეგელმა თავის ლოგიკაში ფორმალური ლოგიკის მთელი ფორმები მოათავსა და ისინი ლოგიკური იდეის მოძრაობის თუ თვითშემეცნების კალაპოტად აქცია, იგი მაინც ამ ფორმების კრიტიკას ახდენს. ისე, რომ თითქოს არც მისი და არც არისტოტელეს ნაზრები ამ ფორმებს არ ემორჩილება. ჰეგელი წერს: თუმცა არისტოტელემ პირველმა გამოიკვლია დანასკვები და „ეს ღვაწლი არისტოტელეს დიდ პატივს სდებს, ჩვენ მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ ის თავის საკუთრივ ფილოსოფიურ გამოკვლევებში სრულიად არ სარგებლობდა არც განსჯით დასკვნის ფორმებით და არც საერთოდ სასრულო აზ-

როგებმის ფორმებით¹⁰. ჰეგელმა არც თავის ლოგიკაში და არც სხვაგან სადმე არ მიუთითა იმ ფორმებზე, რომლითაც ლოგიკური აზროვნება ჭეშმარიტებას აჩენს. ლოგიკური იდეა არის აბსოლუტური ჭეშმარიტება და იგი თვითშემეცნებას ახდენს თვითონ ჰეგელის ლოგიკის მიხედვით იმ ფორმებით, რაც არისტოტელემ აღმოაჩინა. ჰეგელმა არისტოტელეს დასკვნის ფიგურები განიხილა სწორედ ლოგიკური იდეის თვითშემეცნების თვალსაზრისით და იქ ის ხდება ნათელი, რომ ამ ფორმებმა თანამიმდევრული სახე მიიღო. ისინი ჰეგელის მეთოდის მიხედვით ერთიან მეორეში გადადიან და ლოგიკური იდეის თვითშემეცნების საფეხურები ხდებიან. მაშასადამე, სხვა ფორმებზე მითითება ცარიელი სიტყვა აღმოჩნდა. ფორმალურ ლოგიკაში დალაგებული მსჯელობის და დასკვნის სახეები ჭეშმარიტების გამოხატვის ქარგები ყოფილან. ჰეგელის ლოგიკა გვიჩვენებს, რომ ეს ფორმები აბსოლუტური იდეის განვითარების ერთსაფეხურზე მისი გახსორციელების ქარგებია. ჰეგელის ლოგიკის მეცნიერების განხილვა ადვილად დაგვარწმუნებს იმაში, რომ ის ფორმალური ლოგიკის ფორმებით სარგებლობდა, სწორედ ეგრეთ წოდებულ სპეკულატიურ გამოხატვისათვის. ამისათვის ავიღოთ ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ ის ადგილი, სადაც ის არსის გახილვას იწყებს. აქ ჰეგელი აღგენს შემდეგ დებულებას: „არსი არის არარსი“. ერთი რამ ცხადია, ჰეგელს და საერთოდ ყოველ მოაზროვნეს რომ მოვთხოვოთ — დაასაბუთოს ამოსავალი დებულებაც, რისგანაც გამომდინარეობა იწყება, მაშინ უსასრულო უკანსვლას მივიღებთ, რომელიც დასაწყისს შეუძლებელს გახდის. ჰეგელი იმ დებულებებს, რომლებსაც ის გამომდინარეობის ამოსავლად აქცევს, უშუალოდ ცხადად ღებულობს და ამის მერე იწყებს ის რაიმე დებულების გამოყენას. წანამძღვრები, რასაც დებულება „არსი არის არარსი“ ემყარება, შემდეგია:

ყველაფერი ის რაც გარკვეულობის არმქონეა არარსია,
არსი არის გარკვეულობის არმქონე,
მაშასადამე, არსი არის არარსი.

მაშასადამე, ჰეგელი გამოვიდა გარკვეული წანამძღვრებიდან და მისგან ლოგიკური აუცილებლობით გამოიყვანა დებულება „არსი არის არარსი“. ჰეგელი ამის მერე იმის დამტკიცებაზე გადადის, რომ „არარსი არსია“. ესეც დანასკვია, რომლის წანამძღვრებს „ლოგიკის მეცნიერებაში“ ენახათ:

ყოველი უშინაარსო აზრი არის არსი,
არარსი არის უშინაარსო აზრი,
მაშასადამე, არარსი არის არსი.

ჰეგელი ფორმალურ ლოგიკაში დადგენილი დასკვნის ფორმებით სარგებლობს და ამით იგი ჯერ იმას ამტკიცებს, რომ არსი არარსია ხოლო მერე იმას, რომ არარსი არსია. სწორედ ამის მერე მას უფლება აქვს გამოითქვას დებულება არსი არის არარსი და არარსი არის არსი, რომელიც ის არსის არარსში და პირიქით გადასვლას უწოდებს.

სიხამდილე, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, რომ შეცნობილი იქნეს ამისათვის, ჰეგელის აზრით, მსჯელობა საკმარისი არ არის, ის მხოლოდ დაპირისპირების ერთ მხარეს გამოსთქვამს. ჰეგელი ამბობს: რომ, როცა მსჯე-

¹⁰ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 376.



ლობით ერთიანობას ვიკვრთ, მაშინ განსხვავება გვევარდება ხელიდან, ხოლო როცა განსხვავებას გამოვთქვამთ — ერთიანობა გვეკარგება. ამიტომ იტყვის ჰეგელი, რომ მსჯელობა კეშმარტების გამოხატვისათვის უფარგისია¹¹. შეუძლებელია კეშმარტება გამოხატოთ ისეთი ფორმით, როგორცაა: დადებითი მსჯელობა ან მსჯელობა საერთოდ¹². თუ, მაგალითად, ვამბობთ, რომ აბსოლუტური არის სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობა, თუმცა ეს სწორია, მაგრამ ცალმხრივია იმდენად, რამდენადაც აქ მხოლოდ ერთიანობაა გამოთქმული და ხაზი მხოლოდ მას აქვს გასმული, მაშინ, როდესაც სუბიექტური და ობიექტური არა მარტო იგივეობრივი არიან, არამედ ერთმანეთისაგანაც განსხვავდებიან. რა თქმა უნდა, ჰეგელი მართალია, როცა ამბობს, რომ დაპირისპირებული მხარეებიდან თუ ერთს გამოხატავთ და მეორეს არა, მაშინ ცალმხრივად ვაზროვნებთ, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს რაღაც სხვა სააზროვნო ქარგის საჭიროება, რადგან ის რაც მსჯელობის მიერ ცალმხრივად არის გამოხატული, შეიძლება სრულადაც გამოხატოს. მსჯელობას შეუძლია ერთდროულად როგორც ერთიანობა, ისე განსხვავება გამოთქვას. შეშეცხება ჯერ ერთ მხარეს შეიცნობს, მერე მეორეს და რაკი აღმოჩნდება, რომ ამ საგანს ორივე მხარე აქვს, საგანი ამ ორი განსხვავებული მხარის ერთიანობაა, ამიტომ მის როგორც ერთიანობას, ისე განსხვავებას მსჯელობით გამოხატავს. აბსოლუტური არის სუბიექტურის და ობიექტურის როგორც განსხვავებულ მხარეთა ერთიანობა.

ჰეგელი განსჯის განსაზღვრებებს კი არ უარყოფს, არამედ მათ ერთმანეთისაგან მოწყვეტას ებრძვის და მოითხოვს ერთიანობამდე ამაღლებას. საქმე სწორედ ის არის, რომ ეს ამაღლება ისევ განსჯის საქმეა და განსჯის ფორმებით ხორციელდება. ამ ერთიანობის და განსხვავების შემეცნება ისევ განსჯის ლოგიკით სრულდება და ის სხვა ლოგიკის საჭიროებას არ აყენებს. რაკი დაპირისპირებული მხარეები ერთ საგანს შეადგენს, ამ საგნისათვის ამ მხარეების მიწერა არავითარ წინააღმდეგობას არ ქმნის და ამიტომ ის იგივეობის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონების არეშია მოქცეული.

აზრთა ლოგიკური წყობის საფუძველს ფორმალური ლოგიკის კანონები წარმოადგენენ. რაც შეეხება თვითონ ამოსავალი დებულებების მიღების საკითხს, ეს, რა თქმა უნდა, ძიების შედეგია; იგი შედეგია მისი წინა თეორიის იმ ხაკლის ნახვისა, რომელიც ახალ მოვლენებს ვერ ხსნის. ამიტომ წამოყენებული იქნება დებულება, რომელიც ამ ახალ მოვლენების მომცველია. ახალი დებულება, როგორც ძიების შედეგი, მიიღება ყველა შესაძლებელი დებულების უარყოფისა და მათი გამორიცხვის საფუძველზე; ასე რომ, ახალი დებულება ძიებით დადგეხილია, რომელიც შემდეგ შემდგომი დებულებების გამოყვანის საწყისი ხდება. საწყისი დებულება, რომელიც ამ გზით მივიღეთ, უკვე უშუალოა და მისგან სხვა დებულებები ხდება გაშუალებული. უშუალოს და გაშუალებულის და-

¹¹ Гегель, Сочинения, т. V, გვ. 78.

¹² Гегель, Сочинения, т. VI, გვ. 26.

შოკიდებულება ჰეგელს კარგად აქვს ახსნილი. მისი აზრით, უშუალობა გაშუალების მოხსნის შედეგია.

ჰეგელის დამსახურება ფილოსოფიური და საერთოდ მეცნიერული აზროვნების წინაშე დიდია. მან გააფართოვა ადამიანის თვალთახედვა, ვიწრო მეტაფიზიკური აზროვნების კედლები დაანგრია და დიალექტიკური ხედვის წინ დიალექტიკური სამყარო გადაიშალა. მან სინამდვილე გაიგო, როგორც ერთიან კახოხზოშიერებას დამორჩილებული და მისი კანონებიც აღმოაჩინა. ჰეგელმა შიხც ეს ნააზრევი იდუმალების სამოსელში გახვია და საჭირო იყო მისი ნააზრევის შისტიკური მხარისაგან განთავისუფლება. ეს საქმე კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გააკეთეს. მათ ჰეგელის ფილოსოფიის მეცნიერული გადამუშავება მოახდინეს, მისი შასალისაგან ახალი მსოფლმხედველობა ააგეს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

მერი ჰელიძე

ჰეგელის დიალექტიკის მოდერნიზაციის შესახებ თანამედროვე გურუაზიულ ფილოსოფიაში

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ჰეგელის მოძღვრებასთან პოზიტიური მიმართების ერთ-ერთი თავისებურებაა დიალექტიკის მოდერნიზებული სახით ათვისება; მოდერნიზების ცნების შინაარსი ამ შემთხვევაში არსებითი ნიშნად გულისხმობს დიალექტიკის ლოგიკურს გარეთ გატანას, ალოგიზაციას და მისი მნიშვნელობის დავიწროებას გონის ზელოგიკური, ინტუიციური უნარის მოქმედების შესაბამისად.

ჰეგელის გავლენა XX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაზე, რაც ნეო-ჰეგელიანიზმის ალორძინებით დაიწყო, ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა პოზიტივიზმის სახით. სპეციალისტი მკვლევრები პირველი მსოფლიო ომის დროიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდს ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარებაში პოზიტივიზმის დაწინაურებისა და ბატონობის პერაოდად მიიჩნევენ. ეს შესაბამებოდა, ერთი მხრივ, ზუსტ მეცნიერებათა და ტექნიკის განვითარების უჩვეულოდ სწრაფ ტემპს, მეორე მხრივ, — მილიტარისტული ბურჟუაზიული იმპარტიული წვლადების სულიერ განწყობილებებს.

ეს პერიოდი საერთოდ ხასიათდება მეტაფიზიკურ, ონტოლოგიურ სისტემათა წინააღმდეგ ბრძოლით და ამიტომ ნეოჰეგელიანიზმის წინააღმდეგ ბრძოლამაც მკვეთრი სახე მიიღო. თუმცა თანამედროვე პოზიტივიზმმა ჰეგელის მოძღვრება საბოლოოდ უარყოფილად და განვითარების უნარს მოკლებულად გახიაცხადა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იწყება ჰეგელის ფილოსოფიისაკენ მიბრუნება; ამ მოძღვრების „ალორძინების“ ცდები, ახლებური გაგება და ათვისება რამდენიმე მიზეზით იყო განსაზღვრული. ამთგან პირველია ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების თეორიულ სიძნელებებთან დაკავშირებული მიზეზი. პოზიტივიზმი თავისი მრავალგვარი მიმართულებებით ფილოსოფიის უარყოფამდე მივიდა, ფილოსოფიური პრობლემატიკა დავიწროვდა და გადაგვარდა კიდევ. ხოლო ზუსტ მეცნიერებათა კონკრეტულ მეთოდებთან გაიგივებული მეთოდი ფილოსოფიისათვის ფაქტიურად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარებაში არსებითად განმეორდა ის მოვლენა, რომელიც თავის დროზე ვინდელბანდმა შეაფასა როგორც „მსოფლ-სხედველობრივი შიმშილი“ (Hunger nach Weltanschauung). ამ თეორიულ-ფილოსოფიურმა სიძნელებებმა განსაზღვრეს ჰეგელის ხელახალი მოწვევა სა-მოქმედო ასპარეზზე.

მეორე მიზეზი სოციალურ-პოლიტიკურია. ამ მხრივ ჰეგელის მოძღვრების განახლება, მისი დიალექტიკის მოდერნიზაცია მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძო-

ლის მიზნით დაიწყო, ბურჟუაზიული იდეოლოგიების მხრივ ჰეგელის მოძღვრების მიჩემებისა და მისი, როგორც მარქსიზმის თეორიული წანამდგრის, უარყოფის გზით.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად სოციალიზმის სისტემის გაძლიერება-განმტკიცება და, ამასთან დაკავშირებით, სოციალისტური იდეოლოგიის გაძლიერება და გავრცელება იწვევს კაპიტალისტური სისტემის მძლავრ რეაქციას სოციალიზმის ბანაკის წინააღმდეგ, რაც მარქსიზმის ფალსიფიცირებით ან პირდაპირი უარყოფით გამოიხატება.

ორი ბანაკის იდეოლოგიურ ბრძოლაში ჰეგელის მოძღვრებამ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა.

მსოფლიოს ორი ბანაკის პირობებში ჰეგელის ფილოსოფიისათვის პოლიტიკური როლის მიკუთვნებას თვით ბურჟუაზიული მეცნიერებიც აშკარად აღიარებენ. მაგალითად, პ. ჰალბორნის აზრით, მეორე მსოფლიო ომი უნდა გავიგოთ როგორც მემარჯვენე და მემარცხენე ჰეგელიანელთა ბრძოლის შედეგი, ამ ბრძოლაში ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ ჰეგელის მემარჯვენე სკოლის თეორიული საფუძვლებით განსაზღვრული ნაციონალ-სოციალიზმი და ჰეგელის მემარცხენე სკოლის თეორიულ ფილოსოფიას დაფუძნებული მარქსისტული სოციალიზმი.

ნეოჰეგელიანიზმის ლიდერი რ. კრონერი ორი მსოფლიო ბანაკის არსებობის ფაქტს იმით ხსნის, რომ არსებობს ჰეგელის ნააზრვეიდან ამოზრდილი ორი დაპირისპირებული მოძღვრება — მარქსიზმი და ბურჟუაზიული თეორიები. რ. კრონერის აზრით, ჰეგელის მოძღვრების თანამედროვე ინტერპრეტაციები ორ ძირითად პრობლემას მოიცავს — სისტემისა და ისტორიის პრობლემას და ღმერთისა და ადამიანის მიმართების პრობლემას. აქ კვლავ გამოვლინდა მემარცხენე და მემარჯვენე ჰეგელიანელობა. პირველ პრობლემას ეხება მარქსიზმი, რომელსაც მემარცხენე ფრთა უჭირავს ჰეგელის ინტერპრეტაციისას, მეორე პრობლემას ეხება ჰეგელის „ლუთერიანიული“ გავება, რაც ღღესღღეობით მემარჯვენეობას წარმოადგენს. მემარჯვენე ფრთა ჰეგელის სისტემაში მხოლოდ „რელიგიურს“ ხედავს (ნეოთომიზმი). ამათგან განსხვავებულია ჰეგელის მესამე შესაძლო ინტერპრეტაცია, რომელიც კირკეგორით იწყება და რომლის საფუძველი მოცემულია ჰეგელის „ფენომენოლოგიაში“. ამ ინტერპრეტაციაში ჰეგელის მოძღვრების მთლიანობა იკარგება, ხოლო ჰეგელი ჭეშმარიტებას განიხილავდა როგორც მთელს, ტოტალობას, ამიტომ, განაგრძობს რ. კრონერი, საჭიროა ამ მიმართულებათა გაერთიანება, და ეს შესაძლებელიცაა, რადგან არსებობს მათი საერთო საფუძველი და არსებობს დიალექტიკა როგორც გაერთიანების მეთოდი. ის, რაც ჰეგელს დიალექტიკის შესახებ აქვს ნათქვამი „ფენომენოლოგიის“ წინასიტყვაობაში, ამ ურთიერთდაპირისპირებულ მიმართულებათა სინთეზირებისათვისაც გამოდგება. ჰეგელი ხომ წერს: „ყველაზე ადვილია მსჯელობა დაპირისპირებულ მხარეებზე, ნაწილებზე; ძნელია მათი წვდომა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია დაპირისპირებულთა გაერთიანება და მათი ერთ საფუძველზე ახსნა“. ამით თუ იხილმძღვანელებენ „ყველა ჭევეყნის სწავლულნი, — დაასკვნის რ. კრონერი, — ისინი ერთი მიზნით გაერთიანდებიან“. „პოლიტიკური ამინდის ცა მოიწმინდება“ და ჰეგელის მოძღვრება მომავალში საკაცობრიო იდეოლოგიური და პოლიტიკური ზავის საფუძველად იქცევა“¹.

¹ H. Kroner, Zur Eröffnung der Heidelberger Hegel-Tage, „Heidelberger Hegel-Tage“, Beiheft, 1964, S. 14.

ჰეგელის ფილოსოფიის მნიშვნელობას დღევანდლობისთვის მსოფლიო პოლიტიკურ სისტემათა დაპირისპირების თვალსაზრისით განიხილავს აგრეთვე ფილოსოფიური ანთროპოლოგიის წარმომადგენელი პ. ვაინი. მისი აზრით, ჰეგელიდან ამოდის ორი სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი: „აღმოსავლური“, მარქსისტული და „დასავლური“, ექსისტენციალურ-რელიგიური. პ. ვაინი „დასავლური“ ორიენტაციისა და საჭიროდ მიიჩნევს ჰეგელის დიალექტიკის გაგებას ექსისტენციალიზმის საფუძველზე, რის მეოხეზებითაც, მისი აზრით, მიღწევა უფრო ჰეშმარითი თვალსაზრისი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიერ აღიარებული რეალური დიალექტიკის თვალსაზრისი².

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ჰეგელისაკენ მიბრუნება ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში დღესდღეობით პოლიტიკური მნიშვნელობის აქციაა; „ჰეგელი დღეს“, დღევანდელი ჰეგელი დამოუკიდებელი კვლევის საგნად იქცა. ამას გულახდილად აღიარებს რ. კრონერი — „ჰეგელი დღეს“ სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ოდესმე ჰქონიაო.

ამ ზოგად მსჯელობის შემდეგ კონკრეტულად გვაარკვიოთ, თუ როგორი ხვედრი არგუნა დღევანდლობამ ჰეგელის ფილოსოფიის მხოლოდ ერთ ინგრედიენტს — დიალექტიკას.

ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ ჰეგელის დიალექტიკა თავდაპირველად საფუძვლიანი კრიტიკის ობიექტად აქცია, შემდეგ კი ახლებური ინტერპრეტაციით სცადა გამოეყენებინა. ჰეგელის დიალექტიკა, როგორც რაციონალიზმის დასრულებული ფორმის, პანლოგისტური სისტემის აგების მეთოდი, ჰეგელის სიცოცხლეშივე იქცა ირაციონალიზმის მხრივ კრიტიკის ობიექტად. დიალექტიკის შენარჩუნება პანლოგოზმის ფორმით შეუძლებელი იყო; საჭირო შეიქნა დიალექტიკის ირაციონალიზმის ინტერპრეტაცია. ერთი მხრივ, ანგარიში უნდა გეწიათ ჰეგელის საწინააღმდეგოდ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ფართოდ დანერგილი ირაციონალიზმისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ჰეგელის ფილოსოფია უფრო ნოქნილი და მოდერნიზებული სახით უნდა შეენარჩუნებინათ.

ნეოჰეგელიანელებმა ჰეგელის დიალექტიკის ირაციონალიზაციის საფუძვლად გამოაცხადეს გონის სპეკულატური მოქმედება როგორც ალოგიკური ქმნადობის უნარი. ნეოჰეგელიანეზმის უმთავრეს წარმომადგენლებს — კრონერს, გლოკერს, რუსეთში ილინს და სხვებს — გონის მოქმედების სპეკულატური სფერო ესმით როგორც ალოგიკური, როგორც ლოგიკური აზროვნების საპირისპირო რამ.

თუ ჰეგელისათვის სპეკულატური აზროვნება სრული დიალექტიკური აზროვნებაა, თავისთავში უარყოფითი დიალექტიკისა და განსჯითი სასრული აზროვნების შემცველი, ნეოჰეგელიანელებმა სპეკულაციის სფერო ლოგიკურის საწინააღმდეგოდ მიიჩნიეს და, ამგვარად, დიალექტიკური ლოგიკურს შეუპირისპირდა. ლოგიკურისა და დიალექტიკურის იგივეობის ჰეგელისეული ფორმულა მოიხსნა. მეტიც, თუ ჰეგელისათვის ლოგიკური, დიალექტიკური, ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ერთი და იგივე იყო, აქ დიალექტიკის არეალი დავიწროვდა, იგი შემოიფარგლა გონის მოქმედების ერთი მეტად განსაზღვრული

² H. We in, Realdialektik München, 1957, S. 183.

სფეროთი, რაც ონტოლოგიურისა და ლოგიკურისგან გამოყოფილი და დაპირისპირებული იყო.

ნეოჰეგელიანიზმის ლიდერის რ. კრონერის აზრით, დიალექტიკას მხოლოდ გონის მოქმედების საზღვრებში აქვს ძალა. გონის სფერო კი ცნობიერების განვითარების მწვერვალია, Selbst-ის, თვითცნობიერების საფეხური, როცა გადაილახება ემპირიული შემეცნების სფერო თავისი ფორმალურ ლოგიკური კანონზომიერებით და დიალექტიკის კანონებისადმი დაქვემდებარებული სპეკულატური შემეცნება მიიღწევა. ემპირიული შემეცნება ობიექტთა შემეცნებაა და სრულიად თავისუფალია დიალექტიკისაგან. აქ წინააღმდეგობა აუქმებს შემეცნებას. სპეკულატური შემეცნების ანუ თვითცნობიერების დროს დიალექტიკის აუცილებლობა განასაზღვრულია თვითცნობიერების შინაგანი დაპირისპირებულობით, თვით თავისთავში წინააღმდეგობით. ემპირიული შემეცნება რაციონალური სფეროა, სპეკულატური — ირაციონალური. ამისდა მიხედვით რ. კრონერი განასხვავებს წინააღმდეგობისა და იგვეგობის სამ სახეობას. წინააღმდეგობა არსებობს ემპირიული, ფორმალური და სპეკულატური, რომელშიც სპეკულატური წინააღმდეგობა აერთიანებს წინა ორს. იგვეგობაც არსებობს 1. ემპირიული (შინაარსობრივი ანუ ჰეტეროლოგიური), 2. ფორმალური (აბსტრაქტული ანუ ტავტოლოგიური) და 3. სპეკულატური (კონკრეტული ანუ ჰეაუტოლოგიური, ტავტოჰეტეროლოგიური). აქაც მესამე სახეობა წინა ორს აერთიანებს. დიალექტიკური წინააღმდეგობისა და იგვეგობის გარდა არსებობს ემპირიული და ფორმალურ ლოგიკური წინააღმდეგობისა და იგვეგობის სახეები, რომლებიც განხორციელებულია ობიექტებსა და მათს ემპირიულ შემეცნებაში. კრონერმა ჰეგელის დიალექტიკის თეორია შეასწორა, როცა დიალექტიკის უნივერსალობა მოხსნა და მას მხოლოდ თვითცნობიერების, Selbst-ის ვიწრო სფერო მიუჩინა სამყოფელად. რატომ არის აუცილებელი წინააღმდეგობა ამ სფეროში? ამ კითხვაზე რ. კრონერის პასუხი ასეთია: თვითცნობიერების საფეხურზე სუბიექტი „გაორებულია“ შემეცნებლად და შესაცნობად. მაგრამ ამ საფუძვლის მიხედვით კრონერის დებულების დაცვა ძნელია, რადგან ჯერ ერთი, როგორც პროფ. კ. ბაკრაძემ შენიშნა² ემპირიული შემეცნების დროსაც არ არის გამორიცხული სუბიექტის „გაორება“ (ფსიქიკურ პროცესთა შემეცნება თვითდაკვირვების დროს) და ამიტომ დიალექტიკა აქაც ძალაში უნდა იყოს.

ამას გარდა აქ ასეთი შეუსაბამობაცაა: შეუძლებელია იმისი დასაბუთება, რომ შემეცნების ერთი სახეობა ემორჩილებოდეს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს, ხოლო მეორე — წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონს. ამ შემთხვევაში ან შემეცნების ცნება უნდა შეიცვალოს, ან წინააღმდეგობისა, რადგან არც ერთი ეს ცნება არ არის ზუსტად გაგებული.

რ. კრონერი უფრო მეტად შორდება ჰეგელის დიალექტიკას, როცა მის ირაციონალისტურ ინტერპრეტაციას იძლევა. მისი აზრით, რაციონალური მყარი ცნებებით აზროვნებას მოითხოვს მუდამ. აბსოლუტის შესახებ გამოთქმული ყოველი ცალკეული დებულება მცდარია, რადგან ქეშმარიტების მხოლოდ ნაწილის, აბსოლუტის მომენტის შემცველია. სპეკულატური აზრის გამოთქმა ერთი მსჯელობით შეუძლებელია; სპეკულატური, დიალექტიკური ამაღლებულია რაციონალურზე, იგი მოითხოვს რაციონალურის აბსოლუტიზმის დაშლას და მისგან ზერაციონალურის გამოყოფას. ეს ზერაციონალური (Uberrationale)

² К. Бакрадзе, Система и метод философии Гегеля, Тбилиси, 1958, стр. 312.

აზროვნებით ჰერეტას გულისხმობს, რეფლექსურ ჰერეტას ანუ „აზროვნების აზროვნებას“. ეს არის აზროვნების მდგომარეობა, როცა მასშივე მოხდება დანაწილება აზროვნებად და არსად, რაციონალურად და ირაციონალურად, როცა აზრი თავისთავს მოიაზრებს და განსხვავებას აღმოაჩენს.

რ. კრონერმა ჰეგელის მოძღვრებაში რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის სინთეზი დაინახა. მისი აზრით, ცდება ყველა მკვლევარი (ე. ი. ერდმანი და სხვანი), ვინც ამ მოძღვრებას პანლოგიზმად წარმოსახავს, რადგან „ჰეგელის სისტემის არსი რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის სინთეზში უნდა ექნით“⁴.

დიალექტიკა მოითხოვს ირაციონალიზმს, ჰეგელი „ირაციონალისტიკა, რადგან დიალექტიკოსია, რადგან დიალექტიკა როგორც მეთოდი, რაციონალურს ირაციონალურად აქცევს, ე. ი. რადგან დიალექტიკური აზროვნება რაციონალურ-ირაციონალური აზროვნებაა“⁵.

მანც რატომ არის დიალექტიკური აზროვნება ირაციონალური? რა არის მისი სპეციფიკა? დიალექტიკა მოითხოვს სპეკულატურ აზროვნებას, „გონის ცოცხალ მოძრაობას“, „მოუსვენრობას“, „ცნებების რიტმს“, „ლოგიკურ სიცოცხლეს“. აქ ცნება ირაციონალურ მნიშვნელობას იძენს; ცნების სფერო სპეკულატურ-დიალექტიკურის სფეროა, რომელშიც მიიღწევა „აზროვნების აზროვნება“, აზროვნების ჩვეულებრივი გაგებისაგან განსხვავებული აზროვნებითი ჰერეტის, ზერაციონალურის იგივეობრივი.

20-იან წლებში შემუშავებული დიალექტიკის ირაციონალური ინტერპრეტაცია რ. კრონერმა უკანასკნელ წლებში ახლებურად გადაამუშავა თანამედროვე ირაციონალიზმის — ექსისტენციალიზმის თვალსაზრისით. 1961 წელს Hegel-Studien-ში კრონერის მიერ მოცემული დახასიათებით, ჰეგელის „ფენომენოლოგია“ მისი მოძღვრების ექსისტენციალისტურ საფუძველს მიუთითებს, ხოლო „ენციკლოპედია“ ლოგიკურ-სისტემატური გონების პროდუქტია. ამიტომ ჰეგელი გაორებული მოაზროვნეა, მასში მკვრეტელი შეერწყმის ლოგიკოსს, მისტიკოსი — რაციონალისტს, განმანათლებელი — რომანტიკოსს, ცოდნა — რწმენას, გონება — ჰერეტას. მთელი მისი სისტემა ყოველივე ამის შერწყმით მიღებული ბედნიერი მთლიანობაა“⁶.

თანამედროვე ჰეგელიანელები, კრონერის აზრით ამ ტენდენციას გამოხატავენ და ამიტომ ისინი ჰეგელის შემდგომ არიან აგრეთვე მემკვიდრენი არა მხოლოდ ნიცშესი და დოსტოევსკისა, თომას მანის და ალბერ კამიუსი, იბსენის და შტრაინდბერგისა, არამედ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის რაციონალური მიღწევებისაც.

ჰეგელის რაციონალისტ-ირაციონალისტად გაორებას უმადლის რ. კრონერი დღესდღეობით ჰეგელის თემის აქტუალიზაციასა და მისი მოძღვრების მნიშვნელობის გაზრდას. კრონერის მიერ დასახული ამოცანის მიხედვით, ჰეგელი დღეს ექსისტენციალისტურად გაგებული ჰეგელია და აქ ჩანს მისი მოძღვრების არსიც და მისი მეთოდის მნიშვნელობაც. მეთოდის თვალსაზრისით ჰეგელი მუდამ ირაციონალისტი იყო, სისტემის თვალსაზრისით კი დასრულებული რაციონალისტური თეორიის ავტორი; ამიტომ არის შესაძლო თანამედროვე მობირისპირე მიმართულებათა სინთეზირება ამ მოძღვრების საფუძველზე. ავტო-

⁴ R. Kroner, Von Kant bis Hegel, Bd. 1. Tübingen, 1921, S. 268.

⁵ R. Kroner, Von Kant bis Hegel, Bd. 1, S. 271.

⁶ Hegel—Studien, Bd. 1, Bonn, 1961, S. 139.

რის აზრით ჰეგელის სული თუ არა, ჰეგელის აჩრდილი მაინც არის მეოცე საუკუნის მიუხედავად, რადგან პოლიტიკური მსოფლიოს ნახევარი დღეს მარქსიზმის ნიშნით ცხოვრობს, ხოლო მეორე ნახევარი ფილოსოფიურად, თეოლოგიურად და ლიტერატურულად კირკეგორის ექსისტენციალიზმითაა შეპყრობილი; კირკეგორი და მარქსი კი ჰეგელის მოწაფენი იყვნენ და მის გარეშე ვერც გაიარებინან⁷.

თუმცა ეს მოძღვრებანი ჰეგელს უპირისპირდებიან (მარქსის მოძღვრება სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის რეაქციაა ჰეგელის წინააღმდეგ, ხოლო კირკეგორისა — რელიგიური), მაგრამ ეს ეხება სისტემის აბსოლუტურობის დაძლევა, ლოგიკურის აბსოლუტიზაციის უარყოფას, ხოლო ამ არალოგიკურ თვალსაზრისთა მიერ ჰეგელის ლოგიკური სისტემის დაძლევა თვით ჰეგელისავე გამარჯვება აღმოჩნდა, რადგან ლოგიკური თავისთავად ანტითეზისში — ალოგიკურში გამართლდა⁸.

დიალექტიკის კრონერისეული ირაციონალისტური ინტერპრეტაცია, ერთი შეხედვით, დიალექტიკის მნიშვნელობის მაღალ დონეზე წარმოდგენის ამოცანას ისახავს მიზნად, მაგრამ სინამდვილეში ეს აღმოჩნდა ჰეგელის დიალექტიკის დაკნინების, შეზღუდვისა და მისტიფიკაციის გზა. დიალექტიკის გამოცხადება აზროვნებით ჰერტელად, ზეადამიანური, ზერაციონალური სფეროს კუთვნილებად მისტიკურ მნიშვნელობას აძლევს მას, რაც, ერთი მხრივ, დიალექტიკის ობიექტური მნიშვნელობისა და შემეცნებითი ღირებულების უარყოფას იწვევს, მეორე მხრივ კი, სპეკულატური შემეცნების საფეხურის რელიგიასთან გაიგივების გამო, ფილოსოფიური შემეცნების მნიშვნელობისა და სპეციფიკის უარყოფას. ამას არც თვით რ. კრონერი ფარავს, როცა აცხადებს, რომ „ფილოსოფია საბოლოოდ სხვა არაფერია თუ არა გამოცხადების (Offenbare) რელიგია, რომელიც თავისთავად და მასში წარმოდგენილ შინაარსს აზროვნებით სწევდება“⁹. შემთხვევითი არ არის, რომ რ. კრონერმა თავისი ორტომიანი მონოგრაფია „კანტიდან ჰეგელამდე“ რელიგიისა და ფილოსოფიის ურთიერთობის საკითხის გარჩევით დაასრულა, მათი ერთიანობის დასაბუთებას საკმაოდ ადგილი დაუთმო და დიდი ენერჯიაც მოახმარა.

ჰეგელის დიალექტიკის ირაციონალისტურ ინტერპრეტაციას იძლევა ნეოჰეგელიანელი ჰ. გლოკნერი. მის ნაშრომებში ჰეგელის მოძღვრება კანტისა და დილთაის ფილოსოფიის საფუძვლებთან დაკავშირებულად არის წარმოდგენილი. გლოკნერს ეკუთვნის ლოზუნგი, რომლითაც ნეოჰეგელიანელთა ერთი ფრთა ხელმძღვანელობდა: „კანტის გარეშე ჰეგელი გაუგებარია“. როგორც კანტი ებრძოდა წმინდა რაციონალიზმს და რწმენისა და ცოდნის შერწყმას შეეცადა, ასევე ჰეგელის ფილოსოფიაში უმთავრესი პრობლემაა რაციონალურისა და ირაციონალურის სინთეზი, ამასთან უპირატესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ირაციონალიზმს, რომელსაც დილთაიმ ჰეგელის ახალგაზრდობის დროინდელ შრომებში მიაკვლიაო. გონის განვითარების განმსაზღვრელია არაცნობიერი მისწრაფება, დიალექტიკა არაცნობიერი შემოქმედებითი ძალაა, „ცხოვრებისაკენ მოწოდება“ და არა წმინდა რეფლექსური მოქმედება, როგორც რ. კრონერს ეგონაო. გლოკნერი უარყოფს კრონერისეულ დაყოფას განსჯისეულად და სპეკულა-

⁷ Hege l—Studien, Bd 1, 1961, S. 137.
⁸ იქვე, გვ. 138.
⁹ R. Kroner, Von Kant bis Hegel, Bd. 2, S. 525.

ტურ დიალექტიკურად: თვით განსჯის სფეროც წინააღმდეგობრივი, კონკრეტული აზროვნების სფეროა, დიალექტიკა შეუზღუდველად და არაცნობიერად ზეუფებს გონის ყველა სფეროში, იგი მეთოდი კი არ არის, არამედ ცნებათა სიცოცხლეა, მოძრაობა. დიალექტიკა სულიერი სუბსტანციის გამაბატონებელი, ყოველი ადამიანური და საგნობრივი წვდომის საშუალებაა. იგი არ არის სქემა, კონსტრუქცია.

ამგვარად, ჰ. გლოგნერი ჰეგელის დიალექტიკის ირაციონალისტურსა და სუბიექტივისტურ გაგებას გვაძლევს, ცხოვრების ფილოსოფიის მეთოდთან ახლოებს მას და ამ სახით თანამედროვეობაში მისი დიდი ღირებულების დამკვიდრებას ცდილობს.

ჰეგელის დიალექტიკის თანადროულობისთვის გამოსაყენებლად ქცევას ცდილობენ ნეოკანტიანელი ზ. მარკი და ცნობილი ჰეგელიანელი ერნსტ ბლოხი. დიალექტიკის თანამედროვე სახედ აქ წარმოდგენილია დიალექტიკა ექსისტენციალისტური ინტერპრეტაციით. ზ. მარკი ჯერ კიდევ 30-იან წლებში ამტკიცებდა, რომ ექსისტენციალიზმი მოითხოვს დიალექტიკას, რომ ჰაიდეგერის სისტემა „ფილოსოფიურ-დიალექტიკური ანთროპოლოგიური მონიზმის სახეს ატარებს“. დიალექტიკა არ არის, არც ემპირიული სინამდვილის და არც ლოგიკურის კანონზომიერება. იგი მე-ს შემეცნებისა და ქმედითს აქტებთან მიმართებაში იჩენს თავს და ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებულია. დიალექტიკა სუბიექტის მიერ განხორციელებული განსხვავებულთა სინთეზური მიმართების ფორმაა.

თავის უმთავრეს ნაშრომში „სუბიექტ-ობიექტი“ ერნსტ ბლოხი ჰეგელის საფუძველზე მარქსიზმისა და ექსისტენციალიზმის გავრთიანებას შეეცადა. ბლოხი ამტკიცებს — დიალექტიკა ობიექტური სახით არ არსებობს, მას მართავს სუბიექტური ფაქტორი, რომელიც წინააღმდეგობებით, „იმედით“ იმარჯვებს. დიალექტიკა სუბიექტის გარდაამქმნელი მოქმედებაა, „იმედთან“ დაკავშირებული. დიალექტიკური კანონზომიერება ავტომატურად არ ხორციელდება, დიალექტიკა მოითხოვს აქტიურ მამოძრავებელს და ეს არის სუბიექტი, რომელიც იმედით, შიშითა და რწმენით მოქმედებს. მატერიალური სინამდვილე სუბიექტის აქტივობისთვის არსებული პასიურობაა, თავისუფლების ფილოსოფია საფუძველად იღებს სუბიექტის აქტივობას, მის თვითგანსხვებისასა და თვითგანსხვისების მოხსნისთვის დიალექტიკურ ქმედებას¹⁰.

ნეოჰეგელიანელების მიერ დამუშავებული და შემდეგ ექსისტენციალიზმთან დაკავშირებული მოდერნიზებული დიალექტიკური პრობლემატიკა ამოსავალ პუნქტად გადაიქცა თვით ექსისტენციალისტებისთვისაც. ინდივიდუალური ადამიანის აქტივობასთან დაკავშირებული დიალექტიკის თეორია შეხვედრის პუნქტად იქცა ნეოჰეგელიანიზმისა და ექსისტენციალიზმისათვის.

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ექსისტენციალისტებიც შეეცადნენ დიალექტიკის გამოყენებას. ეს მიმართულება, როგორც თავისებური ონტოლოგიზმი, როგორც არარას შემცველი არსებობის დამფუძნებელი და თავისთავადი არსის უარყოფელი, ჰეგელის მეთოდის გამოყენებას, დიალექტიკის მოდერნიზაციას მოითხოვს. ამ გარემოებამ განსაზღვრა ჰეგელისაკენ მობრუნების ტენდენცია ექსისტენციალიზმის განვითარებაში.

¹⁰ Ernst Bloch, Subjekt—Objekt, Berlin, 1952, S. 469.

ჰეგელის დიალექტიკის თავისებური, ახლებური ინტერპრეტაციის ცდა მოცემულია ექსისტენციალიზმის მამამთავრის მ. ჰაიდეგერის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში. 40-იანი წლებიდან ჰაიდეგერის მოძღვრების განვითარებაზე ჰეგელის გავლენის ფაქტს ადასტურებენ პ. კუნი და კ. ლოვიითი. პ. კუნი მიუთითებს მ. ჰაიდეგერის Holzwege-ს („ტყის ბილიკები“), რომელშიც, მისი აზრით, ყოველგვარღზე ჰეგელის სულისკვეთება იგრძნობა. მისი დასკვნით, ამ პერიოდის ჰაიდეგერის მოღვაწეობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც „ჰეგელიანელობის ფაზა“. ხოლო კ. ლოვიითის მონოგრაფიაში ჰაიდეგერის შესახებ ამკარად მითითებულია მისი მოძღვრების ჰეგელიანურ ტენდენციებზე.

1942—43 და 1956—57 წლებში მ. ჰაიდეგერი მოხსენებებს კითხულობს ჰეგელის სემინარზე, რომელიც მიეძღვნა „გონის ფენომენოლოგიას“ და „ლოგიკის მეცნიერებას“. პირველი მოხსენება გამოიცა სახელწოდებით „ჰეგელის ცდის ცნება“, მეორე — „მეტაფიზიკის ონტო-თეოლოგიური აღნაგობა“. ამ ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰეგელის დიალექტიკის შეფასებას. დიალექტიკურის გავება, ჰაიდეგერის მიხედვით, მხოლოდ ცნობიერების ბუნების მეშვეობით არის შესაძლო. დიალექტიკა არ არის არც შემეცნების მეთოდი, არც ობიექტური კანონზომიერება, იგი ცნობიერებასთან დაკავშირებული ცნებაა და იგივეა, რაც „ცდა“, ცნობიერების მიერ თავისთავის გამოცდა „სუბიექტურობაში ჩაღრმავება“. თავისთავში ჩაღრმავების დროს ცნობიერება ექვისა და შიშის წინაშე აღმოჩნდება, გადალახავს ამ ზღუდეს და კვლავ ახალი სახით ჩნდება ექვი და შიში საკუთარი ძალების, საკუთარი თავისა; ცნობიერებას მუდმივად დასდევს სკეპტიციზმი, იგი ამ გზით მოძრაობს, „ცდის“ აქტში თავისთავის გამოცდის აქტში იძყოფება და ეს აქტები საბოლოოდ მთავრდება ცნობიერების მოხსნით, სიკვდილით. მისი სრულყოფა განვითარება კი არა, აღსასრულია, სიკვდილი. ჰაიდეგერის აზრით, დიალექტიკური ნიშნავს უსასრულო ნეგატიურობას და ამითაა შეპყრობილი ცნობიერება ჰეგელის „ფენომენოლოგიაში“.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, ჰაიდეგერი ჰეგელის დიალექტიკას სრულიად საწინააღმდეგო ინტერპრეტაციას აძლევს. ჰეგელთან დიალექტიკური პოზიტიურობის დამდგენს, პროგრესის განმანხორციელებელს, სრულყოფის, ტოტალიტეტის დამდგენს აღნიშნავს; მას მხოლოდ მომენტის სახით ახსიათებს სკეპტიციზმი, უარყოფა. ჰაიდეგერმა კი სწორედ ეს ერთი მომენტთაგანი არსებითად და ძირითადად აქცია და ამ გზით დიალექტიკა ექსისტენციალიზმისათვის გამოსადეგი გახდა.

ჰაიდეგერის აღნიშნული ნაშრომების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ექსისტენციალიზმის განვითარებაში შემუშავდა ახალი ტენდენცია, რაც ჰეგელისკენ მობრუნებასა და დიალექტიკის ნეგატიური მნიშვნელობის აბსოლუტიზაციით გამოიხატა. ამგვარი ტენდენციით დიალექტიკის გამოყენება შემდეგში ექსისტენციალიზმის ერთ-ერთ არსებით ნიშნად გადაიქცა. ამ გარემოებას მიუთითებს რ. კრონერი, როცა არჩევს „დღევანდელი ჰეგელის“ პრობლემას (Hegel heute). იგი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ფრანგულ ექსისტენციალიზმში დიალექტიკური კონცეფცია შეიჭრა (ყან იპოლიტი, ალბერ კამიუ); ასახელებს აგრეთვე შვეიცარიელ ექსისტენციალისტს მიულერს, ჰეგელის გერმანელ განმანახლებელს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიმართულებით — თეოდორ ლიტს.



ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით ჰეგელის დიალექტიკის მოდერნიზაციის ნიმუშს იძლევა ჰარტმანის ონტოლოგიზმისა და ექსისტენციალიზმის შემეორებელი ჰერმან ვაინი. მეტად საგულისხმოა მისი შრომის სახელწოდება „რეალური დიალექტიკა. ჰეგელიანური დიალექტიკიდან დიალექტიკურ ანთროპოლოგიაამდე“ (1957). ჰ. ვაინის მიხედვით, ჰეგელის დიალექტიკის უზიტიური მხარე, „რეალური შინაარსი“ სუბიექტურისა და ზესუბიექტურის ურთიერთ მიკუთვნებაა. მისგან უნდა გამოირიცხოს დაპირისპირებულთა ბრძოლის პრინციპი. ჰ. ვაინი უარყოფს დიალექტიკის როგორც კონსტრუქციული მეთოდის გაგებას, იგი მას გონის მოქმედებასთან დაკავშირებულ რეალურ-სტრუქტურულ მოვლენად მიიჩნევს. მისი აზრით, გონის ისტორიის კონსტრუირება ხდება რეალური დიალექტიკის ძალით, რომელიც გამოირიცხავს ბრძოლას, დაპირისპირებას. ვაინი აკრიტიკებს მარქსისტულ ფილოსოფიას, რომელმაც, მისი აზრით, ისტორიული სინამდვილე დაპირისპირებულთა ბრძოლის ასპარეზად წარმოსახა და ადამიანები დააჯგუფა ურთიერთდაპირისპირებულ კლასებად, მსგავსად მებრძოლი ჯარისკაცებისა, რომლებსაც დაკარგული აქვთ ინდივიდუალური თავისებურებანი.

ჰეგელის დიდი ნაკლი, ვაინის მიხედვით, ის არის, რომ იგივეობის პრინციპით იგი საყოველთაო გონის მოქმედებაში ინდივიდუალურის ყველა თავისებურებას აქარწყლებს. ამ გზით ისტორია გამოდის დეტერმინირებული და პიროვნება, ინდივიდი — დამონებული. კირკეგორისა და ექსისტენციალისტების დიდ დამსახურებად ჰ. ვაინი მიიჩნევს ინდივიდის თავის უფლებებში აღდგენას და მისთვის თავისი ღირსებების დაბრუნებას¹¹. ვაინის აზრით, უნდა ამოვიღოთ ინდივიდებიდან, როგორც საკაცობრიო ისტორიის მყარი ელემენტიდან, და ობიექტური გონი გავიგოთ როგორც მათი მოქმედებების სინთეზური ერთიანობა. ადამიანური მოქმედებებით არსებობს ისტორია და, თავის მხრივ, ისტორიაში არსებობს ადამიანური, ინდივიდუალური. ინდივიდთა ურთიერთმოქმედებით იქმნება ე. წ. „დანართი რამ“, ამ ურთიერთმოქმედების შედეგი, რაც ინდივიდიდან გამომდინარეა, მაგრამ უკვე ინდივიდუალურის გარეშეა, მისთვის „დანართი“, მაგრამ აუცილებელი. სწორედ ამ „დანართს“, ამ ურთიერთმიკუთვნების სტრუქტურას სწავლობს ფილოსოფიური ანთროპოლოგია¹², მას სჭირდება თავისი სპეციფიკური მეთოდი, მეთოდი, რომელიც ამოიცნობს ადამიანის ძირითად სტრუქტურას, ძირითად ადამიანურ აქტებს, ერთი რომელიმე ინდივიდის ცხოვრებისეული გამოცდილების სტრუქტურის საფუძველზე კი არა, მრავალი ინდივიდის გამოცდილებათა განზოგადების საფუძველზე. რეალური დიალექტიკის ამოცანა სწორედ ის არის, რომ დაადგინოს სუბიექტურში ზესუბიექტური, ცხადყო მათი ურთიერთმიკუთვნება.

Итогом размышлений А. Эйнштейна над судьбами науки и человечества явилась его статья с красноречивым заголовком «Почему социализм?». Великий физик рассказывает в ней о своей беседе с неким «порядочным интеллигентным человеком» о грозящей опасности новой войны, которая, по мнению Эйнштейна, подвергла бы угрозе существование человечества. «Я сказал, что только международная организация представляет защиту от такой опасности. На что мой посетитель ответил спокойно и холодно: «Почему, собственно, Вы так бурно противитесь уничтожению человечества?». Эйнштейн был потрясен неожиданным поворотом дела. Еще век тому назад, пишет он, никто не выказался бы таким образом, так может рассуждать только человек, окончательно потерявший равновесие и надежду. Причину подобного распада личности Эйнштейн увидел в «экономической анархии капиталистического общества», а решение проблемы — в создании социалистической системы хозяйства.

За десятилетия, истекшие со времени написания «Материализма и эмпириокритицизма», кризис науки распространился на социальную сферу, перерос в бессилие ученых перед достигнутыми результатами, которые вышли из под их контроля. Ситуация усложнилась, но выход остается прежним, на него указал еще В. И. Ленин — овладение на-

²⁰ Р. Опенгеймер, Летящая трапеция, Три кризиса в физике, М., 1967, стр. 62—65.

учным мировоззрением и, главное, претворение его принципов в жизнь. «Жизнь Галилея еще раз напоминает об этом.

К тем же проблемам, что и «Жизнь Галилея» обращена пьеса Н. Погодина «Альберт Эйнштейн»²¹, опубликованная в журнале «Театр». Советский драматург подошел однако к ним иначе, чем Брехт. «Опровержение мысли об ответственности Эйнштейна за атомное оружие было главной идеей», — пишет профессор Б. Кузнецов, статья которого сопровождает публикацию, — «Чувство ответственности не было у Эйнштейна личным». В своей книге об Эйнштейна Б. Кузнецов изложил другую точку зрения, пересмотренную затем под влиянием построенного на интуиции замысла Н. Погодина. «Почему же советский драматург понял позицию Эйнштейна точнее и раньше, чем исследователь, много лет изучавший научные труды Эйнштейна, его переписку и т. д.? Потому что драматург обладал способностью интуитивного восприятия образа Эйнштейна в целом»²².

Погодинский Эйнштейн оказывается лишь невольным вовлеченным в создание атомной бомбы, он не пишет, а лишь нехотя подписывает письмо к Рузвельту, положившее начало атомному производству. Вот его слова: «Энергия атома... Что это значит? Откуда она, эта энергия атома? Каков ее источник? У огня источник все то же солнце. А у нее другое происхождение... скрытое от человека самой природой за семью печатями, недоступное... Мы не только посягнули на эту тайну, мы хотим использовать ее для убийства.. Вдумайтесь в эту фразу: „...деление урана для создания оружия“... Господа, объясните мне, что мы делаем... Я кажется плохо стал соображать». Плохо отдавая отчет в своем поступке, Эйнштейн поддается на уговоры и ставит подпись под роковым документом. Затем после Хиросимы он лишь сетует по поводу случившегося и советует физику, руководившему созданием бомбы, не выставлять напоказ свои переживания.

Фактически здесь устранена трагическая коллизия, суть которой в том, что герой сознательно выбирает роковой путь, ибо другого для него не дано. Эйнштейн сознательно пошел на создание бомбы, а после войны столь же сознательно и весьма активно, хотя и совершенно безуспешно, боролся за ее запрещение, за принятие других мер международной безопасности. Эйнштейн умер, — утверждает его близкий друг Альберт Швейцер, — от сознания своей ответственности за нависшую над человечеством опасность атомной войны»²³. Брехт, намеревавшийся на закате своих дней написать пьесу «Жизнь Эйнштейна», именно так понимал трагедию великого физика.

²¹ Н. Погодин скончался, не успев закончить работу; пьеса была завершена А. Волгарем.

²² Б. Кузнецов, Интуиция художника и историческая истина «Театр», 1968, № 9, стр. 190.

²³ Г. Геттинг, Беседы со Швейцером, М., 1967, стр. 98.



Сопоставляя замыслы Погодина и Брехта, мы невольно возвращаемся к тому, с чего начиналась статья, к вопросу о личной ответственности. Тот факт, что моральная проблема оказывается лишь частью другой, более широкой, — социальной проблемы, снимает первую лишь в философском смысле, т. е. поднимает ее на более высокий уровень, отнюдь не устраняя полностью. Ответственность за соучастие в преступлении остается на каждом персонально, и списать ее за счет пороков капиталистической системы никому не удастся. Об этом напоминают процессы военных преступников, где судили не только фашизм в целом, но и конкретных его носителей, в том числе с учеными степенями и званиями. Наука — социальное явление, ее судьбы определяет общество, но ученый — человек, и как таковой он сам является хозяином своей судьбы.

(Представил Институт Философии АН ГССР)

შალვა მხარტიშვილი

პრესტიჟის მოთხოვნილების ასაკობრივი
განვითარების საკითხისათვის

პრესტიჟის მოთხოვნილება მიეკუთვნება სოციოგენურ მოთხოვნილებათა ჯგუფს. ამ ჯგუფში შედის ყველა მოთხოვნილება, რომლის აღმოცენებისა და დაკმაყოფილების სიტუაციის ძირითად და აუცილებელ სტრუქტურულ მომენტს წარმოადგენს სოციალური ურთიერთქმედების ობიექტი. ამ მოთხოვნილების სუბიექტი სხვა ადამიანში ან ადამიანთა ჯგუფში, როგორც სოციალურ ობიექტში, ეძიებს და ნახულობს თავის საგანს. სოციოგენურ მოთხოვნილებათა წარმოქმნისა და უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას სოციალურ ურთიერთქმედებათა გარკვეული ფორმები წარმოადგენენ.

სოციოგენური მოთხოვნილებები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: ს ა ხ ე ი ს ო, ს ა ხ ე ი ს-ს ა თ ა ვ ი ს ო და ს ა თ ა ვ ი ს ო. ეს სახელწოდებანი პირობითია და შეიძლება შემდეგში, თუ უკეთესი ტერმინი მოიძებნება, შეცვლილი იქნეს. ისინი მიუთითებენ სოციოგენურ მოთხოვნილებათა ერთ თავისებურებაზე, სახელდობრ: მათში ემოციის ფორმაში ანტიფიციკრებული მიზნის რეალიზაციის პროცესი ვის ინტერესებს ემსახურება: სოციალური ობიექტის, სოციალური სუბიექტის თუ ორივესა ერთად.

სოციოგენურ მოთხოვნილებათა პირველ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ყველა მოთხოვნილება, რომლის სუბიექტი სხვისი კეთილდღეობისათვის უანგარო ზრუნვაში ნახულობს დაკმაყოფილებას. ასეთია, მაგალითად, სხვებისადმი დახმარებისა და თანაგრძობის მოთხოვნილება, რომელიც ანაზღაურების მოლოდინს არ უკავშირდება. მისი სუბიექტი კმაყოფილება იმით, რომ თვითონ თმობს და იკლებს რაღაცას პირადი ცხოვრებიდან, იმისთვის რომ სხვებს გაჭირვებაში წაეშველოს და ცხოვრების ტვირთი შეუღმსუბუქოს. მას აკმაყოფილებს სიკეთე, რომელიც თვითონ, საკუთარ ხარჯზე, მიაქვს სხვისთვის. ამიტომ, ცხადია, სოციოგენურ მოთხოვნილებათა ის ჯგუფი, რომელსაც ჩვენ სასხვისო ვუწოდეთ, ზნეობრივ ხასიათს ატარებს და ეთიკურ მოთხოვნილებათა ძირითად ბირთვს ქმნის. ამ ჯგუფში შემავალ მოთხოვნილებათა ნიადაგზე, ჩვეულებრივ, ისეთი ქცევის აქტები ვითარდებიან, რომელნიც სოციალურ კონტაქტებს აძლიერებენ და სოციალურ ჯგუფებს უფრო მტკიცედ შეკავშირებულს ხდიან.

სოციოგენურ მოთხოვნილებათა მეორე ჯგუფში შედიან ის მოთხოვნილებები, რომელთაც ისეთი ურთიერთქმედება, ისეთი ორმხრივი აქტიუობა აკმაყოფილებს, რომელიც სოციალური ობიექტის გარკვეული მოთხოვნილების უზრუნველყოფასაც იძლევა. ასეთია, მაგალითად, სოციალური თანაარსებობის,



თანააქტიურობისა და თანამშრომლობის, სტუმარ-მასპინძლობის, მეგობრობის, სოციალური თამაშისა და გართობის მოთხოვნილებები, რომელნიც ხშირად სხვა მოთხოვნილებებთან შერწყმული სახით გვხვდებიან.

სოციოგენურ მოთხოვნილებათა მესამე ჯგუფში ერთიანდებიან ის მოთხოვნილებები, რომელთა მიერ აღძრულ ქცევის აქტებში სოციალური ობიექტი (სოციალური ინდივიდი ან ჯგუფი) გამოიყენება როგორც პირადი კმაყოფილების მიღწევის აუცილებელი და შეუცვლელი პირობა. სათავისო მოთხოვნილებები, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, იმის მიხედვით თუ რა ხასიათის სოციალური ურთიერთქმედებანი აკმაყოფილებენ მათ, სოციალური ობიექტის რანაირი სოციალ-ფსიქოლოგიური მოქმედების თუ მდგომარეობის მიღწევა არის მათში მიზნის მსგავსად ანტიფიცირებულა.

სათავისო მოთხოვნილებათა ერთ ჯგუფს ქმნიან მოთხოვნილებები, რომელიც სოციალური ობიექტის (ინდივიდის ან ჯგუფის) ცხოვრების პირობების გაუარესებასა და სულიერ ტანჯვაში ნახულობენ დაკმაყოფილებას. ასეთია, მაგალითად, შურისა და მტრობის ნიადაგზე აღძრული მოთხოვნილებები. სხვების დაცხვის, დამცირებისა და აბუჩად აგდების მოთხოვნილებაც აქ შეიძლება იქნეს შოთავებული. ამ ჯგუფის მოთხოვნილებათა ნიადაგზე ვითარდება უარყოფითი სოციალური კონტაქტები და ზიანდება სოციალური ჯგუფის ერთიანობა. თუ ამ ჯგუფის სათავისო მოთხოვნილებებზე იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც მათში მიზნის მსგავსადაა ემოციის ფორმაში ანტიფიცირებული, შესაძლებელია მათ სიაცის მოთხოვნილებები ვუწოდოთ. სიაცის მოთხოვნილებანი სასხვისო მოთხოვნილებათა ანტიპოდებს წარმოადგენენ, რამდენადაც ეს უკანასკნელი სიკეთის განხორციელებაში ნახულობენ დაკმაყოფილებას. ქცევის იმ აქტების აღმოცენება, რომელთაც ეთიკური თვალსაზრისით წმინდა ანუ უანგარო (რაიმე სარგებლობით დაუინტერესებელი) ბოროტება შეიძლება ვუწოდოთ, ჩვეულებრივ, სიაცის მოთხოვნილების ნიადაგზე ხდება.

სიაცის მოთხოვნილებისაგან არსებითად განსხვავდება სათავისო მოთხოვნილებათა მეორე ჯგუფი, რომლის სუბიექტი კმაყოფილდება იმით, რომ იგი სხვა პირების (ინდივიდის ან ჯგუფის) გარკვეული სახის აქტიუობის ობიექტად იქცევა. მოთხოვნილებათა ეს ჯგუფი სხვა ადამიანების სიაცესა და ავისყოფასთან არ არიან დაკავშირებულნი. მათში არც ვისმესადმი სიკეთის მოტანის წყურვილი იგრძნობა. ამ ჯგუფის მოთხოვნილებები ამოძრავებენ სუბიექტს, როცა იგი ცდილობს მოექცეს სხვების ყურადღების ცენტრში, დაიკავოს ადგილი იმ რიგებში, საიდანაც იგი სხვებისთვის უფრო შესამჩნევი გახდება, სხვების დასანახად „გამაფინოს“ თავისი პიროვნული ღირსებები, რაიმე გზით მიაღწიოს იმას, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, მას აქებდნენ და ოვაციებს უმართავდნენ. ამ რიგის მოთხოვნილება, გარკვეულ პირობებში, სტიმულს აძლევს ზოგიერთ ინდივიდს გახვიადოს თავისი წარსული, იტრაბახოს და ახლოს იყოლოს მლიქვნელები და ყალბი შემფასებლები. სუბიექტი, რომელიც ამ ჯგუფის მოთხოვნილებითაა აღძრული, ცდილობს სოციალურ ობიექტში, ძალდატანებისა და გაცნობიერების გარეშე, გამოიწვიოს ისეთი აქტიუობა, რომელიც მას აკმაყოფილებს. ასეთ ცდას, თუ იგი უხერხული — გახმაურებული გზებით წარიმართა, ხშირად, მოთხოვნილების ფრუსტრაცია და მისი სუბიექტის მოლოდინის საწინააღმდეგო მდგომარეობაში ჩავარდნა მოსდევს შედეგად. ასე ხდება, ხშირად როცა სოციალური ობიექტისთვის სოციალური სუბიექტის ეს მო-

თხოვნილება და მის ნიადაგზე წარმოებული ცდების აზრი ხდება მისაწვდომი. სათავისო მოთხოვნილებათა ამ მეორე ჯგუფს შეიძლება მთლიანი სოციალური ორგანიზმიდან საკუთარი ინდივიდუალობის სტრუქტურული გამოყოფისა და განმტკიცების მოთხოვნილება ვუწოდოთ.

პრესტიჟის მოპოვების მოთხოვნილება, რაც ჩვენი ახლანდელი კვლევის საგანს წარმოადგენს, ჯგუფის მთლიანი სოციალური ორგანიზმიდან ინდივიდის სტრუქტურული გამოყოფისა და განმტკიცების მოთხოვნილებებს მიეკუთვნება. მურეი (H. A. Murray) პრესტიჟის მოთხოვნილებას აღიარების მოთხოვნილების (n Recognition) ანუ თვითწინააღმდეგობის ატიტუდის კერძო სახედ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ იგი ცხოვრებაში, ჩვეულებრივ, მეორე უფრო ძირითად მოთხოვნილებას — თავისთვის გამოფენის — ჩვენების მოთხოვნილებას ანუ ატიტუდს (ეგზიბიციონიზმს) ერთვის. მურეის აზრით, აღიარების მოთხოვნილება წარმოადგენს სოციალური მხარდაჭერისა და პატივისცემის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სახელის მოპოვების მოთხოვნილებას. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ბუნებრივი გზა არის მიღწევის მოთხოვნების ხიდაგზე აღძრული აქტივობის წარმატების საზოგადოებრივი შეფასება. თვითონ აღიარების მოთხოვნილების ობიექტივაცია სხვებისთვის მომაბეზრებელია და უარყოფით რეაქციას იწვევს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადამიანში იგი მაინც აშკარად იჩენს თავს სხვების წინაშე საკუთარი თავის გახმაურების ცდებში, საკუთარი თავადასავლების გავიადებისა და მკვეხარობაში, თავისი დადებითი თვისებების დამადასტურებელი საბუთების გამოფენაში და სუპერიორული ატიტუდების თავისთვისადმი მიწერაში. ინდივიდი ასეთ მოქმედებას ავითარებს სხვა ადამიანების თვალში ამაღლებისა და სოციალური პრესტიჟის მოპოვების იმედით¹.

ა. ფენდერი (A. Pfänder) სულიერ მოთხოვნილებებს, რასაც იგი სულიერი მისწრაფებების (Sedische Triebe) სახელწოდებით აღნიშნავს, ყოფს ორ ჯგუფად: ტრანზიტულ სულიერ მისწრაფებებად და რეფლექსურ სულიერ მისწრაფებებად. ტრანზიტული სულიერი მისწრაფებების მიზანი მდებარეობს საკუთარი სულისა და სულიერი ცხოვრების მიღმა — გარესინამდვილეში (საკუთარი სხეულის ჩათვლით) იმ ობიექტურ ღირებულებებთან მიმართებაში, რომელიც ბუნებასა და საზოგადოებაში არსებობს. რეფლექსური მისწრაფების საგანს თვითონ სული და სულიერი ცხოვრება წარმოადგენს. ადამიანი არა მარტო გარესსამყაროს მოვლენებს უცქერის ღირებულების თვალთ, არამედ თავის-თავსაც იმავე თვალსაზრისით განიხილავს და ისწრაფვის იმომქედოს საკუთარ სულზე და შესცვალოს იგი ისე, რომ მისმა ადგილმა ღირებულებათა საერთო სკალაზე რაც შეიძლება მაღლა აიწიოს. მატერიალური და სულიერი კულტურის მოვლენების წარმოებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული მისწრაფებები ტრანზიტულ მისწრაფებებს წარმოადგენენ, ხოლო მატერიალური და სულიერი კულტურის წარმოებისა და მოხმარებისათვის საჭირო სულიერი ძალებისა და შესაძლებლობების განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ მიმართული მისწრაფებები რეფლექსურ მისწრაფებათა ჯგუფს მიეკუთვნებიან².

¹ H. A. Murray, *Exploration in Personality*, 1938, გვ. 282.

² A. Pfänder, *Die Seele des Menschen*, 1933, გვ. 103, 179.

ა. ფენდერი საკმაო ადვილს უთმობს საკუთარი ღირებულებებისკენ მისწრაფების (Selbstwerttrieb) ბუნების გარკვევას, ხოლო მისწრაფებაზე, რომელსაც ჩვენ პრესტიჟის მოთხოვნილებას ვუწოდებთ, იგი მხოლოდ გაკვრით ჩერდება. პირველს იგი რეფლექსურ მისწრაფებებში ათავსებს³, ხოლო მეორეზე ტრანზიტული მისწრაფებების დახასიათების დროს ლაპარაკობს⁴. პირველ შემთხვევაში სუბიექტი შემობრუნებულია თავისთავისკენ და ცდილობს იქ მოახდინოს ისეთი ცვლილებები, რომელიც მის ღირებულებას ასწევს, მეორე შემთხვევაში კი პირიქით — სუბიექტი მიმართულია გარეთ და ცდილობს ისეთი ზემოქმედება მოახდინოს სხვებზე, რომ მათგან მაღალი შეფასება მიიღოს.

პრესტიჟის მოთხოვნილებაზე უფრო ფართოდ ჩერდება თავის კაპიტალურ გამოკვლევაში „პიროვნების აგებულება“ ფ. ლერში⁵. იგი მოთხოვნილებათა შთელ სამკვიდროს, რასაც იგი თავის ენაზე ტერმინებით „die Antriebserlebnisse (Triebe und strebungen)“ აღნიშნავს, ყოფს სამ ჯგუფად: სიცოცხლისეული ყოფის მოთხოვნილებები (die Antriebserlebnisse des Lebendigen Daseins), ინდივიდუალური თვითყოფის მოთხოვნილებები (die Antriebserlebnisse des individuellen Selbstseins) და თავისთავზე მაღალი მიღობური ყოფის მოთხოვნილებები (die Antriebserlebnisse des über-sich-hinaus-Sein) პრესტიჟის მოთხოვნილებას ლერში ინდივიდუალური თვითყოფის მოთხოვნალებათა კლასში ათავსებს და თავის გამოჩენისკენ ღტობის (die Geltungsdrang) ტერმინში გახიხლავს. ამ მოთხოვნების თემატიკა, ლერშის აზრით, არის თანადადამიხებისგან რაც შეიძლება მაღალი რანგის შეფასების მიღება. თავის გამოჩენის მოთხოვნების სუბიექტი კმაყოფილება, როცა მას ყურადღებით ეკიდებიან, პატივს ცემენ, აქებენ, იწონებენ, აღიარებენ, მოწიწებით ეპყრობიან. იმის გასათვალისწინებლად თუ რა დიდ როლს თამაშობს ეს მოთხოვნილება პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ლერშს ვ. იამეს (W. James) შემდეგი სიტყვები მოჰყავს: თუ გვსურს ვინმე მართლა მკაცრად დავსაჯოთ სრულებით არაა საჭირო რაიმე ცუდის მოფიქრება, თუ გინდ ეს ფიზიკურად შესაძლებელიც იყოს. ამისთვის საკმარისია იგი თავისუფლად გავუშვათ საზოგადოებაში, ისე რომ საზოგადოების არც ერთმა წევრმა არ მიაქციოს მას ყურადღება. თუ, ადამიანებთან მისვლისას, შენსკენ თავს არავინ მოაბრუნებს, შენს კითხვაზე პასუხს არავინ გასცემს, თუ შენი ყველა მოქმედება უყურადღებოდ დარჩება, თუ ყველა ისე მოგექცევა როგორც ჰაერს — თითქოს საერთოდ არ არსებობდე, მაშინ ძალე შენში იფეთქებს სიბრაზე და უძლური სასოწარკვეთილება, რის გვერდითაც უსაშინელესი სხეულებრივი წამებაც კი უფერული გამოჩნდება⁶.

ჰ. რემპლანი (H. Renplein) მოთხოვნილებათა იმ კლასიფიკაციას ემყარება, რომელსაც ლერში იძლევა. იგი იზიარებს თავის გამოჩენის მოთხოვნების (Geltungsstreben) ლერშისებურ განსაზღვრებას. მისი აზრითაც ამ მოთხოვნების სუბიექტი ისწრაფვის იქითკენ, რომ თანადადამიხიხიების თვალში ძალა ასწიოს თავისი ღირებულება. იმის მიხედვით თუ რა საშუალებით სურს მას ამის მიღწევა, მისი დაკმაყოფილების გზები სულ სხვადასხვანაირია. სუბიექტი, შეიძლება, ერთ შემთხვევაში, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვისა (ჩაც-

³ იქვე, გვ. 182.

⁴ იქვე, გვ. 128.

⁵ Philipp Lersch, Aufbau der Person 10 aufl. 1962, გვ. 215.

⁶ Philipp Lersch, Aufbau der Person, გვ. 193.

მა, ვარცხნილობა) და წესიერი ქცევის საშუალებით იკმაყოფილებდეს ამ მოთხოვნილებას, ხოლო მეორე შემთხვევაში სოციალური, ეკონომიური ან სამსახურებრივი მდგომარეობის მეშვეობით აღწევდეს თავის მიზანს. რემპლანინს აზრით, ყველაფერი, რასაც ღირებულება აქვს შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავის გამოჩენის საშუალებად. ფული, სახლი, მიწა, მანქანა, ნიჭი, ცოდნა, ხასიათის ისეთი თავისებურებანი, როგორც თანაგრძნობა და გულკეთილობა, წარმატებები სწავლაში, პროფესიონალურ საქმიანობაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში, სპორტში და ა. შ. ზემოდასახელებული მოვლენები თავისთავად არიან ღირებულების მქონენი, მაგრამ თავის გამოჩენის მოთხოვნილების სუბიექტისთვის ღირებულება მხოლოდ თვითონ თავის გამოჩენას აქვს და ამიტომ მის მიერ ზემოდასახელებული მოვლენები გამოიყენებიან, როგორც თავის გამოჩენის საშუალებები, მისთვის მათ იმდენად აქვთ ღირებულება, რამდენადაც ისინი მისი გამოჩენის საქმეს ემსახურებიან.

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გამოარკვიოს, რა მდგომარეობაში იმყოფება პრესტიჟის მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში. პრესტიჟის მოთხოვნილება მთლიანად არ ფარავს იმ მოთხოვნილებას, რასაც ლერში და რემპლანინი თავის გამოჩენის მოთხოვნილებას უწოდებენ. პრესტიჟის მოპოვება თავის გამოჩენასაც ხიშხავს, მაგრამ თავის ყოველგვარი გამოჩენა პრესტიჟის მოპოვებას არ გულისხმობს. პირიქით, თავის გამოჩენის ზოგიერთი გზა ისეთია, რომ უკვე მოპოვებულ პრესტიჟს უკარგავს ადამიანს, მაგრამ იგი მაინც შეგნებულად მიჰყვება ამ გზას. კაცი, რომელმაც ზნეობრივად გაუმართლებელი გზებით დიდი ქონების დაგროვება და ფულის ხელგაშლით ჩარჯვის საშუალებათა მოპოვება შესძლო, თანადადამიანების ყურადღების ცენტრში ექცევა ამ თავის გამოჩენის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფართო შესაძლებლობას ხახულობს, მაგრამ ის რისი გამოჩენა-შეფასებაც ხდება ასეთ შემთხვევაში პრესტიჟის მიმართების ობიექტს არ წარმოადგენს. პრესტიჟის მოთხოვნილებას ჩვენ ვუწოდებთ თავის ისეთი გამოჩენის მოთხოვნილებას, რომელსაც მხოლოდ მაღალი ღირებულების პიროვნული თვისებების კატეგორიებში შეფასება აკმაყოფილებს. პრესტიჟის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საზოგადოებრივი თვალსაზრისით გამართლებულ გზას წარმოადგენს წარმატების მოპოვება იმ საქმიანობაში, რომელსაც ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენს მიერ დაკავებული ადგილი გვიკარხახებს, ე. ი. ის საქმიანობა, რომელიც ჩვენი პიროვნების ღირებულებას მაღლა სწევს და ირგვლივ მყოფ ადამიანებში ჩვენს პრესტიჟს ზრდის. ამიტომ ეს მოთხოვნილება ერწყმის საკუთარი ღირებულების ზრდის მოთხოვნილებას და დაკმაყოფილებას, ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელის მიერ განვითარებული ქცევის აქტების გზით აღწევს. მაგრამ, საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა პიროვნება პრესტიჟის მოპოვებაზე უფრო მეტს ფიქრობს და ზრუნავს, ვიდრე იმ საქმის წარმატებით განხორციელებაზე, რომელიც მას აკისრია. იგი ყოველ საშუალებას ხმარობს იმისთვის, რომ მასზე დაკისრებული საქმის მიმართულებით მცირე მონაპოვარიც ისე გამოაფინოს და გაახმაუროს, რომ სხვისი დიდი წარმატებებიც კი დაფაროს. ბევრი ამ მხრივ ისე დიდ უნარსა და მოქნილობას იჩენს, რომ სიცოცხლეში იღვამს ძეგლს, რომელიც, მისი სიკვდილის შემდეგ უყურადღებოდ რჩება და ინგრევა.

პრესტიჟის მოთხოვნილებას ადამიანი განიცდის არა მხოლოდ მაშინ, როცა იგი ისეთი ქცევის აქტებს ავითარებს, რომელიც მის ირგვლივ მყოფ ადამიანებში მას პრესტიჟს უქმნის — ამ ადამიანების თვალში მის პიროვნულ და საზოგადოებრივ ღირებულებას მალა წევს, არამედ ყოველთვის, როცა იგი სხვებთან რაიმე ურთიერთობაში მოდის. პრესტიჟის მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას არ იძლევა წმინდა ინტელექტუალური ცოდნა (თუნდაც აბსოლუტურად სარწმუნო) იმისი რომ მის სუბიექტს აფასებენ და პატივს სცემენ. პრესტიჟის მოთხოვნილების სუბიექტი სრულ დაკმაყოფილებას მხოლოდ მაშინ ღებულობს, როცა იგი უშუალოდ ხედავს და განიცდის სხვა ადამიანების ისეთ შოქმედებას, რომელშიაც მისი პატივისცემა და მაღალი შეფასება გამოიხატება.

იმ ქცევის ორგანიზაციის საქმეში, რომელიც ადამიანს პრესტიჟს უქმნის, ღმირად, პრესტიჟის მოთხოვნილება არ მონაწილეობს, ან კიდევ სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს, მაგრამ მიღწეული წარმატება ზრდის პრესტიჟის მოთხოვნილების სუბიექტის პრეტენზიის დონეს, რის ნიადაგზედაც შემდეგ იგი ირგვლივ მყოფი ადამიანებიდან უფრო მაღალ შეფასებასა და პატივისცემას შოელის და შოითხოვს კიდევ, ვიდრე ამას წინათ ჰქონდა ადგილი.

ბევრ შემთხვევაში პრესტიჟის მოთხოვნილების სუბიექტის პრეტენზიის დონე — შეფასებისა და პატივისცემის სიდიდე, რომელსაც იგი მოითხოვს ირგვლივ მყოფი ადამიანებისგან, არ შეესატყვისება პრესტიჟის ფაქტიურ მდგომარეობას — იმას რასაც ინდივიდი ნამდვილად იმსახურებს. პრეტენზიის დონე ზოგჯერ დამსახურებას თვალსაჩინოდ აჭარბებს, ზოგჯერ კიდევ მასთან შედარებით საგრძნობლად დაბალია⁷. პიროვნების სოციალიზაციის პროცესის პედაგოგიურმა ორგანიზაციამ უნდა შესძლოს პრესტიჟის მოთხოვნილების პრეტენზიის დონესა და დამსახურებულ პრესტიჟს ანუ პრესტიჟის ფაქტიურ მდგომარეობას შორის წონასწორობის დამყარება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინდივიდი, როცა მისი პრესტიჟის მოთხოვნილების პრეტენზიის დონე დამსახურებას მნიშვნელოვნად აჭარბებს, ხშირად ავიწროვებს სხვებს, ხოლო როცა დამსახურებაზე თვალსაჩინოდ დაბალია იგი თავისთავს აყენებს შევიწროებულ მდგომარეობაში და არ ცდილობს ირგვლივ მყოფ ადამიანთა შორის ის ადგილი დაიკავოს, რომელიც მას დამსახურების მიხედვით ერგება.

პრესტიჟის მოთხოვნილება ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში უაღრესად დიდ როლს ასრულებს. ეს ვ. იამეს ზემომოყვანილ სიტყვებიდანაც აშკარად ჩანს. კაცი, რომელსაც პრესტიჟის მოთხოვნილება არა აქვს ადვილად შეიძლება შორალური სიმაღლიდან დაეშვას და ყოველგვარ დამცირებას შეუირიგდეს. პრესტიჟის მოთხოვნილება, თვითღირებულების მოთხოვნილებასთან ერთად, ადამიანს ნებისყოფას, ძალას მატებს ცხოვრების ცდუნებას გაუძლოს და მორალური სიმაღლე შეინარჩუნოს.

როგორც ცნობილია, გარდამავალ ასაკში მოზარდის პიროვნების სოციალიზაციის ინტენსიური პროცესი მიმდინარეობს. ამიტომ, როგორც წმინდა მეც-

⁷ ტერმინი „პრეტენზიის დონე“ არ შეიძლება ყველა მოთხოვნილების მიმართ იქნეს გამოყენებული. პრესტიჟის მოთხოვნილების მიმართულებით ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ფ. ლერშმა, თავის წიგნში „Aufbau der Person,“ (იხ. გვ. 168). იგი ამ ტერმინს აქ კ. ლევინიდან რამდენიმედ განსხვავებულ მნიშვნელობას აძლევს.

ხიერული, ისე პედაგოგიურ-პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა ვიცოდეთ რა კანონზომიერებით ვითარდებიან ამ ასაკში სოციოგენური მოთხოვნილებანი საერთოდ, ხოლო პრესტიჟის მოთხოვნილება კერძოდ.

მოთხოვნილებაზე ობიექტური გზით პირდაპირი დაკვირვება არ ხერხდება, მაგრამ მოთხოვნილების მოქმედების უშუალო ეფექტი, რაც ქცევაშია წარმოდგეხილი, ჩვეულებრივ, პირდაპირი ობიექტური დაკვირვებისთვის გვაქვს მოცუპული. ამიტომ მოთხოვნილების ექსპერიმენტული შესწავლისთვის აუცილებელია იგი გამოვიწვიოთ ისეთ პირობებში, სადაც ერთი მხრივ, მას (მოთხოვნილებას) თავისთავის დაკმაყოფილებისთვის საჭირო აქტივობის განვითარების შესაძლებლობა მიეცემა, ხოლო მეორე მხრივ, მკვლევარს საშუალება ექნება ამ აქტივობის მიძღინარეობას ადევნოს თვალ-ყური და მისი ის თავისებურებანი აღრიცხოს, როპელიც მოთხოვნილების ბუნებითაა განსაზღვრული.

იმ ბიოგენურ მოთხოვნილებათა ექსპერიმენტიზირება, რომელთაც ციკლური ჩასიათი აქვთ და ადვილად მოსაპოვებელი საგნობრივი მოვლენები აკმაყოფილებთ, არაა ძნელი. შიმშილის ან წყურვილის ინტენსივობა და დაკმაყოფილების ხარისხი, თვითონ ცდისპირთან შეთანხმებით, დეპრივაციის ხანგრძლივობის ცვალებადობის გზით, შეიძლება ნებისმიერად ვცვალოთ და ამგვარად მისი ექსპერიმენტული კვლევის საუკეთესო პირობები შევქმნათ. სოციოგენურ მოთხოვნილებათა ექსპერიმენტებში შემოყვანა კი ასე ადვილად არ ხდება, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ პიროვნება, რომელიც ცდისპირის როლში გამოდის, მკვლევარს ისე ახლო არ უშვებს თავის სოციოგენურ მოთხოვნილებებთან, როგორც თავის შიმშილთან ან წყურვილთან მიუშვებს. ეს მით უმეტეს ითქმის პრესტიჟის მოთხოვნილების შესახებ, რომლის გამოაშკარავება პიროვნებას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მეორე მხრივ, ისეთი ექსპერიმენტული სიტუაციის შექმნა, რომელშიაც წნეობრივად მისაღებ და ობიექტური დაკვირვებისათვის მისაწვდომ ფორმაში სოციოგენურ მოთხოვნილებათა აღძვრა და დაკმაყოფილება იქნება შესაძლებელი, გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ბიოგენური ან ფსიქოგენური მოთხოვნილებების კვლევისთვის საჭირო ექსპერიმენტული სიტუაციის შექმნა. ამიტომაც, რომ მოთხოვნილებათა საერთო კანონზომიერების კვლევის დროს ბიოგენურ მოთხოვნილებებს, პირველ რიგში, შიმშილსა და წყურვილს მიმართვენ.

პრესტიჟის მოთხოვნილების ფორმირების ასაკობრივი კანონზომიერების კვლევის მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ კითხვარები, რომლებზედაც გაცემულ პასუხებს უხდა ეჩვენებინა ამ მოთხოვნილების ასაკობრივი ზრდის კანონზომიერება. სულ გვექონდა ორი კითხვარი, თითოეული ათი კითხვით. ეს კითხვარები ისე იყო შედგენილი, რომ შესაძლებლობას გვაძლევდა კონტროლო გავგეწოთ მიღებული პასუხების სისწორისთვის და, ამასთან ერთად, ერთგვარად მაინც, სხვა მოთხოვნილებებთან მიმართებებში გავგეზომა პრესტიჟის მოთხოვნილების ძალა, გვეჩვენებინა მისი ადგილი ზოგიერთ ძირითად მოთხოვნილებებს შორის.

ერთი კითხვარი ეხებოდა ცდისპირთა სხვადასხვა მოთხოვნილების ათ ობიექტს, რომელთაც დადებითი ღირებულება ჰქონდათ, ხოლო მეორე კითხვარი იმავე მოთხოვნილებებთან უარყოფითად დაკავშირებულ ობიექტებს მოიცავდა. ვლარაუდობდით, რომ კითხვარების ასეთი დაპირისპირება ცდისპირებისგან მიღებული პასუხების სისწორის შემოწმების შესაძლებლობას მოგვცემდა. ამასთან თვითონ კითხვარებს შიგნითაც იყო ისეთი კითხვები, რომელნიც ცდისპირთა პასუხებისადმი კონტროლის გაწევის შესაძლებლობას იძლეოდა. თი-



თოვულ კითხვარში მოცემული იყო ოთხ-ოთხი კითხვა, რომელნიც პრესტიჟს ეხებოდა. ამ კითხვებთან დამოკიდებულებაში (იმ საერთო სიტუაციაში, რომელსაც მთელი კითხვარი ქმნიდა) უნდა გამოემყდნებულყო ცდისპირთა პრესტიჟის მოთხოვნების განვითარების დონე და ადგილი სხვა მოთხოვნებთანა შორის. აქვე მოგვყავს ეს კითხვარები.

I კითხვარი: თქვენი აზრით, რა უფრო შეაწუხებდა თქვენს თანაკლასელებს?

1. ავტოაგარიაში მოხვედრის შედეგად ფეხის მოტეხა;
2. გაჭურდვის გზით პირადი და ოჯახის წევრების ტანსაცმლის დაკარგვა;
3. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ აბუჩად ავადება;
4. მოსკოვსა, ლენინგრადსა და კიევში ტურისტული მოგზაურობის საგზურის დაკარგვა;
5. ავად გახდომა ტიფით;
6. ყოფაქცევაში ნიშნის დაწვევა და სკოლის საერთო კრების მიერ გაკიცხვა;

7. რაიმე შემთხვევის გამო ამხანაგებში ავტორიტეტისა და ნდობის დაკარგვა;

8. მოძღვენო კლასში გადასაყვან გამოცდებზე გამოუცხადებლობა და იმავე კლასში დატოვება საპატიო მიზეზის გამო;

9. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩევნებში გაწევა ამხანაგებისა და ნაცნობების მიერ;

10 უფროსების — მშობლებისა და მასწავლებლების მუდმივი და მკაცრი კონტროლის ქვეშ ყოფნა.

II კითხვარი: თქვენი აზრით, რა უფრო გაახარებდა თქვენს თანაკლასელებს?

1. ლატარიაში ფოტოაპარატის „კიევი“-ს მოგება;
2. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ დიდი ნდობის გამოცხადება ძალიან საპასუხისმგებლო საქმესთან დაკავშირებით;
3. ფეხბურთის ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების თამაშზე დასწრება;

4. განათლების სამინისტროდან ქების სიგელის მიღება;

5. მშობლების ხარჯზე ტურისტული მარშრუტით მოსკოვი-ლენინგრადი-კიევი მოგზაურობა 15 დღით;

6. სკოლის მიერ მოსკოვში ტურისტული მოგზაურობის 10-დღიანი საგზურით დაჯილდოება;

7. მშობლებისგან საუკეთესო ტანსაცმლის შექმნისათვის საჭირო თანხის მიღება;

8. სკოლის საერთო კრების მიერ მაღალი შეფასება რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით;

9. მსოფლიოს სახელგანთქმულ მსახიობებთან შეხვედრა;

10. რაიმე შემთხვევის გამო საზოგადოებაში დიდი სახელისა და ავტორიტეტის მოპოვება.

კითხვები, როგორც ვხედავთ, დაყენებული იყო არა პირდაპირ: ცდისპირს უნდა ეპასუხა არა პირადად მას, არამედ მისი აზრით, მის თანაკლასელებს რა უფრო შეაწუხებდა ან რა უფრო გაახარებდა იმ მოვლენებიდან, რომელთაც კითხვები ეხებოდა. ეს გარემოება დაკითხვის ჩვენს მიერ გამოყენებულ მე-



თოდს აახლოებდა პროექციულ მეთოდებთან: ცდისპირები, მაშინ როცა მათ ეგონათ სხვების შესახებ ლაპარაკობდნენ, თავიანთ პასუხებში, ნამდვილად, დასმულ კითხვებთან თავიანთ პირად დამოკიდებულებას გამოხატავდნენ.

პირველი კითხვარით ტარდებოდა ძირითადი ცდები, მეორე კითხვარის პასუხები კი, გარდა იმისა, რომ მათ თავისთავადი ღირებულებაც ჰქონდა ჩვენი ცდებისთვის, კონტროლს უწევდა პირველ კითხვარზე მიღებულ პასუხებს. პრესტიჟის მოთხოვნილების ობიექტებს შეიცავდა პირველ კითხვარში მე-3, მე-6, მე-7 და მე-9 კითხვები, ხოლო მეორე კითხვარში მე-2, მე-4, მე-8 და მე-10 კითხვები. ეს კითხვები არსებითად ერთსა და იმავე მოვლენას — საზოგადოებრივ პრესტიჟს — ეხებოდნენ, იმ განსხვავებით, რომ ის, რაც ერთში დადებითად იყო წარმოდგენილი მეორეში უარყოფით ფორმაში იყო მოცემული. ამიტომ ჩვენი ცდებისადმი ცდისპირის სერიოზული დამოკიდებულება და მისი პასუხების სანდოობა, რამდენიმედ მაინც, შეიძლება შეგვემოწმებინა იმის მიხედვით იძლეოდა თუ არა იგი ამ ორი კითხვარის შესატყვის კითხვებზე ერთხაირ პასუხებს: ცდისპირს, რომელიც, მაგ., პირველი კითხვარის მე-7 კითხვარში მოცემულ მოვლენას ისეთ რაიმედ ჩათვლიდა, რასაც მისი თანაკლასელიათვის ყველაზე მეტი მწუხარების მოტანა შეეძლო, თუ იგი ჩვენს ცდებში მართლა არსებითად იყო ჩართული, მეორე კითხვარის მე-2 კითხვარში მოცემული მოვლენაც ისეთ მოვლენად უნდა მიეჩნია, რომელსაც მისი თანაკლასელებისათვის დიდი სიხარულის მოტანა შეეძლო.

ერთი და იგივე კითხვარის კითხვებიც უწევდნენ ერთმანეთს ასეთ კონტროლს: მაგალითად, პირველი კითხვარის მე-3 და მე-7 კითხვებზე თუ თვალსაჩინოდ განსხვავებულ პასუხებს იძლეოდა ცდისპირი — ერთ მათგანს, ვთქვათ, პირველ ადგილზე ათავსებდა, ხოლო მეორეს — მე-9-ზე ან მე-10-ზე — ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი ცდებში სერიოზულად არ იყო ჩართული.

ცდები ტარდებოდა ერთდროულად 10-12 ცდისპირთან, რომელნიც ისხდნენ საკლასო ოთახში ერთმანეთისგან დაშორებულ მერხზე. ცდისპირებს, იმისთვის, რომ მათი ცნობისმოყვარეობაც დაგვეკმაყოფილებინა და მათში ცდებისთვის საჭირო განწყობილებაც გამოგვეწვია, ვეუბნებოდით: ჩვენ ვართ სამეცნიერო დაწესებულებიდან, რომელსაც აინტერესებს საკითხი, თუ რამდენად იცნობენ მოსწავლე ახალგაზრდები ერთმანეთის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ამის გამოკვლევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის აღზრდის საქმისთვის; ცდების წარმატება მთლიანად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სერიოზულად მოეკიდებით თქვენ მას.

ამის შემდეგ ყოველი ცდისპირის წინ ვდებდით თითო ფურცელ ქალაღს, ფახქარს და კითხვარს და ვთხოვდით ცდისპირებს კითხვარი გულდასმით წაეკითხათ და შეესწავლათ დამოუკიდებლად, სხვა ცდისპირებთან რაიმე კონტაქტის დამყარების ცდების გარეშე. თუ რომელიმე ცდისპირისთვის რაიმე გაურკვეველი აღმოჩნდებოდა ვაძლევდით განმარტებას. ბოლოს ჩვენ მაინც ვახასიათებდით კითხვებში მოცემულ მოვლენებს, მოცემული კლასის მოსწავლეთათვის ადვილად მისაწვდომ ფორმაში. უფრო სანდო მასალის მოპოვების მიზნით, რამდენიმედ მაინც, უფრო მეტად ვუსვამდით ხაზს იმ კითხვებში მოცემული მოვლენების მნიშვნელობას, რომელნიც პრესტიჟთან არ იყო დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდებოდით, რომ ყველა კითხვის აზრი ვასაგებია ყველა ცდისპირისთვის, ცდისპირებს ვაძლევდით ინსტრუქციას. ინსტრუქციის მიხედვით ცდისპირს ქალაღის პირველ სტრიქონზე უნდა დაეწერა



სკოლისა და კლასის ნომრები და „ქალი“ ან „ვაჟი“, იმის მიხედვით, თუ ვინ იძლეოდა პასუხს კითხვებზე (პასუხის გაცემა ხდებოდა ანონიმურად, თუ თვითონ ცდისპირი არ მოისურვებდა თავისთვის გამხელას) და ქალადის მარცხენა მხარეზე ზევიდან ქვევით — ვერტიკალურად თანმიმდევრობით უნდა ჩამოეწერა სიტყვები 1-დან 10-მდე. ამის შემდეგ მას მიწოდებულ კითხვარს ხელახლა უნდა გადაეკითხა გულდასმით და ამოერჩია ის კითხვა, რომელშიაც წარმოდგენილი მოვლენა, მისი აზრით, მის თანაკლასელებს კითხვარში დასახელებულ ყველა სხვა მოვლენაზე უფრო მეტად შეაწუხებდა (მეორე კითხვარის შემთხვევაში გაახარებდა). ამორჩეული მოვლენის რიგითი ნომერი ცდისპირს უხდა დაეწერა 1-ის გასწვრივ, რაც იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მისი აზრით, ამ ნომრით აღნიშნულ კითხვარში წარმოდგენილი მოვლენა ყველაზე შემაწუხებელი (სასიხარულო) იქნებოდა მისი თანაკლასელებისათვის. შემდეგ ცდისპირს დარჩენილი ცხრა პუნქტი უნდა წაეკითხა ყურადღებით და მათგან უნდა შეერჩია ყველაზე შემაწუხებელი (სასიხარულო) მოვლენა და მისი ნომერი დაეწერა 2-ის გასწვრივ. ასე უნდა ემოქმედა ცდისპირს მანამ, სანამ იგი კითხვარებში მოცემული მოვლენების პიროვნულ ღირებულებებს, უარყოფითს (პირველი კითხვარი) და დადებითს (მეორე კითხვარი) არ დალაგებდა დაღმავალი ხარისხის მიხედვით. ვვარაუდობდით, რომ ცდისპირები 1-ის, 2-ისა და 3-ის გასწვრივ შოთავსებდნენ იმ მოვლენების ნომრებს, რომლებსაც ყველაზე უფრო მეტად შემაწუხებდა (სასიხარულოდ) მიიჩნევდნენ, ხოლო მე-8, მე-9 და მე-10 ადგილებზე იმ მოვლენების ნომრებს დასვამდნენ, რომელთაც სხვებზე ნაკლებ მნიშვნელობას მისცემდნენ.

ცდისპირს ევალეზოდა ეჩვენებინა ის მოტივი, რომელსაც იგი პირველის შერჩევის დროს ემყარებოდა: მას უნდა დაეწერა, რატომ ჩათვალა მან პირველ ადგილზე შოთავსებული მოვლენა ყველა სხვა მოვლენაზე უფრო შემაწუხებლად (სასიხარულოდ). ბოლოს ცდისპირებს ვავალეზდით ხელახლა წაეკითხათ გულდასმით მთელი კითხვარი და იქიდან ამოერჩიათ სამი მოვლენა, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე შემაწუხებელი (სასიხარულო) იყო და მათი ნომრები დაეწერათ ერთ ხაზზე, ხოლო მეორე ხაზზე დაეწერათ იმ სამი პუნქტის ნომრები, რომლებშიაც წარმოდგენილი მოვლენები მათ ყველაზე ნაკლებად შემაწუხებლად (სასიხარულოდ) მიაჩნდათ. ცდისპირთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეს დავალება სრულიად ახალი აღმოჩნდა: მათ შეუძინველი დარჩათ ის გარემოება რომ ეს დავალება მათ, უკვე შესრულებული ჰქონდათ კითხვარებში მოცემული მოვლენების დახარისხების დროს. ამ ცდისპირებმა ისევე თავიდან დაიწყო კითხვარში მოცემული მოვლენების ღირებულებათა აწონ-დაწონვა და ურთიერთშედარება, იმისთვის, რომ მათ ეს დავალება შეესრულებინათ. ცდისპირთა შედარებით მცირე ნაწილმა კი ეს დავალება დააკავშირა პირველ დავალებასთან და პირდაპირ გადმოწერა იმ მოვლენების ნომრები, რომელნიც მათ იქ 1, 2, 3 და 8, 9 და 10 რიცხვებით აღნიშნულ ადგილებზე ეწერათ.

საინტერესო აღმოჩნდა პირველი ჯგუფის ცდისპირების შედეგები. მათმა დიდმა ნაწილმა პირველ სამეულში დაასახელა ის მოვლენები, რომელნიც კითხვარში მოცემულ მოვლენათა დახარისხების დროს პირველ სამ ადგილზე მოათავსა, მაგრამ უფრო ხშირად შეცვლილი თანმიმდევრობით; ის რაც იქ, მაგალითად, პირველ ადგილზე ეწერა, აქ მეორე ან მესამე ადგილზე მოათავსა. უკანასკნელი სამეულის დასახელების დროსაც ასეთივე მოვლენას ჰქონდა ადგილი. რამდენიმე ცდისპირმა პირველ და უკანასკნელ სამეულებში ახალი მოვლე-



ხები შემოიტანეს, მაგრამ იმავე კატეგორიის რომელიც შესცვალეს. ცდისპირთა ეს შონაცემები უფრო დამაჯერებელს ხდიდა ჩვენი ცდების შედეგებს. იყო ისეთი ცდისპირებიც, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, რომელთაც პირველ და უკანასკნელ სამეულში მოათავსეს პირველი დახარისხებიდან არსებითად განსხვავებული მოვლენები: ის რაც, მაგალითად, პირველი დახარისხების დროს პირველ ან მეორე ადგილზე მოათავსეს, ამ დავალების შესრულების დროს უკანასკნელ სამეულში მოაქციეს. ეს ჩვენ იმის მაჩვენებლად ჩავთვალეთ, რომ ამ ცდისპირებმა, ან ინსტრუქცია ვერ გაიგეს, ან კიდევ ისინი არასერიოზულად მოეკიდნენ ჩვენს ცდებს. ამიტომ ამ ცდისპირების შონაცემებით არ გვისარგებლია.

სანამ ცდების შედეგების განხილვას შევეუდგებოდეთ საჭიროა გავარკვიოთ საკითხი: ზემოთ აღწერილი მეთოდის საშუალებით საზოგადოებრივი პრესტიჟის ღირებულების ცნობიერებას ვიკვლევთ თუ საზოგადოებრივი პრესტიჟის მოთხოვნილებას? ეს ორი მოვლენა, მიუხედავად იმისა რომ, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არის შემთხვევები, როცა ინდივიდში პირველი მაღალ დონეზეა წარმოდგენილი, მაშინ, როცა მეორე ამ ინდივიდის სხვა მოთხოვნილებათა შორის საკმაოდ უძლეურად გამოიყურება. ეს უკანასკნელი იმას ნიშნავს, რომ პიროვნებამ იცის რა საზოგადოებრივი ღირებულება აქვს პრესტიჟს, მაგრამ თვითონ მას ამ ღირებულების მოთხოვნილება (პრესტიჟის მოთხოვნილება) ნაკლებად აქვს განვითარებული. ასე სხვა მოთხოვნილების შემთხვევაშიაც ხდება. ადამიანს შეიძლება, მაგალითად, სრულყოფილად ჰქონდეს გაცნობიერებული მორალური ქცევის საზოგადოებრივი ღირებულება, მაშინ როცა მორალური ქცევის მოთხოვნილება მასში უაღრესად დაქვეითებული იყოს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამორალური ქცევის სუბიექტი, ჩვეულებრივ, ცდილობს მორალური ნიღაბი ჩამოიფაროს და ისე იმოქმედოს, რომ საზოგადოების თვალში პატიოსან კაცად დარჩეს. სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, თამბაქოს წვევის ღირებულების ცნობიერება და თამბაქოს წვევის მოთხოვნილება წმირად, ისე არსებითად სცილდებიან ერთმანეთს რომ, ერთსა და იმავე ინდივიდში, ერთი მთგანი დადებითი ნიშნით გამოიხატება, ხოლო მეორე — უარყოფითი ნიშნით.

ერთი სიტყვით, მოთხოვნილება ყოველთვის არ ვითარდება მისი შესატყვისი ქცევის ღირებულების ცნობიერების შესაბამისად. საზოგადოებრივი აღზრდის პირობებში გარკვეული კატეგორიის ქცევის უარყოფითი თუ დადებითი ღირებულების ცნობიერება უფრო ადრე იღებს სრულყოფილ სახეს, ვიდრე ის მოთხოვნილება, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ კატეგორიის ქცევას ედება საფუძვლად.

ზემოაღნიშნული გარემოების გამო ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ცდები ცდისპირთა პრესტიჟის ღირებულების ცნობიერების დონეს ასახავს და არა პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარების დონეს?

პრესტიჟის კვლევის ექსპერიმენტები სრულიად სანდო იქნებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ცდისპირის ისეთ სიტუაციაში შეყვანა, სადაც მის წინაშე მართლა დადგებოდა საცხოვრებო აუცილებლობა მოეხდინა არჩევანი რამდენიმე ისეთ უბედურებათა შორის, როგორც, მაგალითად, ტიფით დაავადება და სახელისა და ავტორიტეტის დაკარგვა; ან კიდევ რამდენიმე ისეთ ბედნიერებას შორის, როგორც მაგალითად შორეული ტურისტული მოგზაურობის საგზურის მიღება და დიდი სახელისა და ავტორიტეტის მოპოვება. ცხოვრებამ



იცის ასეთი „ექსპერიმენტები“. ალბათ ყველასთვის ცნობილია შემთხვევა, როცა 15-16 წლის მოზარდს, იმის გამო რომ მშობელმა ან მასწავლებელმა მის მიმართ ზომიერება დაჰკარგა და მისს პრესტიჟს ტლანქად შეეხო და მისი ავტორიტეტი საჯაროდ შელახა, ოჯახისა და სკოლის შიტოვება უცდია, ან კიდევ სიცოცხლეზე ხელის აღება განუზრახავს, რაც ზოგჯერ, სისრულეშიაც კი მოუყვანია. შეცხიერება, რა თქმა უნდა, ასეთი გზით ვერ წავა; მას ასეთი გზით სიარულის არც მორალური უფლება აქვს და არც რეალური შესაძლებლობა. ცხოვრებისეული ფაქტების იშვიათობა და შემთხვევითობა შესაძლებლობას არ გვაძლევს მათგან მეცნიერული დასკვნებისა და განზოგადოებებისთვის საჭირო მასალა ავიღოთ საკმაო რაოდენობით.

აღნიშნული გარემოების გამო ჩვენ შევეცადეთ ცდისპირები, ჩვენ მიერ გამოყენებულ კითხვარებისა და ინსტრუქციების გზით შეგვეყვანა წარმოსახულ სიტუაციაში, რომელიც მასში ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნილებას აღწრავდა და ცდისპირებისგან ისეთი ქცევის აქტების განხორციელებას მოითხოვდა, რომელიც ამ მოთხოვნილებების დახარისხებისა და ერთმანეთთან მიმართებაში გაზომვის შესაძლებლობას მოგვცემდა.

ცდების მიმდინარეობაში ცდისპირთა ქცევაზე დაკვირვება საკმაოდ გარწმუნებდა იმაში, რომ ისინი, ძირითადად მიწოდებული მოვლენების უარყოფითი თუ დადებითი ღირებულების მიხედვით დახარისხების დროს მოთხოვნილებებიდან გამოდიოდნენ და არა ცნობიერებიდან — უფროსების მიერ მიწოდებულ და უბრალოდ დასწავლილ (გაზეპირებულ) შეხედულებებიდან. ამასვე ადასტურებს იმ მოტივების ანალიზიც, რომლებზედაც ცდისპირები თავიანთ არჩევნებს აფუძნებდნენ და კითხვარში წარმოდგენილ სამწუხარო თუ სასიხარულო მოვლენების ღირებულებათა შკალაზე განლაგებას ახდენდნენ.

მესამე-მეოთხე კლასების მოსწავლეებს უძნელებოდათ დამოუკიდებლად (დახმარების გარეშე) თავიანთი მოქმედების მოტივების მთლიანი ფსიქიკური ძღვრეობიდან გამოცალკეება და მსჯელობის ფორმაში გამოხატვა. ისინი იმთ „შესახებ, რასაც პირველ ადგილზე ათავსებდნენ, წერდნენ: ეს „ყველაზე უფრო შემაწუხებელია“, „ყველაზე უფრო ცუდია“, „ყველაზე უფრო საშიშია“ (პირველი კითხვარით მუშაობის დროს) ან კიდევ „ყველაზე მეტად სასიხარულოა“, „ყველაზე კარგია“ (მეორე კითხვარის შემთხვევაში). რატომაც ყველაზე მეტად შემაწუხებელი ან სასიხარულო ის, რასაც ისინი ასეთ კვალიფიკაციას უკეთებდნენ, ამის შესახებ თითქმის არაფერს ამბობდნენ. მეოთხეკლასელ ცდისპირთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იძლეოდა ამ კითხვაზე მართალია ელემენტარულს, მაგრამ მაინც გარკვეულ პასუხს. ასეთივე აღმოჩნდა მეხუთეკლასელ ცდისპირთა დაახლოებით ერთი მესამედის პასუხები. ამ კლასელთა მეტი ნაწილი მოტივების შედარებით უფრო ღრმა ანალიზს იძლეოდნენ.

ხათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმაზე, თუ რა თავისებურების მოვლესათა რაოდენობრივ მხარეს ასახავს ქვემოთ მოტანილ ცხრილებში წარმოდგენილი აიტცხობრივი მაჩვენებლები, საჭიროა ცდისპირთა მიერ მოცემულ მოტივაციის რამდენიმე შემთხვევას მაინც გავეცნოთ.

III-კლასელი ვაჟი: — ტიფი იმიტომ დავწერე პირველად, რომ იგი ცუდი ავადმყოფობაა და ძალიან შემაწუხებელია“.

IV-კლასელი ვაჟი: „ავტოავარიაში მოხვედრა იმიტომ დავწერე პირველად რომ იგი ყველაფერზე უფრო საშიში და შემაწუხებელია. მერე მოტეხილი ფეხი



შეიძლება არ მოვიჩინო და მთელ ცხოვრებაში ცალფეხა უნდა იარო და დიტანჯო“.

V-კლასელი ვაჟი: „ავტორიტეტის დაკარგვა და აბუჩად აგდება მიმანჩია უფრო სამწუხაროდ, ვიდრე ტიფით დაავადება ან ფეხის მოტეხა. ყველა რომ აბუჩად ავიგდებს და არავინ არაფრად ჩაგაგდებს მერე ვისთან უნდა იმეგობრო და იყო ახლოს. კლასში დარჩენაც ცუდია მაგრამ, თუ ეს საპატიო მიზეზით მოხდა, მაშინ აღარავის აღარ გრცხვენია და არც ამხანაგებთან გრძნობ თავს დამცირებულად“.

VI-კლასელი გოგონა: „ჩემი აზრით, ყველაზე ცუდია ავტოავარიაში მოხვედრა, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ავტოავარიაში მოხვედრა ადამიანს ძალიან შეაშინებს, და მერეც ფეხი თუ დაკარგა, მას ვეღარ დაიბრუნებს. ცალფეხა ქაღალდის ცხოვრებაზე უარესი არაფერი არაა. მე მყავს ერთი ასეთი შორეული ხათესავი. პირველად რომ ვნახე იგი, ისე შემეცოდა, რომ ჩუმად მთელი დამევიტირე და ვეღარ დავიძინე“.

VI-კლასელი გოგონა: „ჩემი აზრით, ჩემი თანაკლასელებისათვის ყველაზე მძიმე იქნება ხლობისა და ავტორიტეტის დაკარგვა და მოწაფეებისა და მასწავლებლების მიერ აბუჩად აგდება. ტიფით ავადმყოფობა მძიმეა, მაგრამ ამ ავადმყოფობით ახლა არავინ კვდება. ავადმყოფობის დროს გაჭირვებას როგორმე აიტანს კაცი. ფეხის მოტეხა ტიფზე უფრო სამწუხაროა, რადგან მუდამ ხეიბარი უნდა დარჩე. მაგრამ ფეხმოტეხილი ადამიანიც შეიძლება ბედნიერი იყოს, თუ კარგი ავტორიტეტი აქვს და მეგობრების სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. იმ კაცის ცხოვრება კი, ვისაც ნდობა დაკარგული აქვს და ყველა დასცილის და აბუჩად იგდებს, საერთოდ არ ღირს. ასეთი კაცი რომ უნდა გაახაროს. მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს“.

VII-კლასელი ვაჟი: „ხლობისა და ავტორიტეტის დაკარგვაზე და უფროსებისა და ამხანაგების მიერ აბუჩად აგდებაზე უფრო მწარე არაფერი არაა. ამ უბედურებას ვერც ტიფით დაავადება შეეძლება და ვერც ფეხის მოტეხა. კოჭლი კაცი, ცალი ფეხი სულაც რომ არ ჰქონდეს, თუ მას ამხანაგებში დიდი ავტორიტეტი და ნდობა აქვს, ათასჯერ უფრო ბედნიერია, ვიდრე ისეთი ჯანმრთელი კაცი, რომელსაც ყველაზე აბუჩად იგდებენ და დასცილიან. ღმერთო მიხსენი ასეთი უბედურებისაგან!“

VIII-კლასელი გოგონა: „აქ წარმოდგენილი შემთხვევებიდან მე ცხოვრებაში არც ერთი არ შემხვედრია, მაგრამ ახლა ყველაში წარმოვიდგინე ჩემი თავი და ყველაზე უფრო მძიმედ ავტორიტეტის დაკარგვა და აბუჩად აგდება შეჩვენება; ავადმყოფობას მედიცინა შეეღობა, დაკარგულ ავტორიტეტს კი ვერაფერი უშველის. მის აბუჩად აგდებაც თუ დაემატა მთლად განადგურდება ადამიანი და ისაა“.

VI-კლასელი ვაჟი: „მე ძალიან მიყვარს ფეხბურთი. არ არსებობს სპორტა ფეხბურთზე უფრო ვაჟკაცური, რაინდული, სასიხარულო და ამაღლებელი. ზიხარ სტადიონის ხმაურში და შენი ხმაც ერთვის აღტაცებული თუ გულნატკენი გულშემატკივრების ხმებს. ინგლისის გუნდი ჩემი უსაყვარლესი გუნდია, ხოლო ბრაზილიის კი — ჩემი კერპი. ჩემი თანაკლასელი ვაჟებიც ასე უყურებენ ამ გუნდებს. ამიტომ, ჩემი აზრით, ისე როგორც მე, ჩემს თანაკლასელ ვაჟებსაც ყველაზე მეტად ამ გუნდების თამაშზე დასწრება გაახარებდა. ქალები ალბათ სხვა რამეს არჩევდნენ“.



მოტივაციის აქ მოტანილი ნიმუშები წარმოადგენენ ტიპურ შემთხვევებს: ცდისპირთა მეტი ხაწილი თავიანთ მოქმედებას ამ სახის მოტივებით ხსნიან. ცდისპირთა ძირითადი მასა ყველაზე დიდი უარყოფითი ღირებულების მოვლენებზეა: თვლის: ნდობისა და ავტორიტეტის დაკარგვას, აბუჩად ავლებას, ტიფით დაავადებასა და ავარიასში მოხვედრასა და ფეხის მოტეხას. ჩვენი ცდისპირები სხვა მოვლენებს (დასაბუღებული ათი შემთხვევიდან) ამითან შედარებით ნაკლებ უბედურებად მიიჩნევენ, მესამე-მეოთხე კლასელებში უპირატესად ტიფით დაავადება და ფეხის მოტეხა არის მიჩნეული სხვებზე უფრო სამწუხარო მოვლენად, მაშინ, როცა მეხუთე კლასიდან პირველ ნომერ უბედურებად, უფრო ხშირად, ავტორიტეტის დაკარგვა და აბუჩად ავდება გამოდის. კითხვარში აბუჩად ავდება მესამე ადგილზე წერია, ხოლო ავტორიტეტისა და ნდობის დაკარგვა — მეშვიდეზე. მიუხედავად ამისა V, VI, VII, VIII კლასების ცდისპირთა მხიშველოვანი ხაწილი ორივეში ერთი და იგივე კატეგორიის მოვლენას ზედებს და მოტივირების დროს მათ ერთად იღებს და ერთად უპირისპირებს სხვა უარყოფითი ღირებულების მოვლენებს.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში წარმოდგენილია ყოველი კლასიდან (III-და VIII-მდე ჩათვლით) 50 ცდისპირის მონაცემი, ე. ი. სულ 300 ცდისპირის მონაცემი. გოგონებისა და ვაჟების მონაცემები ცალ-ცალკე იქნა დამუშავებული. მაგრამ ძირითად ცხრილებში ისინი, საერთო ასაკობრივი კანონზომიერების გათვალისწინების მიზნით, შეჯამებული სახით არიან წარმოდგენილი.

პირველ და მეორე ცხრილებში შეჯამებულია პირველ კითხვარში მოცემული მოვლენების ღირებულებათა დახარისხების შედეგები. პირველ ცხრილში კითხვარში 3, 6, 7 და 9 რიცხვებით აღნიშნული მოვლენების I, II და III ადგილებზე განლაგების შემთხვევებია წარმოდგენილი, ხოლო მეორე ცხრილში კითხვარში 1, 2, 5 და 8 რიცხვებით აღნიშნული მოვლენების იმავე I, II და III ადგილებზე მოთავსების შემთხვევებია გათვალისწინებული. როგორც ინსტრუქციიდან ვიცით, ცდისპირები ამ ადგილებზე კითხვარში მოცემული ათი მოვლენიდან იმ მოვლენებს ათავსებდნენ, რომელთაც ისინი ყველა დანარჩენებზე უფრო შემაწუხებლად (პირველი კითხვარი) ან სასიხარულოდ (მეორე კითხვარი) თვლიდნენ.

პირველ კითხვარში მე-4 და მე-10 ადგილებზე მოთავსებულ მოვლენებს ცდისპირები, განურჩევლად იმისა, თუ რომელი კლასელები იყვნენ ისინი, პირველ სამ ადგილზე იმდენად იშვიათად ასახელებდნენ, რომ მათთან დასახელებული პასუხები ცხრილში აღარ შეგვიტანია.

ცდებში ყოველი კლასიდან 50 ცდისპირი მონაწილეობდა. ამიტომ ყოველი კლასი პირველ სამ ადგილზე დასახელების 150 შემთხვევას იძლეოდა. 1-ლი და მე-2 ცხრილების უკანასკნელ ჰორიზონტალურ მწკრივში მოცემული რიცხვებისა და მათი პროცენტული მნიშვნელობების ერთმანეთთან შედარება, შესატყვისი კლასების მიხედვით, გვიჩვენებს თუ რა ადგილს იჭერს პრესტიჟის მოთხოვნილება მოცემული კლასის მოსწავლეთა იმ მოთხოვნილებებს შორის, რომლებიც პირველ კითხვარში ჩამოთვლილ მოვლენებთან არიან დაკავშირებულნი. შესაძლებელია კლასელები ცდისპირები პრესტიჟის მოთხოვნილებასთან დაკავშირებული მოვლენების პირველ სამ ადგილზე დასახელების 32 შემთხვევას (21,3%) იძლევიან 150 შესაძლებლობიდან, მაშინ, როცა იმავე რაოდენობის შესაძლებლობიდან, იმავე ადგილებზე პირველ კითხვარში ჩამოთვლილ სხვა მოთხოვნილებათა ობიექტებს 118-ჯერ (78,7%) ასახელებენ. კითხვარში მე-4 და მე-10 ად-

პირველ სამ რიგში ასახელებს პრესტიჟის მოთხოვნილებასთან უარყოფითად დაკავშირებულ მოვლენებს

ცხრილი 1

დასახელებს რიგი	III კლასი				IV კლასი				V კლასი				VI კლასი				VII კლასი				VIII კლასი			
	3	6	7	9	3	6	7	9	3	6	7	9	3	6	7	9	3	6	7	9	3	6	7	9
1	—	2	1	—	—	3	1	—	5	5	7	2	8	6	12	1	6	7	26	1	12	8	16	3
2	2	8	3	—	2	6	2	—	4	8	5	2	11	9	10	4	8	4	6	4	9	10	12	5
3	4	8	4	—	5	11	6	2	6	8	9	5	3	13	6	7	10	7	10	1	8	14	13	6
საერთო წამი	6	18	8	—	7	20	9	2	15	21	21	9	22	28	28	12	24	28	36	6	29	32	41	14
	32—21,3%				38—25,3%				66—44%				90—60%				94—62,7%				116—77,3%			

3. მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ აბუხალ აგდება

6. ყოფაქცევაში ნიშნის დაწვევა და სკოლის საერთო კრების მიერ გავრცევა

7. რაიმე შემთხვევის გამო მასწავლებლებსა და ამბიანებში ავტორიტეტისა და ნდობის დაკარგვა.

9. სპასუქისმგებლო თანამდებობაზე არჩევნებში გაწევა ამაზნაგებისა და ნაცნობების მიერ.

ცხრილი 2

პირველ სამ რიგში ასახელებს სხვა მოთხოვნილებებთან უარყოფითად დაკავშირებულ მოვლენებს

დასახელებს რიგი	III კლასი				IV კლასი				V კლასი				VI კლასი				VII კლასი				VIII კლასი			
	1	2	5	8	1	2	5	8	1	2	5	8	1	2	5	8	1	2	5	8	1	2	5	8
1	16	7	22	1	19	5	20	2	12	3	13	3	9	1	10	3	6	2	5	3	2	1	5	3
2	12	8	14	—	12	6	18	1	8	7	8	5	5	1	7	3	7	1	9	1	4	3	4	3
3	14	9	8	3	10	6	4	3	5	3	7	4	6	3	5	4	8	3	5	6	1	2	2	4
საერთო წამი	42	24	44	4	41	17	42	6	25	13	28	12	20	5	22	10	21	6	19	10	7	6	11	10
	114—76%				106—70,7%				78—52%				57—38%				56—37,3%				34—22,7%			

1. ავტორიარიაში მოხვედრა და ფების შიტება.

2. გქურდვის შედეგად პირადი და ოჯახის წევრების ტანსაცმლის დაკარგვა.

5. ავად გაზღობა ტიფით.

4. მომდევნო კლასში გადასაყვან გამოცდებზე არაღამაკმაყოფილებელი ნიშნების მიღება და იმავე კლასში დეტყევა საპატიო მიზეზის გამო.

ვილებზე მოცემული მოვლენების პირველ სამ ადგილზე დასახელების სულ 4 შემთხვევა (2,7%) იყო. ეს შემთხვევები 2 ცხრილში არაა შეტანილი. ამიტომაც რომ იქ III კლასის საერთო მაჩვენებელში 118-ის (8,7%-ის) ნაცვალს 114 (76%) წერია. ამის გამოა, რომ ორივე ცხრილის შესატყვისი კლასების საერთო მაჩვენებლების ჯამი ყველა შემთხვევაში 150-ზე ცოტა ნაკლებია.

პირველი ცხრილის უკანასკნელ ჰორიზონტალურ ხაზზე მოცემული მაჩვენებლები, როგორც აბსოლუტური რიცხვებში ისე პროცენტებში, გვიჩვენებს, როგორ იზრდება ასაკობრივად პრესტიჟის მოთხოვნილება, იმ მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელთა ასაკობრივი ცვალებადობის შედარებითი მაჩვენებლები მეორე ცხრილის უკანასკნელ ჰორიზონტალურ მწკრივშია განლაგებული.

როგორც ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, II-IV კლასების მანძილზე პრესტიჟის მოთხოვნილების ზრდის ტემპი დაბალია — მთელი წლის მანძილზე ნამატი სულ რაღაც 4%-ს უდრის. იმ ასაკის საზღვრებში, რომელსაც ჩვენი ექსპერიმენტები შოიციფს, ამ მიმართულებით ყველაზე თვალსაჩინო გარდატეხას აქვს ადგილი IV-V კლასების მანძილზე — აქ ერთი წლის ნამატი 18,7%-ს შეადგენს. ზრდის ტემპი შემდეგშია დაბალია, მაგრამ იგი ასე დიდ რიცხვში არ გამოიხატება. შეხუთე კლასელები, იმ დროს როცა ჩვენ მათზე ცდებს ვატარებდით, მე-12 წელში იყვნენ გადასულნი და, მასადაამე, შესულნი იყვნენ გარდამავალ ასაკში. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარებაში მონაწილე გარდატეხა ამ ასაკის დაწყებასთანა დაკავშირებული.

ახლოვითი შედეგები იქნა მიღებული იმ ცდებშიც, რომელიც ჩატარებული იქნა კითხვარით: „თქვენის აზრით, რა უფრო გაახარებდა თქვენს თანაკლასელებს?“ ამ კითხვარშიც ოთხი პუნქტია ისეთი, რომელიც უშუალოდ პრესტიჟის მოთხოვნილებას უკავშირდება. ესენია: 2. მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ დიდი ნდობის გამოცხადება ძალიან საპასუხისმგებლო საქმესთან დაკავშირებით; 4. ქების სიგელის მიღება განათლების სამინისტროდან; 8. სკოლის საერთო კრების მიერ მაღალი შეფასება რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით და 10. რაიმე შემთხვევის გამო საზოგადოებაში დიდი სახელისა და ავტორიტეტის შოპოვება. ეს მოვლენები ცდებში დაპირისპირებული იყო სხვა მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ მოვლენებთან; ესენია: 1. ლატარიაში ფოტოაპარატის „კიევი“-ს მოგება; 3. ფეხბურთის ბრაზილიისა და ინგლისის ხაკრები გუნდების თამაშზე დასწრება; 7. მშობლებისგან საუკეთესო ტანსაცმლის შექმნისთვის საჭირო თანხის მიღება; 9. მსოფლიოს სახელგანთქმულ მსახიობებთან შეხვედრა და ტურისტული მოგზაურობის საგზურის მიღება, რომელიც კითხვარში, სხვადასხვა სახით, მე-5 და მე-6 ადგილებზე ეწერა. ცდისპირების მიერ მე-5 და მე-6 პუნქტების შედარებითი შეფასება ცხრილში არაა ცალკე წარმოდგენილი. მაგრამ ამ შეფასების აბსოლუტური რიცხვს მივიღებთ თუ 150-ს გამოვაკლებთ 3 და 4 ცხრილებში მოცემულ შესატყვისი კლასების საერთო მაჩვენებელთა ჯამს, ისე, როგორც ეს პირველი კითხვარი ჩატარებული ცდების რიცხობრივი მონაცემების განხილვის დროს ვუჩვენეთ. ამ კითხვარით ცდები VII და VIII კლასებში არ ჩაგვიტარებია. ამიტომ აქ მხოლოდ III, IV, V და VI კლასების ცდისპირთა მონაცემებია წარმოდგენილი. როგორც ვხე-

* ცდები ჩატარებული იქნა ოქტომბრის თვეში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები წინა კლასიდან ორი თვის გადმოსულნიც არ იყვნენ იმ კლასში, რომლის რუბრიკის ქვეშაც მათი მონაცემებია მოცემული.

დავთ, ეს მონაცემები არსებითად არ განსხვავდება იმ მონაცემებისაგან, რომელიც პირველი კითხვარით ჩატარებულ ცდებში იქნა მიღებული: პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარების ასაკობრივი კანონზომიერება და მისი ადგილი შესაძარებლად აღებულ სხვა მოთხოვნილებათა შორის, ორივე შემთხვევაში დაახლოებით ერთნაირი რიცხობრივი მაჩვენებლებითაა გამოხატული. პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარებაში ყველაზე შესამჩნევი ცვლილებები, ამ კითხვარზე მიღებული პასუხების მიხედვითაც მე-4 და მე-5 კლასებს შორის ხდება. აქ ერთი წლის ხამატი 22,6%-ს უდრის, მაშინ, როცა წინა წელზე მხოლოდ 4,6% მოდის.

ცხრილი 3
პირველ სამ რიგში ასატელეს პრესტიჟის მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ მოვლენებს

დასახელების რიგი	III კლასი				IV კლასი				V კლასი				VI კლასი			
	2	4	8	10	2	4	8	10	2	4	8	10	2	4	8	10
1	1	3	2	1	1	5	2	1	9	5	4	8	11	8	4	10
2	4	5	3	2	5	7	4	2	7	7	8	3	9	7	6	8
3	5	6	5	2	4	8	5	2	6	7	5	10	6	9	8	5
საერთო ჯამი	10	14	10	5	10	20	11	5	22	19	17	21	26	24	18	23
	39—26%				46—30,6%				79—52,6%				91—60,6%			

ცხრილი 4
პირველ სამ რიგში ასატელეს სხვა მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ მოვლენებს

დასახელების რიგი	III კლასი				IV კლასი											
	1	3	7	9	1	3	7	9	1	3	7	9	1	3	7	9
1	12	28	1	—	11	19	1	1	1	9	—	2	1	6	—	1
2	15	8	3	9	10	9	2	5	2	3	—	5	3	1	—	2
3	11	5	7	3	9	6	4	—	1	2	2	4	3	1	—	4
საერთო ჯამი	38	41	11	12	30	34	7	6	4	14	2	11	7	8	—	7
	102—68%				77—51,3%				31—20,6%				22—14,6%			

ვაყებისა და გოგონების მონაცემების ურთიერთშედარება შემდეგ სურათს იძლევა. მესამე კლასში პრესტიჟის მოთხოვნილება ორივე სქესთან დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში ვითარდება. მეოთხე-მეხუთე კლასებში გოგონები უსწრებენ ოდნავ წინ ვაყებს. მე-6 კლასიდან კი, თითქოს, ვაყებს ენიჭება ამ მხრივ ერთგვარი უპირატესობა; მაგრამ ეს განსხვავება, ჩვენი მონაცე-

შემის მიხედვით, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე დაყრდნობით, რაიმე საბოლოო დასკვნის გაკეთება არ შეიძლება.

საბავიეროდ გოგონებსა და ვაჟებს შორის აშკარა განსხვავება ჩანს სხვაობით. გოგონების მიერ ავტოავარიაში მოხვედრა და ფეხის მოტეხა უფრო ღრმად განიცდება ვიდრე ტიფით ავადმყოფობა. ვაჟებთან კი ეს არ იგრძნობა. გოგონები ყოფაქცევაში ნიშნის დაწვევისა და სკოლის საერთო კრების დიერ გაკიცხვას შედარებით უფრო მწარედ განიცდიან ვიდრე ნდობის და ავტორიტეტის დაკარგვას. ვაჟები კი პირიქით — მეორეს თვლიან შედარებით უფრო ძვირად. გოგონებს განათლების სამინისტროდან სიგელის მიღება უფრო მეტ კმაყოფილებას ანიჭებს, ვიდრე ამხანაგებსა და მასწავლებლებში ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვება, მაშინ, როცა ვაჟები უფრო სასიხარულოდ ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებას თვლიან.

ჩვენს ცდებში განსაკუთრებით იგრძნობა ვაჟების გატაცება ფეხბურთით. 25 III-კლასელი ვაჟიდან, პირველ სამ ადგილზე, 25-ვემ ბრაზილიისა და ინგლისის ფეხბურთის ნაკრებ გუნდების თამაშზე დასწრება ჩათვალა ყველაზე სასიხარულო მოვლენად. აქედან 20-მა იგი პირველ ადგილზე მოათავსა და პირველი ნომერი სასიხარულო მოვლენად აღიარა. III-IV კლასებში რამდენიმე გოგონაც აღმოჩნდა ასე გატაცებული ფეხბურთით. 25 IV-კლასელი ვაჟიდან 18-მა ბრაზილიისა და ინგლისის ფეხბურთის ნაკრები გუნდების თამაშზე დასწრება მოათავსა პირველ სამ ადგილზე, ხოლო მე-6 ადგილს ქვევით იგი არცერთ მათგანს არ ჩაუტანია. მე-5 კლასელებიდან მას 12-მა დაუთმო პირველი სამი ადგილი, მე-6 კლასელებიდან კი — 9-მ. მაგრამ მე-5 და მე-6 კლასელები მას უფრო მეტად მე-2 და მე-3 ადგილებზე ათავსებენ. კლასის ზრდასთან ერთად დიდ ფეხბურთზე დასწრების მოთხოვნილების რიცხობრივი მაჩვენებლის შემცირება, რა თქმა უნდა, ფეხბურთისადმი ინტერესის შემცირებაზე არ მიუთითებს. როგორც ვიცით, ჩვენს ცხრილებში მხოლოდ შედარებითი მაჩვენებლებია მოცემული. ამიტომ შეიძლება ასაკთან ერთად ფეხბურთისადმი ინტერესიც გაიზარდა, მაგრამ მეორე მოთხოვნილებასთან შედარებით, რომლის განვითარებაც უფრო სწრაფად შიდა წინ, ჩვენს ცდებში მას ნაკლები ძალა აღმოაჩნდა. ფეხბურთისადმი ინტერესი გოგონებშიც მოსალოდნელზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რაც იქიდან ჩანს, რომ დიდ ფეხბურთზე დასწრების სიხარულს ისინი სულ უკანასკნელ ადგილებზე არც ისე ხშირად ათავსებენ.

გოგონები უფრო მსოფლიოში სახელგანთქმულ მსახიობებთან შეხვედრით აღმოჩნდნენ გატაცებულნი. მათ ვაჟებზე უფრო მეტი ინტერესი გამოამჟღავნეს ჩაცმულობის (ტახსაცმლის) მიმართაც. ეს უკანასკნელი კითხვარში მოცემულ მოვლენათა დახარისხების დროს გოგონებთან უფრო ცენტრში — 5-ს ახლოს დაჯგუფდა, ვაჟებთან კი მან მეტწილად 5-ს ქვემოთ მოიყარა თავი.

ამგვარად, ჩვენი ცდების საერთო მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: 1. პრესტიჟის მოთხოვნილება, რომელიც უფროსი ბავშვობის ხანაში

ნელი ტემპით ვითარდება და ამ ასაკის სხვა მოთხოვნილებათა შორის შედარებით უმნიშვნელო ადგილს იჭერს გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან დიდი ტემპით იწყებს განვითარებას და ამ ასაკის ბოლოს იგი იქცევა მოზარდის პიროვნების ერთ-ერთ ძირითად და წამყვან მოთხოვნილებად; 2. ამ მოთხოვნილების გახვითარების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა, იმ ასაკის საზღვრებში, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა, ხდება გარდამავალი ასაკის დასაწყის ეტაპზე, რომელიც დაახლოებით დაბადებიდან მე-12 წელზე (ახლანდელი საკლასო ასაკით IV-V კლასელებს შორის) მოდის; 3. პრესტიჟის მოთხოვნილების განვითარების ასეთი კანონზომიერება შესაძლებლობას იძლევა იგი, გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან, გამოყენებულ იქნეს, როგორც ერთი ძირითადი შოტივი, რომელზედაც მოზარდის სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობა დაეფუძნება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)



И. ГЕРСАМИЯ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВОКАЛЬНОГО ИСПОЛНИТЕЛЬСТВА В СВЕТЕ ТЕОРИИ УСТАНОВКИ

В вокально-исполнительской деятельности нередки случаи, когда естественно протекающий процесс исполнительства под действием внутренних или внешних факторов нарушается, что выявляется в качестве задерживающего, тормозящего фактора самого процесса вокального исполнительства. В результате этого нередко идет насмарку чуть ли не вся подготовительная работа, тщательно проделанная певцом. Он останавливается или срывается в самых неожиданных местах. Обычный результат неудачных выступлений (выступлений со срывами) сильная психологическая травма, если певец не преодолевает ее.

Психологическую сущность неудачных выступлений следует искать в особенностях состояния певца. Чтобы глубже разобраться в психологической сущности неудачных выступлений (со срывом) приведем несколько фактов подобных выступлений.

Певца Х. пела партию Виолетты в опере Верди «Травиата» и нота ми-бемоль³ в I действии была ее любимым местом. На одном из спектаклей совершенно случайно Х. неудачно взяла эту ноту и была этим необыкновенно расстроена. На следующем спектакле «Травиаты» певица Х. перед арией нервничала, хотя перед выходом на сцену хорошо взяла означенный звук и, казалось, должна была сохранить уверенность и спокойствие. Однако «срыв» повторился. Вместе с тем, выступление певицы в опере «Риголетто» проходило весьма успешно и та же нота ми-бемоль³ в арии Джильды в конце III действия была вполне удовлетворительна.

Итак, какое-то случайное обстоятельство совпало с неудачным выступлением и нота ми-бемоль³ в «Травиате» стала условным тормозом, в то время как эта же ми-бемоль³ в других операх не вызывала для нее никаких затруднений.

Небезынтересно привести случай из исполнительской практики Б. Джильды.

До дня спектакля молодой начинающий певец Джильда на всех репетициях оперы «Джоконда» свободно брал си-бемоль² и чувствовал себя вполне уверенно. Но на генеральной репетиции он неожиданно смутился и не взял означенную ноту.

На спектакле певец набрал дыхание, чтобы взять си-бемоль² и вместо си-бемоль² взял соль², хотя он брал эти си-бемоль² уже десятки раз в других операх. Последующие два выступления тоже были неудачными.

С точки зрения психологии установки, по нашему мнению, описанные случаи можно объяснить следующим образом.

В результате неудачных выступлений (в данном случае срыва ноты си-бемоль²) в исполнителе вырабатывается специфическое состояние, установка, особенностью которой является то обстоятельство, что она



представляет определенную тенденцию к выполнению определенных действий.

Эта установка ложится в основу совершенно определенных действий, в данном случае ошибочных, приводящих к упомянутым срывам.

Повторные выступления певца, в данном случае со срывом, называются фиксирующими или просто установочными, а сама установка, возникающая в результате повторений, — фиксированной и устойчивой. Фиксированная установка, определив акт исполнения, после этого не прекращает свое существование, не исчезает окончательно. Наоборот, если певец попадает в ту же ситуацию, с теми же намерениями, что и раньше, в нем возобновится прежняя установка, которая возникнет значительно быстрее, чем это нужно было бы для возникновения новой установки в аналогичных условиях. Это дает нам право считать, что так как раз активизированная установка не пропадает, то она сохраняет в себе готовность снова активизироваться, лишь только вступят в силу подходящие для этого условия.

Само собой разумеется, что готовность эта не всегда одинакова. Нужно полагать, что она зависит в значительной мере как от степени прочности установки (которая измеряется числом повторных установочных выступлений у певца; чем чаще повторяются эти выступления, тем прочнее фиксируется установка), так и от самой личности, от «психологического типа» установки. Поэтому протекание установки у различных певцов может быть типологически различным.

Исполнительская деятельность, как и всякая деятельность, может быть легко или трудно переключаема. Однажды возникшая установка может полностью охватить всю личность певца, подчинить ее, препятствовать критической оценке своего поведения.

Певец, попадая в одну и ту же ситуацию, может обнаружить или однородную деятельность, или каждый раз различную (константность, вариабильность). Выработанное у певца отношение к каким-либо конкретным условиям может характеризоваться устойчивостью во времени (стабильность установки).

Деятели искусства, в частности певцы, могут обладать различными типами установок.

Разностью типа установки и объясняется, что отношение исполнителя к неудачным выступлениям может быть самым различным. У одних певцов они могут вызвать навсегда чувство неуверенности, растерянности, беспомощности, печаль, угнетение и подавленное настроение, тогда как у других они вызывают подъем, чувство напряжения и характерное чувство гнева на себя, на свою неумелость, чувство, заставляющее мобилизовать все свои силы, чтобы во что бы то ни стало добиться успеха. Певец, «рассердившись» после неудачного выступления, может иногда достичь результата, который упорно не давался.

Например, Джильи после двух неудачных выступлений в «Джоконде», на третьем спектакле мобилизовал все свои силы и подойдя к концу арии «Небо и море», неожиданно почувствовал прилив смелости и всеми своими ресурсами голоса, всем своим существом взял это злополучное си-бемоль².

Таким образом, можно заключить, что в результате совпадения некоторых неблагоприятных обстоятельств у исполнителя выработалась установка, противоречащая его основной установке, и вызвавшая ее торможение. Однако это торможение явилось условным и благодаря соответствующим усилиям исполнитель смог не преодолеть.



В исполнительской практике певцов особо следует отметить, что обычно на первом этапе исполнительской деятельности певец чувствует себя на сцене скованно и неуверенно. Соответственно этому состоянию голосовой аппарат работает или излишне напряженно или же вяло, недостаточно энергично. Однако в процессе частых выступлений лишнее напряжение постепенно исчезает. Это значит, что певец приспосабливается и начинает владеть собой при публичных выступлениях, и процесс выступления осуществляется с меньшей затратой энергии. А это значит, что процесс исполнения постепенно автоматизируется, и певец начинает выносить на публику проделанную работу. Процесс выработки певцом певческих навыков в основном сводится к тому, что происходит угасание старых, неправильных навыков и начинается формирование новых — естественных и правильных.

Однако и новые естественные навыки могут угаснуть от долгого неупотребления или же растормозиться под влиянием нового раздражителя в условиях трудной нервной работы или после значительного перерыва. Это особенно ярко проявляется во время выступления у тех певцов, которые имели порочные навыки в пении.

Когда певец впервые постигает правильное, удачное действие и дальше в процессе частых выступлений, устраняет ошибки, все лишнее «сопутствующие элементы», и в результате получает завершенное, точно отсеченное действие, это означает следующее: установка, возникающая в первом периоде выступления, является недифференцированной, диффузной, а повторные выступления способствуют ее дифференциации, и фиксация, т. е. установка, дифференцируется и с момента достижения необходимого уровня постепенно закрепляется, превращаясь главным образом в фиксированную установку. Следовательно, когда дифференциация и фиксация установки певческих и исполнительских навыков является уже завершенным фактом, следует чаще выступать перед публикой, благодаря чему установка сохраняет ту силу и степень готовности к легкой актуализации, которая впервые была достигнута тренирующими выступлениями. Вероятно, можно достичь и предела, дальше которого установка не дифференцируется и последующие выступления не ведут к улучшению действия, но эта граница не постоянна; прочность выработанной установки, степень ее фиксированности, обеспечивающая безошибочное и максимально экономное функционирование навыка, сохраняется только определенное время, после чего она начинает снижаться. И вот именно во избежание такого снижения сохранения «готовности к действию» и необходимы частые выступления.

Певец-исполнитель должен сознательно выработать спокойствие и самообладание на сцене. В этом аспекте небезынтересно привести два случая, происшедшие с М. И. Глиной.

В период подготовки «Ивана Сусанина» исполнитель роли Сабинана А. И. Леонов заболел, и Глинка вызвался спеть его партию. Присутствовавшая при этом А. Я. Петрова-Воробьева так рассказывает об этом случае: «На одной из репетиций с оркестром наш тенор Леонов прислал записку, что по нездоровью не может быть на репетиции; Михаил Иванович был тут же, на сцене, и узнав, в чем дело, говорит: «Ну, ничего, я за него спою». Начали репетировать, а Глинка похаживает по сцене, да руки потирает; наконец, наступает выход Сабинана. Глинка очень храбро подходит к рампе, и открывает рот, чтобы пропеть первую фразу «Радость безмерная», но произнеся слог ра..., остановился, ор-



кестр тоже замолчал; все смотрят на него с недоумением. Мы говорим ему: «Михаил Иванович, что же вы? Продолжайте!»

А он сконфуженно отвечает: «Не могу, оробел».

Все мы стали его успокаивать. А он повторяет: «Не могу... Посмотрите; и руки похолодели, и сердце бьется... Ах, черт возьми, я не ожидал, чтобы так страшно было на этих досках». Репетицию стали проводить без него.

Другой случай произошел шесть лет спустя, когда репетировали «Руслана». А. Н. Серов в своих воспоминаниях сообщает, что Глинка ему рассказывал, между прочим, что на днях, за болезнью Леонова, он должен был спеть на сцене всю балладу Финна, чтобы оркестр мог сыграть. На этот раз Глинка не только не испытал никакого смущения, но, напротив, был глубоко удовлетворен. Очевидно, что в первом случае это был певец, обладающий и голосом, и умением петь, но робевший еще перед публикой; во втором — совершенно владеющий собою артист.

Дело в том, что времени постановки «Руслана» предшествовали 3—4 года постоянных выступлений Глинки в различных кружках слушателей.

Следовательно, нужные навыки образуются и закрепляются в результате неоднократных выступлений. Длительные же перерывы ведут к угасанию вновь выработанных навыков. Отсюда следует необходимость постоянной тренировки, систематического упражнения выработанных навыков, их неустанной шлифовки.

Однако выработке навыков должна предшествовать выработка соответствующей установки. Многократные неудачные выступления певца не проходят безрезультатно: они дают ему возможность произвести наблюдение и анализ собственных исполнительских действий, принять к сведению допущенные ошибки, выяснить, почему не удалось выступление, и таким путем, т. е. путем объективации, путем наблюдения и мысленного анализа (осмысления) певцом данных личного опыта и объективной ситуации, а значит, в свою очередь, на основе «теоретической и практической установки» на определенную мыслительную активность — певец добывается выработки и правильного действия. Но нельзя сказать, будто в продолжение этого периода многократных нащупываний («проб и ошибок») певец действует без установки и что только удачное выступление впервые выполняется с помощью установки: из пробных действий, каждое из которых осуществляется на основе «пробных» установок, вырабатывается и дифференцированная установка, которая затем закрепляется, проявляясь на сцене в виде спокойствия и самообладания.

(Представил Институт психологии им.
Д. Н. Узнадзе АН. Грузинской ССР).

ლუწნი ჰანტური

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის განვითარება (1933—1937 წწ.)

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდუსტრიული განვითარების ბაზაზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების ისტორიის შესწავლას. ამ მხრივ ომამდელ ხუთწლეულებში დაგროვილი მდიდარი გამოცდილების განზოგადებას და მის შემოქმედებითად გამოყენებას. „მძლავრი სოციალისტური ძრეწველობის შექმნამ საშუალება მოგვცა განგვემტკიცებინა და ძირეულად გარდაგვექმნა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა...

სოფლის საწარმოო ძალების ზრდამ, კოლმეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებამ უზრუნველყო კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობა, კულტურის აღმავლობა, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

როგორც ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაფუძნებულმა შრომამ კოლექტიურ მეურნეობაში სულიერი სახე შეუცვალა გლეხობას¹.

შიშდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, ორი მსოფლიო სისტემის ისტორიულ-ეკონომიკური შეჯიბრების, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების შეუფერხებელი ეკონომიკური და კულტურული განვითარების, მწარმოებლურ ძალთა კოლოსალური ზრდის, საერთოდ პროგრესული ძალების საერთაშორისო ავტორიტეტის გადიდების ვითარებაში საბჭოთა ხალხისა და საერთოდ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც შემუშავებულია მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორიის, კერძოდ სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა და მწარმოებლურ ძალთა თანამედროვე დონის გათვალისწინებით.

ცხობილია, რომ საბჭოთა დაგეგმვის მეცნიერული თეორიის საფუძველზე შემუშავებულმა ხუთწლეულებმა დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

¹ ვ. ი. ლენინის კოლბერაციული გეგმის გამარჯვება, კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მასალები, თბ., 1969, გვ. 5—6.

დირექტივებში საცვებით მართებულად შეფასებულია გასული მერვე ხუთწლედის მთავარი შედეგები, რომლებმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს წარმატებით წინსვლას. მერვე ხუთწლედში ჩვენი ხალხის თავდადებული შრომით და პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში.

მიღწეულმა წარმატებებმა განაპირობეს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რაც ახალ ეტაპად შევა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. აღნიშნულ დოკუმენტში საბჭოთა ეკონომიკის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, მისი განვითარების თანამედროვე დონისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გათვალისწინებით შემუშავებულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობის გეგმა. იგი საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გაშლილი პროგრამაა, სადაც ძაფიოდაა ასახული ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური ხაზი, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

„ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, ხაზგასმულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში, — რომ უზრუნველყვით ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“².

დირექტივებში პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას. მრეწველობის ძირითადი ამოცანა ახალ ხუთწლედში ის არის, რომ გააფართოს და სრულყო სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიული ბაზა. ამავე დროს გათვალისწინებულია უზრუნველყვით საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და გეგმაზომიერი პროდუქციული განვითარების სწრაფი ტემპები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ეფექტიანობა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების ისტორიის შესწავლას, ამ პერიოდში დაგროვილი მდიდარი გამოცდილების გახზოვადებას და მის შემოქმედებითად გამოყენებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

საქართველო ხასიათდება სოფლის მეურნეობის სპეციფიკური დარგებით. სადაც ფართოდაა წარმოდგენილი მრავალწლიანი ნარგავთა მეურნეობა, ამასთანავე დამახასიათებელია ნიადაგობრივი და რელიეფური პირობების მრავალფეროვნება და სამთო მიწათმოქმედების დიდი ხვედრითი წონა; აგრეთვე მიწების მეტისმეტი დაქუცმაცება. ამიტომ ასეთ პირობებში სოფლის მეურნეო-

² სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ვახ. „კომუნისტი“, 1971 წ. 14 თებერვალი, № 38 (14948).



ბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და მის შესწავლასაც ცხადია ჰქონდა და ამჟამადაც აქვს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცებისათვის პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოფლის მეურნეობის რთული მანქანა-იარაღების გამოყენებას და ამ გზით სოფლის მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მართალია თავიანთი გამოცდილებით მანქანა-ტრაქტორთა კოლონებმა თავის მხრივ შოაშხადეს პირობები სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანების გამოყენების უფრო მაღალი ფორმების ორგანიზაციისათვის, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია, მეურნეობის ახალი ფორმების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნა ფართო მასშტაბით და ამ გზით მიწათმოქმედების ტექნიკის გამოყენების უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლა.

გამოდოდა რა იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე მომზადებული იყო პირობები მტს-ების შექმნისათვის სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1929 წლის 5 ივნისს, მიიღო დადგენილება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ორგანიზაციის შესახებ“³.

მთლიანი კოლექტივიზაციის პერიოდში როდესაც უკვე ჩამოყალიბდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და გაიშალა მათი მუშაობა, ჩვენს ქვეყანას გააჩნდა სოფლის მეურნეობის უახლესი მანქანა-იარაღები და კოლმეურნეობრივი წარმოების პირობებში არსებობდა სრული შესაძლებლობა მათი ეკონომიური გამოყენებისათვის. კოლმეურნეობების დიდი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ ძირითად ბაზას მანქანებისა და ტრაქტორების გამოსაყენებლად მიწათმოქმედებაში.

1929 წელს საქართველოში დაიწყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა; მტს-ები დაარსდა აგარის, აბაშის და ბორჩალოს⁴ რაიონებში. მათ გახვარგულებაში იყო 133 ტრაქტორი, 1425 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრით.

როგორც სსრკ-ში ისე საქართველოშიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კოლმეურნეობრივი წარმოების განვითარებაში, სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლების საქმეში.

სკკ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რათა შეემუშაებინა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ როგორც სოფლის მეურნეობის რთული მანქანების წარმოების საერთო ზრდას, ისე სატრაქტორო და ცხენით მომუშავე რთული ინვენტარის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას მარტივი ინვენტარის ნაცვლად. „საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რათა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიოს საკოლმეურნეო მოძრაობის ახლანდელ ეტაპზე ცხენის გამწევი ძალის არასაკმაროდ შეფასების ტენდენციებს, რომლებიც ცხენების თავიდან მოშორები-

³ Директивы КПСС и Советского правительства по хозяйственным вопросам, том I, М., 1958, стр. 79—81.

⁴ Н. С. Яшвили, К вопросу об организации межселенной машино-тракторной станции в Борчалинском уезде, Тб., 1928 г.

სა და მიყიდვა-მოყიდვას ეწევიან. საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს იმ უაღრეს მნიშვნელობას, რაც ახლანდელ პირობებში, როგორც გარდამავალ ღონისძიებას აქვს... რომ შეიქმნას კოლმეურნეობებში საცხენო-სამანქანო ბაზები და შერეული ტიპის საცხენო-სამანქანო ბაზები, რომლებიც შეაჩამებენ ტრაქტორის გამწვევ ძალას ცხენის გამწვევ ძალასთან⁵. აღნიშნულ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოქმედების ტექნიკის განვითარებისა და ამ საფუძველზე კოლმეურნეობრივი წარმოების აღმავლობისათვის.

ეს დადგენილება ამასთან ერთად ითვალისწინებდა შემდეგ ღონისძიებებს: „მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში პირობების შეცვლის შესაბამისად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, რომლებსაც სრულიად-საკავშირო სატრაქტორო ცენტრი აერთიანებს, უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა იმ საფუძველზე, რომ: ა) ხელშეკრულებები დასდონ უპირატესად, თუ მხოლოდ და მხოლოდ არა, კოლმეურნეობებთან; ბ) დააკისრონ გლეხებს ვალდებულება, რომ მათ სადგურების ღირებულება დაფარონ 3 წლის განმავლობაში“⁶.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ანალიზს უკეთებდა რა შექმნილ მდგომარეობას ხაზგასმით მიუთითებდა იმ სიძნელეებზე, რომელიც კოლექტივიზაციას აბრკოლებდა. „საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი სიძნელე ამჟამად ტექნიკური ბაზის ჩამორჩენილობაა. მსხვილი, მაღალმწარმოებლური და ხაძვილად სოციალისტური წარმოება სოფლის მეურნეობაში შეიძლება აგებული იქნას მხოლოდ თანამედროვე მანქანური ტექნიკისა და ელექტროფიკაციის ბაზაზე. ამიტომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის“⁷.

ამასთან ერთად პლენუმის რეზოლუციებში აღნიშნულია, რომ: „ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იწონებს პოლიტიბუროს დადენილებას იმის შესახებ, რომ გადიდდეს ტრაქტორმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის გეგმა, დაუყოვნებლივ დაიწყოს ორი სატრაქტორო ქარხნის აგება, რომელთაგან თვითეული გამოუშვებს ყოველწლიურად 50 ათას (მუხლუხა) ტრაქტორს, დაიწყოს კომბაინის ორი ქარხნის აგება, გაფართოვდეს რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ქიმიური მრეწველობის და სხვა ქარხნები“⁸.

არსებული ვითარების პირობებში დაისახა აგრეთვე წარმოების მარტივი იარაღების ეფექტურად გამოყენების ამოცანებიც. „უინვენტარო გლეხურ მეურნეობათა დიდი პროცენტის არსებობის დროს, ტრაქტორებისა და რთული მანქანების მწვავე ნაკლებობის დროს, საკოლმეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვახესი ამოცანა ახლა მთელ პერიოდში ის არის, რომ მოწინავე ტექნიკურ ბაზაზე კოლექტივიზაციის უმაღლესი ფორმების მშენებლობასთან ერთად, ხელი შეეწყოს მილიონობით გლეხურ მეურნეობებს გადიდებული ეფექტურობით გა-

⁵ სკკპ ყრილობები, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. II, თბ., 1955, გვ. 866.

⁶ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. II, გვ. 867—868.

⁷ იქვე, გვ. 840.

⁸ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. II, გვ. 840.



მოიყენონ წარმოების უფრო მარტივი იარაღებიც, უმარტივეს კოლმეურნეობათა და კოოპერაციულ საწარმოთა გაერთიანებათა ფარგლებში⁹.

ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს კომპარტიის VI ყრილობაზე აღინიშნა, რომ „თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს სპეციფიკურ პირობებს და იმ ფაქტს, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობა ძალიან ძვირი ჯდება, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამანქანო-სატრაქტორო რაზმების მოწყობასაც. სწორედ ამ გზას დაადგა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკა, იმიტომ რომ იქაც არის ისეთი რაიონები, სადაც ყველგან არ შეიძლება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობა. მაგრამ ამხანაგებო არ უნდა მოველოდეთ, რომ მახლობელ წლებში, თუ გნებავთ 10—15—20 წელიწადშიც კი ჩვენ შევძლებთ საქართველოს ყველა რაიონში მოვსპოთ მიწის დამუშავება მუშა საქონლით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენ ამისათვის სახსრები არ გვეყოფა; ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენი ქვეყნის რელიეფი — საქართველოს მთაგორიანი რაიონები, სადაც კლიმატური და ატმოსფერული პირობების გამო, ტრაქტორს არ შეუძლია იმუშაოს ან და იმუშავეს, მაგრამ ეს სრულიად ფუჭად ჩაივლის¹⁰.

ასეთ პირობებში საქართველოში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ გაიშალა მტს მშენებლობა.

მტს-ის რიცხვი იზრდება. 1929—1933 წწ. საქართველოში ჩამოყალიბებულ იყო 31 მტს-ი, ე. ი. 1933 წლისათვის მათი რაოდენობა 1929 წელთან შედარებით 10-ჯერზე მეტად იყო გაზრდილი. მტს-ების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად ადგილი ჰქონდა მათი ტექნიკური შეიარაღებულობის დონის ამაღლებას. ტრაქტორების რიცხვი 1929 წ. უდრიდა 133, ხოლო 1933 წლის ბოლოსათვის — 707, რაც შეადგენს ზრდას 5-ჯერზე მეტად. ამავე პერიოდში ტრაქტორების სიმძლავრე ცხენის ძალებით 1425-დან გაიზარდა 10 162-მდე.

აქ საჭიროა ყურადღება მიექცეს იმასაც, თუ მეურნეობის რომელ დარგებში იყო შექმნილი მტს-ები. 1929 წ. მტს-ების საერთო რაოდენობიდან ერთი იყო მებაძმეობის, მეორე — შაქრის ჭარხლის, მესამე — სხვა დარგებისა. 1933 წლის ბოლოსათვის იყო მტს-ი: მებაძმეობის — 5, მეჩაიეობის — 13, მეჭარხლეობის — 3, დანარჩენი დარგებისათვის — 10, ე. ი. მტს-ების მნიშვნელოვანი ნაწილი ემსახურებოდა ჩაის რაიონებს. ცხადია, რომ ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის ფართო მასშტაბით აუცილებელი იყო მტს-ების უახლესი ტექნიკის გამოყენება.

მტს-ების მშენებლობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო მეორე ხუთწლეულში. მტს-ების რიცხვი უდრიდა: 1934 წ. — 32, 1935 წ. — 36, 1936 წ. — 44, 1937 წ. — 45¹¹.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. ამ პერიოდში სოფლას მეურნეობის რეორგანიზაციის სინდნელებთან დაკავშირებით სოფლად გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მტს-ებთან პოლიტგანყოფილებათა შექმნა (1933 წ.): მათ უდიდესი როლი შეასრულეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებაში; პოლიტგანყო-

⁹ იქვე, გვ. 841.
¹⁰ საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში თბ., 1927, გვ. 527.
¹¹ ი. ე. ჯაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა საქართველოს სსრ-ში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1949, ტ. III, გვ. 235.



ფილებებმა კოლმეურნეობებს დიდი დახმარება გაუწიეს კადრების შესწავლისა და მტრების გამოვლინების საქმეში¹².

მტს-ებში პოლიტგანყოფილების შექმნა მოხდა საქ. კპ (ბ) ცკ 1933 წლის იახერის პლენუმის გადაწყვეტილებით, სადაც აღნიშნულია: „პოლიტიკურა გახყოფილებები მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ერთის მხრივ მოვალე-ლენი არიან უზრუნველყონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებ-სა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო მეორეს მხრივ მათი მიზანია კოლმეურ-ნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკი-ცება“¹³.

პოლიტგანყოფილებებმა როგორც მტს-ებში, ისე საბჭოთა მეურნეობებში საესებით გააძარტლეს თავიანთი დანიშნულება. მათი მუშაობის შედეგად გა-უშჯობესდა სოფლის მეურნეობის იარაღ-მანქანების მოვლა-გამოყენება, მექა-ხიკოსთა კადრების მომზადება. მტს-ები გადაიქცნენ სოფლის მეურნეობის ენერ-გეტისა და კულტურის ცენტრებად. პოლიტგანყოფილებები ყველგან ამხი-ლებდხენ შენიღბულ კლასობრივ მტრებს და აძევენდნენ მათ კოლმეურნეობე-ბიდან.

პოლიტგანყოფილებები 1934 წლის ნოემბრისათვის გადაიქცნენ ტერიტო-რიულ პარტიულ ორგანიზაციებად. საქ. კპ(ბ) ცკ 1934 წლის ნოემბრის პლენუმის დადგხილებაში ამის შესახებ ნათქვამია: „დაწესდეს ყოველ მტს-ში თანამდე-ბობა მტს-ის დირექტორის მოადგილისა პოლიტიკურ ნაწილში, რომელსაც და-ეკისროს მტს-ის მიერ ყველა ღონისძიებისა და წამოწყების წარმატებით ჩა-ტარების პოლიტიკურად უზრუნველყოფა და თვით მტს-ის პირველადი პარ-ტიული ორგანიზაციის მდივნის ფუნქციების შესრულება“¹⁴.

იმისათვის, რომ სწორად გაევიტოთ თუ რა როლი შეასრულეს მტს-ებმა საკოლმეურნეო მშენებლობაში საჭიროა ანალიზი გაუკეთოთ მტს-ების მუ-შაობას საერთოდ და განსაკუთრებით პოლიტგანყოფილებათა შექმნის შემდეგ. მნიშვნელოვნად გაიზარდა მტს-ების ტექნიკური შეიარაღება, ასე, მაგა-ლითად, 1933 წელს ტრაქტორების, ავტომანქანებისა და სოფლის მეურნეობის იხვენტარის საშუალო წლიური რაოდენობა მარცველულის სამმართველოს ზონის მტს-ებში უდრიდა — 286,3. შემდეგ იგი გაიზარდა და შეადგენდა: 1934 წ. — 444,9, 1935 წ. — 669,3, 1936 წ. — 1045,8.

ტრაქტორების, ავტომანქანებისა და სოფლის მეურნეობის სხვა ინვენტა-რის რაოდენობა 1936 წელს ყველაზე მეტი ზომით იყო წარმოდგენილი ავა-რის, გორის, კასპის, მცხეთის, საგარეჯოს, ბორჩალოს, გურჯაანის, ულიანოვ-კის, წნორის, თელავის, ყვარელის მტს-ებში.

მეორე მხრივ დასახელებული ტექნიკა შედარებით მცირე რაოდენობით ჰქონდათ ცხინვალის, ყარაიზის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, თიანეთის, წალ-კის, წითლის და ზოგიერთ სხვა მტს-ში.

ცალკეული ტრაქტორები და მანქანა-იარაღები შემდეგნაირად იყო წარ-მოდგენილი მტს-ების მიხედვით. სტზ მარკის ტრაქტორები შეადგენდა მტს-ების ძირითად ტექნიკას. მისი საშუალო წლიური რაოდენობა 1936 წელს მტს-

¹² ივ. ჯაშვი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა საქართველოს სსრ-ში, ეკო-ნომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, გვ. 326.

¹³ КП.С. в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК, часть III, 1954, М., გვ. 190.

¹⁴ Там же, стр. 260—264.

ების მიხედვით უდრიდა: ახალქალაქის — 39,8, აგარის — 37,9 გორის — 43,1, კასპის — 31,9, მცხეთის — 30,0, თბილისის — 33,1, საგარეჯოს — 32,1 ბორჯალოს — 50,0, გურჯაანის — 42,9, წნორის — 53,0, თელავის — 45,7, ყვარლის — 32,0, ლაგოდეხის — 30,0, ასურეთის — 25,0, თიანეთის — 22,0, წალკის — 15,0, წითლის — 26,0. მთლიანად საქართველოში — 725,9.

გარკვეული ოდენობით იყო მტს-ები აღჭურვილი აგრეთვე ჩტზ მარკისა და უნივერსალის მარკის ტრაქტორებით. ამათგან ძირითადი იყო ტრაქტორი „უნივერსალი“.

მტს-ების ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებლები არსებითად განსხვავებული იყო საქართველოს სსრ სუბტროპიკულ ზონაში, სადაც მათი საშუალო წლიური რაოდენობა უდრიდა: 1933 წ. — 674,2, 1934 წ. — 710,9, 1935 წ. — 921,9, 1936 წ. — 1331,1. ამ ზონაში მარცვლეულის სამმართველოს მტს-ებთან შედარებით ერთ მტს-ზე მოდიოდა დაახლოებით 2,2-ჯერ, ზოგან 3,0-ჯერ ნაკლები ტექნიკა. შესაბამისად მცირე ზომით იყო წარმოდგენილი სტზ მარკის ტრაქტორები და კიდევ უფრო უმნიშვნელოდ ჩტზ და უნივერსალის მარკის ტრაქტორები.

ცხადია, ეს განპირობებული იყო ამ ორ ზონას შორის წარმოებრივი სპეციალიზაციის მიხედვით არსებული განსხვავებით. მარცვლეულის სამმართველოს ხაზით ასეთი ტექნიკა გამოყენებული იყო მაღალმწარმოებლურად, ხოლო სუბტროპიკულ ზონაში მათი გამოყენების ფარგლები ძალიან შეზღუდული იყო, რამდენადაც არამც თუ მაშინ, არამედ ახლაც არა გვაქვს სუბტროპიკული მეურნეობის შესაფერისი ყველა იარაღ-მანქანა და ამდენადმე ამ ზონაში შექანიზაციის დონე, შედარებით ახლაც დაბალია.

კოლმეურნეობებისადმი მტს-ების მომსახურება უფრო სრულად შეიძლება წარმოვიდგინოთ რბილ ხვნაზე გადაყვანით სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულების მონაცემების მიხედვით.

რბილ ხვნაზე გადაყვანით (ლეწვის ჩათვლელად) შესრულებულ სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა (გეგმით მარცვლეულის სამმართველოში ჰექტარობით უდრიდა: 1933 წ. — 89 462, 1934 წ. — 148 397, 1935 წ. — 235 972, 1936 წ. — 474 378.

გეგმა არცერთ წელს არ შესრულებულა. ფაქტიურად შესრულდა ხვნაზე გადაყვანით — 1933 წ. — 60 616, 1934 წ. — 128 090, 1935 წ. — 212 097, 1936 წ. — 423 745. ე. ი. გეგმა შესრულდა %-ით: 1935 წ. — 89,9, 1936 წ. — 89,3. 1936 წელს წინა წელთან შედარებით კი გაიზარდა 99,8%-ით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულების მიხედვით შედარებით გამოირჩეოდა ზოგიერთი მტს-ი. ასე, მაგალითად ახალქალაქის მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 1935 წელს შეასრულა — 108,4%-ით, ხოლო 1936 წელს — 71,7%-ით.

რაც შეეხება სუბტროპიკული სამმართველოს ზონის მტს-ებს, აქ ასეთი მდგომარეობა იყო. მთლიანად შესრულებული სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობამ შეადგინა: 1933 წ. — 4 476, 1934 წ. — 31 150, 1935 წ. — 34 698, 1936 წ. — 69 482. ე. ი. გეგმა შესრულდა 1935 წ. — 102,3% ით, 1936 წ. — 105,6%-ით.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულების მხრივ ამ ზონაშიაც გამოიჩინოდა რამოდენიმე მტს-ი. ასე, მაგალითად, სამტრელიის მტს-მა გეგმა შესარულა: 1935 წ. — 112,1%, ხოლო 1936 წ. — 97,6%-ით.

მთლიანად საქართველოს სსრ ამ მხრივ ასეთი მდგომარეობა იყო. სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობამ შეადგინა: 1933 წ. — 105 362, 1934 წ. — 159 240, 1935 წ. — 246 795, 1936 წ. — 493 227. გეგმა შესრულდა 1935 წ. 91,4 და 1936 წ. — 91,3%-ით.

ამ პერიოდისათვის საქართველოში და საერთოდ სსრ კავშირში მიღწეული იყო სატრაქტორო პარკის შეიარაღების საქმოდ მაღალი დონე. ჯერ კიდევ 1934 წელს პარტიის XVII ყრილობაზე აღინიშნა: „მასხადამე, 204 ათასი ტრაქტორი და 3 მილიონ 100 ათასი ცხენისძალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ეს როგორც ხედავთ, პატარა ძალა როდია, მას შეუძლია აღმოფხვრას კაპიტალიზმის ყველა და ყოველგვარი ფესვი სოფლად. ეს ძალა ორჯერ აღემატება ტრაქტორების იმ რაოდენობას, რომელზეც თავის დროზე ლაპარაკობდა ლენინი, როგორც შორეულ პერსპექტივაზე“¹⁵.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულების შესახებ უფრო სრულ სურათს მივიღებთ მაშინ თუ გეგმის შესრულების მაჩვენებლებს ავიღებთ ლეწვის ჩათვლით.

სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა ხვნაზე გადაყვანით (ლეწვის ჩათვლით) მთლიანად რესპუბლიკაში ჰექტარობით უდრიდა: 1933 წ. — 120 187, 1934 წ. — 178 049, 1935 წ. — 270 504, 1936 წ. — 522 175. გეგმა რესპუბლიკის მასშტაბით შესრულდა 1935 წ. — 91,1, ხოლო 1936 წ. — 91,8%-ით. ამასთანავე სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა 1936 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 93,0%-ით.

ამ მხრივ ცალკე სამმართველოებისა და მტს-ების მიხედვით ასეთი მდგომარეობა იყო: მარცვლეულის სამმართველოს ზონაში მთლიანად სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა ჰექტარობით (ლეწვის ჩათვლით) უდრიდა: 1933 წ. — 72 784, 1934 წ. — 143 409, 1935 წ. — 232 962, 1936 წ. — 448 394. გეგმა 1935 წელს შესრულდა მხოლოდ 89,5%-ით, ხოლო 1936 წ. — 89,9%-ით. 1936 წელს წინა წელთან შედარებით შესრულდა 92,5%-ით მეტი სამუშაო ხვნაზე გადაყვანით (ლეწვის ჩათვლით).

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა დასახელებულ სამმართველოდან 1935 წელს გადაჭარბებით შესარულეს ახალქალაქის, აგარის, ცხინვალის, ბორჩალოს, ლაგოდეხის და ასურეთის მტს-ებმა.

ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ: კასპის, თბილისის, გურჯაანისა და ყვარლის მტს-ებს.

1936 წლისათვის გარკვეული ცვლილებები მოხდა ამ მხრივ და კარგი მაჩვენებლებით გამოიჩინოდნენ: აგარის, ბორჩალოს, ყარაიზის, წნორის, თელავის, ასურეთის მტს-ები.

მეორე მხრივ ცუდი მაჩვენებლები ჰქონდათ: ახალქალაქის, გორის, გურჯაახის, წალკის, ბოგდანოვკის, ბაშკირეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

¹⁵ ი. სტალინი, ლენინის მემორიალური კომიტეტი, მე-II გამოცემა, თბ., 1952, გვ. 571.

სუბტროპიკულ სამმართველოში მთლიანად ჰექტარობით შესრულდა სატრაქტორო სამუშაოები: 1933 წ. — 47 403, 1934 წ. — 34 640, 1935 წ. — 37 542, 1936 წ. — 73 781.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა ხვნაზე გადაყვანილ (ლეწვის ჩათვლით) შესრულდა: 1935 წ. — 102,7%-ით, 1936 წ. — 106,1%-ით, 1936 წელს წინა წელთან შედარებით სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა — 96,5%-ით.

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა უკეთ სრულდებოდა სუბტროპიკულ სამმართველოს მტს-ებში, ხოლო მარცვლეულის სამმართველოს მტს-ებში ყველგან არ იყო კარგი მაჩვენებლები. 1933—1935 წწ. ცუდი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა კახეთის ზონის ზოგიერთი მტს-ი.

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტრაქტორების გამოყენების მაჩვენებლები, გაიზარდა მათი გამომუშავება. ერთი ტრაქტორის გამომუშავებაზე ხვნაზე გადაყვანილ (გალეწვის ჩათვლელად) 116 ჰექტარიდან 1933 წელს გაიზარდა 405 ჰექტარამდე 1937 წელს. შესაბამისი მაჩვენებლები უდრიდა სომხეთის სსრ — 133 და 375, ხოლო აზერბაიჯანის სსრ — 147 და 395 ჰექტარს.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასთან ერთად ხორციელდებოდა მიწათმოქმედების ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია. ასე, მაგალითად, 1937 წელს საქართველოში მექანიზირებული იყო სამუშაოები კოლმეურნეობებში %-ით: შემოდგომის ხვნა — 29,7, შემოდგომის თესვა — 8,2, მარცვლეული და ცერცოვანი კულტურების აღება მანქანებით (კომბაინების ჩათვლით) — 9,5, მარცვლეულის აღება კომბაინით — 8,3, გაზაფხულის ნათესების დამუშავება — 22,7, მზრალად ხვნა — 45,6.

ამ მხრივ შედარებით უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა სომხეთის სს რესპუბლიკას, სადაც ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია %-ით უდრიდა: შემოდგომის ხვნა — 40,7, შემოდგომის თესვა — 10,3, მარცვლეულის აღება კომბაინით — 9,3 მზრალად ხვნა — 62,4.

მტს-ების მომსახურება კოლმეურნეობებისადმი არ იყო დამაკმაყოფილებელი. მაგრამ წინა წლებთან შედარებით მტს-ების მუშაობა გაუმჯობესების გზით მიდიოდა. 1933 წელს კოლმეურნეობების ნათესი ფართობი მტს-ების რაიონებში შეადგენდა 203 454 ჰექტარს, 1934 წელს — 227 824 ჰექტარს. მტს-ები მომსახურებას უწევდნენ კოლმეურნეობათა ნათეს ფართობს 1933 წელს 135 851 ჰექტარზე მეტს, ე. ი. 66,8%-ს, 1934 წელს — 169 736 ჰექტარზე მეტს, ე. ი. 74,2%-ს.

მტს-ების მუშაობის გაუმჯობესება, ცხადია, მოასწავებდა მათი როლის გაძლიერებას, რომელიც სავსებით უპასუხებდა მათზე დაკისრებულ ფუნქციებსა და ამოცანებს.

სოფლის მეურნეობის ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის თვალსაზრისით საინტერესოა როგორია დანახარჯები ერთ ჰექტარზე ხვნაზე გადაყვანით. 1936 წელს წინა წელთან შედარებით დანახარჯები ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით მტს-ების მიხედვით შემცირდა %-ით: ახალქალაქის — 39, აგარის — 19,8, გორის — 29,6, კასპის — 8,0, მცხეთის — 15,2, თბილისის — 44,9, სავარეჯოს — 17,8, ბორჩალოს — 28,8, გურჯაანის — 41,0, თელავის — 20,5 ყვარლის — 16,2, ლაგოდეხის — 24,6; მთლიანად მარცვლეულის სამმართველოს მტს-ებში დანახარჯები ერთ ჰექტარზე შემცირდა 21,5%-ით.



ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით დანახარჯები შედარებით ნაკლებია მარცხელის სამპართველოს ზონაში, იგი მანეთობით უდრიდა: 1933 წ. — 100,9, 1934 წ. — 52,6, 1935 წ. — 50,2, 1936 წ. — 39,4; შესაბამისი მაჩვენებლები სუბტროპიკულ სამპართველოს მტს-ებში შეადგენდა: 1933 წ. — 143,0, 1934 წ. — 116,2, 1935 წ. — 117,3, 1936 წ. — 61,4.

ცხადია, რომ ასეთი დიდი განსხვავება დანახარჯებისა გამოწვეული იყო უპირატესად ნიადაგობრივი და რელიეფური პირობებით.

მახქახა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა მწკავე კლასობრივ ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. ამიტომ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პერიოდში გატარდა მრავალი ღონისძიება, რომელთაგან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტს-ებთან პოლიტგანყოფილებათა შექმნას (1933 წ.). მათ მეტად დიდი როლი შეასრულეს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულსა და მეურნეობრივ განმტკიცებაში. ამასთანავე პოლიტგანყოფილებებმა კოლმეურნეობებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს კადრების შესწავლისა და მტრების გამოვლინების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გახსტიკებისათვის პარტიისა და მთავრობის სისტემატური ზრუნვისა და დახმარების მაჩვენებელია ის, რომ რესპუბლიკას სოფლის მეურნეობაში 1921—1967 წწ. სახელმწიფოს მიერ დაბანდებულ იქნა წარმოებრივი დანიშნულების ობიექტებზე შესაღარი ფასებით 992 მილიონი მანეთი. აქედან წარმოებრივ შენობებსა და ნაგებობებზე 580 მლნ, მათ შორის წყალმეურნეობის მშენებლობაზე 264 მლნ მანეთი; ტრაქტორების სატრანსპორტო საშუალებების, სოფლის მეურნეობის მანქანების, დანადგარების და ინვენტარის შექნაზე, რომელიც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში არ შედის — 141 მლნ მანეთი, ბაღების, ვენახების და სხვა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე — 271 მლნ მანეთი.

ახლა საინტერესოა ვნახოთ ცალკეული პერიოდების მიხედვით როგორ ხაწილდებოდა კაპიტალური დაბანდება. 1921—1928 წწ. კაპიტალურმა დაბანდება წარმოებრივი დანიშნულების ობიექტებზე შეადგინა 2 მლნ მანეთი. აქედან წარმოებრივ შენობებზე და ნაგებობებზე 1 მლნ მანეთი, ხოლო ტრაქტორების, სატრაქტორო საშუალებების, სოფლის მეურნეობის მანქანების, დანადგარების და ინვენტარის შექნაზე 1 მლნ მანეთი.

ამის შემდეგ კერძოდ, I ხუთწლედიდან მოყოლებული სისტემატურად იზრდებოდა სახელმწიფოებრივი კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

პირველ ხუთწლეულში კაპიტალური დაბანდება წარმოებრივ დანიშნულების ობიექტებზე უდრიდა 16 მლნ მანეთს. აქედან წარმოებრივ შენობებზე და ნაგებობებზე 12 მლნ მანეთი. მათ შორის წყალმეურნეობის მშენებლობაზე — 2 მლნ მანეთი; ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებების, სოფლის მეურნეობის მანქანების, დანადგარების და ინვენტარის შექნაზე, რომელიც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში არ შედიოდა — 3 მლნ მანეთი, ხოლო ბაღების, ვენახების და სხვ. მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაზე — 1 მლნ მანეთი.

მეორე ხუთწლეულში მთლიანად სახელმწიფოებრივმა კაპიტალურმა დაბანდება წარმოებრივი დანიშნულების ობიექტებზე შეადგინა 25 მლნ მანეთი, აქედან საწარმოო შენობებზე და ნაგებობებზე 14 მლნ მანეთი. მათ შორის

წყალთქურხეობის შშენებლობაზე — 10 მლნ მანეთი, ბაღების, ვენახების და სხვ. მრავალწლიანი ხარავების გაშენებაზე — 1 მლნ მანეთი.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს მეორე ხუთწლედში პირველ ხუთწლედთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოებრივი კაპიტალური დაბანდების მოცულობა სოფლის მეურნეობაში.

კაპიტალური დაბანდების ტემპი არ შენელებულა არც მესამე ხუთწლედის პირველ წლებში. ამის მაჩვენებელია ის, რომ მესამე ხუთწლედის სამხანევარი წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივმა კაპიტალურმა დაბანდებამ წარმოებრივი დანიშნულების ობიექტებზე შეადგინა — 14 მლნ მანეთი. აქედან წარმოებრივ შენობებზე და ნაგებობებზე — 9 მლნ მანეთი. ამ უკანასკნელიდან — 7 მლნ მანეთი დაიხარჯა მხოლოდ წყალთმეურნეობის მშენებლობაზე; ტრაქტორების, სატრანსპორტო საშუალებების, სოფლის მეურნეობის მახეხავების დახადვარების და ინვენტარის შექენაზე გაწეული დანახარჯები, რომელიც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში არ შედიოდა უდრიდა 2 მლნ მანეთს.

ცხადია, რომ ომის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საერთოდ სახალხო მეურნეობაში და კერძოდ სოფლის მეურნეობაშიც.

კოლმეურნეობრივი წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პირობებში ზორციელდებოდა საბჭოთა მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაც.

ასეთ ვითარებაში განხორციელდა აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცება, მათი რაოდენობის შემცირების პირობებში. 1936 წლისათვის საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა საქართველოში უდრიდა 284. მათ განკარგულებაში იყო 285 417 ჰექტარი მიწა. სოფლის მეურნეობების წარმოების ძირითად საშუალებათა ღირებულება შეადგენდა 262 005 ათას მანეთს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგეილების საფუძველზე საქართველოში ლიკვიდირებულ იქნა 163 საბჭოთა მეურნეობა და შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ 121 საბჭოთა მეურნეობა. აქედან: მეჩაიეობის წარმოებრივი მიმართულებისა — 15, მეციტრუსეობის — 16, სხვა სუბტროპიკული კულტურების — 8, მევენახეობა-მელვინეობის — 16, მხეხილეობის — 5, რამის მწარმოებელი — 3, სატყეო-ტექნიკური — 4, მარცვლეულის — 1 და სხვ.

ამის შემდეგაც მოხდა ამ მხრივ ზოგიერთი ცვლილებანი და 1940 წლისათვის საქართველოში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი შემცირდა — 116-მდე, რომელთა განკარგულებაში იყო: ტრაქტორი — 204 (3732 ცხ. ძალის სიმძლავრით), ავტომანქანები — 431, კომბანიები — 20.

ოამდელი ხუთწლედების მანძილზე საქართველოში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. 1940 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანმა პროდუქციამ (შესაღარისი ფასებით) შეადგინა 377 მილიონი მანეთი, მათ შორის მიწათმოქმედების პროდუქცია უდრიდა 259, ხოლო მეცხოველეობისა 118 მილიონ მანეთს. ე. ი. 1913 წელთან შედარებით 1940 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა — 152 პროცენტით, მათ შორის მიწათმოქმედებისა — 271 პროცენტით, ხოლო მეცხოველეობისა — 37 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოებრივი შესყიდვა (ყველა კატეგორიის მეურნეობათა მიხედვით) ათას ტონობით 1940 წელს უდრიდა: მარცვლეული — 34,7, თამბაქო — 11,8, კარტოფილი — 19,0, ბოსტნეული — 22,9, ხილი კენკროვანი და თესლოვანი — 11,9, ყურძენი — 35,5, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 51,3, საქონელი და ფრინველა (ცოცხალი წობით) — 20,7, რძე — 23,8, ხოლო კვერცხი — 13,7 მილიონ ცალს.

საქართველოში შეიქმნა მრავალწლიან ნარგავთა მძლავრი მეურნეობა, გადიდა მათი პროდუქციის წარმოება, რითაც საქართველო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შრომის საერთო-საქავეშირო დანაწილებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა ხდებოდა სოფლის მეურნეობაში უახლესი ტექნიკის გამოყენების, საერთოდ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პირობებში. 1941 წელს მანქანატრაქტორთა სადგურების რიცხვი უდრიდა — 58, მათ განკარგულებაში იყო 2 448 ტრაქტორი, 15-ძალიანზე გადაყვანით მათი რაოდენობა შეადგენდა 2 926-ს, ხოლო სიმძლავრე — 43,9 ათას ცხენის ძალას.

მტს-ების ტრაქტორებით შესრულდა სამუშაოები (ხენაზე გადაყვანით) 836 ათას ჰექტარზე.

ამასთან ერთად ამაღლდა სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე, განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა და გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

ამრიგად, ომამდელ ხუთწლეულებში საქართველოში შეიქმნა მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა კოლმეურნე გლეხთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური კეთილდღეობა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

არჩილ სტაფანიშვილი

მევენახეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში

მევენახეობა — საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს და მპროდუქციულ დარგს წარმოადგენს. იგი საიმედო ნედლეულის ბაზაა მეღვინეობის განვითარებისათვის. თავის მხრივ კი ეს უკანასკნელი დიდად უწყობს ხელს მევენახეობას, აჩქარებს მის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა და ქართველი ხალხის დიდმა სიყვარულმა ვაზის კულტურისადმი განაპირობეს 500-ზე მეტი კულტურული ვაზის ჯიშის ფორმირება საქართველოში, რაც მსოფლიოში გავრცელებული ვაზის ჯიშების 10 პროცენტს, ხოლო საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ვაზის ჯიშების ერთ მეოთხედზე მეტს შეადგენს.

თუ გავითვალისწინებთ ტერიტორიულ შესაბამისობას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ვაზის ჯიშთა რაოდენობის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ასე, რომ ვაზის „ამ ჯიშთა შექმნა-გამოყვანა მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საუნჯეში ქართველი ერის მიერ შეტანილი ერთ-ერთი დიდ წვლილთაგანია“¹.

პროფ. პ. გუგუშვილი წერს, რომ „ქართულ მევენახეობას თავისი ხანგრძლივი, თვით ქართველი ხალხისათვის მრავალსაუკუნოვანი ქართველობის ცხოვრების მანძილზე შემოუნახავს ათასწლოვანი ისტორიის მქონე ვენახი, როგორც მეურნეობრივი (წარმოებრივი) ერთეული“².

ქართველ გლეხკაცს ვენახი მარტო გამორჩენის წყაროდ კი არ მიაჩნდა, არამედ „... იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თვისი ოფლი მიუღენია და ძიუბარებია საშვილიშვილოდ... ჩვენში, რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი, თვითოეული ვაზი, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის“³. ჟურნალ „იტალიის სოფლის მეურნეობაში“ (1963 წ. № 11) პროფ. ჯ. დალმასო წერდა „საქართველო ეს ის ქვეყანაა, საიდანაც მევენახეობა გავრცელდა დასავლეთ ევროპაში“. მაგრამ თავის განვითარებას მევენახეობამ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ გასულ საუკუნეში და ისიც რეფორმის შემდგომ პერიოდში მიიღწია.

¹ ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960, გვ. 2.

² პ. გუგუშვილი, მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1801—1920, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბ., 1952, გვ. 88.

³ ი. ჯავჭავაძე, თხზ., ტ. VI, 1956, გვ. 188—189.

7. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1971, № 2



ოფიციალური მონაცემებით 1895 წლისათვის საქართველოში ვენახის მთლიანი ფართობი 76 726 ჰექტარს შეადგენდა. შემდგომ, ერთი მხრივ ვაზის დაავადებებმა და ავადმყოფობის გავრცელებამ (განსაკუთრებით ფილოქსერამ) მეორე მხრივ — პირველმა იმპერიალისტურმა ომმა და საქართველოში მენშევიკების პატრონობამ, აგრეთვე სტიქიურმა უზედურებებმა — ძირი გამოუთხარეს აღმავლობის გზაზე მდგარ მევენახეობას და იგი აშკარა კატასტროფამდე მიიყვანეს. უკვე 1913 წლისათვის, ვენახის მთლიანი ფართობი საქართველოში უდრიდა 51 862 ჰექტარს, ე. ი. შემცირდა 24 664 ჰექტარით ანუ 31,6% -ით. თუ 1897 წ. საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა ვაზის პლანტაციების — 0,04 ჰა ფართობი, უკვე 1913 წ. იგი შემცირდა 0,02 ჰექტარამდე. ამ პერიოდში რესპუბლიკის ვაზის პლანტაციების უდიდესი ნაწილი — 37,7% ჰოდიოდა კახეთზე, ხოლო 20,9% — ცენტრალურ იმერეთზე, 11,7% — ქართლზე, 6,9% რაჭა-ლეჩხუმზე, ხოლო დანარჩენი 23,8% სხვა რაიონებზე.

საქართველოში მევენახეობის აღდგენა-განვითარებას ფართო შესაძლებლობა მიეცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარება დიდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად დასახეს და შესაბამისი ღონისძიებები შეიმუშავეს.

აღდგენით პერიოდში ყველაზე უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ამ მხართულებით იყო ფილოქსერის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლის ჩატარება.

საქართველოს მიწსახკომის მევენახეობა-მელვინეობის ქვეგანყოფილება 1922 წ. 1 აგვისტოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს აცნობებდა, რომ რაც დრო გადის, იმდენად უფრო ძლიერდება ფილოქსერის მოქმედება კახეთის ვენახებშიც, სხადაც „ვაზის მოსპობა ჩქარი ტემპით ხდება. კახეთის ვენახები, რომელთა სივრცე 20 000 დესეტინამდე აღის, ამ ხუთ-ათ წელიწადში მოისპობა თუ დიდ ძალას არ ვიხმართ ვაზის მტრის — ფილოქსერის წინააღმდეგ. უმთავრესი და ერთადერთი ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ საჭიროა მრავალი ასეთი ვაზი ე. ი. დამყნობილი დავამზადოთ, რომ მევენახეებმა დარგონ ახლახდელი დამყნობილი ვაზის მაგიერ. ყოველ წელს მილიონ ცალობით დასარგავი მასალა საჭირო, რომ ვენახების აღდგენა შესაძლებელი იყოს თანდათან“⁴.

მევენახეობის საჯალალო მდგომარეობაზე მიუთითებდა აგრეთვე კოპე-რაიციული გაერთიანება „კავშირთკავშირის“ გამგეობა, რომელიც ამავე პერიოდში მიწსახკომისადმი მიწერილ წერილში წერდა, რომ ჩვენი მევენახეობა „რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და უკანასკნელ წლებში... წარმოადგენდა სრულიად ჩამოყალიბებულ დარგს სასოფლო მეურნეობისას ვაზის საუკეთესო ჯიშებით და ევროპულ განთქმულ ღვინოებთან მოქიშპე შალალი ღირსების ღვინოებით. ჩვენში ვენახების დამუშავება არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საფრანგეთის უკეთეს ვენახებს და ვენახების სივრცეც იმდენად მატულობდა, რომ ჩვენი დარიბი მშრომელი ხალხის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებაში ამ დარგს უნდა დაეკავებინა უდიდესი ადგილი. მაგრამ უკანასკნელ 7—8 წლის განმავლობაში კალაპოტში ჩამდგარი განვითარება ჩვენი მევენახეობა-მელვინეობისა ძირეულად შეირყა და დღეს იგი განიცდის კატასტროფულ მდგომარეობას, ხოლო თუ ამ დარგის სრულიად განადგურე-

⁴ ცსა, თბ. ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. 388, ფურც. 32.



ბისაგან გადასარჩენად არ იქნა მიღებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი და მით უმეტეს სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, სულ ორი-სამი წლის განმავლობაში ეს უძვირფასესი და უძველესი დარგი ჩვენი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა გაჭქრება სამუდამოდ⁵.

როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიისა და კავშირის მასშტაბითაც 1921—1927 წწ. ჩატარებული იქნა მევენახეობა-მეღვინეობის ხაზით არა ერთი თათბირი და ყრილობა, რათა გამოენახათ რაიმე კარდინალური საშუალებანი ამ მიმართულებით. ასე მაგ. 1921 წ. ივნისში საქართველოს მიწსახკომის მიერ თბილისში მოწვეული იქნა სპეციალური თათბირი, ხოლო 1922 წ. 2 ოქტომბერს მიწსახკომმა წინახდელში მოაწყო კახეთის მევენახეთა თათბირი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. მევენახეობის მდგომარეობა კახეთში, 2. ღონისძიებები ვენახების აღდგენის შესახებ, 3. მოსახლეობის თვითმოქმედების გაშლის შესახებ მევენახეობის დარგში და სხვ. თათბირმა აღნიშნა, რომ „ფილოქსერას მიერ ვენახის განადგურება მომავალში მოხდება გეომეტრიული პროგრესიის გზით, რაც გამოიწვევს მთლიან ვენახის განადგურებას 6—7 წლის განმავლობაში... ამიტომ მიღებული უნდა იქნეს მეტად ეფექტური ზომები მის წინააღმდეგ“.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება: „უახლოეს 10 წლის განმავლობაში მთლიანად შეიცვალოს ვენახები ფილოქსერაგამძლე ვაზით, ამ მიზნით საჭიროა ყოველ წელს შოხდეს არანაკლებ 1,5 ათასი ჰა ვენახის ფართობის განახლება“. ამ მიზნით გაშენებულიყო (დესეტინობით): იყალთოში — 30, ჩუმაყში — 50, დამარჩინოში — 100, კურდღელაურში — 40, ვაჩნაძინოში — 30, გურჯაანში — 20, ბაკურციხე-კარდანახში — 40, ალაზნის გაღმა მხარეში — 40.

თათბირმა გადაწყვიტა: ა. დაუყოვნებლივ მოწყობილიყო მევენახე-პრაქტიკოს მუშებისა და გლეხების სკოლები და გადასამზადებელი კურსები; ბ. დარგულიყო საჩვენებელი აპერიკული ვაზი იმ ნაკვეთებში, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ დაზარალებულნი ფილოქსერასაგან; გ. დახმარება გაეწიათ კერძო გლეხებისათვის კრედიტების მიცემით; დ. მიეცათ გლეხებისათვის ვენახის დასაქმნაველად განსაზღვრულ ნორმაზე მეტი და ბოლოს ე. მოწვეულიყო კახელ მევენახეთა ყრილობა გურჯაანში.

ყრილობის მომწვეობი ბიურომ შემდეგი სიტყვებით მიმართა კახელ მეურნეებს: „მოქალაქნო, კახელო მევენახენო! ჩვენი ძალა, ჩვენი მეურნეობის მთავარი ძარღვი, ჩვენი დოვლათი არის ღვინო. მისმა მოსავალმა ამ ბოლო დროს შესაძინევი კლება აწყო და არ გავა რამდენიმე წელიწადი, რომ ეს უმთავრესი დარგი ჩვენი მეურნეობისა — მევენახეობა, სრულიად მოისპობა. ამის მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენს ვენახებს შემოესია ვაზის საშინელი მტერი ფილოქსერა, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს ვენახებს. ვენახებისათვის შექმნილ ამ საშინელ გარემოებას ანგარიში გაუწია ჩვენმა მთავრობამ და მევენახეთა კავშირებმა ერთად განიზრახა კახელ მევენახეთა მოწვევა, კახეთში, სოფ. გურჯაანში 19 ნოემბერს საათბიროდ... ჩვენი ვენახების ბედი და არსებობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორედ აედება ალლო დღეს შექმნილ მდგომარეობას... ამ საქმის მოგვარება მარტო მთავრობას არ შეუძლია თუ თვითონ მევენახენი არ შეიგნებენ საფრთხეს და საკუთარი ძალღონით არ ჩაეშვებიან საერთო მტერთან ბრძოლაში. საჭიროა

⁵ ცსა, თბ., ფ. რ. — 288, ანაწ. 1, საქ. 541, ფურ. 72.

შეეხანენი შვიდროდ შეკავშირდნენ, გამოიჩინონ დიდი უნარი და მიწათმოქმედების კომისარიატის დახმარებით და ხელმძღვანელობით დაიხსნან კახეთის ვენახები განადგურებისაგან⁶.

1922 წ. 19 სოემბერს ჩატარდა აღნიშნული ყრილობა გურჯაანში, ხოლო იმერეთის შეეხანეებისათვის ზესტაფონში მოწვეულ იქნა ყრილობა 1923 წ. 13 აპრილს. 1924 წ. იახვარში ქ. თბილისში მოწვეული იქნა სრულიად საქართველოს შეეხანე-მეღვინეთა გაფართოებული თათბირი, იმავე წლის მარტში კი ამიერკავკასიის შეეხანე-მეღვინეთა ყრილობა.

თათბირებისა და ყრილობების მონაწილენი ქართველ მევენახეებს მოუწოდებდნენ რათა ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ხაციონალურ ღონისძიებად ჩათვალათ ვაზის კულტურული ჯიშების მყნობა ფილოქსერაგამძლე ვაზის ძირებზე.

მიწსაჯომის სახალხო მამულების განყოფილების ხელმძღვანელი დ. პ. გედევანიშვილი 1926 წ. წერდა, რომ ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია უნდა გადაიქცეს პირველი რიგის ამოცანად არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში და მთლიანად საბჭოთა კავშირშიო. და მართლაც, არ გასულა დიდი ხანი და 1926 წ. 29 ივნისს სსრ კავშირის საგეოგრაფიკულ მიილო სპეციალური გადაწყვეტილებანი „ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ“, რომელიც შეეხებოდა როგორც საქართველოს ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფილოქსერის მოსპობის საქმეში.

უკვე 1925 წლისათვის ამერიკული ვაზის სადედეების ფართობმა 349 ჰა-ს მიაღწია, წინააღმდეგ 30 ჰექტარისა — 1921 წ. შედარებით. სიანელების მიუხედავად დიდი რაოდენობით შემოდირდა საზღვარგარეთიდან შაბიამანი, გოგირდი და სხვა ხივთიერებები. მაგრამ ვენახის ფართობი მაინც არ გაზრდილა. რადგან შობერებული და დაავადებული ვაზი დიდი რაოდენობით გამოდირდა წყობილებიდან.

საქართველოში სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი პირველი ხუთწლიანი გეგმების შემუშავებამ და მისმა განხორციელებამ. 1928 წლისათვის ვენახის მთლიანი ფართობი საქართველოში 34 983 ჰა-ს უდრიდა. გეგმა კი ითვალისწინებდა 10 758 ჰა ახალი ვენახის გაშენებას. მაგრამ იმის გამო, რომ მოცემულ პერიოდში ადგილი უნდა ჰქონოდა დაავადებული ვენახების წარმოებიდან გამოსვლას, ამიტომ 1932 წ. ბოლოსათვის ვენახის მთლიან ფართობს უნდა მიეღწია სულ 35 310 ათას ჰექტარისათვის ე. ი. მატება ფაქტობრივად უნდა მომხდარიყო მხოლოდ 327 ჰა ფართობის ოდენობით. მაგრამ ხუთწლიანი გეგმა — როგორც ვენახის ახალი ფართობის გადიდების, ისე სადედე-სანერგე მეურნეობების მოწყობისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში მთლიანად ვერ იქნა შესრულებული.

რესპუბლიკის მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა საკ. კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებამ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებათა გამო, რომელმაც სხვა ძირითად საკითხებთან ერთად წინა პლანზე წამოაყენა ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხი.

6 ცსა, თბ., ფ. რ. 288, ანაწ. 1, საქ. 287, ფურ. 168.

დიდი ამოცანები იქნა დასახული მევენახეობა-მელვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში მეორე ხუთწლედში (1932—1937 წწ.). გეგმით ნაეარაუდევო იყო 1937 წ. ბოლოსათვის ვენახის მთლიანი ფართობის აყვანა 61 ათას ჰექტარამდე. მაგრამ მეორე ხუთწლედის დასაწყისში ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ნაკლოვანებები და ამ დარგის შეუფასებლობა. კერძოდ, მევენახეობის ძირითად რაიონებში ფართობებს ვენახის ხაცვლად დაკავებული ჰქონდა ისეთ კულტურებს, როგორცაა: სოია, ბამბა, კანაფი და სხვა. ასე მაგ. 1933 წ. ყვარელში გაშეხებული იყო 1000 ჰა კანაფი, სიღნაღის რაიონში. ბამბას ეკავა 8200 ჰა, ზესტაფონის რაიონში კი სოიას — 1500 ჰა⁷.

აღნიშნული საკითხი განიხილეს საქართველოს სსრ სასკომსაბჭომ 1933 წ. 4 დეკემბერს, და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით დაადგინეს: 1. 1934 წლიდან აკრძალული იქნეს მევენახეობის ძირითად რაიონებში კანაფისა და სოიას თესვა; 2. 1934 წ. კახეთში შემცირდეს, ხოლო შემდეგ მთლიანად შეწყდეს ბამბის თესვა; 3. შემოღებული იქნეს ყურძნისა და ღვინის დასაქონლიანება პურითა და მანუფაქტურით; 4. ამერიკული ვაზის სადედეების ფართობი 340 ჰექტარიდან გადიდებული იქნეს 800 ჰა-მდე, 5. 1934 წ. ჩატარდეს ვაზის მცხობა 1500 ჰა ფართობზე და დამზადდეს 10,4 მლნ ცალი სანამყენე მასალა, 6. გაიზარდოს ღვინის დამზადების ფასი 7 მანეთიდან 12 მანეთამდე ვედროზე; 7. მასქისპალურად გამოყენებული იქნეს ადგილებზე არსებული ნაკელი ვაზის სანერგეებში შესატანად და სხვა.

დადგენილების დასკვნით ნაწილში ნათქვამი იყო: „საქართველოს სსრ სასკომსაბჭო წახიდადებს აძლევს მევენახეობის რაიონების ყველა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სამიწათმოქმედო განყოფილებებს, მტს-ბის დირექტორებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რათა მოაწყონ ფართო ახსნა-განხარტებითი კომპანიის ჩატარება ამ დადგენილების დასამუშავებლად საბჭოთა მეურნეობების მუშების, კოლმეურნეობებისა და ერთპაროვნულ მეურნეობის მასებში და მიადწიონ ამ დადგენილებაში დასახული ღონისძიებების განხორციელებას“⁸.

თუმცა აღნიშნული ღონისძიებების პრაქტიკულმა განხორციელებამ თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ საქართველოს მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში ძირეული გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც სსრკ სასკომსაბჭომ და საკ. კბ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს თავისი ისტორიული დადგენილება 1936 წ. 28 ივლისს „საქართველოს სსრ-ში მევენახეობისა და ხარისხობრივი მელვინეობის განვითარების შესახებ“⁹.

დადგენილება ითვალისწინებდა 1940 წლისათვის ახალი ვენახების გაშეხებას 28 ათას ჰექტარ ფართობზე, ხოლო მთლიანად ვენახის ფართობის აყვანას 60 ათას ჰექტარამდე. მათ შორის შამპანური ჯიშების (პინოფრანი, შარდონხე, ალიგოტე და პინო-ბლანი) გაშენებას 2600 ჰექტარზე.

ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი, ნაცვლად 30—40 ცენტნერისა აყვანილი უნდა ყოფილიყო 60 ცენტნერამდე. ფილოქსერა გამძლე ვაზის გაშეხების უზრუნველსაყოფად მისი სადედე ფართობი მარტო ერთი წლის განმავლობაში 757 ჰექტარიდან უნდა გადიდებულიყო 1057 ჰა-მდე, ხოლო ერთ

7 ცსა, თბ., ფ. რ. 288, ანაწ. I, საქ. 3319, ფურც. 6—7.
8 ვაზ. „კომუნისტი“, 1933, № 263.
9 ეურ, „სისტორიო მოაზბე“, 1970, № 23—24, გვ. 423—426.

ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციიდან უნდა მიღებულიყო არანაკლები 42 ათასი ცალი ნაშენი.

1937—1940 წწ. აგებული უნდა ყოფილიყო კოლმეურნეობებში 120 სათბური — 48 მლნ ცალი ნერგის გამტარუნარიანობით.

მატერიალური წახალისების მიზნით კოლმეურნეობებს ეძლეოდათ გრძელვადიანი კრედიტით ჰექტარზე 2000—2500 მანეთამდე. დადგენილება ვარაუდობდა ავრეთვე ტექნიკური ჯიშების ყურძნის ფასების გადიდებას. კერძოდ, ტონა „საფერაზე“ დგინდებოდა — 1200 მან. „მწვანეზე“ 1100 მან., „რქა-წითელზე“ 1000 მან., „ციცქაზე“ 1300 მან., „პინოზე“ — 1800 მან და ა. შ.

აღნიშნულ დადგენილებას საფუძველზე სეროიზული მუშაობა გაიშალა რესპუბლიკის როგორც ღვინის მრეწველობის ნედლეულის ბაზის განმტკიცების, ისე მეღვინეობაში ტექნოლოგიური პროცესების ნორმალური წარმოების საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

უფრო დიდი ამოცანები დაისახა მევენახეობის დარგში სახალხო მეურნეობის განვითარების შესამე (1938—1942) ხუთწლიანი გეგმით. ამ გეგმით ნავარაუდები იყო ვენახის ახალი ფართობის გაშენება 25 050 ჰექტარზე.

გახიზილა რა საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობამ (1940 წ.) რესპუბლიკის მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხები¹⁰, მოიწონა საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ღონისძიებები მევენახეობის დარგში.

ომამდე თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ქვეყანაში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, ეს ჩანს სსრკ სადასახეობის და სსრკ კ (ბ) ც. კ.-ს 1940 წ. 25 აპრილისა და 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებებიდან. 1940 წ. 25 აპრილის დადგენილება, რომელიც შეეხებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს“¹¹, ითვალისწინებდა ვენახის ფართობის გადიდებას 1944 წ. დამლევისთვის 80 ათას ჰა-მდე, ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებას 65 ცენტზეამდე. ამავე წლის 15 ოქტომბრის დადგენილება ითვალისწინებდა საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში 1945 წ. დამლევისათვის ვენახების ფართობის აყვანას კოლმეურნეობებში — 10 658 ჰა-მდე, რისთვისაც 1941—1945 წწ. უნდა გაშენებულიყო 8372 ჰა ახალი ვენახები: 1941 წ. — 766 ჰა, 1942 წ. — 696 ჰა, 1943 წ. — 1772 ჰა, 1944 წ. — 1938 ჰა, 1945 წ. — 3300 ჰა.

როგორც ვხედავთ, 1936—1940 წწ. დიდი გრანდიოზული ამოცანები იქნა დასახული ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების საქმეში.

მაგრამ განვითარების ეს ტემპები დროებით შეაჩერა და თავისი დამანგრეველი გავლენა იქონია გერმანიის ვერაგულად თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე. შეწყდა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობა და დაიწყო დიდი სამამულო ომი.

„საბჭოთა ხალხი, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — არასოდეს არ დაივიწყებს 1941 წ. 22 ივნისს, როცა ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა ჰიტლერულ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა. ჩვენს სამშობლოს საშინელი საფრთხე შეექმნა... ვერავითარი სტატისტიკა ვერ შეგვიქმნის ნამდვილ წარმოდ-

¹⁰ ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“ № 4, 1940, გვ. 36—38.

¹¹ ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, 1970, № 23—24, გვ. 456—458.

გეხას იმ ზარალის მასშტაბის შესახებ, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა ომის წლებში¹².

პარტიისა და მთავრობის მოწოდების საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობა გარდაიქმნა ომის ყაიდაზე. ჩვენი ყველა საწარმოო მუშაობდა ომის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა დიდი მუშაობა როგორც ქალაქად ისე სოფლად იმ მიმართულებით, რომ მიგვეწოდებინა საბჭოთა არმიისათვის, მთელი ხალხისათვის ისეთი საჭირო პროდუქტები, რომლებიც მზადდებოდა საქართველოში.

„საქართველოს მუშებისა და კოლმეურნე გლეხობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ამოცანებს ბრწყინვალედ გაართვეს თავი როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ხაზით“¹³.

სამამულო ომის პერიოდში საჭირო გახდა პირველ ყოვლისა ფიჭვი არა იმაზე, რომ გაგვეფართოებინა ვენახის მთლიანი ფართობი, არამედ იმაზე, რომ როგორმე შეგვენარჩუნებინა არსებული მდგომარეობა და ამ დარგში მიღწეული დონე.

ცხოვლია, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ფრონტზე წასვლის შედეგად, მხიშველოვნად შემცირდა მუშახელი, რის გამოც სათანადო დონეზე არ სრულდებოდა ძირითადი სამუშაოები ვენახში. ამასთან, იმის გამო, რომ ადვილი ჰქონდა შაბამნისა და გოგირდის ნაკლებობას ვენახების სისტემატური შექაძვლა ერთობ ფერხდებოდა. შეწყდა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა ხიადაგში; კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სადედესახერგე შეურხეობა. თუ 1940 წ. სულ სახელმწიფოებრივი სექტორის ხაზით წარმოებული იყო 2 223 ათასი დეკალიტრი ლვინო, 1945 წ. მან მხოლოდ 1 367 ათასი დკლ შეადგინა, ე. ი. შემცირდა 39%-ით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იხილავდა რა შევენახეობის მძიმე მდგომარეობის საკითხებს, რაც ღონისძიებებს სახავდა არსებული ხაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ სერიოზულად მოკიდეს ხელი რესპუბლიკის შევენახეობას. უკვე 1945 წ. სექტემბერს საქართველოს სსრ სასკომსაბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება მესხეთის რაიონებში შევენახეობის განვითარების შესახებ. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების ბუნებრივ ისტორიულ პირობების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შევენახეობა-მეღვიხეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ცდების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნულ რაიონებში სავესებით შესაძლებელია შევენახეობა-მეღვიხეობის განვითარება. ამ მიზნით დასახელებულ რაიონებში 1946—1950 წწ. უნდა გაშენებულიყო 2300 ჰა ვენახი.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხმა თანდათან მოიშუშა რა ომით გამოწვეული ჭრილობები, ფართო მუშაობა გაშალა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის შევენახეობის აღდგენა-განვითარებისათვისაც.

¹² საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება, თბ., 1965, გვ. 6—7, 31.

¹³ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967, პროფ. ვ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 456.

კახოხი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე (1946—1950 წწ.) ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ითვალისწინებდა ვენახის ახალი ფართობის გაშენებას 11 ათას ჰა ფართობზე. გეგმაში ნავარაუდევია იყო არა მარტო დაღუპული ვენახის აღდგენა, არამედ მეჩხერიანი ფართობების მთლიანად შეეცხვაც. ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდა 25,4 ცენტხერიდან ხავარაუდევია იყო 40 ცენტხერამდე, ხოლო ყურძნის სახელმწიფო დაშაღდება 45 922 ტონამდე, რაც ითვალისწინებდა 40%-ით ზრდას.

1947 წ. ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარებული ვაზის ნარგავთა აღწერისას ვენახს ეკავა სულ 48 166 ჰა, ხოლო ვაზის ნარგავთა საერთო რაოდენობა ძირებში უღრიდა 277 381,7 ათასს.

1950 წ. ბოლოსათვის ვენახის მთლიანმა ფართობებმა რესპუბლიკაში 58,2 ათასი ჰა შეადგინა. აქედან ნაყოფის მომცემა ფართობი იყო 47,8 ათასი ჰა. სექტორების მიხედვით კოლმეურნეობებზე მოდიოდა — 38,6% (22,5 ათასი ჰა), საბჭოთა მეურნეობებზე 4,1%, ხოლო დამხმარე მეურნეობაზე — 56,8%.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის სახელმწიფოებრივი დაშაღდებაც. თუ 1945 წ. იგი უღრიდა 26,4 ათას ტონას, 1950 წელს მან 97,8 ათასი ტონა შეადგინა, ე. ი. ზრდა მოხდა ორჯერ და მეტად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის ოქტომბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ საკითხის განხილვისას განსაკუთრებით ფართო ადგილი დაუთმო მევენახეობის განვითარებას მეხუთე (1951—1955) ხუთწლედში.

პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ახალი ის იყო, რომ საკავშირო მთავრობის დავალებით საქართველოში უნდა გაშენებულიყო ვაზის მხოლოდ ძვირფასი მრეწველური ჯიშები. თუ 1950 წ. ამ ჯიშებს ეკავათ სულ — 33 864 ჰა ფართობი, 1955 წ. მას უნდა დაეკავებინა — 49 ათასი ჰა. გარდა ამისა აღნიშნულ ხუთწლედში ხავარაუდევია იყო გაშენებულიყო სუფრის საუკეთესო ჯიშები. ხაცვლად მანამდე არსებული 138 ჯიშისა უნდა გაშენებულიყო 15 შემდეგი ჯიშის ვაზი (ჰექტარობით): რქაწითელი — 2106, მწვანე — 963, კოლიკაური — 1496, საფერავი — 1376, კაბერნე — 735, ალექსანდრეული — 356, ოჯალეში — 226, უსახელაური — 394, ციცქა — 1147, მუხრანული — 1178, ჩიხური — 943, პინო — 346, ხიხვი — 126, ჩხავერი — 351, კრახუნა — 142, გორული მწვანე — 1266. სულ 13178 ჰა¹⁴.

ეგებოდა რა რესპუბლიკაში არსებულ მეურნეობის მდგომარეობას, ვ. პ. შუკანაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე (1954 წ. თებერვალი), აღნიშნავდა: „საკავშირო აღწერის 1953 წ. მონაცემების მიხედვით, დაბლარი ვენახის ფართობი რესპუბლიკაში 52 ათას ჰექტარს შეადგენს; უკახსკენელ წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაუმჯობესდა ვენახების მოვლა ცალკეულ რაიონებში. მაგ., გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის რაიონებში საშუალო მოსავლიანობამ 60—70 ცენტხერს მიაღწია, ხოლო ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა ჰექტარ ფართობზე 100 ცენტხერი და მეტი ყურძენი მიიღო.

პარტიისა და მთავრობის დავალება, რომ შევასრულოთ, ამოცანად უნდა დავისახოთ უახლოეს 5—10 წელიწადში ვენახების ფართობის აყვანა 80 ათას

¹⁴ ცსა თბ., ფ. რ. — 2394, ანაწ. 4, საქ. 1263, ფურ. 2.



ჰექტარამდე. ეს ამოცანა სავსებით რეალურია და ჩვენ იგი უნდა გადავწყვიტოთ¹⁵.

ძიუხედავად ამისა, მეხუთე ხუთწლედში ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა ვენახების გაშენება კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. სულ ხუთწლედში მისი ფართობი კოლმეურნეობებში გაიზარდა 5,7 ათასი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 0,6 ათასი ჰექტარით. ამასთან კოლმეურნეობების ვენახის ფართობის ზევდრიწონა მთლიან ფართობში უცვლელი დარჩა. თუმცა მხიშველოვნად გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობა. თუ 1951 წ. ჰა ფართობზე რესპუბლიკაში მიღებული იქნა საშუალოდ — 34,9 ც და 1952 წ. — 26,2 ც. უკვე 1953 წ. — მან 48,8 ც; 1954 წ. — 67,3 ც; და 1955 წ. — 58,9 ცენტნერი შეადგინა. ყურძნის მთლიანმა მოსავალმა კი (ათას ტონ.) 1951 წ. — 167 შეადგინა. 1952 წ. — 137, 1963 წ. — 228, 1954 წ. — 337, და 1955 წ. — 300 ათასი ტონა. თუ 1950 წ. საქართველოში დამზადებული იქნა სულ 57,8 ათასი ტონა ყურძენი, 1955 წ. მან 112,5 ათასი ტონა შეადგინა ე. ი. გაიზარდა თითქმის ერთი ორად.

მევენახეობის განვითარების ეს მძლავრი ტემპები არც მომდევნო პერიოდში შეეხლდა. 1958 წ. ბოლოს ვენახის მთლიანი ფართობი საქართველოში გაიზარდა 74,9 ათას ჰექტარამდე. მარტო 1956, 1957, 1958 წლის განმავლობაში მისი ფართობი გაიზარდა 6,9 ათასი ჰექტარით, ხოლო ყურძნის დამზადებამ მარტო 1958 წლისათვის 147 071 ტონა შეადგინა.

დიდი ამოცანები დაისახა რესპუბლიკის მევენახეობის წინაშე შეიძლედა. თახხმად შეიღწლიანი გეგმისა საქართველოში ვენახის მთლიანი ფართობი აყვანილი უნდა ყოფილიყო 120 ათას ჰექტარამდე.

ეხებოდა რა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობაზე მევენახეობის საკითხებს, ვ. პ. მუჟავენიძე აღნიშნავდა: „შეიღწლიანი გეგმით გათვალისწინებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახის ფართობის მხიშველოვანი გადიდება, ამით მკვეთრად გაიზარდება საზოგადოებრივი სექტორის ზევდრიწონა ყურძნის წარმოებაში. ყურძნის მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა ლიკვიდაცია სიმეჩხერისა, რომელიც ზოგიერთ რაიონის მეურნეობაში 20—25 პროცენტს აღწევს. მევენახეობის რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაშწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ, რათა სავსებით აღმოფხვრან ვენახების სიმეჩხერე ორ-სამ წელიწადში“¹⁶.

საქართველოს მევენახეობის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა თბილისში 1962 წ. მევენახეობა-მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის ჩატარება. კონგრესზე მოსმენილი იქნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: „ყურძნის პათოლოგია“, (პროფ. ჯ. დალმასო — იტალია) „ყურძნის კულტურა ფერდობებზე“ (პროფ. პ. ივანოვი — სსრკ). „მილდიუს წინხადმდე ბრძოლის ახალი პრეპარატები“ (იტალია, პროფ. ჩ. სიბილა). მეღვინეობის შესახებ სხვადასხვა საკითხებზე გამოვიდნენ: აკად. ს. ღურმიშიძე, პროფ. მ. გერასიმოვი, პროფ. აგამალიანი (საბჭოთა კავშირი) კ. სტოვეი (ბულგარეთი) და სხვა.

¹⁵ ვ. პ. მუჟავენიძე, საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობას, გაზ. „კომუნისტი“, 1954, № 41.

¹⁶ ვ. პ. მუჟავენიძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. XXI ყრილობას, თბ., 1961, გვ. 24—25.

კოხგრესის დამთავრებისას მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა ბარონმა პიერ ლე-რუამ დიდი მადლობა გადაუხადა დამწერ საზოგადოებას, კოხგრესის ყველა მონაწილეს და განსაკუთრებით საქართველოს საბჭოთა მთავრობას, კონგრესის ასე მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარებისათვის. „მე ვისურვებდი — თქვა მან — რომ ეს თბილი გრძობები ბატონობდეს ყველგან, მთელს მსოფლიოში, და მე ვთვლი, რომ არა ყენვეაში უხდა ტარდებოდეს განიარაღების კონფერენცია, არამედ აქ — თბილისში“¹⁷.

არახაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში 1965 წ. სექტემბერს თბილისში ჩატარებულ ღვინეობის მსოფლიო დაქაშნიკებას.

თუ 1958 წ. განსაზოგადოებულ სექტორს ეკავა 37,6 ათასი ჰა, ანუ მთლიანი ვეხახის ფართობის 50% (მ. შ. 31,5 ათასი ჰა კოლმეურნეობებში და 6,1 ათასი ჰა საბჭოთა მეთურნეობებში) ხოლო დამხმარე მეურნეობაში დანარჩენი — 37,3 ათასი ჰექტარი. უკვე 1965 წ. ბოლოს განსაზოგადოებულ სექტორზე მოდიოდა 64,5 ათასი ჰა (მ. შ. 40,6 ათასი ჰა კოლმეურნეობებში და 24 ათასი ჰა საბჭოთა მეთურნეობების ანუ მთლიანი ფართობის 60,2%) ხოლო დამხმარე მეურნეობაზე მოდიოდა 42,4 ათასი ჰა ანუ მთლიანი ფართობის 39,8%. ამას დიდი ეკონომიკური და ამასთან ერთად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მომავალში კი ჩვენი რესპუბლიკის მევენახეობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა წავიდეს.

შვიდწლეულში ყურძნის საშუალო მოსავლიანობამ 42,1 ცენტნერი შეადგინა, ხოლო მთლიანმა მოსავალმა — 1957,4 ათასი ტონა. ყურძნის სახელმწიფოებრივმა დაშალებამ შვიდწლეულში სულ 980,3 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან თუ 1959 წ. რესპუბლიკაში დაშალებული იქნა 132,8 ათასი ტონა ყურძენი — 1965 წ. მისი ოდენობა გაიზარდა — 244,8 ათას ტონამდე ანუ 1,8-ჯერ. დამახასიათებელია, რომ 1959 წ. სახელმწიფოებრივ სექტორის ხვედრიწონა ყურძნის დაშალებაში თითქმის ისეთივე იყო როგორც შვიდწლეულის ბოლოს. (1959 წ. იგი უდრიდა — 57,7%-ს, ხოლო 1965 წ. — 58,4-ს. დანარჩენი კი მოდიოდა დამხმარე მეურნეობაზე — 1959 წ. — 42,3% და 1965 წელს — 41,6%).

მაგრამ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შვიდწლეულის დასაწყისში ყურძნის მთლიანი დაშალების 47,7% მოდიოდა კოლმეურნეობებზე, ხოლო 10% საბჭოთა მეთურნეობებზე, შვიდწლეულის ბოლოს კი კოლმეურნეობებზე მოდიოდა 32% (ე. ი. 17,7%-ით ნაკლები), ხოლო საბჭოთა მეთურნეობებზე 26,4% (ანუ 16,4%-ით მეტი). ეს გარემოება ახსნილი უნდა იქნეს იმით, რომ შვიდწლეულში რესპუბლიკის მრავალი კოლმეურნეობა გადავიდა საბჭოთა მეთურნეობებზე. თუ მაგ. 1959 წ. საბჭოთა მეთურნეობების განკარგულებაში იყო სულ 6,1 ათასი ჰა ვეხახი, 1965 წელს მისი ფართობი გაიზარდა 24,1 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1968 წლის ბოლოსათვის მან 30,1 ათასი ჰა შეადგინა.

მართალია ვეხახის ფართობის გადიდების ტემპი ოდნავ შენედა 1966—1970 წწ. და მისი წლიური მატება მხოლოდ 1,5 ათას ჰა შეადგენდა, მაგრამ სამაგიეროდ დიდად გაიზარდა ყურძნის მოსავლიანობა და მისი სახელმწიფოებრივ დაშალება: ასე, მაგ. ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი უდრიდა ცენტნერობით 1966 წ. 49,1, 1967 წ. — 45,8, 1968 წ. — 48,3, 1969 წ. — 53,3.

ყურძნის მთლიანი მოსავალი უდრიდა (ათას ტ.) 1966 წ. 374,41, 1967 წ. — 357,67, 1968 წ. — 395,58, 1969 წ. — 459. ყურძნის საშუალო წლიურმა მოსა-

¹⁷ Газ. „Заря Востока“, 1952, № 219.

ვალმა კი ოთხ წელიწადში რესპუბლიკაში — 396 ათასი ტონა შეადგინა. ეს იმ დროს როდესაც მან 1950 წელს 150 ათასი, 1955 წ. — 158 ათასი და 1960 წ. — 247 ათასი ტონა შეადგინა.

ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადება ათას ტონობით უდრიდა: 1932 წ. — 25,2 1940 წ. — 35,5, 1950 წ. — 57,8, 1960 წ. — 92,8, 1967 წ. — 221,2, 1968 წ. — 279,1, 1969 წ. — 342,3, ე. ი. ყურძნის სახელმწიფოებრივი დამზადება 1969 წ. იყო 10-ჯერ მეტი ვიდრე 1940 წ. და 3,7-ჯერ მეტი ვიდრე 1960 წელს.

ეხებოდა რა მევენახეობის დარგში ჩატარებულ მუშაობას, ამხ. ვ. პ. მჭავანაძე საქართველოს კომპარტიის ც. კ.-ის 1968 წ. ნოემბრის პლენუმზე აღნიშნავდა: „რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მევენახეობას, რომელიც მეურნეობრივ უმრავლესობისათვის შემოსავლის ძირითადი წყაროა. თუ 1962—1964 წლებში სახელმწიფოს მიჰყიდეს 364 ათასი ტონა ყურძენი, 1965—1967 წლებში დამზადებული იყო 710 ათასი ტონა... უნდა აღინიშნოს, რომ ამდენი ყურძენი რესპუბლიკაში არასოდეს არ დაუმზადებიათ... წარმატებით გაართვეს თავი ყურძნის შიღებასა და გადამუშავებას ჩვენმა ღვინის ქარხნებმა“¹⁸.

უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მევენახეებმა ხუთწლედის უკანასკნელ 1970 წელს. ამ წელს ყურძნის მთლიანმა მოსავალმა საქართველოში არნახულ დონეს მიაღწია, ხოლო სახელმწიფოებრივმა დამზადებამ — 385 ათასი ტონა შეადგინა.

დასახულია ამოცანა რათა 1975 წლის ბოლოსათვის ვენახის ფართობმა რესპუბლიკაში მიაღწიოს 135 ათას ჰექტარს, ყურძნის მთლიანი მოსავალი გაიზარდოს 600 ათას ტონამდე, ხოლო მისმა სახელმწიფოებრივმა დამზადებამ შეადგინოს 420 ათასი ტონა.

ხელეულის ბაზის ასეთი გაფართოება საშუალებას მოგვცემს გამოუშვათ 1975 წლის ბოლოსათვის 30 მლნ დკლ-ზე მეტი ღვინომასალა, 16 მლნ დკლ. ყურძნის ღვინო, 15—20 მლნ ბოთლი შამპანური, 1,2 მლნ დკლ კონიაკი და სხვა სპირტული პროდუქცია.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ასეთი მძლავრი ტემპი უფრო მეტად გაზრდის მის როლს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში და ამ დარგებით ჩვენი რესპუბლიკა უფრო მეტი ხვედრითი წონით წარმოგვიდგება შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში.

¹⁸ ვ. პ. მჭავანაძე, სკკპ ც. კ.-ის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები, ვაზ. „კომუნისტი“, 1968, № 270.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



დავით კავლიაშვილი

საქართველოს სსრ მხნილეობა დიდი სამამულო ომის
შემდგომი ხუთწლეულში (1946—1950 წწ.)

დიდმა სამამულო ომმა მძიმე დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და განსაკუთრებით მრავალწლიან ნარგავთა კულტურებს. გაძნელდა მთელი რიგი დარგების შემდგომი განვითარება. თითქმის სრულებით შეწყდა ზოგიერთი კულტურების ახალ ფართობებზე გაშენება. დადგა პერიოდი, როდესაც საჭირო გახდა სოფლის მეურნეობის ამ დარგებში ომამდელი მიღწეული წარმატებების შენარჩუნებისა და ისეთი პროდუქტების მაქსიმალურად წარმოებისა, რომელსაც სამშობლოს — ფრონტს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი გლეხობა აწვდიდა.

სამამულო ომმა რამდენადმე დაამუხრუტა მეხილეობის დარგში მიღწეული წარმატებები, შემცირდა ბაღების ფართობები. მუშახელის აიშვარებასთან ერთად თითქმის მთლიანად შეწყდა ბაღებში შხამ-ქიმიკატებისა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება. მაგრამ ეს იყო ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდი გამოცდა, რომელმაც დაადასტურა მისი უნარიანობა, სიმტკიცე, ერთიანობა. ომიდან ისინი გამოვიდნენ უფრო მტკიცე როგორც პოლიტიკურად ისე ორგანიზაციულად¹.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მთელი ყურადღება მიმართული იქნა დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედება არ ყოფილა, ომით გამოწვეული სხვადასხვა მძიმე პირობების გამო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებმა გარკვეული ზიანი განიცადეს. ომის დაწყების პირველ წლებში განსაკუთრებით შემცირდა როგორც მრეწველური, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ომის დამამთავრებელი წლის იანვრის ცნობებით, რესპუბლიკის მეხილეობის 12 რაიონში, სადაც თითოეულში სულ მცირე ათასი-ათას ოთხასი და მეტი ჰექტარი ხეხილის ბაღი იყო გაშენებული, მისი შემდგომი განვითარებისათვის სათანადო რეზერვები საკმაოდ მოიპოვებოდა და ამდენად მათი სრულყოფილად გამოყენება უახლოეს ამოცანად იქნა მიჩნეული. მით უმეტეს, რომ ხილის ფართობს რესპუბლიკის მიწის ფონდში მხოლოდ 1,1% ეკავა.

მართალია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ომის წინა პერიოდში ჯერ კიდევ წინ უსწრებდა ამ მხრივ საკმაოდ განვითარებულ ქვეყნებს. მაგ. ბულგარეთს, სადაც ბაღების ზვედრიწონა მთელი მიწების მიმართ

¹ საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1927 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 482.



0,64% უდრიდა, საბერძნეთს — 0,38%, ესპანეთს — 0,55%, ავსტრიას — 0,39% და სხვ. ქვეყნებს, მაგრამ საკმაოდ ჩამოვრჩებოდით პორტუგალიას — 3,33%, პოლანდიას — 2,6%, იტალიას — 2,2%, ბელგიას — 2,13%, რუმინეთს — 1,16%, საფრანგეთს — 1,42%, ჩეხოსლოვაკიას — 1,16%, იუგოსლავიას — 1,54% და სხვ.² ამიტომ სამამულო ომის ძლევაშემოსილად დამთავრების შემდგომი პერიოდი მეხილეობის ფართო განვითარების პერსპექტივებს და ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებთან კონკურენციისაკენ გვიბიძგებდა.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება, მთელ რიგ სიძნელებებთან იყო დაკავშირებული. მათ შორის მტრის მიერ განადგურებული და ღრობებით ოკუპირებული რაიონების მეურნეობათა აღდგენა-განვითარება, საერთაშორისო დაძაბულობის გავლენა, როდესაც აშერიკელი იმპერიალისტები ახალი ომის საფრთხეს ქმნიდნენ და სხვ., რაც რამდენადმე აბრკოლებდა ჩვენი ქვეყნის მშრომელების მშვიდობიანი შრომის სტიმულს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სსრ კავშირში გაბედულად იქნა შემუშავებული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენდა აღდგენილიყო ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე, ხოლო შემდეგ ეს დონე მნიშვნელოვნად ყოფილიყო გადაჭარბებული³.

ახალი ამოცანების ვადასაჭრელად ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ომში გამოწრთობილი მტკიცე ბაზა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით. თუ, მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში 1936 წელს იყო სულ 7 მილიონერი კოლმეურნეობა 1945 წლისათვის მისი რიცხვი 180-მდე გაიზარდა. 1936 წელს ხუთი ათასი მანეთიდან მილიონამდე შემოსავალი ჰქონდა სულ 35 კოლმეურნეობას, 1945 წლისათვის მისმა ოდენობამ 389 გადაჭარბა. ამასთან, სარწყავი ქსელის გასაფართოებლად ასიგნებულ იქნა 16 მლნ მანეთი, რომელთაგან 10 მლნ მარტო ქართლის ე. ი. მეხილეობის ძირითადი რაიონებისათვის იყო გამოყოფილი.

მეხილეობის აღდგენა-განვითარების საქმეში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა გამეჩხერებული და დაავადებული ხეხილის ბაღების აღდგენა-მკურნალობა, რის გამოც სკკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებაში აღინიშნა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაევალა, რათა 1948 წლიდან ბაღის სპეციალური მანქანების, მათ მანებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველი სათანადო აპარატურა-მოწყობილობის, აგრეთვე ბაღის წვრილი ინვენტარის ფართოდ წარმოება⁴. აღნიშნულ ღონისძიებას უნდა უზრუნველყო როგორც ახალი ბაღების გაფართოება, აგრეთვე არსებულ ბაღებში მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი ბაღების გაშენების საქმეს. რის გამოც პირველ რიგში საჭირო გახდა საცდელი სადგურებისა და სანერგე მეურნეობების სწრაფი აღდგენა და მისი მაქსიმალურად გაფართოება. საჭირო

² Мировое хозяйство, 1923—1927, М., 1928, стр. 114; Справочное руководство по плодоводству для аграриев, М., 1937, стр. 25.

³ კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 9.

⁴ სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, მეშვიდე გამოცემა, თბ., 1956, გვ. 719.



იყო არა მარტო მეტი და მაღალხარისხოვანი ნარგავი მასალის წარმოება, არამედ ახალი ჯიშების შერჩევა და მისი გამოყვანა, დანერგვა. მართალია აღნიშნული სამუშაოები არც ამის მძიმე პირობებში შეწყვეტილა, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაკლებობის გამო სათანადო სამუშაოები ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ჩვენს რესპუბლიკაში მეხილეობის ფართოდ განვითარების საქმეში როგორც ამის წინა, ისევე მის შემდგომ პერიოდშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა მეხილეობის გორის სასელექციო სადგურმა, რომლის ბაზაზეც აღმოცენდა არაერთი საცდელ-საჩვენებელი და სასელექციო პუნქტი. მაგრამ ჯერ კიდევ ამის მძიმე პირობებში 1943 წელს ამ პუნქტის ბაზაზე მისი უშუალო დახმარებით ქ. ქუთაისში გაფართოებულ იქნა სასელექციო სადგური, რომლის ფართობმა 50 ჰა მიიღწია და მიუხედავად მძიმე პირობებისა, აქ შესაძლებელი გახდა ადგილობრივი ჯიშებიდან ტყემლისა და ჰამიდორის დიდი ოდენობის დასარგავი მასალა წარმოებულყო. ამავე წელს გორის სასელექციო სადგურის ბაზაზე ქ. სტალინირში (ამჟამად ქ. ცხინვალი) ჩამოყალიბდა საყრდენი პუნქტი 12 ჰა ფართობზე, რომელმაც შემდგომ ერთობ დიდი როლი ითამაშა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველური მეხილეობის განვითარების საქმეში. ამის მძიმე პირობებში გორის მეხილეობის სასელექციო სადგურმა გამოიყვანა და წარმოებაში დანერგა სხვადასხვა ხეხილის ადგილობრივი ჯიშები და ფორმები „ბესტავაშვილის ატამი“, მწვანე ბარდა, პატისონი და სხვა.

ამის შემდგომ პერიოდში შეიქმნა პირობები სოფლის მეურნეობის საცდელ-საჩვენებელი სადგურებისა და საყრდენი პუნქტების გაფართოებისათვის. გორისა და ქუთაისის სასელექციო სადგურების 1946 წ. ანგარიშგებებიდან ჩანს, რომ ხუთწლედის დასაწყისში ისინი განიცდიდნენ სამეცნიერო-ტექნიკური აღჭურვილობის, წარმოებრივ-ყოფაცხოვრებითი პირობებისა და სხვა საშუალებათა ხაკლებობას. ბაზას არ გააჩნდა საყრდენი პუნქტები, რის გამოც ჩაშლილი იყო მუშაობა მათი მომსახურების ზონის კოლმეურნეობებში. ყურადღება არ ექცეოდა მეცნიერ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. გორის საცდელ სადგურში სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა მხოლოდ ერთ თანამშრომელს, ხოლო ქუთაისის საცდელ სადგურში არც ერთს. კაბინეტ-ლაბორატორიების უქონლობა-მოუწყობლობის გამო კვლევითი თემატიკის დამუშავება ძალზე ნაკლებად წარმოებდა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევის მიზნით, რესპუბლიკის შემდგომპორგანოებმა მიიღეს რა სათანადო ღონისძიებები, ქუთაისის საცდელ-სასელექციო სადგურს დამატებით მიეცა 80 ჰა მიწის ფართობი და ტყიბულის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ვანის რაიონის ოთხ კოლმეურნეობაში ახალი საყრდენი პუნქტების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ხოლო გორის სასელექციო სადგურს საშუალება მიეცა ქ. სტალინირში არსებული განყოფილების გასაფართოებლად, ხოლო გურჯაანში საყრდენი პუნქტის მოსაწყობად, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ლუღვის ჯიშების გამოყვანასა და პრაქტიკაში დანერგვას.

სახელმწიფოებრივი და კოლმეურნეობრივი სანერგეების მუშაობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მისი შემდგომი გაფართოების უზრუნველსაყოფად 1947 წელს თებერვლის პლენუმზე კონკრეტული ღონისძიებები დასახა. აქ აღნიშნული იყო: „განმტკიცდეს არსებული და მოეწყოს ახალი საკოლმეურნეო და სახელმწიფო სა-



ნერგები, რათა სავესებით უზრუნველყოფილ იქნას სარგავი მასალით ახალი ბაღების, ვენახებისა და საეკსპორტების გაშენება, მათი რემონტი, აგრეთვე ხეხილისა და ვაზის დარგვა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე⁵.

აღნიშნულ დადგენილებათა საფუძველზე 1947 წლისათვის გორისა და ქუთაისის საცდელ სადგურებს დამატებით მიეცათ საშტატო ერთეულები. ქუთაისს — 4 აგრონომი და 4 აგროტექნიკოსი, გორს — 2 აგრონომი და 2 აგროტექნიკოსი. ამასთან მათ გამოეყოთ 4 ტრაქტორი, 2 სპლანტაჟო გუთანის ცხენის კულტივატორით, 2 ავტომანქანა და ფართობის შემოსაღობად 40 ტონა მავთული.

მეხილეობის დარგის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის საცდელ სადგურებს ევალებოდათ შესამჩნევად გამოესწორებინათ არსებული ნაკლოვანებები, გაეფართოვებინათ და გაემდიდრებინათ ხილის ასორტიმენტი, შეემუშაებინათ მაღალი მოსავლიანობის მიღების მეთოდები და სხვ.

ამიტომ მოკლე ხანში ქუთაისის საცდელ-სასელექციო ნაკვეთის 2 ჰექტარ საკულექციო ბაღში შესძლეს ადგილობრივი ჯიშების მაღალი მოსავლისა და კარგი ხარისხის სხვადასხვა ხილის მიღება. ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის პერსპექტიული იქნებოდა, ატმის 23 სახეობა, მათ შორის ადგილობრივი: ხირსული, ბესტავაშვილი, კეზევაძე, ხირსული სახრაი, ხიდისთავის საგვიანო და სხვ. უცხო ჯიშებიდან: გუმბერლენდი, შადინოვი, ოქროს საიუბილეო, ჩემპიონი, საგვიანო ელბერტი, ერევნული, არაბული, რომანოვის, ნიკიტინის, № 55 და სხვ. ქლიავებიდან: კორკიმელი, შავქლიავე, წყალქლიავე, ატმისებური, ეკატერინე, დიდი ჰერცოგი, იტალიური, ჯეფერსონი და სხვ. სულ — 12 ჯიშის; ტყემლებიდან ადგილობრივად გამოყვანილი — 12 სახეობის. ვაშლებიდან: შაფრანი, როზმარინი, ქართული სინაფი, ქართული რენეტი, შამპანური რენეტი, მუხურული თეთრი, მუხურული წითელი, კანადის რენეტი, რუხი ფრანგული რენეტი და სხვ. მსხლებიდან: ვილიამსი, ბერე-ბოსკი, კაიფერი. კომპებიდან — 6 სახეობის: ლეღვი — 4; ბლეზი: დროვანა ყვითელი, ბიგარ-გრილია, თათრული შავი, შავი არწივი; ალუბლებიდან: ლიუთერა, პოდბელსკაია; ბროწეული 2 ჯიშისა და ა. შ.

არა მარტო ჩვენი, არამედ მოამე რესპუბლიკების მეხილეობის განვითარების საქმეშიც, განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა გორის სასელექციო საცდელმა სადგურმა, რომლის ფართობი მეოთხე ხუთწლეულში 182 ჰა მოიცავდა. იგი დაარსდა „მთავარკონსერვის“ საცდელ-საყრდენი პუნქტის ბაზაზე — 1938 წელს და ემორჩილებოდა საქართველოს კონსერვატორს, რომელსაც მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა ქ. იალტის ნიკიტინის ბიტანიკური ბაღი, ხოლო შემდეგ ქ. მოსკოვში დაარსებული საკონსერვაო მრეწველობის ინსტიტუტი. გორის სასელექციო სადგური რესპუბლიკის გარდა მომსახურებას უწევდა საბჭოთა კავშირის მეხილეობის სამხრეთ ზონას. კერძოდ, იგი მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა: ხაჩმაზის, ზაქათალის, მამდაგის (აზერბ. სსრ) ბეონაკის, კასუმკენტის (დაღესტნის ასსრ) საცდელ-სასელექციო პუნქტებს.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გორის საცდელ სადგურს ჰქონდა 5 განყოფილება 21 საშტატო ერთეულით, რომელიც ომის პერიოდში შემცირდა

⁵ სკპ ყრილობების, კონფერენციებისა და პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, გამოცემა მეხუთედი, გვ. 719.



11-მდე და იგი 1946 წლამდე არ გაზრდილა. სადგური ემსახურებოდა საკონსერვო ქარხნის ზონების მეხილეობა-მებოსტნეობის მეურნეობებში ნედლეული ბაზის გაზრდას, ჯიშების გამოვლინებას, ახალი ჯიშების გამოყვანას, აგროლონისძიების სისტემის დამუშავებით მაღალი მოსავლის მიღებას, მანებლები-სა და დაავადებათა შესწავლას და ბრძოლის საშუალებების გამონახვას, მოწინავე სტახანოველების გამოვლინებისა და მეურნეობრივი ორგანიზაციების მიღწევების დანერგვას და სხვ.

გორის საცდელი სადგურის მიერ ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში გამოვლინებულ იქნა ატამი — „ბესტაეაშვილი“ და გარგარი „ალი-პრიალა“, რომელნიც სახელმწიფოებრივ სტანდარტში იქნენ შეტანილი, ხოლო 1964 წლამდე აღნიშნული სადგურის მიერ გამოცდილ იქნა ატმის 70 ჯიში, რომელთაგან სტანდარტში იქნა შეტანილი — 7, ხოლო პერსპექტივაში იყო კიდევ ატმის 14 ჯიში, რომელიც სახ. სტანდარტში უნდა შესულიყო. ამავე პერიოდში გამოყვანილი გარგარის 18 ჯიშიდან სტანდარტში შევიდა — 5, პერსპექტივაში იყო — 2; ქლიავის 23 ჯიშიდან სტანდარტში შევიდა — 6, პერსპექტივაში იყო — 4; ბლის 13 ჯიშიდან სტანდარტში — 1, პერსპექტივაში — 2; ალუბლის — 8 ჯიშიდან 3. ამასთან, ატმის ჯიშთა შორის, ჰიბრიდირებული და მიღებული იქნა 190 თესლენერგი, რომელთაგან 1946 წლისათვის 6 ჯიში გამოყოფილი და გამრავლებული იყო გამოცდისათვის. გამოვლენილ იქნა კახური ლედვის 7 ჯიში და სხვ.

შეგროვილ იქნა როგორც ადილობრივი, ისე ინტოდუცირებული ლედვის 40 და ბროწეულის 30 ჯიში.

გორის სასელექციო სადგურის თანამშრომელთა მიერ შესწავლილი და შედგენილ იქნა ამავე რაიონში ხეხილის ჯიშობრივი განვითარების ქვეზონება, რომელშიც გარკვეული წვლილი შეიტანა ამა თუ იმ მიკრორაიონში შესაბამისი ხილეულის ინტენსიურად დანერგვის საქმეში. ხანგრძლივი დაკვირვება-შესწავლით დადგინდა, რომ გორის რაიონი შეიძლება დაიყოს 3 მეურნეობრივ ზონად — გორის მიდამოები — სოფლებით: ხელთუბანი, თორტიზა, კარალეთი, რომელთა მეურნეობრივი ნაკვეთები განლაგებული იყო მდინარეების — ლიახისა და მეჯღის დაბლობებზე. აღნიშნული მიკრორაიონისათვის რეკომენდებული იყო ძირითადად თესლოვანი კულტურები, კერძოდ კი მსხლის (ბერეზოსკი, ვილიამსი, სენჟენმენი) გაშენება.

მეხილეობის მეორე ქვეზონას წარმოადგენდა მტკვრის მარჯვენა სანაპირო და ატენის ხეობა, რომლის ძირითად ტერასებს წარმოადგენდა სოფ. ხიდისთავი და სკრა. აღნიშნული ზონა განთქმული იყო საადრეო ხილეულით, სადაც ყველაზე კარგი პირობები არსებობდა კურკოვანი ხილის განვითარებისათვის. აქაური ატმებიდან, რომელნიც ყოველ წელიწადს ისხამდა და ამასთან დიდი ტანისა იზრდებოდა, აღსანიშნავი იყო „ხიდისთავური ვარდისფერი“, „ხიდისთავური თეთრი“, „ხიდისთავური სავიანო ყვითელი“, „ბერების ატამი“ და სხვ.

მესამე ქვერაიონში შედიოდა დიდი და პატარა ლიახვის აუზების სოფლები: ქიწნისი, მარანა, ტყვიავი, ფლავი, ფლავისმანი, კარბი, მერეთი, შინდისი, ვარიანი, მეჯვრისხევი და სხვ. აღნიშნულ ორ ზონასთან შედარებით აქ ხილი იკრიფება 2 კვირით გვიან და ამდენად ეს მიკრორაიონი ყველაზე საუკეთესო იყო თესლოვანი ხილის მოყვანისათვის.

ომის შემდგომ პერიოდში, როგორც ითქვა, საჭირო შეიქმნა არსებული სახელმწიფოებრივი სანერგეების მუშაობის გარდაქმნა, რათა დაკმაყოფილებული

ყოფილიყო სარგავ მასალაზე ის გაზრდილი მოთხოვნილებები, რომელსაც ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა. ჯერ კიდევ ომის წინა წლებში სანერგეებიდან სარგავი მასალის გამოსავლიანობა დაბალი იყო და ამასთან იგი ბევრ შემთხვევაში დასახულ გეგმებს ვერ უზრუნველყოფდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ომის წლებში სანერგეების მდგომარეობა უფრო მძიმე პირობებში აღმოჩნდებოდა.

მეხილეობის სახელმწიფოებრივ სანერგეებს შორის ნამყენის წარმოებისა და ხარისხის მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ქარელის რაიონის ბებნისის სახელმწიფოებრივი სანერგე იყო, რომელმაც წლების მიხედვით შემდეგი ოდენობის ხერგი გამოუშვა: 1939 წ. გაშენებული სანერგის 1 ჰექტარიდან მიღებულ იქნა 1056 ძირი, რომელიც გეგმის მხოლოდ 56,0% უდრიდა; 1940 წ. შესაბამისად 9760 ძირი, ე. ი. 61,0%, 1941 წ. 12500, ე. ი. 78,0%, 1942 წ. — 4530 ძირი, ე. ი. 28,0%; 1943 წ. ხერგი სრულიადაც არ გაუშენებიათ, ხოლო 1944 წელს დამყნილი მასალიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 40—45%⁶. ისე, რომ გამოშვებული ნამყენის ოდენობა და ხარისხი სავსებით ვერ პასუხობდა რესპუბლიკის ხეხილის ბაღების აღდგენის მოთხოვნებს. საჭირო იყო აღნიშნული საშუაოების მთლიანად გარდაქმნა და ახალ რეესებზე გადაყვანა, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმი ისახავდა.

ამ პლენუმზე ხაზგასმული იქნა, რომ მიუხედავად ხეხილის ნერგების გამოშვებისა და საერთოდ ბაღების მოვლა-პატრონობის საქმეში ერთგვარი შემობრუნებისა, ამ მიმართებით ჯერ კიდევ სერიოზულ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი. საჭირო იყო, რათა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სანერგეებიდან ყოველწლიურად მიღებული ყოფილიყო სულ მცირე ორი მილიონი ცალი ხეხილის სტანდარტული ნერგი, რომელიც ათა მარტო კოლმეურნეობრივი, არამედ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა გაზრდილ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებდა. სწორედ ამგვარ მოთხოვნას უყენებდა სანერგე მეურნეობებს ჩვენში გასასქმნებელი ბაღების წინასწარი გეგმები (რომელთაგან მარტო 1949 წლისათვის გათვალისწინებული იყო 2710 ჰა).

პლენუმზე აღინიშნა, რომ გორის, მცხეთის, ქარელის, სტალინისა და სხვ. რაიონებში არადაამკმაყოფილებლად ტარდებოდა მებაღეობის სამუშაოები და ვერ სრულდებოდა მისი შემდგომი გაფართოების გეგმები. მთელი რიგი სამუშაო პროცესები არადაამკმაყოფილებლად ტარდებოდა, რის გამოც ახალგაზრდა ნარგავების გახმობა-დაზიანების პროცენტი 15—20 აღემატებოდა. იყო ბაღები, რომელშიც 10—15 წლის განმავლობაში სასუქი სრულებით არ ყოფილა შეტანილი და ა. შ. ჯერ კიდევ არ იყო განაწილებულ-გაპიროვნებული ხეხილის ბაღები და საცდელი ნაკვეთები ყოველ კოლმეურნეობებში, ბრიგადებში, რგოლებში, საცდელ-საჩვენებელ პუნქტებში. რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობისა და რაიონის ხელმძღვანელი გატაცებული იყო სხვა ტექნიკური კულტურების მოყვანით (კარხალი, მარცხელი ვენახი და სხვ.), ხოლო ხილის ბაღები უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ამიტომ, პლენუმზე სავსებით სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ხეხილის ნარგავებს ისეთივე ყურადღება უნდა მიქცეოდეს, როგორც მაგალითად, (იტრუსების განვითარებას სუბტროპიკულ რაიონებში და სხვ.

⁶ მლსტპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 1537, ფურც. 107.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით, ამავე პლენუმზე მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებები, რომელიც ომის შემდგომი სოფლის მეურნეობის სწრაფ აღდგენა-განვითარებას ითვალისწინებდა. სხვა პროდუქტებთან ერთად ჩვენს რესპუბლიკაში უნდა გაზრდილიყო ხილეულის წარმოება, რომლის უზრუნველყოფის მიზნით მარტო 1947 წლისათვის არსებულ ფართობს 1 445 ჰა ბალი შეემატებოდა.

სოფლის მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება გადაუდებლად მოითხოვდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ამ მხრივ თუ თვალს გადავაგვლებთ ომის შემდგომი ორი წლის შედეგებს დაინახავთ, რომ რესპუბლიკაში გარკვეული ნაბიჯი იქნა გადადგმული. რომ ომის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად ორგანიზებულ იქნა 2-წლიანი და 6-თვიანი სახელმწიფოებრივი სკოლები, სადაც განუწყვეტლოვ სწავლობდა 145 მსმენელი. მარტო გორის რაიონში ამ წესით მომზადდა მსხველელი — 265 და მყნობელი — 15 კაცი. ასეთი კურსები კი მეტ-ნაკლებად რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში მოქმედებდა, რაც ნაწილობრივ ავსებდა იმ ხარვეზს, რომელიც სოფლის მეურნეობაში სათანადო კადრების ნაკლებობით იყო გამოწვეული.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეხილეობის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფის საკითხებზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1948 წ. მარტში სათანადო ღონისძიებები დასახა. იმის გამო, რომ რესპუბლიკაში მეხილეობას აქვს მრეწველური მნიშვნელობა — ნათქვამია ბიუროს დადგენილებაში, — ამიტომ საჭიროა დიდი ოდენობით უმაღლესი და სპეციალური განათლების მაღალკვალიფიციური კადრები. მაგრამ ამ მხრივ მთელი რიგი ნაკლოვანებები და კერძოდ ის, რომ ბევრ აგრონომს ამ აქვე სათანადო გამოცდილება, რადგანაც სასწავლებლებს პრაქტიკისათვის სათანადო ბაზები არ გააჩნიათ. ამასთან მეხილეობის მიმართულებით სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური კადრები ერთობ ნაკლებია, თეორიული კურსი სუსტია და რომ ორი ათეული წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში არ ჩანს კადრების დაწინაურება, სათანადო მონაცემებით ასპირანტების შერჩევა და სხვ.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში მიუხედავად იმისა, რომ სათანადო კადრები იყო დასაქმებული — 4 პროფესორი დოქტორი, 15 მეცნიერებათა კანდიდატი და სხვ. მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა ძალზე სუსტად მიმდინარებდა, არ წარმოებდა ეკონომიკური გაანგარიშება, თუ რა ჯდებოდა ამა თუ იმ ღონისძიების გატარება. იმის გამო, რომ ხეხილის მკურნალობა ძალზე ძვირი ჯდება კოლმეურნეობები მისი მკურნალობით არ არიან დაინტერესებულნი, ხოლო კოლმეურნეები ამ მხრივ თითქმის არავითარ ღონისძიებებს არ ატარებენ. აქ დასაქმებული სპეციალისტები ძირითადად ამუშავებდნენ თემატიკას და მოწყვეტილი იყვნენ მისი პრაქტიკაში დანერგვის საქმეს. ამიტომ გადაუდებელი გახდა, რათა შემუშავებულიყო მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის კომპლექსური სისტემა, პროფილაქტიკური ღონისძიებები, მავნებელთა გავრცელების გამომწვევი მიზეზები, ბიოლოგიური მეთოდების ფართოდ დანერგვა ხეხილის მავნებლებთან ბრძოლის მიმართულებით, მექანიზაციის საკითხი მკურნალობაში, ეკონომიკური ფაქტორი და სხვ.

ბიუროზე ხაზგასმული იყო, რომ სკრის, გორის, ქუთაისის საცდელ-სამეცნიერო სადგურები მიუხედავად იმისა, რომ მეხილეობის გულში მდებარეობდ-



ნენ, ისინი კოლმეურნეობებთან კავშირში არ იმყოფებოდნენ. რის გამოც კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეცნიერთა და ნოვატორ-მეხილეთა მიღწევების პროპაგანდას და მისი პრაქტიკაში დანერგვის საქმეს. სწორედ ამით აიხსნებოდა ის, რომ დროულად ვერ იქნა შემჩნეული და გამოყენებული ნოვატორების: ბესტაეაშვილის, თაქთაქიშვილის, თიბილოვისა და სხვათა მიღწევები, რომელთაც გარდა იმისა, რომ ახალი ჯიშები გამოჰყავდათ, თავიანთ საცდელ-საკარმიდამო ნაკვეთებზე ყოველწლიურად ხილის უხვ მოსავალსაც ღებულობდნენ.

ამრიგად, გაკრიტიკებული იქნა რა სკრის, გორისა და ქუთაისის სამეცნიერო-კვლევითი საცდელი სადგურების და მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტის საქმიანობა, ბიურომ დასახა ღონისძიებები მუშაობის გარდაქმნის უზრუნველსაყოფად, რის ნიადაგზე შემდგომი მუშაობა საერთოდ ორი მიმართულებით წარიმართა, სოფლის მეურნეობის პრობლემების აქტუალური საკითხების დამუშავებისა და მეცნიერული მეთოდების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის გზით, რომელნიც თავის მხრივ მოითხოვდნენ: 1. დიფერენციალური სისტემის დადგენას, ბაღის ნიადაგის დამუშავებისათვის რაიონების ჯგუფების მიხედვით, 2. ჯიშების ტიპების (მრეწველური, ნახევრად მრეწველური, საკარმიდამო მენილეობის და სხვ.) დადგენას, ხეებს შორის ფართობის განსაზღვრას, რიგთა შორისი ფართობის გამოყენებას და სხვ. 3. მეხილეობის ახალი რაიონების გამოვლინებას და მართვის აგროტექნიკისა და ასორტიმენტის დადგენას, 4. რაიონებისა და მიკრორაიონების მიხედვით ხილის ასორტიმენტის დაზუსტებას, 5. ადგილობრივი ჯიშების გამოვლინება-გაუმჯობესებისა და გამძლეობის შესწავლას, 6. ქერამისა და ზოგიერთი თესლოვანი ხილის, მათ შორის თეთრი და წითელი კალივლის მოსპობის მიზეზების გამოვლენას და მათი გადარჩენისათვის ბრძოლის საშუალებებს და სხვ.⁷

ამასთან, ზემოთ აღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებებს ეკისრებოდა თითოეულს 1—2 მეხილეობის მეურნეობებისა თუ კოლმეურნეობებისადმი შეფობა, რათა ისინი ექციათ საჩვენებელ ობიექტებად. აგრეთვე ერთეული ნოვატორებისა, კოლმეურნეობათა და მეურნეობათა მიღწევების ფართო პროპაგანდა გაზეთის, ბროშურებისა და რადიოს მეშვეობით.

ამასთან ერთად, ფართოდ უნდა გამოყენებულ-შესწავლილიყო ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების მიღწევები სოფლის მეურნეობის ამ დარგში (მაგ. უკრაინის სსრ მეხილეობის ინსტიტუტის, ალტის, კრასნოდარის საცდელი სადგურების, მოსკოვის ტიმირაზოვის სახ. სას. სამეურნეო აკადემიის და სხვათა), რომელნიც დახმარებას გაუწევდა საქართველოში მეხილეობის განვითარებას ახალი მეცნიერული მიღწევების საფუძველზე. რესპუბლიკა ჯერ კიდევ განიცდიდა მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინალურმა ინსტიტუტებმა (1947 წ.) გამოუშვა — 384 სპეციალისტი. აქედან — 249 აგრონომი, 16 ინჟინერ-მექანიკოსი და სხვ. ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 30 სასწავლებელმა გამოუშვა — 1536 კაცი. აქედან აგროტექნიკოსი — 920 ბულალტერეკონომისტი — 240 და ა. შ. ამასთან 1948 წლისათვის მისაღები — 1950 მოსწავლის ნაცვლად მიღებული იქნა 2082 კაცი, მინც რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მწვევად განიცდიდნენ მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობა

⁷ მლისტა, თ. 14, ანაწ. 46, საქ. 432, გვ. 26.

ბას. ამიტომ 1948 წელს სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციებიდან მობილიზაციის სახით სამუშაოზე დამატებით გაიგზავნა — 226 აგრონომი, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული — 2039 კაციდან უშუალოდ ადგილებზე დაიგზავნა — 1227, აქედან მტს-ში — 927 კაცი. ისე რომ ცენტრალური აპარატიდან ადგილებზე სამუშაოდ დამატებით გაიგზავნა 254 სპეციალისტი. მიუხედავად ამისა, სამინისტროებში დასაქმებული აგრონომთა საერთო რიცხვი მინც 316-მდე აღწევდა.

ამრიგად, აღნიშნული და სხვა მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ დიდი სამამულო ომის შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა სოფლის მეურნეობის კადრების მომზადება-გამოშვების გაზრდის მიმართულებითაც, რომელიც თავის მხრივ მეხილეობის აღმავლობის მტკიცე საწინდარს წარმოადგენდა.

ომის შემდგომი განვლილი ორი წელი, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის ბრწყინვალე მაგალითს იძლეოდა, რათა უმოკლეს ვადებში დაძლეულიყო ომით გამოწვეული ზარალი. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, სსრ კავშირის მშრომელებმა თავი ისახელეს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, რომელთაც სოფლის მეურნეობაში მიიღეს მაღალი მოსავალი და 1948 წელს პროდუქციის მოცულობა 1947 წელთან შედარებით 32% გაზარდეს. აქედან მიწათთოქმედებაში — 48% ვიზარდა კოლმეურნეობების შემოსავალი. 1947 წელს 500 ათასიდან — მილიონამდე ფულადი შემოსავალი მიიღო 427 კოლმეურნეობამ, მაშინ, როდესაც 1946 წელს მათი რიცხვი — 334 შეადგენდა. ხოლო 1940 წელს 112. 1947 წელს ნაცვლად 183 კოლმეურნეობისა ერთი მილიონი და მეტი შემოსავალი მიიღო 264 კოლმეურნეობამ. ამასთან 1947 წელს 3 მილიონზე მეტი შემოსავალი ჰქონდა 20 კოლმეურნეობას, სადაც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების გვერდით მეხილეობისაგან შემოსავალს გარკვეული ადგილი ეკავა.

შეჯამებული იქნა რა ხუთწლიანი გეგმის განვლილი ორი წლის შედეგები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე (1948 წ.) აღნიშნული იყო: უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენში მეხილეობა არის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ საამისოდ არ მიგვიღია სათანადო გადაწყვეტილებები, მაგრამ საქმე წინ არ მიდის. არა მარტო კოლმეურნეობები და კოლფეხრები, არამედ რაიონის ხელმძღვანელობა მრეწველური მეხილეობისადმი გაუგებარ-ინდიფერენტულ მიდგომას იჩენენ ხეხილის ბაღების გაუმჯობესების მიმართ. რომ მხოლოდ მწწ ზამთარში შეიმჩნევა ზოგიერთი გარდატეხა ხეხილის მოვლის მიმართ. ქართლის რაიონებში სერიოზული მუშაობა იქნა ჩატარებული, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისად უნდა ჩაითვალოს და შემდგომშიც თუ არ გამოამყდვენს ამ მიმართებით გადაუდებელი სიმტკიცე შესაძლოა ის სტიმული ისევ ჩაქრეს⁸.

მართლაც უნდა ითქვას, რომ ასეთი წამოწყებები ხანმოკლე და პერიოდულ ხასიათს ატარებდა, რის გამოც პლენუმზე გორის, ქარაღის, ხაშურის, მცხეთის, თბილისის, სტალინისა და მეხილეობის სხვა რაიონებს წინადადება მიეცათ, რათა ნამდვილად ჩასდგომოდნენ ამ დარგის აღმავლობისათვის ბრძოლის სათავეში და მიეღწიათ მისი ყველა სამუშაოების ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის.

⁸ მლსფა, ფ. 14, ანაწ. 46, საქ. 9, ფ. 54. საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის აპრილის პლენუმის სტენოგრაფიული ანგარიშიდან.



სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარების IV ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საწინდარს იძლეოდა 1949 წ. მარტში შემდგარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის შედეგები, რომელმაც განიხილა ამავე წლის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლისა და სოციალისტური შევირბების გაშლის საკითხები. მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი წარმოადგენდა ერთგვარ გამოძახილს 1947 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით მეხილეობის ძირითად რაიონებში ჩატარებული თათბირებისას, რომელნიც მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგსადმი განსაკუთრებული ყურადღების, მისი მოვლა-პატრონობისა და გაუმჯობესების საკითხებისადმი იყო მიძღვნილი.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე აღნიშნული იყო სკკპ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ ის უანგარო ღახმარება, რომლის შედეგობითაც ქართველმა ხალხმა თავის მეურნეობრივ და კულტურულ აღმავლობას მიაღწია. რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა როგორ ენერგიულად მოკიდეს ხელი მრავალწახნაგოვანი დარგების აღდგენა-განვითარების საქმეს. სწორედ ამგვარი მუშაობის შედეგი იყო, ის რომ აღნიშნული პერიოდისათვის ხეხილის ნარგავის ფართობმა რესპუბლიკაში 84 ათას ჰექტარს მიაღწია. მარტო 1947 წელს ახალი ბაღები გაშენებულ იქნა 1035 ჰა. გეგმა კი ითვალისწინებდა 1444 ჰა (ე. ი. გეგმა შესრულებული იქნა 127%). ამასთან მარტო ამავე წელს ბაღების აღდგენა ჩატარდა 61 ათას ჰექტარზე, ნაცვლად 50 ათასისა, (ე. ი. გეგმის 122%) სანერგე უნდა გაშენებულიყო 76 ჰა, ფაქტიურად გაშენდა 83,6 ჰა, ხოლო სტანდარტული ნერგის გამოშვება 1946 წელთან შედარებით ორჯერ და მეტად გაიზარდა. საერთოდ კი 3 წლის განმავლობაში საქართველოში გაშენდა 6000 ჰა მეტი ხეხილის ბაღი. ამასთან აღსანიშნავია, რომ იგი განვითარდა ისეთ მაღალმთიან რაიონებშიც როგორც იყო: წალკა, დმანისი, ახალქალაქი, ჯავა, თიანეთი, ქედი, ზემო და ქვემო სენეთი, ლეჩხუმი და სხვ.

მეხილეობისადმი სათანადო ყურადღების გამახვილების შედეგად უნდა გაზრდილიყო ხილის მოსავლიანობა-დამზადების გეგმები. 1948 წელს 12 ნოემბრის ცნობით მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის მსხვილ მრეწველურ ცენტრებში გავზავნილ იქნა — 2827 ტ. მაღალხარისხოვანი ხილი, რაც გეგმის მხოლოდ 35% შეადგენდა. მაშინ, როდესაც რესპუბლიკაში ხილის დამზადების გეგმების გადასაჭარბებლად სათანადო პირობები არსებობდა. რომ გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი იყო დამამზადებელი ორგანიზაციების ცუდი მუშაობა. მიუხედავად ამისა, 1948 წლის 10 დეკემბრის ცნობებით, 1947 წელთან შედარებით, სახელმწიფოს ჩაბარდა — 106, 590 ცენტნერზე მეტი ხილის მოსავალი⁹.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა საერთოდ, და მათ შორის მეხილეობაც, ომის შემდგომი პერიოდიდან განსაკუთრებულ აღმავლობას აღწევდა. 1940—1948 წლებში სახელმწიფოსადმი პროდუქტ-ნედლეულის ჩაბარების შესაღარიბელი მონაცემები ასე გამოიყურებოდა: ხორბალი 1948 წ. — 1940

⁹ მლსფა, ფ. 14, ანაწ. 46, საქ. 9, ფ. 42.

წელთან შედარებით 242,3% მეტი; ჩაი — 124,2%, ციტრუსი — 163,5%, ყურძენი — 119,6%, ნელლი ხილი — 256,8%¹⁰ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, დამზადებული და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ხილის საერთო პროდუქცია გაცილებით სჭარბობს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს (22 612 ტონა), რაც თავის მხრივ მისი მრეწველური წარმოების დიდ პერსპექტივებზე მიგვიჩივებს.

ომის შემდგომ, კერძოდ 1946—1947 წლებში, სოფლის მეურნეობის საერთო წინსვლისა და აღმავლობის უტყუარ დოკუმენტს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს 260 მოწინავე მუშაკისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, ხოლო 281 კაცის ლენინის ორდენით დაჯილდოება, ამასთან შრომის წითელი დროშის ორდენით — 479 და მედლით — 657 კაცისა.

რესპუბლიკის ამ შესანიშნავ მიღწევებში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეხილე ნოვატორებმაც. გამრავლდა მოწინავეთა რიგები. გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობამ „წითელი მერეთი“ 70 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან ორი წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 70 ცნ მოსავალი. ამავე რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობამ 24 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღის თითოეულ ჰექტარზე მიიღო 100 ცნ, ხოლო კოლმეურნე ფოსტურმა 1 ჰა მსხმოიარე ბაღიდან 1948 წ. მიიღო 128 ცნ. მანვე 1949 წელს ამავე ბაღიდან მიიღო 78 ცნ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობაში მერგოლურმა ბოცვაძემ მასზე შიმაგრებული 5,5 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან თითოეულ ჰექტარზე მიიღო 180,7 ცნ მოსავალი, რომლის მეშვეობით შრომადღეზე გაცემული იქნა 6 მან. და 28 კაბ. და 0,9 კგ ხილი. ამავე კოლმეურნეობამ 1949 წლისათვის ვალდებულება იკისრა რათა ჰექტარზე მიეღო 188 ცნ ხილის მოსავალი. ამასთან მათ მიერ ტყეებში გარეულ საძირეზე 1947 წ. დამყნილ 150 ძირს მიუმატეს 500. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ამგვარი წამოწყების შედეგი იყო ის გარემოება, რომ 1949 წ. 4 მარტის დადგენილებით შესაბამის რაიონებისათვის დაწესდა რესპუბლიკის ტყეებში გარეულ ხეხილზე მყნობის გეგმები, რომელმაც შემდგომ დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა მოიხვეჭა.

ტყიბულის რაიონის სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობა „წინვლა“-მ 31 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან, რომელიც ბრიგადირ იასონ კუბლაშვილზე იყო გაპროექტებული, თითოეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი მოსავალი იქნა მიღებული. ახალციხის რაიონის, სოფელ ვალეს მახარაძის სახ. კოლმეურნეობამ 38 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან თითოეულ ჰექტარზე მიიღო 91 ცენტნერი ხილის მოსავალი და ა. შ.

ხილის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაკვეთების გაპროექტებამ ბრიგადებზე, რგოლებზე და კოლწევრებზე.

მაგალითად, გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობა — „წითელი მერეთის“ თავმჯდომარის — მეცხვარიშვილის სიტყვით კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის ზრდის ძირითადი წყარო მეხილეობაა. ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემის მტკიცედ გატარების შედეგად თითოეულ

¹⁰ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 42.

ჰექტარზე მიღებული იქნა 67 ცენტნერი ხილის მოსავალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, სოფელ მერეთის კოლმეურნეობა 1948 წელს ჩადგა მილიონერ კოლმეურნეობა რიგში, რომლის ფულადმა შემოსავალმა მილიონ 243 ათას მან გადააჭარბა, საიდანაც ხილიდან შემოსავალმა მილიონზე მეტი შეადგინა. ყოველივე ამის გამო, კოლმეურნეობას საშუალება მიეცა, რა-თა შრომადღეზე გაეცა 21 მან. დიდი ფულადი შემოსავალი მიიღო მეხილეობის ბრიგადის მერგოლურმა ნ. გიორგაშვილმა, რომელმაც 1949 წლისათვის ვალდებულება იყისრა, რათა 15 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღის თითოეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი ხილი მიეღო. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამავე კოლმეურნეობის 5 წევრი, ხილის მაღალი მოსავლის მიღებისათვის, დაჯილდოებულ იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით.

ამავე რაიონის სოფელ კარბის კოლმეურნეობამ მსხმოიარე ხეხილის ბაღის თითოეულ ჰექტარზე 103 ცენტნერი მოსავალი მიიღო. სოფელ ქვეშის კოლმეურნე სიკო ცაციაშვილის რგოლმა მასზე გაპროექტებული 10 ჰა ბაღიდან თითოეულ ჰექტარზე მიიღო 94 ცენტნერი ხილი, ხოლო უშუალოდ მასზე გაპროექტებულ 1 ჰა ხეხილის ბაღში მოიყვანა 400 ცენტნერი მოსავალი.

ხილის მაღალი მოსავლის მიღების და 1948 წ. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გორის რაიონის 47 კოლმეურნემ მთავრობის ჯილდო დაიმსახურა, რომელთაგან ლენინის ორდენი გადაეცა 10 კაცს.

ამასთან, რესპუბლიკის რიგმა რაიონებმა და კოლმეურნეობებმა ხილის კრეფა ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს. მაგ. კასპის რაიონის სოფელ გომას „მნათობის“ კოლმეურნეობამ 36 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან თითოეულ ჰექტარზე ნაცვლად 36 ცენტნერისა მიიღო 21,6 ცენტნერი ხილი. ცუდი მოვლისა და უყურადღებობის შედეგად ქარელის, კასპის, გორისა და გურია-სამეგრელოს რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობებმა ძალზე დაბალი მოსავალი მიიღეს.

ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგი იყო აგრეთვე ისიც, რომ ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის, ბებნისისა და საღოლაშენის კოლმეურნეობებში 15—18 წ. ასაკის ათეული ჰექტარი ხეხილის ბაღი მოსავალს ჯერ კიდევ არ იძლეოდა, ხოლო რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონებში ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას ამაზვილებდნენ ხეხილის ისეთი სასარგებლო კულტურების გაშენებისადმი, როგორც, მაგალითად, გურია-სამეგრელოსთვის იყო თხილი, კახეთის რაიონებისათვის ლეღვი, ბროწეული და სხვ.

მეხილეობაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩებოდა მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის მეთოდების სრული დანერგვა და რადიკალური ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ გორში არსებობდა სპეციალური დაწესებულება — „მისი“, რომელიც მხოლოდ ბაღების წამლობის საქმეს ემსახურებოდა, ძალზე ძვირი ჯდებოდა მათ მიერ ჩატარებული ხეხილის მკურნალობა (ერთი ჰექტარის წამლობა წელიწადში — 1424 მან. მეტი) ამასთან — „მისი“ ვერ უზრუნველყოფდა მთელი რაიონის ბაღების 30—35% მკურნალობასაც კი.

ყოველივე ამის გამო, საესეებით სამართლიანი და დროული იყო რაიონის ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა მკურნალობის ფასების შემცირებისა და ადგილებზე საამისო სპეცგუფების

ჩამოყალიბებას და ამასთან მკურნალობის ჩატარებას კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის ბალებშიც¹¹.

შედარებით კარგად იქნა წარმართული სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მებაღეობის სამუშაოები მოხდევით 1949 წ. თუ ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა ითვალისწინებდა — 2000 ჰა იგი ფაქტიურად გაშენდა 2740 ჰა. გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს: აფხაზეთის ასსრ, ზუგდიდის, მხარაჩის, ჩოხატაურის, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ამბროლაურის, ახალციხისა და გორის რაიონებმა. გეგმის გადაჭარბებით შესრულების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას უნდა ჩაიტვალოს დას. საქართველოს რიგ რაიონებში მეხილეობის განვითარებისადმი ერთგვარი სტიმულის გაცეცება. შესაბამისად გაიზარდა ხილის მოსავლიანობისა და ჩაბარების ხვედრიწონა. 1949 წ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული იქნა — 199,0 ათასი ტ ხილი, ნაცვლად — 150 ათასი ტ, რომელთა 1940 წელთან შედარებით 8,3 ცენტნერით გაიზარდა. სახელმწიფოსათვის ხილის ჩაბარების საქმეში განსაკუთრებით თავი ისახელეს სამტრედიის მეხილეობის: ბრეთის, ვარაინისა და ქიწინის საბჭოთა მეურნეობებმა, რომელთაც 48 600 ცენტნერი ხილის მოსავალი მიიღეს და გეგმას 3,5-ჯერ გადააჭარბეს.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ დიდ მიღწევებში, როდესაც 1940 წელთან შედარებით 1949 წ. მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი 40-დან 315-მდე გაიზარდა და უკანასკნელი წლის მიღწევების წყალობით 4509 სოფლის მეურნეობის მუშაკი წარდგენილ იქნა მთავრობის ჯილდოებზე, მეხილეობის დარგის განვითარებამ თავისი დიდი წვლილი შეიტანა. კოლმეურნეობათა ეკონომიკური სიძლიერისა და მატერიალური დოვლათის ამაღლების საქმეში, მეხილეობის ხვედრაწონა ყოველწლიურად მატულობდა და მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგებს შორის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები თავიანთ მუშაობაში, სხვა მრავალწლიანი ნარგავების განვითარების გვერდით, გარკვეულ ადგილს უთმობდნენ მეხილეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებსაც. ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო ის გარემოება, როცა IV ხუთწლიდის დამამთავრებელი წლისათვის რესპუბლიკის ბაღებს დასაბუთებით უნდა შემატებოდა 3000 ჰა და 115 ჰა საენარგე.

მეხილეობის განვითარების ასეთი, ჯერ კიდევ არნახული ტემპები, როგორც ვიცი, გამოწვეული იყო დიდი სამამულო ომის პერიოდში განადგურებული ან განადგურებამდე მისული ბაღების შეცემა-განვითარების უზრუნველსაყოფად. ამიტომ ამ აერიოდში მწვავედ იდგა საკითხი იმის შესახებ — მეხილეობის შემდგომი განვითარება ძირითადად არსებული ბაღების შეკეთების გზით უნდა წარმართულიყო, თუ ახალი ბაღების გაშენების მიმართულებით. იმის გამო, რომ ძველი ბაღების აღდგენის ხარჯზე არ შეზღუდულიყო ახლის გაშენება და პირიქით, რესპუბლიკაში გვირ აღებული იქნა მეხილეობის ორივე მიმართულებით განვითარებისაკენ, რომლის განსახორციელებლად მეტნაკლებად უკვე არსებობდა მატერიალურ-ტექნიკური პირობები და მართლაც ამიერიდან მეხილეობის შემდგომი განვითარების საქმეში თანაბრად წარი-

¹¹ მლისფა, ფ. 14, ანაწ. 51, საქ. 455, ფ. 124.

მართა სამუშაოები, როგორც ძველი ბაღების აღდგენის, ისე ახლის გაშენების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკა თავისი კლიმატურ-გეოგრაფიული და ნიადაგობრივი სტრუქტურით, კავშირში ითვლებოდა და ითვლება ტექნიკური კულტურების პროდუქტ-ნედლეულის მწარმოებელ ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, დარგთა სტრუქტურული განლაგება და მიწის ფონდის ამ მიმართებით გამოყენება ჯერ კიდევ ვერ პასუხობდა არსებულ შესაძლებლობებს.

1949 წ. მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობების განსაზოგადოებელი სექტორის საერთო სარგებლობის სახმარი მიწები უდრიდა 2 166 517 ჰექტარს, რომელთაგან ბაღებს ეკავა — 13 831,47 ჰა (აქ შედიოდა კენკროვანებიც) შესაბამისად დასავლეთ საქართველოს — 12 520 ჰექტარიდან ბაღებს ეკავა — 275 ჰა. ისე, რომ რესპუბლიკის გამოსაყენებელი ფართობის — 3 587 731 ჰექტარიდან ბაღებს ეკავა სულ — 26 351 ჰა¹².

სათანადო მონაცემებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს 32 და დასავლეთ საქართველოს 40-მდე რაიონში მეხილეობა მეტ-ნაკლებად ყველგანაა განვითარებული, მაგრამ მისი ფართობი ერთობ მინიმუმამდეა დაყვანილი. ისე რომ მოცემული პრობების კვალობაზე რესპუბლიკაში მეხილეობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ძალზე ჩამორჩებოდა არსებულ შესაძლებლობებს. ამიტომ შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხეხილის ფართობის გაზრდას არა მარტო აქამდე ცნობილი მრეწველური მეხილეობის რაიონებში, არამედ მთისძირა და მთის რაიონების ფართობებზე, რომელნიც აქამდე მემინდვრობის მცირემოსავლიანი კულტურებით ან ბუჩქნარ-ქალებით იყო დაფარული.

გამოსაყენებელი ფართობის ათვისებისა და შესაბამისი კულტურების განლაგების, მაღალკვალიფიციური კადრების თავმოყრა-დაკომპლექტებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებამ კოლმეურნეობების გამსწვილების მიმართულებით.

მეხილეობის დარგის განვითარების თვალსაზრისით მისი უპირატესობა იმაში გამოიხატა, რომ კოლმეურნეობების წვრილ-წვრილი ფართობები, რომელნიც სხვადასხვა კოლმეურნეობებს ეკუთვნოდათ და ერთმანეთს ემიჯნებოდნენ, ისინი გაერთიანებულნი იქნენ. ფართობის ასეთი გამსწვილება შესაძლებლობას იძლეოდა არსებული ხეხილის ბაღების გაერთიანებისა და ახალი ბაღების დიდ ფართობზე გაშენებისათვის, სადაც მექანიზაციის გამოყენება უფრო დიდ ეფექტს და ამასთან ჯერ კიდევ ნაკლები მაღალკვალიფიციური აგრო-პერსონალის უკეთ გამოყენების საშუალებებს იძლეოდა მაშინ, როდესაც წვრილ-წვრილ ნაკვეთებზე მექანიზაციის ფართოდ გამოყენება, აგრო-

¹² მლისფა, ფ. 14, ანაწ. 21, საქ. 409, ფ. 53.

ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება და სხვ. შედარებით დიდ ხარჯებსა და სათანადო სპეციალისტთა მეტ დასაქმებას მოითხოვდა. მაგ. სამხრეთ ოსეთში ამ ღონისძიების გატარებამდე იყო 368 კოლმეურნეობა, გამსხვილება შეეხო — 261 კოლმეურნეობას და დარჩა 104 კოლმეურნეობა, ე. ი. 1950 წ. ოლქში დარჩა 211 კოლმეურნეობა, რომელთა ხელმძღვანელებად და წამყვან უბნებზე სამუშაოდ შერჩეულ იქნენ უმაღლესი, საშუალო ტექნიკური განათლებისა და დიდი პრაქტიკის მქონე მუშაკები.

გორის რაიონში 1950 წ. 1 იანვრისათვის იყო 147 კოლმეურნეობა. გამსხვილება შეეხო 70-ს და აქედან შეიქმნა 31 კოლმეურნეობა და რაიონში დარჩა სულ 108, რომელთა ხელმძღვანელი კადრებიდან 9 თავაჯდომარეს ჰქონდა უმაღლესი განათლება, სასოფლო-სამეურნეო — 5, აგრონომიული — 5, პედაგოგიური — 4, საშუალო განათლება — 29, დაბალი განათლება — 59, პრაქტიკული გამოცდილება — 11 და ა. შ. ისე, რომ ამ და სხვა სამუშაო ობიექტებზე რაიონში დასაქმებული იყო სულ 107 აგრონომი, 11 ზოოტექნიკოსი, 7 მექანიზატორი და 132 აგროტექნიკოსი.

ამგვარად, ფართობების გამსხვილების სხვა დადებით მხარეებთან ერთად, შესაძლებლობა შეიქმნა, რათა წვრილ-წვრილ კოლმეურნეობებში დაქსაქსული კადრები უფრო მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული.

ყველა აღნიშნულ გარემოებათა გამო თუ მაგ. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1949—1950 წლებში მეხილეობიდან მიღებული იყო სულ 38,665 მან. და 50 კაბ. გამსხვილების შემდეგ 1950—1951 წ. მისმა ფულადმა შემოსავალმა — 303,396 მანეთს მიაღწია...¹³

მიუხედავად ყველა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისა და ცალკეული რაიონების კარგი მაჩვენებლებისა, როგორც ეს აღნიშნული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე (1952 წ. სექტემბერი) მეხილეობაში (რომლის ფართობი უკვე 92 909 ჰა შეადგენდა) მოსავლიანობა ერთობ დაბალი იყო: 1949 წ. — 7 ცენტ. 1950 წ. — 19,9 ცენტ. ხოლო 1951 წ. — 9,2 ცენტ.¹⁴ მაშინ, როდესაც გეგმა ჰექტარზე ითვალისწინებდა 30—35 ცენტნერს და ამასთან რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ხილის მაღალ მოსავალს ღებულობდნენ.

ამრიგად, ომის შემდგომი მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში ითვალისწინებდა 15,1 ათასი ჰექტარი ახალი ბაღების გაშენებას, ხოლო ხეხილის ბაღების მთლიანი ფართობის ზრდას 91,3 ათას ჰექტარამდე, როგორც ვნახეთ, გადაპარბებით იქნა შესრულებული. ფართობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ხეხილის მოსავლიანობაც და საერთოდ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულმა წარმატებებმა ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა მისცა უმოკლეს ვადებში გადაელახა ომით გამოწვეულმა სიძნელეები და ახალი ხუთწლიანი გეგმა დაესახა.

¹³ მლსბფა, ფ. 14, ანაწ. 23, საქ. 669, ფ. 57.

¹⁴ მლსბფა, ფ. 14, ანაწ. 23, საქ. 1, ფ. 43.



Д. С. ПАВЛИАШВИЛИ

ПЛОДОВОДСТВО ГРУЗИИ В ПОСЛЕВОЕННОЕ ПЯТИЛЕТИЕ
(1946—1950 гг.)

Резюме

На основании архивных и научных источников в работе освещено положение плодоводства в республике и его удельный вес среди отраслей народного хозяйства. Показаны трудности, вызванные в плодоводстве Великой Отечественной войной и на повестке дня стоял вопрос о том, чтобы сохранить темпы урожайности на существующих площадях.

В работе рассмотрены мероприятия, проведенные Центральным Комитетом и Правительством, а также соответствующими органами нашей республики, с помощью которых стало возможно в кратчайший срок не только восстановить эту разрушенную отрасль хозяйства, но и в значительной степени перевыполнить его первоначальный уровень.

Для восстановления и развития плодоводства большое значение придавалось расширению опытно-показательных участках, которым было уделено должное внимание еще в последние годы Великой Отечественной войны. Поэтому в работе большое внимание уделено изучению и освещению этих участков.

Показано, как в послевоенный период труженики сельского хозяйства Грузии своим неутомимым трудом за третий год пятилетки дали родине на 256,8% больше, чем за довоенный год. Тут же изучен вклад в перевыполнение заданий пятилетки отдельными районами, колхозами и совхозами, чем обогнали производство продукции других многолетних культур.

На фоне архивных материалов изучены темпы роста удельного веса в плодоводстве в обобществленном секторе, когда в одно и то же время происходило как улучшение существующих садов, так и закладка новых. Тут же показаны основные резервы, которые дали возможность районам нашей республики в дальнейшем развить эту важную отрасль. В работе подчеркнута также о внедрении механизации в плодоводство и его ближайших перспективах.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



Э. ЧАВЧАВАДЗЕ

ОСНОВНЫЕ ЗАДАЧИ НОТ НА НОВОМ ЭТАПЕ РАЗВИТИЯ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

В директивах XXIV съезда КПСС по пятилетнему плану развития народного хозяйства на 1971—1975 гг. большое значение придается всемерному повышению эффективности общественного производства, экономии затрат живого и овеществленного труда, неуклонному и значительному увеличению отдачи от капитальных вложений и основных производственных фондов. В свете решения этих задач на новом этапе научно-технического прогресса первостепенное значение имеет широкое и последовательное внедрение во все сферы человеческой деятельности научной организации труда.

Одним из важнейших результатов деятельности НОТ является постоянный рост производительности труда. Анализ производственных показателей минувшей пятилетки по Грузинской ССР показывает, что производительность труда на промышленных предприятиях возросла на 37%.

Организация за годы пятилетки на предприятиях, перешедших на новую систему планирования и экономического стимулирования, фондов развития производства и фондов поощрения, укрепляло материальную базу и создавала стимулы к совершенствованию не только техники, но и форм и методов организации труда.

Осуществление мероприятий по научно-организации труда дало возможность значительно увеличить объем производства, повысить его рентабельность и отдачу основных фондов.

Однако, данные исследований показывают, что для дальнейшего повышения эффективности затрат труда путем совершенствования его организации имеются значительные резервы, которые связаны с уменьшением и ликвидацией прямых потерь и непроизводительных затрат рабочего времени, улучшением условий труда, сокращением текучести рабочих кадров и т. д.

В табл. 1 приведен удельный вес потерь рабочего времени в общем балансе фонда основных отраслей промышленности Грузинской ССР за 1969 год.

Как следует из табл. в промышленности ГССР в 1969 г. (без праздничных, выходных дней и очередных отпусков) было неиспользовано 1664058 человеко-дней. Наибольшее количество потерь рабочего времени наблюдалось в машиностроительной и металлообрабатывающей, а также в легкой промышленности, где эти потери в абсолютных показателях соответственно составляли 497153 и 484795 чел.-дней. В этих же отраслях промышленности были наибольшие потери времени на один календарный день, которые составляли 2,62 и 2,28%.

Как показали исследования, проведенные на предприятиях республики, удельный вес потерь рабочего времени связан в основном с не-



Таблица 1
Удельный вес потерь рабочего времени в общем балансе фонда основных отраслей промышленности Грузинской ССР за 1969 г.¹

Отрасли промышленности	Общий фонд времени (все го человеко-дней, явок и неявок)	Потери времени в человеко-днях			Внутри-дневные потери	Всего потерь
		неявки с разрешения администрации	целодневные простои	прогулы		
Вся промышленность	99105931	748888	254791	660379	1180167	1664058
в том числе:						
черная металлургия	7015525	29779	—	37581	3177	67360
машиностроение и металлообработка	18938755	188702	54365	254086	39143	497153
химическая промышленность	5751670	67140	21876	37402	10246	126418
промышленность стройг. материалов	6558685	41276	18133	54222	157739	113631
легкая промышленность	21205940	215317	81115	188363	741609	484795
пищевая промышленность	13583327	105638	58816	49365	15431	213819
лесная и деревообрабатывающая промышленность	5166578	20367	4303	20430	36735	45100

достатками в решении многих задач разделения в кооперации труда, повышения квалификации работающих, улучшения условий труда, совершенствования нормирования и стимулирования труда, организации и обслуживания рабочих мест и т. п.

Насколько существенное оказывают эти элементы организации труда на уровень использования рабочего времени, говорит, например, тот факт, что только в связи с недостатками в организации условий труда в промышленности республики ежегодно не используется около 1,68% фонда рабочего времени.

Важным фактором повышения производительности труда является организация и проведение республиканских слотов — конкурсов на лучшее предприятие республики, внедряющее основные положения НОТ, совершенствующее и улучшающее условия труда, сокращающее непроизводительные затраты рабочего времени.

Так, в результате одного, состоявшегося в 1970 г. слота рационального использования рабочего времени, было внедрено около 17 тысяч предложений направленных на повышение производительности труда и лучшее использование рабочего времени, что дало более шести миллионов рублей годовой условной экономии.

Санитарно-гигиенические исследования показывают, что на предприятиях ряда отраслей промышленности республики имеются профессионально-производительные вредности и неблагоприятные для здоровья рабочих факторы, которые значительно снижают производительность затрат живого труда и являются причиной преждевременного выхода трудящихся на пенсию, на 5—10 лет раньше общепринятого срока. Так, только в течение 1969 года общая суммы пенсий, выплачива-

¹ Таблица составлена на основе данных статуправления при совете министров Грузинской ССР.



емая от трудоувечий или профессиональных заболеваний, составила 645 тыс. рублей.

Реальным источником сокращения непроизводительных затрат рабочего времени является рациональная организация труда всех категорий трудящихся и дальнейшее повышение технической вооруженности труда.

Путем экспериментальных наблюдений и анкетных опросов непосредственно на производстве, было установлено, что на многих промышленных предприятиях республики недостаточно четко соблюдаются права и обязанности должностных лиц, инженеров, техников, мастеров, служащих и руководящих работников. Они затрачивают около 20—30% своего времени на выполнение работ, не свойственных их служебным обязанностям и квалификации. Кроме того, на многих предприятиях при использовании одинакового по своим техническим характеристикам оборудования существуют значительные колебания в численности обслуживающего персонала.

Сокращение непроизводительных затрат рабочего времени в первую очередь зависит от повышения технической вооруженности труда, что прежде всего проявляется в сокращении затрат ручного труда. применение которого в больших объемах в современных условиях производства, как правило, малоэффективно.

Несмотря на то, что на промышленных предприятиях республики уровень комплексной механизации и автоматизации производственных процессов постоянно возрастает, все же значительная часть работ еще выполняется вручную. В табл. 2 приведены относительные данные по численности рабочих, занятых механизированным и ручным трудом в различных отраслях промышленности республики за 1969 год.

Таблица 2

Данные о численности рабочих, занятых механизированным и ручным трудом в различных отраслях промышленности республики²

Наименование отраслей	Всего рабо- чих	в том числе выполняющих работу									
		на автоматах, автоматизи- рованных агре- гатах, установ- ках и аппаратах		механизирован- ным с особом, при помощи ма- шин, станков, механизмов		вручную при машинах и ме- ханизмах		Вручную не при машинах и механизмах		Вручную по палатке и ре- монту машин и механизмов	
		чис- лен- ность	%	чис- лен- ность	%	чис- лен- ность	%	чис- лен- ность	%	чис- лен- ность	%
Всего по промышлен- ности	241086	3795	1,6	97413	40,4	18578	7,7	93498	38,8	27802	11,5
в том числе:											
черная металлургия	13269	25	0,2	5212	39,3	2146	16,2	2948	22,2	2938	22,1
машиностроение и ме- таллообработка	53283	252	0,5	22484	42,2	1727	3,2	23694	44,5	5126	9,6
Угольная (шахты)	5380	91	1,7	103	19,1	458	8,5	2966	55,1	835	15,5
Химическая	13848	640	4,6	5838	42,2	655	4,7	4418	31,9	2297	16,6
Деревообрабатываю- щая	8356	31	0,4	3108	37,2	795	9,5	4090	48,9	332	4,0
Легкая	24517	31	0,1	13156	53,7	565	2,3	9906	40,4	855	3,5
Пищевая	40402	1552	3,9	11522	28,5	4851	12,0	1977	48,9	2703	6,7

² Таблица составлена на основе данных статуправления при Совете министров Грузинской ССР.



Из табл. видно, что с помощью машин, механизмов и на автоматах, в промышленности республики выполняют работу лишь 42% рабочих, 7,7% — выполняют работу вручную при машинах и механизмах и остальные 50,3% рабочих заняты ручным трудом.

Такой относительно низкий уровень механизации и автоматизации производственных процессов в целом по отраслям промышленности обусловлен существенными недостатками в организации вспомогательных служб предприятий, где выполнение работ вручную достигает 80—90% и имеют место бесполезные затраты труда.

Недостатки в организации труда являются главной причиной недоиспользования техники.

Партия и правительство уделяет большое внимание ускорению научно-технического прогресса во всех отраслях производства.

За годы пятилетки (1966—1970 гг.) в различных отраслях промышленности СССР были разработаны и внедрены тысяча мероприятий по новой технике. В 1969 г. для выполнения республиканских и союзных планов внедрения достижений науки и техники в производство было внедрено по основным отраслям промышленности около 30 млн. руб., а годовой экономический эффект от внедрения этих мероприятий достиг 10 млн. рублей. Больше половины этих средств было использовано для осуществления важнейших направлений технического прогресса на промышленных предприятиях Грузии; за пятилетку было установлено более 850 автоматических, механизированных и поточных линий, внедрены прогрессивные технологические процессы, что значительно уменьшило удельный вес ручного труда в общем потенциале производства в республике.

Одним из существенных факторов дальнейшего повышения производительности труда является партийный контроль на основных участках борьбы за технический прогресс во всех отраслях народного хозяйства, обеспечение неуклонного выполнения государственных заданий по внедрению новой техники, реконструкции цехов и модернизации производства.

Предстоит еще многое сделать. Необходимо добиться ритмичной работы всех производств, довести систему непрерывного оперативного планирования до каждого рабочего места, сделать так, чтобы вся продукция сдавалась с первого предъявления. Но ясно, что за все дела надо бороться с единственно правильных позиций — позиций НОТ. Это — требование жизни, требование пятилетки.

(Представил Институт экономики и права АН Грузинской ССР)

გენერირება

თურქეთის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

მრეწველობა თურქეთის სახალხო მეურნეობის დარგებიდან ყველაზე სწრაფად ვითარდება¹. 1963—1967 წლებში სამრეწველო წარმოების წლიურმა ზრდამ საშუალოდ 9,7% შეადგინა, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობაში ეს მაჩვენებელი 3,2%-ს უდრიდა, ტრანსპორტში — 7,7%-ს, მშენებლობაში — 7,7%-ს, ხოლო სხვა დარგებში — 8,2%-ს. 1969 წელს სამრეწველო წარმოების ზრდამ 11,5% შეადგინა, ხოლო სოფლის მეურნეობრივი წარმოების ზრდამ მხოლოდ 1,1%.

თურქეთის ინდუსტრიული განვითარება, ადგილობრივი ბურჟუაზიის საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან დამოუკიდებლობის და თავის ქვეყანაში გაბატონების უმთავრეს პირობად იქნა აქ აღიარებული რესპუბლიკური წყობილების დაყარებისთანავე. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ სისტემა („დეველთჩილიქი“ ანუ „ეთათიზმი“), რის მეოხებითაც თურქეთის ბურჟუაზია იმედოვნებდა თანამედროვე წარმოების გაშლა-განვითარებას.

შეორე მსოფლიო ომის წინა წლებში შემუშავდა და განხორციელდა 1933—1939 წლების სამრეწველო განვითარების პროგრამა. ამგვარად საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას. ომისა და ომისშემდგომ წლებში (1939—1950 წწ.) მრეწველობის განვითარების ტემპები დაეცა.

1950 წლის შემდეგ მსხვილი კერძო კაპიტალის ინტერესების რეალიზაციაში თავი იჩინა „ეთათიზმის“ პოლიტიკის შესუსტებამ. ამიერიდან მრეწველობის განვითარების პოლიტიკა კერძო თურქულ და უცხოურ კაპიტალს აქეზებდა, რის შედეგადაც თურქეთში გაძლიერდა უცხოური კაპიტალის გავლენა; ეს კი ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი ბურჟუაზიის ფართო ფენების ინტერესებს და აფერხებდა საერთოდ ქვეყნის განვითარებას.

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ კვლავ გაიზარდა „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ როლი ქვეყნის ეკონომიკაში. შემუშავებული იქნა მეურნეობის განვითარების ახალი 15-წლიანი პერსპექტიული პროგრამა, რომელიც გულისხმობს შერეულ-სახელმწიფო და კერძო კაპიტალის უპირატეს განვითარებას. ამ პროგრამის პირველი ხუთწლიანი მოდის 1963—1967 წლებზე. გეგმის მიხედვით სახალხო მეურნეობაში მთელ კაპიტალდაბანდებათა 30,9% ახუ 18,5 მლრდ ლირა მრეწველობის განვითარებისათვის იქნა გამოყოფილი.

¹ თურქეთის მრეწველობის საკითხებზე იხ. ჩენი: 1. თურქეთის თბოენერგეტიკული მეურნეობის გაადგილება, კრებული „ეკონომიკა“, I, თბ., 1969, გვ. 259—283; 2. თურქეთის სამთომშობვებითი მრეწველობის გაადგილება, კრებული „ეკონომიკა“, II, თბ., 1970, გვ. 280—299.



1968 წელს დაიწყო მეორე ხუთწლიანი პროგრამის განხორციელება, რის მიხედვითაც მრეწველობაში უნდა დაბანდეს 37,9 მლრდ ლირა ანუ მთელ კაპიტალდაბანდებათა 34,1%, საიდანაც 4 მლრდ ლირა გამოყოფილია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარებისათვის, 25 მლრდ ლირა — გადამმუშავებელი მრეწველობისათვის და 8,9 მლრდ ლირა — ენერგეტიკული მრეწველობისათვის.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების შედეგად მრეწველობის წილი ხაციონალურ შემოსავალში განუზრვლად იზრდება და მიმდინარე ფასებით შეადგენდა 1948 წელს 10,5%-ს, 1963 წელს — 16,0%-ს, 1965 წელს — 17,2%-ს და 1968 წელს — 19,5%-ს. მაშინ როდესაც იმავე წლებში სოფლისმეურნეობის წარმოების წილი შესაბამისად შეადგენდა — 53,2%-ს, 41,6%-ს, 37,3%-ს და 32,9%-ს.

მრეწველობის დარგებიდან ნაციონალურ შემოსავალში ყველაზე მაღალია გადამმუშავებელი მრეწველობის წილი, რაც 1967 წელს მიმდინარე ფასებით შეადგენდა 16,0%-ს, შემდეგ მოდის სამთო-მოპოვებითი მრეწველობა (თურქულ სტატისტიკას აქ შეაქვს აგრეთვე თბოენერგონედლეულის მოპოვება) — 1,5% და ელექტროენერგეტიკული მრეწველობა, გაზის მრეწველობა და წყალ-ძიპარაგება — 0,7%, ე. ი. სულ მთელი მრეწველობის წილი შეადგენს — 18,2%.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად იცვლება მისი დარგობრივი სტრუქტურაც. თუ რესპუბლიკური წყობილების დამყარებამდე თურქეთის ტერიტორიაზე მხოლოდ კვების, მსუბუქი და სამთომოპოვებითი მრეწველობა იყო შედარებით უკეთ განვითარებული, ამჟამად თურქეთს გააჩნია თანამედროვე მრეწველობის მრავალი დარგი, თუმცა განვითარების დონით ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცხრილი 1

გადამმუშავებელი მრეწველობის დარგების პროდუქციის ღირებულება (ათას ლირით)

მრეწველობის დარგების დასახელება	1958 წ. აბს.		1962 წ. აბს.		1964 წ. აბს.	
		% ჯამთან		% ჯამთან		% ჯამთან
კვების	5415,2	37,6	7518	40,5	10453	44,1
მსუბუქი	4405,2	30,6	5075	27,3	5143	21,9
ქილოლის	164,0	1,2	224	1,2	330	1,4
რეზინის	209,5	1,4	151	0,8	432	1,9
ქიმიური	768,9	5,3	1268	6,8	1440	6,2
მეტალურგიული	453,3	3,2	1034	5,6	1191	6,0
ლითონდამმუშავება	805,1	5,5	1787	9,7	2188	9,3
მანქანათმშენებლობა	121,9	0,8	250	1,3	342	1,3
სასოფლო მანქანათმშენებლობა	—	—	155	0,8	352	1,4
ელექტრო მანქანათმშენებლობა	128,3	0,9	300	1,6	424	1,8
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა	377,7	2,5	423	2,3	595	2,6
სხვა დარგები	1580,0	10,9	377	2,2	480	2,1
	14429,1	100,0	18565	100,0	23550	100,0

როგორც ზემომოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, თურქეთის მრეწველობის წახვედარ დარგებს წარმოადგენენ მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომლებზე-
9. „მაცნე“, ფილოსოფიის ... სერია, 1971, № 2

დაც მოდის გადამქმნველები მრეწველობის პროდუქციის ღირებულების ორ მესამედზე მეტი (66%). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კვების მრეწველობის წილი მსუბუქ მრეწველობასთან შედარებით განუზრვლად იზრდება.

კვების მრეწველობის პროდუქციით თურქეთი არა მარტო აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას, არამედ ახორციელებს ზოგიერთი სახის პროდუქციის მნიშვნელოვან ექსპორტსაც. კარგადაა განვითარებული შაქრის მრეწველობა, დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული ზეთების, თამბაქოს, ღვინის, დაძარილებული თევზის წარმოებას. სუსტადაა განვითარებული რძისა და რძის პროდუქტების, აგრეთვე კონსერვების წარმოება.

მსუბუქი მრეწველობა ძირითადად ქვეყნის შინამოთხოვნილებას აკმაყოფილებს, საქსპორტო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზომით მხოლოდ ნოხების წარმოება იძლევა. მსუბუქ მრეწველობაში გამოირჩევა საფეიქრო მრეწველობა, რომელიც ამჟამად ქვეყნის მთელ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს ბამბის, აბრეშუმის, საშუალო და დაბალი ხარისხის შალის ტექსტილური ნაწარმით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა და განვითარდა შავი მეტალურგია, რომელიც ამჟამად ორი კომბინატითაა წარმოდგენილი, თუმცა ამ დარგის პროდუქციის ხაკლებობა შინაგან ბაზარზე დღესაც იგრძნობა. ამას გარდა მოქმედებს რამოდენიმე მეტალურგიული ქარხანა და მრავალრიცხოვანი წვრილი ლითონდამამუშავებელი და ლითონის ნაკეთობათა სახელოსნო. ფერადი მეტალურგია წარმოდგენილია სპილენძის, ტყეის, თუთიის სადნობი საწარმოებით.

საკმაოდ მნიშვნელოვანი პოზიციები უკავია ქიმიურ მრეწველობას, რომელიც ძირითადად უცხოურ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე ვითარდება. იწარმოება საბურავები, რეზინის სხვადასხვა ნაწარმი, პლასტმასის ნაკეთობანი, მედიკამენტები, ხელოვნური ბოჭკო. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დარგი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შემოტანილ ნედლეულზე, ვინაიდან თვით თურქეთში სუსტადაა განვითარებული საწყისი ქიმიური ნივთიერებების წარმოება.

თურქეთის სამთომპოვებითი მრეწველობა ძირითადად ექსპორტს ემსახურება, ვინაიდან შინაგან ბაზარზე მის პროდუქციაზე მოთხოვნილება მცირეა და ძირითადად რკინის მადნითა და მარგანცით შემოიფარგლება; — ამავე დროს ექსპორტის ზრდას ხელს უშლის პროდუქციის მაღალი თვითღირებულება, რაც ტექნიკური ჩამორჩენილობითა და შრომის დაბალი მწარმოებლურობით აიხსნება.

დიდი ყურადღება ექცევა თურქეთში ენერგეტიკისა და განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკის განვითარებას, რისთვისაც პირველ ხუთწლედში 5 მლრდ ლირა იქნა გამოყოფილი. ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით თურქეთი სუსტადაა უზრუნველყოფილი ნავთობით, რის გამოც მისი მრეწველობა ქვიანაშირის, მურა ნახშირის და ჰიდროენერგორესურსების ხარჯზე ვითარდება.

მაქანათმშენებლობა და განსაკუთრებით მძიმე მანქანათმშენებლობა თურქეთის მრეწველობის ყველაზე სუსტადგანვითარებული დარგია და იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 40%) ამ სახის საქონელზე მოდის. არსებული საწარმოები ძირითადად საამწყობო სამუშაოებს ახორციელებენ და უმთავრესად სატრანსპორტო საშუალებებსა და სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებს ამზადებენ.

თურქეთის მრეწველობა განვითარებადი აგარაული ქვეყნის ნიშნებს ატარებს არა მარტო დარგობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით (კვების და

მსუბუქი მრეწველობის უპირატესი განვითარებით), არამედ აქ თვით კაპიტალისტური წარმოების განვითარების დონის მიხედვითაც.

თურქეთის მრეწველობაში კვლავ გაბატონებულია წვრილი წარმოება. მრეწველობის ცალკეული დარგების (ლითონის ნაკეთობათა, ტყავის, ავეჯის, საქვერვალო წარმოება და სხვ.) ამგვარ წარმოებაშია ჩაბმული მთელ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 70—85% %. აქ საშუალოდ ერთ საწარმოში 4 მუშაა დასაქმებული; დაბალია შრომის მწარმოებლურობა და თვით პროდუქციის ხარისხიც.

მსხვილი კაპიტალისტური წარმოება წამყვან როლს თამაშობს მხოლოდ შაქრის, ცემენტის, რეზინის, ქაღალდის მრეწველობაში, მეტალურგიაში. ამ სახის წარმოებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს სახელმწიფო სექტორი, რომელიც ფლობს მსხვილი საწარმოების უმრავლესობას.

თურქეთის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებანი გავლენას ახდენენ მის ზოგად გაადგილებაზე. ვინაიდან განვითარებული დარგების უმეტესობა ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზებზე, იაფი მუშახელისა და ტევადი ბაზრისადმი, ამიტომ მრეწველობის უდიდესი ნაწილი ახატოლის ჩრდილო-დასავლეთ, დასავლეთ და მცირე აზიის საძრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია თავმოყრილი, ხოლო სასარგებლო წიაღისეულით, ენერგორესურსებით მდიდარ სხვა რაიონებში მრეწველობა სუსტადაა განვითარებული.

თურქეთის მრეწველობის განვითარების ტემპები და სტრუქტურული ცვლილებები შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში ქვეყანა შიადწევს აგრარულ-ინდუსტრიულ დონეს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
 აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

ოთარ გამგრალიძე

თანამონაწილეობის ბუნება

სისხლის სამართლის თეორიაში თანამონაწილეობის ბუნების შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ავტორთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. სიტყვა „აქცესორული“ (accessio) ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს მიერთების, დამატების, დამოკიდებულს. აქცესორული თეორიის თანახმად, თანამონაწილის მოქმედებას არა აქვს დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მის კვალიფიკაციას განსაზღვრავს ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაცია.

არსებობს კიდევ მეორე მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან თანამონაწილეობის ბუნების ამგვარ გაგებას. ამ თვალსაზრისის თანახმად, თანამონაწილეობა არ არის აქცესორული, თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია არ არის დამოკიდებული ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე.

დასავლეთ გერმანიის სისხლის სამართლის თეორიაში ძირითადად თანამონაწილეობის აქცესორული თეორიაა გაბატონებული. მაგრამ ამ ბოლო დროს ზოგიერთი ავტორი ილაშქრებს ამ თეორიის წინააღმდეგ. მაგალითად, კ. ლუდერსენის აზრით, საყოველთაოდ გავრცელებული დებულება, რომ თანამონაწილის დასჯადობის საფუძველი არის მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის (მიზეზობრიობის თეორია), ზოგიერთ თეორეტიკოსს ყალბად ესმის. რაკი კანონი გულისხმობს, რომ ამსრულებელმა სასჯელის მუქარით აკრძალული ქმედობა უნდა ჩაიდინოს, ამიტომ თანამონაწილის უმართლობას აქცესორობის პრინციპიდან გამომდინარე, — განაგრძობს კ. ლუდერსენი, — ამსრულებლის მიერ ჩადენილი უმართლობა უნდა განსაზღვრავდეს. მაგრამ აქცესორული თეორია შეუთავსებელია პრინციპთან, რომლის მიხედვით თანამონაწილე პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი უმართლობისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემადგენლობის შესაბამისად მოქმედებს არა მარტო ამსრულებელი, არამედ თანამონაწილეც და, რომ ამსრულებლის მოქმედების შემადგენლობისადმი შესაბამისობის დადგენას არა აქვს მნიშვნელობა თანამონაწილის მოქმედების იურიდიული შეფასებისათვის¹. კ. ლუდერსენი ამ დებულების დასაბუთებას, უპირველეს ყოვლისა, ავგენტი-პროვოკატორის მაგალითით ცდილობს. მისი აზრით, თანამონაწილეობა რომ აქცესორული ბუნების იყოს, მაშინ ავგენტი-პროვოკატორს პასუხი უნდა ეგო, როგორც ქურ-

¹ K. Lüderssen, Zum Strafgrund der Teilnahme, Baden—Baden, 1967, გვ. 25.



დობის თანამონაწილეს, თუ იგი წააქეზებდა სხვას თავისი საკუთარი ქონების მოსაპარაევად. აქედან დასკვნა, რომ შემადგენლობის ნიშანი „სხვისი“, რომელიც არსებობს ამსრულებლის პიროვნებისათვის, ავტომატურად არ გადადის თანამონაწილის პიროვნებაზე. ამიტომ თანამონაწილის მოქმედების მართლწინააღმდეგობა არ განისაზღვრება ამსრულებლის მოქმედების მართლწინააღმდეგობით². ერთი სიტყვით, თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი უმართლობისა და საკუთარი ბრალისათვის და მისი დასჯადობის დამოკიდებულება „მთავარი მოქმედებისაგან წმინდა ფაქტიური ბუნებისა“³.

ამრიგად, კ. ლუდერსენი თანამონაწილის მოქმედებასა და ამსრულებლის მოქმედებას შორის მხოლოდ ფაქტიურ კავშირს ხედავს. მაგრამ მას ავიწყდება, რომ თანამონაწილეობა გარკვეული იურიდიული შინაარსის შემცველი ცნებაა. ეს კი იმას ხიშხავს, რომ შესაძლოა ინდივიდი ფაქტიურად კი მონაწილეობდეს სხვის დანაშაულში, მაგრამ იურიდიულად იგი ამ დანაშაულის თანამონაწილე არ იყოს. ამის საილუსტრაციოდ მივმართოთ ისევ აგენტი-პროვოკატორის მოქმედების ანალიზს. აგენტი-პროვოკატორი რომ სხვა ადამიანს თავისი (აგენტი-პროვოკატორის) ქონების მოსაპარაევად აქეზებს, ამით იგი იურიდიული თვალსაზრისით ქურდობის თანამონაწილე არ ხდება. აქ საქმე გვაქვს ფაქტიურ თანამონაწილეობასთან. ასეთსავე ფაქტიურ მონაწილეობასთან გვაქვს საქმე, მცირეწლოვანმა ან შერაცხვანურნარი პირმა რომ სრულწლოვანი და შერაცხვანურიანი პირი წააქეზოს დანაშაულის ჩასადენად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფაქტიური თანამონაწილეობა უკვე აღარაა თანამონაწილეობა ამ ცნების ნამდვილი გაგებით. კ. ლუდერსენის შეცდომა, ჩვენი აზრით, სწორედ ისაა, რომ მან დანაშაულის ფაქტიური მონაწილე თავიდანვე ჩასთვალა თანამონაწილედ და მყისვე გამოიტანა დასკვნა, თითქოს ამსრულებლის უმართლობა არ განისაზღვრავდეს თანამონაწილის უმართლობას. აქ უცილობლად ადგილი აქვს წამქეზებლისა და თანამონაწილის ცნებათა აღრევას. სინამდვილეში ეს ცნებები მხოლოდ ნაწილობრივ თუ ემთხვევიან ერთმანეთს. წამქეზებლის ფიგურა სწორედ იმის გამოა რთული და საინტერესო, რომ ზოგჯერ იგი შეიძლება თანამონაწილე იყოს, ზოგჯერ შეუაღობითი ამსრულებელი და, ასე განსხვავთ, უშუალო ამსრულებელიც კი (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლი, რომლითაც ისჯება არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად). არის შემთხვევები, როცა წამქეზებელს საერთოდ არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მაგალითად, მცირეწლოვანობის გამო და სხვ.). აქცესორული თეორიის მომხრეები იმას როდი ამტკიცებენ, რომ დანაშაულის წამქეზებელი ყველა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს თანამონაწილედ... როცა აგენტი-პროვოკატორი სხვას თავისი საკუთარი ქონების მოსაპარაევად აქეზებს, ეს, რა თქმა უნდა, არ არის თანამონაწილეობა ქურდობაში. წამქეზებელი ამ შემთხვევაში დისჯება ან როგორც აგენტი-პროვოკატორი, თუ, რასაკვირველია, დანაშაულის პროვოკაცია ისჯება, როგორც დანაშაული *sui generis* (ასეთ შემთხვევაში ის იქნება ამსრულებელი), ხოლო თუ ასეთი შემადგენლობა არ არსებობს — იგი დაუსჯელი დარჩება. ამრიგად, აქ ლაპარაკია არა იმაზე, განსაზღვრავს თუ არა ამსრულებლის უმართლობა თანამონაწილის (ამ ცნების იურიდიული გაგებით) უმართლობას, არამედ

² იქვე, გვ. 26.

³ იქვე, გვ. 119.

საქმე ეხება წამქეზებლის მოქმედების შეფასებას. კ. ლუდერსენი სწორი იქნებოდა თუ იტყოდა, რომ წამქეზებლის მოქმედების იურადიული შეფასება ყოველთვის არაა დამოკიდებული ამსრულებლის მოქმედების შეფასებაზე, ვინაიდან წამქეზებელი, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ზოგერთ შემთხვევაში იქნება თანამონაწილე. სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც დადგინდება, რომ წამქეზებელი უნდა დაისაჯოს როგორც თანამონაწილე, დაიწყება მსჯელობა მისი მოქმედების იურადიული შეფასებისათვის. აქცესორული თეორიის დედა-აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წამქეზებლის, როგორც თანამონაწილის მოქმედების შინაარსი, მისი უმართლობა სათავეს იღებს და გამომდინარეობს ამსრულებლის უმართლობიდან. ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ კ. ლუდერსენმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თავიდანვე შესცვალა დავის საგანი.

საბჭოური სისხლის სამართალი თანამონაწილეობის საკითხში აქცესორული თეორიის პოზიციასზე დგას. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს თანამონაწილეობის კენება, რომელიც მოცემულია 1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში 17-18 მუხლში. ამ მუხლის თანახმად „თანამონაწილეობად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“. ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ცნობს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას. კანონი მოითხოვს, რომ როგორც თანამონაწილენი, ისე ამსრულებელი განზრახ უნდა მოქმედებდნენ. ამიტომ თუ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, წამქეზებელი ან დამხმარე, რომელიც განზრახ მოქმედებდა, პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი და არა როგორც თანამონაწილე. ამრიგად, კანონმა წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება პირდაპირ დაუკავშირა ამსრულებლის განზრახ მოქმედებას და ამით აღიარა, რომ წამქეზებელი და დამხმარე (ან ორგანიზატორი) მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან თანამონაწილეებად, თუ ამსრულებელი ჩაიდენს განზრახ დანაშაულს. თუ არა გვყავს ამსრულებელი, რომელიც განზრახ მოქმედებს, არა გვაქვს არც თანამონაწილეობა, ამიტომ არის, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, ე. ი. დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედებაზე. მხოლოდ ამსრულებლის მოქმედებას აქვს დამოუკიდებელი იურადიული მნიშვნელობა. ასეთია ის დასკვნა, რომელიც გამოძინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან თანამონაწილეობის ბუნების შესახებ.

საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში უკანასკნელ დრომდე საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა თანამონაწილეობის ე. წ. „დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორია“, ხოლო აქცესორობის პრინციპი დაწინაურებული და უარყოფილი იყო. წლების განმავლობაში გამეფებული იყო აზრი, რომ თანამონაწილე პასუხს აგებს საკუთარი მოქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მოიმოქმედა ამსრულებელმა. თეორეტიკოსთა დიდი უმრავლესობა ამჟამადაც უარყოფს აქცესორობის პრინციპს, როგორც ბუტყუაზიულს და შეუთავსებელს საბჭოური სისხლის სამართლის

ძირითად პრინციპზე⁴. მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები აქცესორული თეორიის სასარგებლოდ. მ. კოვალოვი პირველი იყო, რომელიც წინააღმდეგა გაბატონებულ თვალსაზრისს და გამოთქვა აზრი, რომ საბჭოური სისხლის სამართალი გარკვეული ზომით იზიარებს აქცესორობის პრინციპს, სახელდობრ, იგი აღიარებს „ლოგიკურ აქცესორობას“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თანამონაწილეს სასჯელი განესაზღვრება მხოლოდ იმ სახეობის ფარგლებში, რომელიც დადგენილია ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის⁵. შეხედულებას თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათის შესახებ ემხრობა აგრეთვე თ. წერეთელი⁶. სულ ახლახან პრინციპულად ასეთივე პოზიცია დაიკავა ა. პიონტოვსკიმაც⁷.

აღსანიშნავია, რომ აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეთა მსჯელობა ყოველთვის ვერ არის თანმიმდევრული და დამაჯერებლად დასაბუთებული. მაგალითად, მ. შხეიდერი წერს, რომ „საბჭოური სისხლის სამართალი უარყოფს თანამონაწილეობის აქცესორობას, რომლითაც ამა თუ იმ ზომით ხელშეწყობს ბურჟუაზიული სისხლის სამართალი“⁸. მაგრამ იმავე გვერდზე დასკვნის: „თანამონაწილეობის აქცესორობის პრინციპზე უარის თქმა საბჭოური სისხლის სამართალში მაინც არ ნიშნავს, რომ ამსრულებლის მოქმედებას არ ეძლევა მნიშვნელობა სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის წესისა და ფარგლების განსაზღვრისათვის“⁹. მართლაც, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის საკითხის განხილვისას აქცესორობის მოწინააღმდეგე კრიმინალისტთა უმრავლესობა ისეთ დასკვნებს აკეთებს, რასაც ზოგჯერ თვით აქცესორობის მომხრენიც კი არ მოითხოვენ, რაც ყოველ შემთხვევაში, ამ პრინციპის თანამედროვე გაგებიდან სრულიადაც არ გამოძინხარეობს. ამ ავტორებს დასაშვებად მიაჩნიათ, რომ ისეთი წმინდა პერსონალური მომენტი, როგორცაა, მაგალითად, მოტივი, რომელიც მხო-

⁴ აქცესორული თეორიის წინააღმდეგ იხ. А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, გვ. 124, 125; М. Шаргородский, Вопросы общей части уголовного права, Изд. Ленинградского университета, 1955, гв. 135, 136; М., И. Гришаев, Г. А. Кригер. Соучастие по советскому уголовному праву, М., 1959, гв. 172—173; М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по Советскому уголовному праву, М., 1958, гв. 66; Курс Советского уголовного права, ч. общая, т. I, изд. Ленинградского университета, 1968, гв. 588, 589; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по Советскому уголовному праву, Киев, 1969, гв. 71—72; У. Л. Кобиашвили, К вопросу о приговорении и покушении на преступление при соучастии, „Правоведение“, 1963, № 3; მასივე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3 და სხვ.

⁵ М. И. Ковалев, К вопросу о понятии соучастия в советском уголовном праве, „Правоведение“ 1949, № 4, его же, Соучастие в преступлении, ч. I, Ученые труды свердловского юридического института, Свердловск, 1960, гв. 102.

⁶ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 71—84.

⁷ ა. პიონტოვსკი აღნიშნავს, რომ თანამონაწილენი პასუხისმგებლობაში მიეციემა იმავე მუხლით, რა მუხლითაც პასუხს აგებს ამსრულებელი. ამ აზრით, — განაგრძობს იგი, რასაკვირველია, შეიძლება ვილაპარაკოთ თანამონაწილის პასუხისმგებლობის დამოკიდებულების შესახებ ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, თანამონაწილეობის ინსტიტუტის აქცესორულ ხასიათზე. ამ აზრის დასადასტურებლად ა. პიონტოვსკი მიუთითებს მ. კოვალოვის შრომაზე. იხ. Курс советского уголовного права, т. II, М., 1970, с. 470, примеч. 38;

⁸ М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по Советскому Уголовному праву, М., 1958, гв. 66.

ლოდ ამსრულებელს ამოძრავებდა, უნდა შეერაცხოს აგრეთვე თანამონაწილე-საც, თუ მას ეს გათვალისწინებული ჰქონდა. ამიტომ როგორც დამხმარემ, ისე წაშეზებელმა პასუხი უნდა აგოს ანგარებით მკვლევლობაში მონაწილეობისათვის იმ შემთხვევაშიც, როცა, მართალია, ისინი თვითონ არ მოქმედებდნენ ახგარებით, მაგრამ ითვალისწინებდნენ, რომ ამსრულებელი დანაშაულს სჩადის სწორედ ამ მოტივით. ასეთი დასკვნის გაკეთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც უკიდურესი აქცესიზმის პრინციპის მომხრეა. მით უმეტეს გასაკვირველია, რომ ამ აზრს იზიარებს თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა დიდი უმრავლესობა¹⁰.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრეთა არათანხმოდევრობა განსაკუთრებით ნათლად გამოსჭვივის იმაში, რომ ეს კრიმინალისტები, ერთი მხრივ, უარყოფენ აქცესიზმის პრინციპს, მეორე მხრივ, კი აღიარებენ შუალობით ამსრულებლობას, როცა დანაშაულის უშუალო ამსრულებელი სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო პასუხს არ აგებს ჩადენილი ქმედობისათვის. მაგრამ თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარება, თუ ამ პრინციპს თანმიმდევრულად გვატარებთ და ვიტყვივთ, რომ უშუალო ამსრულებლის მოქმედება მხოლოდ ფაქტიური წანამძღვარია თანამონაწილის მოქმედებისა, თავისთავად უკვე შუალობითი ამსრულებლობის ცნების უარყოფას ნიშნავს. საგულისხმოა, რომ საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში აქცესიზმის პრინციპის მოწინააღმდეგეთაგან დღემდე არავინ ცდილა იმის ახსნას, თუ რით არის გამართლებული ასეთი ურთიერთგამომრიცხველი ცხებების არსებობა. რატომღაც ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ყოველთვის დუმილით უვლიან ხოლმე გვერდს და დავის სიმძიმის ცენტრი უფრო ნაკლებმნიშვნელოვან და არაპრინციპულ საკითხებზე გადააქვთ.

სამაგიეროდ ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ ჩეხოსლოვაკელი კრიმინალისტები. ვ. სოლნარჩი, მაგალითად, არ უარყოფს შუალობითი ამსრულებლობის ცნების დამოკიდებულებას და წარმომავლობას აქცესიზმის პრინციპიდან. მაგრამ ამავე დროს დასძენს, რომ თანამონაწილეობის დამოუკიდებლობის პრინციპის დროსაც კი საჭირო იქნებოდა შუალობითი ამსრულებლობის ინსტიტუტი, რამდენადაც ის ხელს შეუწყობდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სწორ ინდივიდუალიზაციას იმ შემთხვევებში, რომლებიც თავისი არსით თანამონაწილეობას კი არა, ამსრულებლობას წარმოადგენენ, თუნდაც მოგვეჩვენოს, რომ ასეთი მოქმედებანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამონაწილეობად¹¹. ჩანს, ავტორი კარგად გრძნობს შუალობითი ამსრულებლის ფიგურის პრაქტიკულ საჭიროებას. მაგრამ, ნუ დავგავიწყებდა, რომ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი საბუთი საკითხის გადასაწყვეტად. ვ. სოლნარჩის პოზიცია ამ საკითხში ისევე წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრულია, როგორც საბჭოელი კრიმინალისტების დიდი უმეტესობისა. საბოლოოდ მან ან უხდა უარყოფის თანამონაწილეობის დამოუკიდებელი ბუნება, ანდა ხელი აიღოს შუალობითი ამსრულებლობის ცნებაზე.

¹⁰ М. А. Шнейдер, Соучастие в преступлении по советскому уголовному праву, М., 1958, гл. 75; Курс советского уголовного права, Часть общая, I, изд. ленинградского университета, 1968, гл. 630; Ф. Г. Бурчак, Учение о соучастии по советскому уголовному праву, Киев, 1969, гл. 212.

¹¹ В. Солнарж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой социалистической республики, М., 1962, гл. 83.

ზემოხატევაში იმას მოწმობს, რომ ავტორთა უმეტესობა მარტო სიტყვით უარყოფს აქცესორობის პრინციპს, საქმით კი, კონკრეტული საკითხების გადაჭრისას, ისინი ამ პრინციპის ერთგულნი რჩებიან.

თანამონაწილეთა დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მომხრენი გამოსთქვავენ საყვედურს, თითქოს აქცესორობის პრინციპის აღიარება საბჭოური სისხლის სამართლის იმ ფუნდამენტური პრინციპის უგულვებელყოფას ნიშნავდეს, რომლის თანახმად, ინდივიდმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი მოქმედებისა და საკუთარი ბრალისათვის. აქცესორობა ეწინააღმდეგება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს და გზას უხსნის ობიექტურ შერაცხვას¹². რამდენად საფუძვლიანია ეს საყვედური? იმ დებულების აღიარება, რომ თანამონაწილის მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები დამოკიდებულია ამსრულებლის მოქმედების კვალიფიკაციაზე, განა სხვისი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას ნიშნავს? სრულიადაც არა. ამ საყვედურს შეიძლება კიდევ ჰქონოდა რაიმე საფუძველი, ჩვენ რომ არ შოვითხოვდეთ მიზეზობრივ კავშირს თანამონაწილის მოქმედებასა და დახაშულებრივ შედეგს შორის. მაგრამ ხომ აღიარებულა, რომ შესავსად ერთბაშად დამნაშავესა, თანამონაწილეს პასუხს აგებს მხოლოდ იმ დახაშულებრივი შედეგისათვის, რომელიც მისმა მოქმედებამ გამოიწვია. ამ თვალსაზრისზე უყოყმანოდ დგას როგორც ჩვენი სასამართლო პრაქტიკა, ისე სისხლის სამართლის თეორია. „თანამონაწილეთა მოქმედების ობიექტური მხარის ერთიანობა — ამბობს თ. წერეთელი, — უპირველეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ასე რომ ეს შედევი მათი საერთო საქმიანობის პროდუქტს უნდა წარმოადგენდეს“ (ხაზი ჩემით ო. გ.)¹³. მ. კოვალევიც ასევე შენიშნავს, რომ „ყველა თანამონაწილე ხაზდვილად პასუხს აგებს იმ დანაშაულებრივი შედეგისათვის, რომელიც უშუალოდ ამსრულებლის მიერაა მიყენებული, მაგრამ ისინი ამსრულებლის მეშვეობით თვითონაც მონაწილეობდნენ მის განხორციელებაში, განზრახული ჰქონდათ დანაშაულებრივი გზით მიეღწიათ ამ შედეგისათვის. ამსრულებლის მოქმედებაში მათი სხეულებრივი (мускульной) და სულიერი ენერჯის ნაწილიცაა ჩაქსოვილი, ამიტომაც დანაშაული მათი ერთობლივი მეცადინეობის ნაყოფია, რომელმაც საბოლოო ანგარიშით თავი შოიყარა ამსრულებლის მოქმედებაში“¹⁴. ასეთი დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან. „საფუძვლების“ მე-17 მუხლში ნათქვამია ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე დანაშაულის ჩადებაში. იბადება კითხვა: განა შეიძლება სხვისი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა ეწოდოს სხვასთან „ერთობლივ“ მონაწილეობას დანაშაულის ჩადებაში? ამის შემდეგ ადვილია იმის დამტკიცებაც, რომ თანამონაწილე პასუხს

¹² П. И. Гришаев, Т. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., 1959 гв. 172; М. Д. Шаргородский, „Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, № 1, გვ. 89; უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 27.

¹³ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 12.

¹⁴ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, გვ. 148.



აგებს საკუთარი ბრალისათვის. თუ სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამოხაწილეს ობიექტური წვლილი შეაქვს, მისი ბრალიც სწორედ ამ ობიექტური წვლილის მიხედვით განისაზღვრება. „... ყველა თანამონაწილე არის მონაწილე საერთო ბრალისა, — ამბობს ა. კოვალიოვი, — მაგრამ პასუხს ისინი აგებენ არა სხვისი, არამედ ერთობლივი მოქმედებისათვის და თავისი საკუთარი ბრალის ფარგლებში“¹⁵.

აქცესორული თეორიის ძირითადი დებულება — არ არის თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე — ლიტერატურაში ზოგჯერ არასწორი ინტერპრეტაციის საგნად იქცევა ხოლმე. სახელდობრ, მიუთითებენ, თითქოს ეს ხიზნავდეს თანამონაწილის პასუხისმგებლობის სრულ დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, თითქოს თანამონაწილის სასჯელის ზომის განსაზღვრა ხდებოდეს ამსრულებლის სასჯელის მიხედვით. აქედან დასკვნა: თანამონაწილემ პასუხი უნდა აგოს ამსრულებლის ექსცესისთვისაც. მაშასადამე, აქცესორობის პრინციპს ობიექტურ შერაცხვამდე მიეყვართ¹⁶. ეს პრინციპი სრულიადაც არ გულისხმობს თანამონაწილის სასჯელის განსაზღვრას ამსრულებლის სასჯელის მიხედვით. „აქცესორობა დასჯადობის მიხედვით — ეს არის ერთ-ერთი სახე აქცესორობისა და მას ყველა ბურჟუაზიული მეცხიერიც კი აღარ იზიარებს“¹⁷. ამ სიტყვების ავტორს — მ. კოვალიოვს — მხედველობაში აქვს თანამონაწილეობის ე. წ. ჰიპერაქცესორული თეორია, რომლის წარმომადგენლები მართლაც მოითხოვდნენ თანამონაწილის სასჯელის განსაზღვრას ამსრულებლის სასჯელის მიხედვით. მაგრამ მთავარი მიანიც ისაა, რომ ამსრულებლის ექსცესის საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს აქცესორობის პრინციპთან. ამსრულებლის ექსცესის შერაცხვას თანამონაწილისათვის აქცესორობის ყველაზე უკიდურესი სახის — ჰიპერაქცესორული თეორიის წარმომადგენელსაც კი ვერ ვუსაყვედურებთ. ვერ ვუსაყვედურებთ იმიტომ, რომ ექსცესის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, ბრალის საკითხია და ამიტომაც ის ბრალის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს. თანამონაწილეს შეერაცხება მხოლოდ ის გარემოებები, რაც მას გათვალისწინებული ჰქონდა. თუ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს საზოგადოდ, ის თანაბრად შეეხება როგორც ამსრულებელს, ისე თანამონაწილეს. და ამ პრინციპის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს ამსრულებლის ექსცესის საკითხი თანამოხაწილეობის დროს, როგორც აქცესორული თეორიის მომხრემ, ისე მისმა მოწინააღმდეგემ. თანამონაწილის სასჯელის ზომის განსაზღვრის საკითხი არა თუ დამოკიდებული არაა ამსრულებლის სასჯელის ზომაზე, პირიქით, თანამოხაწილის დასჯადობისათვის მნიშვნელობა არა აქვს ამსრულებლის დასჯადობის ფაქტს. თანამონაწილის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ვერ დაედება საფუძვლად ის გარემოება, რომ დანაშაულის ამსრულებელი ვერ დადგინდა, ან დადგინილი კი იქნა, მაგრამ ვერ შეიპყრეს, გარდაიცვალა, ეპატია სასჯელი და სხვ. და მინც თანამონაწილეობა აქცესორულია თავისი ბუ-

¹⁵ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, 33. 148.

¹⁶ П. И. Гришаев, Т. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., 1959, 33. 172.

¹⁷ М. И. Ковалев, К вопросу о понятии соучастия в советском уголовном праве, „Правоведение“, 1959, № 4, 33. 98.

ხებით, რაც გულისხმობს ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას და არა იმას, დაისაჯა იგი თუ არა სინამდვილეში¹⁸.

ამ დებულების საწინააღმდეგოდ მიუთითებენ ისეთ შემთხვევებზე, როცა უშუალო ამსრულებელს დანაშაულიც კი არ ჩაუდენია, ე. ი. საერთოდ არა გვეყავს ამსრულებელი. მაგალითად, როდესაც ვინმე ფიქრობს, რომ დანაშაულის ჩასადენად აქეზებს სულიერად ჯანსაღსა და სრულწლოვან პირს, მაგრამ იგი სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი აღმოჩნდება, მაშინ წამქეზებელი პასუხს აგებს თანამონაწილეობისათვის, თუმცა არ არის დანაშაულის ამსრულებელი¹⁹. უნდა ითქვას, რომ ამ კვალიფიკაციას აქცესორული თეორიის მომხრეებიც ეთახსხებიან²⁰. ჩვენი აზრით, ამ აეტორებზე სრულიად სამართლიანად შიახიათ, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია ვერ არყევს აქცესორობის პრინციპს, ვინაიდან აქაც ისევე, როგორც ამსრულებლის ექსცესის დროს, საკითხი წყდება არა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, არამედ წამქეზებლის ან დამხმარის წარმოდგენების შესაბამისად. წამქეზებელი თვლიდა, რომ ის თანამონაწილეა და არა ამსრულებელი. მისი თვალსაზრისით აქ ამსრულებელი იგულისხმება. როგორც ვხედავთ ეს საკითხი, მსგავსად ამსრულებლის ექსცესისა, უპირველეს ყოვლისა, ბრალის საკითხია და აქცესორობის პრინციპთან პირდაპირი კავშირი არა აქვს.

ასევე ბრალის პრინციპზე დაყრდნობით უნდა გადაწყდეს ამის საპირისპირო შემთხვევაც. სახელდობრ, როცა წამქეზებელი ან დამხმარე თვლიდა, რომ აქეზებს ან ეხმარება სულით ავადმყოფს, სინამდვილეში კი უშუალო ამსრულებელი ფსიქიკურად ჯანსაღი აღმოჩნდება და პასუხს აგებს ჩადენილი ქმედობისათვის. ეს საკითხიც წამქეზებლის ან დამხმარის სუბიექტური წარმოდგენების მიხედვით უნდა გადაწყდეს. ისინი დაისჯებიან როგორც შუალობით ამსრულებლები²¹.

აქცესორული თეორიის თანმიმდევრული მოწინააღმდეგეების აზრით, თანამონაწილის მოქმედებას ამსრულებლის მოქმედებისგან სრულიად დამოუკიდებელი იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. თანამონაწილის პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზე არ უნდა იმოქმედოს იმ გარემოებამ, თუ რას აკეთებს ან რას ფიქრობს ამსრულებელიც, — წერს მ. შარგოროდსკი²². განსაკუთრებით დაწვრილებით ამ საკითხზე ჩერდება უ. კობიაშვილი. იგი თანამონაწილის მოქმედებას ამსრულებლის მოქმედებისაგან მოწყვეტილად განიხილავს და დასძენს, რომ მას შემდეგ, რაც თანამონაწილემ დაასრულა თავისი წინასწარგაზრახული (преднамеренный) მოქმედება, ცვლილებანი, რომელიც

¹⁸ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, 33. 144.

¹⁹ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, 33. 29.

²⁰ E. Mezger, Strafrecht, 3. Auf. Berlin und München, 1949, 33. 449; თ. წერეთელი თანამონაწილეობა დანაშაულში, 33. 82.

²¹ Н. С. Таганцев, Русское уголовное право, ч. общая, С.—Петербург, 19 2, 33. 738; Ф. Лист, Учебник уголовного права, общая часть, М., 1903, 33. 247, примеч, 2; М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, 33. 30;

²² М. Д. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, № 1, 33. 89;

მოვლენათა შემდგომ განვითარებაში მოხდა და მასზე დამოკიდებული არ იყო, ვერ იმოქმედებს თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე. თუ, მაგალითად, ა-მა წააქეზა ბ-ნი ძველულობისათვის, ბ-მა ესროლა, მაგრამ დააცილა, ა-მა პასუხი უხდა აგოს არა ძველულობის მცდელობაში მონაწილეობისათვის, არამედ როგორც ძველულობის თანამონაწილემ და მისი ქმედობა დაკვალიფიცირდება რსფსრ სსკ 17—102(103) მ. მ. (საქართველოს სსრ სსკ 19—104(105) მმ), ე. ი. მცდელობის მუხლზე მიუთითებლად. ეს იმიტომ, რომ თანამონაწილემ, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა, მოვლენათა შემდგომი მსვლელობა კი მასზე დამოკიდებული არ იყო²³. მაგრამ თუ წამქეზებელზე აღარ იყო დამოკიდებული ის, რაც წაქეზების შემდეგ მოხდა, კერძოდ, ის გარემოება, რომ ამსრულებელმა დააცილა მსხვერპლს, ვერ გაამართლებს წამქეზებელს, მაშინ უნდა ვიყოთ თანხმდევარი და ასევე ვიმსჯელოთ ამსრულებლის მიმართაც. განა ამსრულებელზე კი იყო დამოკიდებული ის, რაც გასროლის შემდეგ მოხდა? ამსრულებლის მოქმედებაც ხომ მაშინ დამთავრდა, როცა მან ჩახმას თითი გამოჰკრა. მოვლენათა შემდგომი მსვლელობა, სახელდობრ ის, რომ ტყვია სხვადასხვა მიზეზების გამო გადაიხარა ან მსხვერპლმა სრულიად შემთხვევით გვერდზე გადაიხაწვლა და სხვ., ხომ აღარ იყო დამოკიდებული ამსრულებელზე. ამ ლოგიკით ამსრულებელიც დამთავრებული მკვლელობისათვის უნდა დავსაჯოთ (?). თანამონაწილის პასუხისმგებლობა მცდელობის მუხლზე მიუთითებლად იმას ნიშნავს, რომ მან პასუხი უნდა აგოს დამთავრებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. მაგრამ როგორ შეიძლება ინდივიდმა პასუხი აგოს დამთავრებული დანაშაულისათვის, როცა დანაშაული ფაქტიურად არ დამთავრებულა?²⁴ ამ დებულებას ვერ აბათილებს ის აზრი, თითქოს ამსრულებლის ექსცესის დროსაც თანამონაწილე ამსრულებლის მიერ ფაქტიურად ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის კი არ აგებს პასუხს, არამედ იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც მას თავდაპირველად გახზარაული ჰქონდა. თუ ა-მა წააქეზა ბ-ნი ქურდობისათვის, ბ-მა კი ყაჩაღობა ჩაიდინა, წამქეზებელი პასუხს აგებს ქურდობაში თანამონაწილეობისათვის, თუქცა ამ შემთხვევაში დამთავრებული ქურდობა კი არა, საერთოდ არ ყოფილა ჩადენილი ასეთი დანაშაული²⁵. ეს შემთხვევა სისხლის სამართლის თეორიაში ცხობილია როდენობრივი ექსცესის სახელწოდებით. ქურდობა და ყაჩაღობა ერთგვაროვანი დანაშაულებია. თუ ამსრულებელმა ქურდობის ნაცვლად ყაჩაღობა ჩაიდინა, წამქეზებელი მარტო იმიტომ კი არ აგებს პასუხს დამთავრებული ქურდობისათვის, რომ მას ქურდობა ჰქონდა გახზარაული, არამედ იმიტომაც, რომ ყაჩაღობა თავისთავად უკვე შეიცავს ქურდობის ნიშნებს.

„... რამდენადაც ერთგვაროვან უფრო მძიმე დანაშაულში, — წერს თ. წერეთელი, — მოცემულია ამავე გვარის უფრო მსუბუქი დანაშაულის ნიშნები, რომელიც თანამონაწილის მიერ გათვალისწინებული იყო, იგი პასუხს აგებს ამ უფრო მსუბუქ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის“²⁶. ამიტომ თქმა იმი-

²³ У. Л. Кобнашвили, К вопросу о приговаривании к преступлению и покушению на преступление при соучастии „Правоведение“, 1963, № 3, с. 149; მისივე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, с. 27.

²⁴ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 78.

²⁵ У. Л. Кобнашвили, К вопросу о приговаривании к преступлению и покушению на преступление при соучастии „Правоведение“, 1963, № 3, с. 149.

²⁶ თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 201—202;

სა, რომ მოცემულ შემთხვევაში თანამონაწილე პასუხს აგებს ისეთ დანაშაულში თახამობაწილეობისათვის, რომელიც „საერთოდ არ იყო ჩადენილი“, არ შეესაბამება სინამდვილეს.

სხვაგვარად გადაწყდებოდა საკითხი, ამსრულებელს რომ ქურდობის ნაცვლად ყაჩაღობა კი არა, მკვლელობა ჩადენა (ე. წ. „თვისობრივი ექსცესი“). გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქურდობა ჩადენილი არ ყოფილა, თანამონაწილენი „... პასუხს აგებენ ამ დანაშაულის მომზადებისათვის“²⁷. ირკვევა, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობის საკითხის სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია ფაქტიურად მომხდარის გათვალისწინების გარეშე.

აქამდე საუბარი გვქონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა თანამონაწილემ დაასრულა თავისი მოქმედება და ამსრულებლის მეშვეობით დასაბამი მისცა მიზეზობრივი ჯაჭვის შემდგომ განვითარებას. როგორც დავინახეთ, თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის თეორიას არ შეუძლია მოგვეცეს მსგავსი შემთხვევების სწორი იურიდიული კვალიფიკაცია. ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა თანამონაწილემ ვერ შესძლო თავისი მოქმედების ბოლომდე მიყვანა ან დაასრულა ეს მოქმედება, მაგრამ ამსრულებელზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა და ამიტომ მიზეზობრივი ჯაჭვის შემდგომ განვითარებას მისთვის სასურველი მიმართულებით ადგილი არ ჰქონია. სისხლის სამართლის თეორიაში ეს შემთხვევები ცნობილია უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების სახელწოდებით. წამქეზებელმა ვერ შესძლო მომავალი ამსრულებლის დაყოლიება, ვერ აღუძრა მას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ანდა მას უკვე წაქეზებამდე ჰქონდა მიღებული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. დახმარებმ ვერ შექმნა დანაშაულის ჩადენის ხელსაყრელი პირობები და სხვ. სისხლის სამართლის თეორიაში და სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი ქმედობები დანაშაულის მომზადებად კვალიფიცირდება. აქცესორული თეორიის მოწინააღმდეგეებს არ მიაჩნიათ სწორად ეს კვალიფიკაცია და მოითხოვენ, რომ უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება დაკვალიფიცირდეს არა, როგორც იმ დანაშაულის ჩადენის მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც თანამონაწილეებს განზრახული ჰქონდათ, არამედ როგორც თანამონაწილეობის მცდელობა(?)²⁸. ამისათვის მათ შემოიღეს ხელოვნური ცნება თახამობაწილეობის კონკრეტული შემადგენლობისა, რომელიც თითქოს თავისი განსაკუთრებული თვისებების გამო კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში გაითვალისწინა²⁹. ცნობილია, რომ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობები (მკვლელობა, ქურდობა, გაუპატიურება და სხვ.) მოცემულია კოდექსის კერძო ნაწილში. რაც შეეხება ზოგადი ნაწილის მუხლებს, მათ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებისაგან დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვთ და ამიტომ მათი ჩადენაც (და მით უმეტეს

²⁷ თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 201.

²⁸ А. И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы общей части уголовного права, „Правоведение“, 1960, № 1, с. 104; У. Л. Кобиашвили, К вопросу о приговлении к преступлению и покушения на преступление при соучастии „Правоведение“, 1963, № 3, გვ. 151;

²⁹ У. Л. Кобиашвили, К вопросу о приговлении к преступлению и покушения на преступление при соучастии, „Правоведение“, 1963, № 3, გვ. 152;

მცდელობა) შეუძლებელია, მაინც საინტერესოა, რა განსაკუთრებული თვისებების გამო გადაიტანა კანონმდებელმა თანამონაწილეობა კოდექსის ზოგად ხაწილში? თანამონაწილეობა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედობა კი არ არის, არამედ იგი დანაშაულის გამოვლინების განსაკუთრებული ფორმაა. მკვლელობა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ერთმა პირმა ერთპიროვნულად, ისე არაოდესხმე პირმა თანამონაწილეობით, მაგრამ წარმოუდგენელია თვითონ თანამონაწილეობის ჩადენა. „... თანამონაწილეობა და მცდელობა, — წერს ვ. სოლნარჯი — არ წარმოადგენენ სპეციალურ დანაშაულებს, დანაშაულებრივია თანამონაწილეობა დანაშაულში ან დანაშაულის ჩადენის მცდელობა“³⁰.

ა. სახტალოვის აზრით, უშედეგო წაქეზების და უშედეგო დახმარების მოსაძახადებელ მოქმედებად დაკვალიფიცირებას ერთი გარემოება უშლის ხელს. საქმე ისაა, რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა ჰქონდეს ყველა ის ნიშანი, რომელიც კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ამსრულებლისთვის არის დადგენილი. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ დროს, — განაგრძობს იგი — როცა არასამხედრო აქეზებად სამხედრო პირს დანაშაულის ჩასადენად, უცხოელი — სამშობლოს ღალატის ჩასადენად და სხვ. ასეთ წამქეზებელს პასუხისგებაში ვერ მივიყვებთ იმიტომ, რომ მას არ გააჩნია სპეციალური სუბიექტის ხიშხები, რაც სამხედრო დანაშაულის ან სამშობლოს ღალატის ამსრულებელს უნდა ჰქონდეს კანონის ძალით. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით ასეთ აბსურდულ დებულებას: არასამხედრო პირი ემზადებოდა დეზერტირობას ჩასადენად, არათანამდებობის პირი — სამსახურებრივი სიყალბის ჩასადენად და სხვ. ამიტომ იგი ვამოსავალს იმაში ხედავს, რომ წინადადებას იძლევა ეწოდოს ასეთ შემთხვევას თანამონაწილეობის მცდელობა(?) და დაკვალიფიცირდეს რსდსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—17 მუხლებით³¹ და განსაკუთრებული ნაწილის შესატყვისი მუხლით³².

როგორც ვხედავთ, ა. სანტალოვის უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების იურიდიულ კვალიფიკაციაში არსებითად ცვლილება არ შეაქვს. ძირითადი აქცენტი მას საკითხის ტერმინოლოგიურ მხარეზე გადააქვს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ თანამონაწილეობა დანაშაული არ არის, ამიტომ მისი მცდელობაც არ შეიძლება. ა. სანტალოვი უდავოდ სწორია, როცა ამტკიცებს რომ დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა გააჩნდეს ყველა ის ნიშანი, რაც კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულის ამსრულებლისათვის არის დადგენილი. მაგრამ ეს ვრცელდება მხოლოდ დანაშაულის უშუალო ამსრულებელზე და არა თანამონაწილეზე. დანაშაულის მომზადების სუბიექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეთხოვება აღჭურვილი იყოს ამსრულებლისათვის კანონით დადგენილი ნიშნებით, თუ იგი თვითონ უშუალოდ (ან ყოველ შემთხვევაში „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით) აპირებს ამ შემადგენლობის განხორციელებას. რასაკვირველია, არ იქნებოდა მართებული დაგვეშვა, თითქოს არასამხედრო პირს შეუძლია მოემზადოს დეზერტირობის უშუალოდ ჩასადენად, არათანამდებობის პირს — სამსახურებრივი სიყალბის უშუალოდ ჩასადენად და სხვ. მაგრამ სრულიად არ იქნება მოკლებული აზრს, თუ ვიტყვით, რომ არასამხედრო

³⁰ В. Солнерж, Соучастие по уголовному праву Чехословацкой социалистической республики, М., 1962, гл. 40; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გვ. 69.

³¹ იგულისხმება რსდსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19—17 მმ.

³² А. И. Санталов, Состав преступления и некоторые вопросы. общей части уголовного права, „Правоведение“, 1960, № 1, гл. 104;

პირი ემზადებოდა სამხედრო პირის მეშვეობით დეზერტირობის შემადგენლობის განსახორციელებლად და სხვა. კოდექსის ზოგად ნაწილში თანამონაწილობის მუხლზე მითითებაც სწორედ ამას ემსახურება. კვალიფიკაცია — მე-17—19 და კერძო ნაწილის შესატყვისი მუხლი, რომელსაც ა. სანტალოვი გვთავაზობს, — ხიშნავს, რომ ადგილი აქვს მომზადებას (მ. 17), თანამონაწილის მიერ (მ. 19) კოდექსის კერძო ნაწილში მოცემული დანაშაულის ჩასადებად. კახონის თანახმად მოსამზადებელ მოქმედებად ჩაითვლება „... პირობების... განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“ (საფუძვლების მე-15 მ.). თუ ეს ასეა, მაშინ სულაც არ არის გამორიცხული, რომ არასპეციალურმა სუბიექტმაც შექმნას განზრახ რაიმე პირობა, რომელიც საშუალებას მისცემს მომავალ ამსრულებელს განახორციელოს სპეციალური შემადგენლობა (კერძო პირმა აღუთქვა სამხედრო მსახურს თავშესაფარი დეზერტირობის შემთხვევაში და სხვ.). თავისთავად აღებული უშედეგო წაქეზება თავისუფლად შეგვიძლია განვიხილოთ ისეთ პირობად, რომელიც დანაშაულის მომზადების სტადიას შეადგენს; თუმცა ასეთი მომზადება საბოლოო შედეგს მეტად დაცილებულია. ა. სანტალოვის მოსაზრება იმიტომაცაა უსაფუძვლო, რომ უშედეგო წაქეზება მოსალოდნელია არა მარტო არასპეციალური, არამედ სპეციალური სუბიექტის მხრივაც. თუ ერთი სამხედრო მსახური უშედეგოდ აქეზებს მეორეს დეზერტირობისათვის, აქ, მისი აზრით, არავითარი უჩერებულობა არ იქმნება, რადგან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხედრო მსახური ემზადებოდა დეზერტირობის ჩასადებად. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ აქეზებდა. თვითონ ხომ არც ერთი არ აპირებდა ამ დანაშაულის ჩადენას! პირიქით, ისინი სხვას აქეზებდნენ. დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედება ჯერ კიდევ არ არის შემადგენლობის ბირთვი, ჯერ კიდევ არ არის შემადგენლობის განხორციელება, ამიტომ ამ მოქმედების ჩადენა შეუძლია ყოველ სუბიექტს — როგორც სპეციალურს, ისე არასპეციალურს.

სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს მ. კვალიოვი. იგი ეთანხმება ა. სანტალოვის დებულებას, რომლის თანახმად, დანაშაულის მომზადების სუბიექტს უნდა ახასიათებდეს ყველა ის ნიშანი, რომელიც ამ დანაშაულის ამსრულებლისათვის კანონით არის დადგენილი. მაგრამ უარყოფს რა ამ შემთხვევის თანამონაწილობის მცდელობად დაკვალიფიციურებას, დაასკვნის, რომ აქ პასუხისმგებლობა გამორიცხულია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო. ამსრულებლის უარის შემთხვევაში არასპეციალურ სუბიექტს არ შეუძლია თვითონ უშუალოდ ჩაიდინოს ეს დანაშაული, ამიტომ მისი მოქმედება მოკლებულია საზოგადოებრივ საშიშროებას³³.

მაგრამ უშედეგო წაქეზების საზოგადოებრივი საშიშროება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, შეუძლია თუ არა წამქეზებელს თვითონ განახორციელოს შემადგენლობა ამსრულებლის უარის შემთხვევაში. უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ამსრულებელს, თუნდაც რომ საქმე ეხებოდეს სპეციალურ სუბიექტს, შეეძლო უარი არ ეთქვა წამქეზებლის წინადადებაზე და ჩაედინა დანაშაული.

ერთ-ერთი ძირითადი საბუთი, რომლითაც ცდილობენ შეარყიონ აქცესობის პრინციპი, არის ის, რომ თანამონაწილე ყოველთვის არ ასრულებს იმა-

³³ М. И. Ковалев, Соучастие в преступлении, ч. II, гл. 184—185.

ვე შეადგენლობას, რომელსაც ამსრულებელი ასრულებს და ამიტომაც ზოგჯერ ადგილი აქვს მათი ქმედობების სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციას. ამით თითქოს შტრიცდება თანამონაწილეობის დამოუკიდებელი, არააქცესორული ბუნება. თანამონაწილეობა რომ აქცესორული ბუნების იყოს, მაშინ თანამონაწილეებმაც პასუხი უნდა აგონ იმავე მუხლით, რომლითაც პასუხს აგებს ამსრულებელი³⁴. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აქცესორული თეორიის მომხრენი მართლაც უკავშირებენ თანამონაწილის ქმედობის კვალიფიკაციას ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციას. მაგრამ, ამავე დროს, უშვებენ გამოჩაყლის საერთო წესიდან და ამბობენ, რომ ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევა. თუმცა ეს გარემოება აქცესორობას არ ეწინააღმდეგება.

სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაცია რომ ზოგჯერ აუცილებელი ხდება, ამაზე თვალის დახუჭვა, რასაკვირველია, უაზრობა იქნებოდა. სხვა საკითხია, რამდენხად არყევს იგი აქცესორობის პრინციპს და იძლევა თუ არა მყარ საფუძველს საწინააღმდეგო თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ვთქვათ, მკვლელობის ამსრულებელი რეციდივისტია, წამქეზებული კი — არა. ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის 9 პუნქტით, წამქეზებლისა კი ამავე კოდექსის 105 მუხლით. რას აძლევს ეს ფაქტი აქცესორობის მოწინააღმდეგეებს? არაფერი. აქ მთავარი ის კი არაა, რომ მათი ქმედობების კვალიფიკაცია სხვადასხვა მუხლებით ხდება. არსებითი და გადაწყვეტია ის, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობაში თანამონაწილეობას. როგორც 104, ისე 105 მუხლში უმართლობის ერთი და იგივე ტიპი — მკვლელობაა მოცემული. ორივე მუხლის შინაარსი სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში გამოიხატება. მათ შორის სხვაობა შეეხება არა შინაარსობრივ მხარეს, არა მკვლელობის უმართლობის დამატუქნებელ გარემოებებს, არამედ ზოგიერთ ისეთ გარემოებას (ორი ან მეტი პირის მკვლელობა, განზრახ მკვლელობა ჩადენილი რეციდივისტის მიერ და სხვ.), რომელსაც კახოხმდებელი გაძლიერებულ სასჯელს უკავშირებს. თანამონაწილეობისათვის არსებითია ერთი უმართლობის განხორციელება ყველა თანამონაწილის მიერ. სადაც ეს კახოხმობიერება დარღვეულია, იქ თანამონაწილეობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ვერ დავასახელებთ თანამონაწილეობის ვერცერთ შემთხვევას, რომ წამქეზებლის მიერ ჩადენილი ქმედობა სხვა სოციალური შინაარსის იყოს, ამსრულებლისა კი — სხვა შინაარსის. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, რომელსაც ერთი ტიპის დელიქტის სხვადასხვა მუხლებში ჩამოყალიბების ფაქტი ვერა და ვერ შეცვლის. ამიტომ არის, რომ ცალკეულ მონაწილეთა მიერ ჩადენილი ქმედობების სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის დროს თანამონაწილეობასთან გვექნება საქმე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მონაწილის მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული, ე. ი. ერთი და იგივე ტიპის უმართლობა. აქცესორობაც სწორედ ამ ერთ დანაშაულში მონაწილეობით გამოიხატება.

რომ სხვადასხვა მუხლებით კვალიფიკაციის დროს თანამონაწილეობის ბუნება არ იცვლება, ვინაიდან ყველა მონაწილე მატერიალურად ერთსა და

³⁴ М. Шаргородский, Во росы общей части уголовного права, Изд. Ленинградского университета, 1955, гв. 135—136; უ. კობახიძე, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 30—31.

იმავე შინაარსის ქმედობას ახორციელებს, ეს მომენტი განსაკუთრებულად სიმკვეთრით აქვს ხაზგასმული აქცესორული თეორიის ისეთ მოწინააღმდეგეს, როგორც იყო ა. ტრაინინი. „თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ერთი და იგივე დახაშაულისათვის — ამბობს ა. ტრაინინი — არ გამოიხატება დამსჯელი ხორმის ერთიანობის ფორმალური ნიშნით. ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება იმ დანაშაულის მატერიალური ერთგვაროვნობით, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგოს ყოველმა თანამონაწილემ — მატერიალური ერთგვაროვნობით და არა შემადგენლობათა იგივეობით“³⁵. როგორც ვხედავთ, ა. ტრაინინმაც კი, რომელიც აქცესორულ თეორიას არ იზიარებდა, ვერ შესძლო გვერდის ავლა იმ უდავო ფაქტისათვის, რომ მთავარია მატერიალურად ერთგვაროვანი დელიქტის ტიპი, რომელსაც თანამონაწილენი უნდა ახორციელებდნენ, თუნდაც იგი კოდექსის რამოდენიმე მუხლში იყოს მოცემული.

თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ბევრ შემთხვევაში დაუძლეველი სიძნელეების წინაშე დააყენებდა ჩვენს სასამართლო პრაქტიკას. ჯერ ერთი თანამონაწილეობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის აღიარება ფაქტიურად ამ ინსტიტუტის გაუქმებას უდრის. თანამონაწილის მოქმედებას რომ დამოუკიდებელი იურიდიული მხიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ ინდივიდი თანამონაწილე კი არა, ამ დამოუკიდებელი დელიქტის ამსრულებელი იქნება. ამით კი წაიშლება ზღვარი თანამონაწილეობასა და ამსრულებლობას შორის.

მეორეც ის, რომ ამ პრინციპზე დაყრდნობით ბევრი დამნაშავე დაიჭერენ და თავს პასუხისმგებლობიდან. მაგალითად, როგორ უნდა დაეაკალიფიციროთ დამხმარის მოქმედება, თუ მას არა აქვს სხვისი ნივთის მითვისების მიზანი, ეს კონსტიტუციური ელემენტი ქურდობის და ზოგიერთი სხვა ქონებრივი დახაშაულის შემადგენლობისა, მაგრამ იცის, რომ ამ მიზნით მოქმედებს უშუალო ამსრულებელი, რომელსაც იგი ეხმარება? როგორ შეიძლება ჩაითვალოს ის ქურდობის თანამონაწილედ, თუ ამსრულებლის მოქმედებას, მის მიზანს არა აქვს მისთვის იურიდიული მნიშვნელობა? მაგრამ თუ ქურდობის თანამონაწილედ არ ჩავთვლით, მაშინ როგორღა ვაგებინოთ პასუხი? ცხადია, მოქმედი კახონმდებლობით იგი არ უნდა დაგვესაჯა, ვინაიდან ასეთი დამხმარის მოქმედება ამსრულებლის ქმედობის გარეშე იურიდიულად უშინაარსო ცხებაა. რჩება მხოლოდ ერთი გზა პასუხისმგებლობის დასაბუთებისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი ინდივიდის მიერ დახაშაულებრივი ნების გამოვლინებაში უნდა ვეძიოთ. ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ აქცესორობის პრინციპის უარყოფა არსებითად სოციოლოგიური სკოლის პოზიციასზე დადგომას ნიშნავს.

როგორც ცნობილია, აქცესორული თეორიის მომხრეებს ამ თეორიის მოწინააღმდეგე კრიმინალისტები პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფას უსაყვედურებენ. სინამდვილეში ეს საყვედური უსაფუძვლოა. აქცესორობის მოთხოვნა პროგრესული მოთხოვნაა და, პირიქით, სწორედ მისი უგულვებელყოფა მოასწავებს პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის დარღვევას. ეს რომ ასეა, ამას უშედეგო წაქეზებისა და უშედეგო დახმარების იურიდიული ანალიზიც ნათლად მოწმობს. გაბატონებული თვალ-

³⁵ А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, М., 1957, гл. 288;

10. „მანე“, ფილოსოფიის ... სერია, 1971, № 2

საზრისის თახამად უშედგევო წაქეზება და უშედგევო დახმარება დანაშაულის შოშადებად უნდა დაკვალიფიცირდეს. ეს დასკვნა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს და იგი სრულ შესატყვისობაშია პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპთან, ვინაიდან წამქეზებლისა და დამხმარის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რაც მათ ფაქტიურად გააკეთეს. მაგრამ თუ ვიტყვი, რომ თანამონაწილის „... მოქმედების იურიდიული შინაარსი არ იცვლება იმით, შესძლო ამსრულებელმა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხა ეს“³⁶, მაშინ უშედგევო თანამონაწილეობაც ისევე უნდა დავაკვალიფიცირებო, როგორც შედეგია, ე. ი. გავუთანაბროთ იმ შემთხვევას, როდესაც ამსრულებელმა ძალაში იმ მიზანს, რომლისკენაც თანამონაწილე ისწრაფოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინდივიდს პასუხისმგებლობა დავაკისროთ იმისთვის, რაც მას ფაქტიურად არ გაუკეთებია. აი ნათელი მაგალითი პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპის უგულვებელყოფისა: განა შეიძლება ისევე დავსაჯოთ ის წამქეზებელი, რომელმაც ვერასვჯით ვერ მოახერხა სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, როგორც დავსჯოთ იმას, ვინც დასახული მიზანი ამსრულებლის მეშვეობით ბოლომდე განახორციელო? რით შეიძლება გავაძარტლოთ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ასეთი ნიველირება? ფაქტიურად აქ უგულვებელყოფილია ქმედობის, როგორც გარეგანი მომენტის მხიშველობა პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის და ძირითადი აქცენტრ გადატახილია მოქმედის შინაგან, სუბიექტურ მხარეზე, ნების წარმართვაზე განსაზღვრული მიმართულებით, რაც უცხოა და შეუთავსებელი მოქმედი საბჭოური სისხლის სამართლისათვის. ამიტომ არის, რომ აქცესორული თეორიის უარყოფიდან ერთი ნაბიჯია სოციოლოგიური სკოლის პრინციპების აღიარებამდე.

აქცესორული თეორიის უარყოფა გამოუვალი სირთულის წინაშე დავაყენებდა სპეციალურ დელიქტებში არასპეციალური სუბიექტის თანამონაწილეობის კვალიფიკაციის დროს. როგორ დავსაბუთოთ სამოქალაქო პირის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა სამხედრო დანაშაულში თანამონაწილეობის დროს? რა შემადგენლობას ახორციელებს, მაგალითად, მაროდერობის წამქეზებელი სამოქალაქო პირი? ვადაპრით უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია დავსაბუთოთ არასპეციალური სუბიექტის პასუხისმგებლობა სპეციალურ დელიქტებში თახამონაწილეობისათვის, თუ ამსრულებლის მოქმედებას არ მივცემთ მხიშველობას თანამონაწილის მოქმედების იურიდიული შეფასებისათვის, ე. ი. თუ არ გავიზიარებთ აქცესორობის პრინციპს. საქართველოს სსრ სსკ 284 მუხლით ისჯება მაროდერობა, ე. ი. ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ხივთების გატაცება. ამ დანაშაულის ამსრულებელი აუცილებლად სამხედრო მსახური უნდა იყოს. თუ ამსრულებელი სამოქალაქო პირია, ე. ი. თუ ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთებს გაიტაცებდა არასპეციალური სუბიექტი, მაშინ მაროდერობა კი არა, ქურდობა ან ძარცვა გვექნება და ქმედობაც შესაბამისად დაკვალიფიცირდება სსკ 150 ან 151 მუხლებით. ამიტომ თახამონაწილის ქმედობის კვალიფიკაციაც დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედობის კვალიფიკაციაზე. თუ სამოქალაქო პირი აქეზებდა

³⁶ უ. კობიაშვილი, თანამონაწილეობის აქცესორული თეორიის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1968, № 3, გვ. 27.

საძხედრო პირს ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა ნივთების გასატაცებლად, იგი პასუხს აგებს მაროდერობაში თანამონაწილეობისათვის, ვინაიდან ამსრულებელმა მაროდერობა ჩაიდინა, ხოლო თუ ამსრულებელიც საშოკალაჟო პირი იყო, ჩადენილია ქურდობა ან ძარცვა და წამქეზებელიც პასუხს აგებს ამ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია. თანამონაწილეობის ბუნების ამგვარი გაგება არ არის უცხო ჩვენი სწინის სამართლისათვის. აქცესორობის პრინციპი სავსებით შეესატყვისება საბჭოური სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



Г. ТКЕШЕЛИАДЗЕ

ОПИСАТЕЛЬНЫЕ И ОЦЕНОЧНЫЕ ПРИЗНАКИ СОСТАВА ПРЕСТУПЛЕНИЯ

1. Предварительным и существенным условием структурного анализа состава преступления является исследование функции состава преступления в целом. Ясно понимание функции состава преступления имеет первостепенное значение для конструирования признаков общественно опасного деяния в диспозиции уголовного закона, для осуществления социалистического правосудия.

Уголовный закон, содержащий описание признаков состава преступления, «...имеет задачей охрану советского общественного и государственного строя, социалистической собственности, личности и прав граждан и всего социалистического правопорядка от преступных посягательств» (ч. I ст. I УК Грузинской ССР). Кроме того, описанием признаков состава преступления законодатель ограничивает одно преступление от другого, что создает возможность для правильной квалификации преступлений, единообразного осуществления карательной политики, прочности и определенности советского правосудия. «Совершенное преступление, — сказано в постановлении Пленума Верховного Суда СССР от 18 марта 1963 г. «О строгом соблюдении законов при рассмотрении уголовных дел», — должно быть квалифицировано в точном соответствии с законом, предусматривающим уголовную ответственность за это деяние, и никакие отступления от этого требования недопустимы»¹.

Вместе с тем, функцией состава преступления является уголовно-правовое гарантирование конституционного принципа личной свободы и неприкосновенности советских граждан. Гарантийная функция состава преступления заключается в том, что уголовной ответственности и наказанию не подлежит лицо, в действиях которого отсутствует основание уголовной ответственности. «Уголовной ответственности и наказанию. — сказано в ст. 3 УК Грузинской ССР — подлежит только лицо, виновное в совершении преступления, то есть умышленно или по неосторожности совершившее предусмотренное уголовным законом общественно опасное деяние». Это важнейшее требование советского законодательства строго и последовательно проводится в нашей судебной практике. «Суды, — сказано в названном постановлении Пленума Верховного Суда СССР, — должны точно и неуклонно соблюдать требования уголовного законодательства, не допускать осуждения лиц, в действиях которых отсутствует состав преступления...»².

¹ «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1970 гг.», М., 1970, стр. 258.

² Там же.



Эти исключительно важные функции состава преступления учитывает законодатель при конструировании состава преступления, чтобы исключить всякую возможность разногласий и двусмысленность при его толковании. Признаки состава преступления должны быть сформулированы точно, кратко и ясно.

Если законодатель считает целесообразным наказывать общественно опасное деяние, то прежде всего следует конкретизировать, какими признаками должно обладать деяние, чтобы его считать релевантным в уголовно-правовом смысле. Такая конкретизация осуществляется созданием состава преступления. Отсутствие конкретизации общественно опасного деяния, отсутствие описания признаков деяния в составе преступления означает неопределенность состава преступления. Именно поэтому для уголовного права абсолютно неприемлемым является т. н. генеральный деликт, существование которого в гражданском праве связано с имущественной, а не персональной ответственности. Такая генерализация состава преступления противоречит не только справедливости, но создает опасность для единства и прочности правопорядка. Общие определения составов преступлений не соответствовали бы «...разнообразию форм преступлений в объективной действительности. Для граждан и должностных лиц оставалось бы неясным, а даже зачастую неизвестным, какие именно действия запрещаются и наказываются по закону. Невозможна была бы дифференциация ответственности. Большие затруднения возникли бы при выявлении причин и условий, способствующих совершению преступлений, которые различны в отдельных видах посягательства на личность, на социалистическую собственность и т. д.»³.

2. Для определенности состава преступления большое значение имеет однозначность слов, употребляемых в уголовном законе. По общему правилу, такой смысловой нагрузке наиболее соответствуют описательные (дескриптивные) признаки состава преступления. Описательными считаются такие признаки, которые объективно даны, имеют предметный, внешний характер и установление которых требует лишь чувственного восприятия⁴. В таких признаках отражены фактические обстоятельства и больше ничего.

Эти признаки по существу не зависят от изменения в конкретной действительности. Они могут находиться в причинной связи с действием.

Специфика описательных признаков состава преступления состоит в том, что они уже оценены самим законом, а суд при помощи толкования выявляет, обнаруживает оценочное суждение законодателя, содержащееся в диспозиции закона. Следовательно, описательные признаки состава преступления требуют от суда толкования закона, а не оценочного суждения. В таких случаях задачей суда является раскрыть смысл и объем описательных признаков.

Большинство описательных признаков имеет одно, строго определенное значение и в принципе не возбуждает, каких-либо, могущих оказать влияние, добавочных ассоциаций. Таковы, например, авиация (ст. 85 УК Груз. ССР), женщина (ст. 103 УК), мужчина (ст. 121 УК), рыба (ст. 175 УК), машина (ст. 270 УК) и др. Но нельзя сказать,

³ «Советское уголовное право. Общая часть», изд-во Московского университета, 1969, стр. 95.

⁴ См. В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений. Госюриздат, М., 1963, стр. 111.



что все описательные признаки состава преступления характеризуются такой однозначностью, что их содержание и объем никогда не вызывают каких-нибудь недоразумений или сомнений. Нельзя забывать того, что одно и то же слово нередко имеет несколько значений. Стоит только перелистать толковый словарь какого-либо языка, чтобы убедиться в этом. При объяснении слов в любом из таких словарей мы найдем цифры 1, 2, 3, 4 и т. д., под которыми приводятся объяснения разных значений соответствующих слов. В таких случаях часто контекст, т. е. словесное окружение уточняет значение слова, выдвигает вперед одно или другое из многих его значений.

Если описательные признаки отражают фактическую сторону преступления, то в оценочных (нормативных) признаках состава преступления на первый план выдвинуто оценочное суждение. Оценочные признаки предполагают, что окончательное суждение об обстоятельствах дела не вытекает лишь из установления фактов. Они не воспринимаются с помощью наших органов чувств. Установление их сущности происходит на основе оценочного суждения, т. е. на основе определенной мыслительной деятельности. В таких случаях применению уголовного закона предшествует оценка судом соответствующих признаков состава преступления. Но здесь возникает сложность, которая заключается в следующем: уголовноправовая оценка общественно опасного деяния осуществляется законодателем путем образования состава преступления. Следовательно, оценка деяния, т. е. признание его противоправным является исключительной прерогативой законодателя. Как совместить это положение с положением о том, что некоторые признаки состава преступления оцениваются не законодателем, а судом? Имеется ли нет здесь какое-нибудь противоречие?

Еще немецкий буржуазный криминалист Белинг, который состав преступления считал чисто описательным (дескриптивным) понятием и резко противопоставлял его противоправности как оценочному суждению, считал, что некоторые признаки состава преступления (напр., злоупотребление, оскорбление) требуют оценки и что их отнесение к составу противоречит пониманию состава⁵. Он не мог преодолеть логического противоречия, которое заключается в характеристике правовых признаков, как элементов противоправности и одновременно в отнесении их к описательному составу.

Это противоречие осознал М. Майер. Выход из этого положения он нашел в том, что не рассматривал состав преступления лишь как совокупность описательных признаков. Кроме того, Майер признал, что оценочным являются не только правовые понятия, но и другие признаки, имеющие оценочное значение. Несмотря на это, Майер, как и Белинг, оценочные (нормативные) признаки состава приравнял к признакам противоправности. Всякая оценка и у Майера относится к суждению о противоправности⁶. Он не приводит каких-либо по существу аргументов в доказательство того, почему нормативные элементы должны причисляться к составу. Для Майера нормативные элементы состава были только исключениями из общего принципа,

⁵ См. Belling, Die Lehre vom Verbrechen. Tübingen. 1906. стр. 153.

⁶ В данном случае мы не касаемся вопроса о том, какие критерии предлагали Белинг и Майер для решения вопроса противоправности. Их явно реакционная точка зрения по этому вопросу обоснованно раскритикована в работах советских криминалистов (см. напр., А. А. Пионтковский. Курс советского уголовного права, т. II, изд-во «Наука», М., 1970, стр. 108—109).



согласно которому состав является дескриптивным описанием объективных признаков деяния. Состав только указывает на противоправность. По Майеру, нормативные признаки состава являются только неподлинными признаками, поскольку они обосновывают противоправность⁷. На наш взгляд, такая точка зрения Майера об оценочных признаках состава преступления являлась продолжением его основного тезиса, что противоправность означает не противоречие требованиям уголовноправовой нормы, а т. н. нормам культуры. Раз оценочные признаки состава преступления обосновывают противоправность, следовательно, суд со своим оценочным суждением становится на место законодателя.

Другой немецкий буржуазный криминалист Мецгер признавал существование т. н. субъективно-оценочных деликтов, при которых суд полностью руководствуется своим усмотрением⁸.

В настоящее время в западногерманской буржуазной уголовноправовой литературе господствующей является точка зрения, по которой при применении оценочных признаков состава преступления решающая роль принадлежит субъективному мнению суда.

Западногерманский криминалист П. Зеел в своей диссертации, посвященной неопределенным и нормативным признакам состава преступления, пытается доказать, что раз закон не может предусмотреть конкретный случай, суд сам должен создавать право. Поэтому правовая безопасность отдельных граждан и, следовательно, гарантийная функция состава преступления должна уступать место судебскому усмотрению. В противном случае, по его мнению, будет нанесен ущерб общественному добру и справедливости⁹. Зеел отмечает, что в ФРГ принцип разделения власти не проводится целиком и полностью. Закон возлагает на один орган власти и другие функции. Поэтому на суд возлагается функция создания права при применении неопределенных и нормативных признаков. Закон делегирует функцию правотворчества судье¹⁰. В соответствии со ст. 20 II Основного закона суд должен руководствоваться «законом и правом». Этим рушится господство закона, и право приравнивается к нему. Право, следовательно, подразумевает и право, созданное судом. Законное право и судебное право становятся равнозначными. Отсюда Зеел делает вывод, что принцип *nullum crimen sine lege* подразумевает определение состава преступления не только законом, но и судей¹⁰. Не закон, а суд (?) становится гарантом свободы и неприкосновенности граждан¹¹.

Зеел считает, что не существует твердых, объективных масштабов для применения оценочных (нормативных) признаков состава преступления. В связи с этим Зеел приводит определение Федерального трибунала по уголовным делам от 19 февраля 1954 года. В этом определении сказано, что суды должны руководствоваться законом абсолютной нравственности и безусловной ценности. Зеел считает, что такое

⁷ См. М. Mayer. Der Allgemeine Teil des deutschen Strafrechts. Aufl. Heidelberg, 1915, стр. 184 f.

⁸ См. E. Mezger. Vom Sinn der strafrechtlichen Tatbestände (Festschrift für Ludwig Traeger). Berlin. 1926 стр. 229.

⁹ См. P. Seel. Unbestimmte und Normative Tatbestandsmerkmale im Strafrecht und der Grundsatz Nullum crimen sine lege (Art. 103 II Ga) München, 1965, стр. 120.

¹⁰ См. там же, стр. 121.

¹¹ См. там же, стр. 127—128.

указание неправильно. По его мнению, в различное время, в различных странах, или же в одно и то же время или в одной и той же стране существуют различные, противоречащие друг другу этические и мировоззренческие ценности. Общество разделено и ставится вопрос: кому должен придать суд предпочтение? Зеел видит выход в том, что суд должен руководствоваться собственной субъективной оценкой. В таких действиях Зеел видит не применение права, не подведение факта под закон, а создание права судом против закона (*Praeter lege*). Суд своим персональным суждением заменяет закон и творит новое право¹².

Ввиду того, что не все оценочные признаки можно толковать однозначно на основе норм нравственности, напр., такие признаки, как «злоумышленник», «нечестный», «оскорбление», так как для таких случаев не существует твердых масштабов оценки, раскрытие этих признаков становится зависимым от эмоциональных, иррациональных, персональных суждений судьи. В таких случаях законодатель право окончательной оценки предоставляет судье¹³. Зеел не видит по существу никакого различия между случаями применения оценочных признаков состава преступления и применения уголовного закона по аналогии. По его мнению, в обоих случаях речь идет о создании права судом. При аналогии создается право, так как законодатель по оплошности не учел определенные обстоятельства. А при установлении неопределенных и нормативных признаков закон сознательно, исчерпывающе и окончательно регулирует, но вместе с тем оставляет право оценки содержания и объема этих признаков на усмотрение суда. Следовательно, заключает Зеел, закон делегирует право оценки судье, чтобы он создал новое право, устранил пробел в законе. Он открыто заявляет, что при применении неопределенных и оценочных (нормативных) признаков невозможно полностью осуществить гарантийную функцию состава преступления¹⁴.

Такие реакционные взгляды нашли широкое применение в судебной практике Западной Германии.

Федеративный конституционный суд в своем решении от 25 июля 1962 года указал, что не следует переоценить требование определенности законов, в противном случае закон становится инертным и казуистическим и поэтому нельзя правильно оценить особенности отдельных случаев. Эта опасность становится реальной, когда законодатель сам окончательно определяет состав преступления.

Таким образом, конституционный суд ФРГ сводит на нет гарантийную функцию состава преступления, и гражданин легко может стать жертвой судебного произвола.

3. Как решается вопрос об оценочных признаках состава преступления в теории советского уголовного права?

В объективной действительности поступки людей не содержат в себе нравственную и, следовательно, уголовноправовую оценку. Никогда моралист, юрист или хирург не найдут разницы между раной, нанесенной хулиганом, и раной, причиненной невменяемым, либо стихийными силами. «Порок есть не что иное, как осужденное людьми действие. Порока самого по себе не существует. Моральных, как и аморальных свойств самих по себе в поступках, в поведении человека нет.

¹² См. Там же, стр. 43—46.

¹³ См. Там же, стр. 47—52.

¹⁴ Там же.



Есть только свойства, которые по своему объективному значению могут быть оценены как моральные или как аморальные. Само по себе действие есть фактическое, реальное происшествие, не имеющее в себе элементы противоправности»¹⁵.

Уголовный закон имеет своей целью не расширение знаний о реальной действительности, а оценку деяния с тем, чтобы установить, в каком отношении находится данное деяние к интересам общества, государства. Естественно, уголовноправовая оценка всегда предполагает информацию о фактическом состоянии. Иначе говоря, уголовноправовая оценка всегда имеет и описательный аспект, хотя не в этом аспекте заключается его специфика.

Предметом уголовноправовой оценки в плане противоправности являются не отдельные признаки общественно опасного деяния, а деяние в целом, которое может содержать как описательные, так и оценочные признаки. Эти признаки, отраженные в составе преступления, одинаково обосновывают противоправность. В данном случае идентификация «противоправного» и «оценочных» признаков недопустима. Оценочные признаки состава преступления являются признаками деяния, а не противоправности. Что похищенная вещь является чужой, так же обосновывает противоправность, как и то, что похищенной является вещь.

В буржуазной юридической литературе распространен взгляд, что одним из видов оценочных признаков состава преступления являются такие признаки, содержание и объем которых можно раскрыть на основе нормы, относящейся к иной отрасли права. В таких случаях считается, что судебская оценка должна производиться с точки зрения специфической уголовноправовой цели. Такая точка зрения неприемлема для советского уголовного права. Суд имеет права при применении бланкетных уголовных законов по своему субъективному усмотрению толковать те нормативные акты, на которые имеется ссылка в диспозиции уголовного закона. «Применяя уголовный закон с бланкетной диспозицией, необходимо точно указывать тот нормативный акт, на котором основывается данная диспозиция. Но, кроме того, в юридическом документе, в котором делается ссылка на этот нормативный акт (обвинительное заключение, приговор), должно быть также совершенно конкретно указано, какое именно положение этого нормативного акта нарушено обвиняемым»¹⁶. Само собой разумеется, что со своей стороны те нормы, на которые имеется ссылка в уголовном законе, могут содержать как описательные, так и оценочные признаки.

Следовательно, об оценочных признаках состава преступления можно говорить лишь в тех случаях, когда от суда требуется оценочное суждение.

В советской философской литературе не отрицается то обстоятельство, что «в оценках бывает много субъективного, оценочные суждения подчас ошибочны и произвольны. Но отнюдь не следует, что всякая оценка неизбежно ошибочна и произвольна, что оценочные суждения по своей природе не способны выражать объективную истину»¹⁷.

¹⁵ В. И. Шердаков. Аксиология и этика («Актуальные проблемы марксистской этики», Изд-во Тбилисского гос. ун-та, 1967, стр. 317).

¹⁶ Я. М. Браинин. Уголовный закон и его применение. Изд-во «Юридическая литература», М., 1967, стр. 72.

¹⁷ «Ленинизм и философские проблемы современности». Изд-во «Мысль», М., 1970, стр. 559.

Раскрытие содержания и объема оценочных признаков не зависит от усмотрения суда. Судейское усмотрение предполагает предоставленную законом возможность выбора между различными решениями. А при оценочных признаках состава преступления такая возможность выбора не предусмотрена законом. Это вполне понятно. И при применении оценочных признаков остается в силе положение об определенности состава преступления. Гарантийная функция состава преступления теряет свое значение не только тогда, когда законодатель не дает описания признаков состава преступления, но и тогда, когда суд в конкретных случаях сам определяет пределы наказуемости деяния и этим дает простор своему усмотрению.

Суд при применении оценочных признаков решает вопрос не по своему усмотрению (произволу), а учитывает конкретные обстоятельства дела, исключая выбор решения, и поэтому свое усмотрение. Он делает вывод на основе закона и в пределах закона. Различные суды могут констатировать, что данное деяние является развратным или не является развратным, но одновременно нельзя признать одним судебным приговором это деяние развратным, а другим — не развратным. «Разврат» и «не разврат» является противоречивыми понятиями, исключающими друг друга.

Разумеется, оценочные признаки не характеризуются такой определенностью, как описательные признаки. Но это не исключает возможности их более детальной конкретизации. Вместе с тем надо учесть, что конкретизация оценочных признаков имеет свои пределы, после чего становится невозможной дальнейшая конкретизация. Здесь особое значение имеет установление цела закона. Несмотря на это, все-таки остается определенной трудность, преодоление которой не является невозможным. В таких случаях суды применяют экономическо-хозяйственные, этические, медико-биологические масштабы. Эти масштабы уточняются в судебной практике, которая является обобщенным выражением единой линии в деятельности судов по применению уголовного закона, проявлением коллективного профессионального правосознания судей.

Применяя экономический, хозяйственный масштаб, теория уголовного права и судебная практика уже выработали критерии для определения размеров похищенного имущества и величины материального ущерба¹⁹.

Большое значение имеют для раскрытия содержания и объема оценочных признаков состава преступления нравственные масштабы. Например, в ст. 138 УК СССР оскорбление определяется, как «умышленное унижение чести и достоинства личности, выраженное в неприличной форме». Честь, достоинство, неприличная форма — оценочные понятия, содержание которых можно установить на основе норм нравственности. Нравственные нормы помогают также раскрыть содержание и объем таких уголовноправовых норм, которые защищают полную неприкосновенность граждан, а также связанных с ними норм о притонодержательстве и сводничестве, о порнографии.

Повторяемость оценок при раскрытии признаков состава преступления свидетельствуют об единообразном мнении судей, выражающем

¹⁹ См. Я. М. Брайнин. Уголовный закон и его применение. Изд-во «Юридическая литература», М., 1967, стр. 65—66. Е. А. Фролов. Объект и преступные последствия при посягательствах на социалистическую собственность. (Сборник ученых трудов Свердловского юридического института, выпуск, 8, 1968, стр. 138—153).

ся в их решениях. «В результате толкования права в процессе его применения вырабатываются определенная единая линия, практика при разрешении дел определенной категории, складывается своеобразный правовой обычай»²⁰. Тем самым судебная практика стремится исключить возможность различного понимания разными судами одних и тех же оценочных признаков. С течением времени сфера применения оценочных признаков состава ограничивается, что создает возможность их общей дефиниции. Вместе с тем в соответствующих случаях накопленная судебная практика по применению оценочных признаков дает возможность законодателю заменить их более точными, описательными признаками. Такое сужение сферы применения оценочных признаков, их постепенная замена в уголовном законе твердыми и устойчивыми признаками соответствует требованиям укрепления социалистической законности.

²⁰ См. В. И. Вильнянский, Значение судебной практики в гражданском праве. «Ученые труды ВИЮ», вып. IX, 1947, стр. 252.

(Представил Институт экономики
и права АН Грузинской ССР)

ნიკოლოზ ტფილელი მტკიცენულად განიცდიდა სამშობლოდან განშორებას, რაც ნათლად აისახა მის ლექსში, რომელიც მან ასტრახანიდან პეტერბურგს გაგზავნა ვახტანგთან და რომლის სრული სათაურია: „ნიკოლოზ ტფილელ მიტრაპოლიტის ორბელიანის ორბელის ძის მიერ მიწერილი ამტრახანიდან პეტერბურგს მეფე ვახტანგის შვილის ლევანის ბაგრატიონთან იამბიკონი“⁵. ლექსი წარმოადგენს სამშობლოდან გადახვეწილი პატრიოტის ურკავოდებას.

ნიკოლოზ ტფილელს დაუწერია საგალობლები⁶. გაულექსავს თავისი ეთიკური ტრაქტატი. ლექსი დასათაურებულია ასე: „თქმული ნიკოლოზ ტფილელისა“⁷, დაუწერია „ღმრთისმეტყველება“⁸, რომელიც საეკლესიო მოძღვრების მოკლე კომპენდიუმს წარმოადგენს და სამი ნაწილისაგან შედგება: სარწმუნოებისათვის, სასოებისათვის, სიყვარულისათვის. ნიკოლოზ ტფილელს ეკუთვნის, აგრეთვე, „სარწმუნოება შემოკლებითი“⁹. მან გამართა ვახტანგ მეფის დავალებით პეტრე მოვილას „აღსარება“, თარგმნილი მეფე არჩილის მიერ, რის შესახებ თვით ნიკოლოზი გვაცნობებს: „გადმოითარგმნა წმიდა ესე წიგნი სარწმუნოებისა კეთილ მსახურის მეფის არჩილისაგან. კურთხეულმც არს ხსენება მისი. ღმერთო, აცხოვე ამ წიგნისა ქართულს ენაზე გამწყობელი ტფილელ მიტრაპოლიტი ნიკოლოზ ორბელისშვილი. მეფეს ვახტანგს ვერ ურჩ ვექმენ, თორემ ჩემისთანას ცოდვილს ბერისაგან ძნელად შესართავი წიგნი იყო. გამოძღვებული ღმერთმან აცხოვნოს“¹⁰.

ნიკოლოზ ტფილელის ინტერესი ვრცელდებოდა არა მხოლოდ ღვთისმეტყველებაზე, არამედ ფილოსოფიაზეც: ლოგიკასა და ეთიკაზე. იგი ზრუნავდა ქართული ხელნაწერების დაცვასა და გავრცელებაზე. ამ მიზნით ზოგ ხელნაწერს თვითვე გადაწერდა ხოლმე. მაგალითად, მას თავისი ხელით გადაუწერია ერთ-ერთი უძველესი ნუსხიდან მეფე არჩილის მიერ გელათიდან მოსკოვში წამოდებული „ძლის პირი“¹¹. 1728 წელს ასტრახანში გადაუწერინებია ი. დამასკელის „გარდამოცემა“ რომელიდაც ნაკულოვანნი ნუსხიდან, რომელსაც არც თავი ჰქონია და არც ბოლო. აი, რას წერს ამის შესახებ თვითონ ნიკოლოზი: „ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა რვასა ეს წიგნი მე მროველ ეპისკოპოზმან ნიკოლოზ რუისის ღვთაებას შევსწირე. ისიმც რისხავს და იესო ქრისტე და სული წმიდა, ვინც იმ რუისის ღვთაების საყდარს ეს გამოსწიროს. ყოველს მროველსა და წამკითხავს გეხვეწები შენდობას მიბრძანებდეთ ღმერთის სიყვარულისათვის.“

მე ორბელის შვილმან მროველ ეპისკოპოზმან ნიკოლოზ აღვაწერინე იოანე დამასკელის წიგნი ესე ქალაქსა შინა ასტრახანს. ქართლიდამ რუსეთს მოვ-

⁵ საქ. სახ. ც. ს. არქივის 1446 ფონდის № 264—268 ხელნაწერი, გვ. 47v—48r. ლექსას ტექსტი გამოქვეყნებულია ბრეგაძის დასახ. წიგნში, გვ. 12.

⁶ ხელნაწ. ინსტიტუტის ხელნაწ. S 166.

⁷ ხელნაწ. A 342, გადაწერილი დ. რექტორის მიერ 1783 წ., ტექსტი გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, I, 1960, გვ. 347.

⁸ ხელნაწ. Q 167, გვ. 4—9.

⁹ H 1283, გვ. 120r—140v, აგრეთვე, A 586, გვ. 1r—4r. გადაწერილი დ. სააკაძის მიერ 1743 წელს.

¹⁰ A 586, გვ. 111v. აგრეთვე, Q 167, გვ. 7r—91r. ამ ხელნაწერის შეს. იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, Q 1. შედგენილი ე. მერტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 196—187.

¹¹ საქ. სახ. ც. ს. არქივის 1446 ფონდის №264—268, ხელნაწ., გვ. 173r-v.



დიოდით, მეფე ვახტანგს ვახლდით. იქ ქართლიდამ წამოღებული დიად ძველი წიგნი იყო, არც თავი ჰქონდა და აღარც ბოლო. რაც ჩანდა, ის გადმოვაწერინე დაუქარგაობისათვის და შუაზედაც ცხრამეტი და ოცი თავი ამოვლუჯილი იყო.

რომელსაც ღმერთმან ქართლის თათრისაგან გამოსნა გაღირსოსთ, ამის გათავებას ეცადენით ღმერთის სიყვარულისათვის და ვინც ნახვედით, თვითონ შენდობას მიბრძანებდეთ და ამ წიგნს, რუისის ღვათებას ნურგინ გამოსწირავს. თუ ვინმე გამოსწიროს, ისიმც ღვათება რისხავს¹².

1715 წელს ნიკოლოზ ტფილელს შეუდგენია მროველის სამწყსოს დავთარი¹³, აგრეთვე, ე. წ. „მხედრული ასომთავრული“ ანბანი 1728 წელს აგვისტოს ქ. მოსკოვში. როგორც თვით ნიკოლოზი აღნიშნავს, მას ეს დამწერლობა თავისი ძმისგან სულხან-საბასგან უსწავლია. ამ უკანასკნელს კი თავისი მამისაგან¹⁴.

ნიკოლოზ ტფილელი ერთ-ერთი მთავარი რედაქტორი ყოფილა ვახტანგის მიერ დაარსებული ქართული სტამბისა. ამ სტამბაში აქტიურ მონაწილეობას ეწეოდა, აგრეთვე, კვიპრიანე ერისთავი, სამთავნელი ეპისკოპოსი¹⁵. ნიკოლოზ ტფილელს, როგორც რედაქტორს, გაუმართავს „სახარება“, „სამოციქულო“, „პარაკლიტონი“, „ჟამნი“, „ლოცვანი“, „ქმნულების ცოდნის წიგნი“ და სხვ. ნიკოლოზ ორბელიანის საქმიანობას ბირველ ქართულ სტამბაში კარგად გვიხსიათებს მისივე ანდერძი 1709 წელს გამოცემულ „სახარების“ ტექსტზე:

„ოღეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა და ღმრთისმოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულისმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში. და ხელით წერაში ჩვენი საღმრთონი წერილნი ვანრყენილიყო. და მე, დედის ძმისწულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცესის ორბელის ძეს, ცოდვილს მღვდელმონაზონს ნიკოლოზს მიბრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩევქმენ. და ეს წმიდა სახარება დიდის ჭირითა ბერძენთა დაბეჭდილს სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ-ნაკლებ გაემართე და ეს საძიებელი არცერთს ენაში არ იყო, სიადვილისა და აღრე პოვნისათვის ახლა მე გავაკეთე“¹⁶.

როგორც ირკვევა, საეკლესიო წიგნების ბერძნულ დედნებთან შედარებისათვის ის იყენებდა პაპა სერგიოზს და კვიპრიანე სამთავნელს.

2. ტ რ ა ქ ტ ა ტ ი ს შ ე მ ც ვ ე ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი. ნიკოლოზ ტფილელის ტრაქტატი „შვიდნი მომაკუდინებელნი ცოდვანი“ უაღრესად გავრცელებული ყოფილა მე-18—19 სს. საქართველოში, რაზეც მეტყველებს სიმრავლე ხელნაწერებისა, დაცული საქ. სახ. ც. ს. არქივსა და აკად. კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში. ეს ხელნაწერებია: H ფონდისა № 1111, გადაწერილი 1758 წელს (გვ. 12r—31r), 998 1774 წლისა (გვ. 99v—118r), 1283 1764 წლისა (გვ. 120r—140v), 1737 მე-18 საუკუნისა (გვ. 40r—55r), 1767 1840 წლისა (გვ. 11r—17r), 954 1855 წლისა (გვ. 1r—18r), 32 მე-18—19სს. (გვ. 27v—31r).

¹² A 853, გვ. 137v—138r, გადამწერი კლიმიაშვილი, აგრეთვე A 342, გვ. 138r.

¹³ H 1294.

¹⁴ S 303, გვ. 275r.

¹⁵ ამის შეს. იხ. ქრისტინე შარაშიძის „ბირველი სტამბა საქართველოში“, თბ., 1955, გვ. 123.

¹⁶ ი ქ ვ ე, გვ. 182—183.

S ფონდისა: 67 1730 წლისა, 348 1796 წლისა (გვ. 209—248), 3273 1780 წლისა (გვ. 1r—6r), 1416 1819 წლისა (გვ. 2r—10r), 4616 მე-18—19 სს. (გვ. 92r—111v), 220 მე-19 საუკუნისა (გვ. 13—24).

A ფონდის: 342 1788 წლისა, 1512 1822 წლის (გვ. 112r—134v), 1426 1822 წლის C გვ. 24r—39r), 1492 მე-18—19 სს. (გვ. 285r—292r).

Q ფონდის: 1730 წლის 167 ხელნაწერი და საქ. სახ. ც. ს. არქივის 1446 ფონდის № 264—268 ხელნაწერი 1730 წლისა, 266 ჭვირნიშანის მიხედვით 1726 წლის და 258 1762 წლისა.

დასახელებულ ხელნაწერთაგან უფრო მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს საქ. სახ. ც. ს. არქივის № 1446 ფონდის 264—268 ხელნაწერი (გვ. 2r—26r). თვით ნიკოლოზ ტფილელისაგან გაკეთებული მინაწერები და ანდერძი ცხადყოფენ, რომ იგია, როგორც ავტორი, ისე გადამწერი; კერძოდ, გვ. 56r და 173r-v-ზე გაკეთებული შენიშვნები ავლენენ მას, როგორც გადამწერს, ხოლო 139r და 202r-ზე მინაწერები ადასტურებენ მის ავტორობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანდერძი, რომელიც გარდა ავტორისა, ტრაქტატის დაწერის თარიღსაც აღგვსნ. ეს ანდერძი მოგვაქვს მთლიანად: „ესენი არიან შეიღნი იგი ცოდვანი, მომაკუდინებელნი სულთანი და მათ ცოდვათა დამარღვეველნი მადლნი, რომელნიცა რომელთა მშობელ არიან, მათ ყოველთა სახელები თვითოეულად რტოთა მათ ხეთასა ხილთა ზედა აღწერილ არიან, არამედ დასაზამნი მათ ცოდვათა, ვინა მადლთა აღმოცენება ქვეშე ძირთა მათვე ხეთასა წერილ არს და მისვე ძირთაგან აღმოცენებულისა მისა ხისა ნაყოფნი ვანეფინენის რტოთა ზედა მათვე ხეთასა, ხოლო მათ ყოველთა ხეთა ზედა წერილისა დამარღვეველნი იგი სახელნი ზეშთა თავთა მათვე ხეთასა წერილ არს და ამათ ყოველთა ცოდვათა და მადლთა სახელნი ყოველთათვის საცნაურად გამოთარგმანებით მათთავე თანა ხეთასა შემდგომად აღწერიე. გვედრები ყოველთა მხილველთა მოქმედი ამის მცირისა შრომისა პროველ ეპისკოპოსი და აწ ტფილელ მიტრაპოლიტად სახელდებული და ორისავე დიდად შორს მყოფი — ნიკოლოზ ორბელის შვილი შენდობას მიბრძანებდეთ ქრისტეს სიყვარულისათვის. რამეთუ ფრად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად. და თუ ვინმე გარდასწერდეთ ან ღმერთმან ინებოს და სტამბა გაჩნდეს და იმაში გამოიღოთ ვინმე, ქრისტეს ჯვარცმის გულისათვის და წმიდის ღმრთისმშობლის სიყვარულის გულისათვის ჩემს სახელსა და ამაზედ ჭირანაშულს ნუ დააგდებთ. ეგების შენდობა მითხრას ვინმე. 1730 აგვისტოს კა.

ნაშრომი საშრომ მშრომელი უშრომ.

აღწერე დიდსა სამეფუოსა ქალაქსა შინა მოსკოს მეფობასა კურთხევით ხსენებულისა მეფეთ მეფაისა ანნა იოვანეს ასულისასა. უფალმან განაგრძოს დღე მისი სვე სვიანობით.

მეფეთგან მცნობი აწ ვარ საცნობი,

ვიშევ ვისადვე შევედ მისდავე¹⁷.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ტრაქტატი მას დაუმთავრებია 1730 წლის აგვისტოში ქალაქ მოსკოვს. ანდერძში ნიკოლოზ ტფილელი მსჯელობს ხის რტოებზე გამოხატულ ნაყოფთა შესახებ. აქ მას მხედველობაში აქვს ქართულ ხელნაწერებში გავრცელებული წესი ცოდვისა და მადლის ხის ტოტებით გამოსახვისა, რომელსაც ნაყოფად ცოდვისა და მადლის სხვადასხვა სახეები ესხა. ან-

¹⁷ გვ. 25r—26r.



დერძიდანვე ირკვევა რომ იგი ჯერ „მროველი ეპისკოპოსი“ ყოფილა, შემდეგ „ტფილელი მიტროპოლიტი“, მაგრამ ტრაქტატის დამთავრებისას „ორისავე დიდად შორს მყოფი“. ანდერძშივე გამოთქმულია სურველი, რომ იქნებ ოდესმე გამოქვეყნებულიყო მისი თხზულება. რაც მას ქართლის თათრებისგან გამოხსნის შემდეგ მიაჩნდა შესაძლებლად. მინაწერები და ანდერძიც რომ არ იყოს, ხელნაწერის ავტოგრაფობას ადასტურებს დიდი მსგავსება S 303 ხელნაწერის ხელთან, რომელსაც შემოუწახავს ნიკოლოზის „მხედრული ასომთავრული ანბანი“ და მისი ავტოგრაფი.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, Q 167 ხელნაწერი¹⁸, რომელშიაც შესულა „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“, თარგმნილი არჩილ მეფის მიერ და „გამართული — ნიკოლოზის მიერ (გვ. 7r—91r)“, „ღმრთისმეტყველება“ (გვ. 4r—6r), და ტრაქტატის ტექსტი. მაგრამ ტექსტი ნაკულლოვანია, მასში არაა ნაწილი შვიდი მადლის შესახებ. ვარდა ამისა, მას არა აქვს თარიღი. დათარიღებულია მხოლოდ „აღსარება“ 1730 წლით. დაახლოებით, ასე უნდა დათარიღდეს ჩვენთვის საინტერესო ტრაქტატის ტექსტიც.

უაღრესად საინტერესოა, აგრეთვე, S 67¹⁹, რომელიც აღნიშნული ტრაქტატის ვარდა, შეიცავს, აგრეთვე, „სარწმუნოებას შემოკლებით, აღწერილს ტფილელ მიტროპოლიტისა ნიკოლოზისა მიერ“²⁰.

რაც შეეხება საქ. სახ. ც. ს. არქივის 266 ხელნაწერს, ის მხოლოდ შვიდ ცოდვას შეიცავს; ჰვირნიშანით ის 1726 წელს განეკუთვნება. ხელნაწერი № 258 გადაწერილია 1762 წელს მაღალაძის მიერ. 21r—34v გვერდებზე არის ტრაქტატის ნაწილი შვიდი ცოდვის შესახებ, ხოლო 57r—67v-ზე კი შვიდი მადლის შესახებ, რომელიც ნიკოლოზის ხელნაწერიდან ჯერ იოანე მხატვრის ძეს იგუმენ მიხაილს გადმოუწერია, ამისგან კი მაღალაძეს²¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრაქტატი გავრცელებულია ორი ვარიანტით: ხელნაწერთა ნაწილი შეიცავს მხოლოდ შვიდ ცოდვას, ხელნაწერთა ნაწილში კი მოცემულია მოძღვრება შვიდი მადლის შესახებაც. ხელნაწერთა მნიშვნელოვან ნაწილში ეს ტრაქტატი მოთავსებულია ი. სინელის „კლემპისის“ შემდეგ და მას თან ერთვის თვით ნიკოლოზისა და სხვა ავტორთა იამბიკოები, დაწერილი მორალურ თემაზე.

3. „შვიდთა მომაკუდიანებელთა ცოდვათათვის“ ტექსტის ანალიზი. დაახლოებით, ამ პერიოდში კიპრიანე ერისთავმა თარგმნა ტრაქტატი, რომელიც, აგრეთვე, შვიდ ცოდვას ეხება. „კვიპრიანეცა და ნიკოლოზიც ერთსა და იმავე ცოდვასა და მადლს ასახელებენ, მხოლოდ სხვადასხვა რიგით ჩამოთვლიან მათ და ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ. განსხვავდებიან ისინი ერთიმეორისაგან იმით, რომ კვიპრიანე არ ასახელებს ათ მადლს, რომელიც გამომდინარეობს უმთავრესი მადლისაგან. ხოლო ათი ცოდვა, რომელიც მომაცვდინებელი ცოდვისაგან წარმოდგება, მა-

¹⁸ „ხელნაწერი ნიკოლოზ ტფილელის ავტოგრაფი უნდა იყოს“. იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, Q 1, შედგენილი ელ. მებრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის საერთო რედაქციით, თბ., 1957, გვ. 186—187.

¹⁹ „გადამწერი — ნიკოლოზ ორბელიშვილი, მიტროპოლიტი“. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S I შედგენილი თ. ბრეგაძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის საერთო რედაქციით, თბ., 1959, გვ. 74—75.

²⁰ გვ. 559—574.

²¹ საქ. სახ. ც. ს. ა. ხელნაწ. № 258, გვ. 67r-v.

თი ნუსხით სხვადასხვაობს. თხზულების მიზანია იმდროინდელი საზოგადოების მორალურად წვრთნა და წარმატება²².

ამ ორი ტრაქტატის უფრო დეტალური შედარება შემდეგ სურათს იძლევა: ნიკოლოზ ტფილელთან შვიდი ცოდვა და მადლი ასეა განლაგებული—ამპარტავნება, არაწმინდობა, ნაყოფანება, მცონარება, მრისხანება, შური, ანგარება. კვიპრიანეს²³ თარგმანში კი ცოდვათა და მადლთა განლაგება სულ სხვაგვარია: შური, ვეცხლისმოყვარება, სიძვა, მუცლის უძღებება, ამპარტავნება, უღებება, რისხვა. როგორც ვხედავთ, ტრაქტატებში განსხვავებულია ცოდვათა და მადლთა თანმიმდევრობა. განსხვავებულია მათი შინაარსებიც. ძალიან ცოტაა საერთო ნიკოლოზ ტფილელის ნაყოფანებასა და კვიპრიანე სამთავნელის მუცლის უძღებებას შორის. კვიპრიანეს თარგმანში ეს ცნება შეიცავს საკუთრივ უძღებებას, ფინთობას, სჯულის გარდამავალობას, ნაყოფნობას, ცრუფიცს, ფერობას, ტაცებას, ჭურჭუმს, მთრალობას, მომატყუებლად მიცემას. ნიკოლოზ ტფილელის ნაყოფანების ცნებას კვიპრიანეს შესატყვის ცნებასთან საერთო აქვს მხოლოდ მთვრალობა, დანარჩენი სახეები კი სრულიად განსხვავებულია. „ამპარტავნების“ ცნებას ამ ორ თხზულებაში აერთიანებს მხოლოდ სილადის, ქედმადლობის და ზვაობის სახეები. ნიკოლოზ ტფილელის „ანგარებასა“ და სამთავნელის თარგმანის „ვეცხლისმოყვარებას“ საერთო აქვთ მხოლოდ „ტაცების“ სახე, დანარჩენი ცხრა ცნება კი სრულიად განსხვავებულია. „არაწმინდების“ ცნებას ამ ორ ტრაქტატში საერთო აქვთ მხოლოდ სამი სახე: ნათესავთ აღრევა, პირტყევება და სიჩუკენ, დანარჩენი შვიდი სახე კი განსხვავებულია. კვიპრიანეს თარგმანში შვიდი მადლი მხოლოდ ჩამოთვლილია, ნიკოლოზ ტფილელი კი მათ საკმაოდ ვრცლად განიხილავს. საყურადღებოა ისიც, რომ ნიკოლოზ ტფილელის მორალურ კატეგორიებს ერთვის ისეთი ცნებები, რაც საქართველოს სინამდვილთ, მისი ობიექტური პირობებით არის ნაკარნახევი. მაგალითად, კვიპრიანეს თარგმანისაგან განსხვავებით, ნიკოლოზ ტფილელი ჰგმობს „ტყვის ვასყიდვას“, რაც ამ მოვლენის გავრცელებულობაზე მეტყველებს.

ტრაქტატი „შვიდთა მომაკვიდინებელთა ცოდვათათვის“ დაწერილია მორალის თემაზე და ენება ცოდვათა და მადლთა, ანუ სიყეთისა და ბოროტების მარად უკვდავ საკითხს. ავტორი ტრაქტატში ჰგმობს საზოგადოების მანკიერ მხარეებს და მიზნად ისახავს დადებითი მორალური თვისებების დანერგვას. შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ორბელიანს არ გამოეპარება საზოგადოების თითქმის არც ერთი მორალური თვისება, რომელზეც საკუთარი აზრი არ გამოეთქვას.

ავტორს უდიდეს ცოდვად ანუ ამორალობად მიაჩნია ამპარტავნება, საიდანაც გამომდინარეობს სხვა არანაკლები უარყოფითი თვისებები, როგორიცაა „ურცხვინობა“, „ჟალობა“, „გმობა“ და სხვ. ავტორი იქვე განსაზღვრავს თე-

22 კ. ქიქელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 348—349.
 23 კვიპრიანე ერისთავი, სამთავნელი ეპისკოპოსი ვახტანგ VI-ის ერთ-ერთი რედაქტორი ყოფილა. მის მიერ თარგმნილი და რედაქტირებული „კურთხევენი“ ოთხჯერ გამოქვეყნდა: 1713, 1764, 1784, 1794 წწ. მასვე შეუღწორებია 1709—14 წწ. დაბეჭდილი „სახარება“, „სამოციქულო“, „დავითნი“. 1686 წ. იმოგზაურა იერუსალიმში, სადაც გაეცნო და დაუმეგობრდა ბატრიარქ დოსითეოსს. მისგანვე ისწავლა ბერძნული ენა. მოღვაწეობდა პოეზიაშიც. „კურთხევენი“ უძღვის მისი ლექსი, სადაც გამოთქმული აქვს სურვილი ვახტანგის ძმის სვიმონის მეფედ კურთხევის შესახებ იხ. ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 86, 119—120, 125, და ქვემოთ.

თეულ მათგანს. მაგალითად, „ურცხვინობა“ განმარტებული აქვს ასე: „ურცხვინობა ეს არის, რაც სასირცხვილო ვინმემ რამე თქვას, თუ ქნას, ის არ შეირცხვინოს“. განსაკუთრებით უარყოფილია „ქედმაღლობა“, როდესაც ადამიანს ცოდნა არ გააჩნია, მაგრამ მინც ამაყობს, „უცოდინარი ამპარტავანიც იყოს“, დასცინის ავტორი ცრუ მედიდურთ. „ლაღობას“ ორბელიანი განმარტავს, როგორც ისეთ თვისებას, როდესაც უცოდინარი პატივისცემასა და დფასებას მოითხოვს: „ლაღობა ეს არის, უცოდინარი კაცი თამამობდეს და უღირს პატივში ეჩრებოდეს“. ორბელიანი ქადაგებს უანგარობას, სიკეთის „დაფარულად“, „უხმაუროდ“, უანგაროდ ჩადენას. სიკეთე, ჩადენილი გამორჩენის ან რაიმე სარგებლობის მიზნით, მას ამორალობად მიაჩნია: „მაჩვენებლობა ეს არის, რასაც კეთილსა და სამადლოს ვინმე იქმოდეს, კაცის მოსაწონად და საქებელად იქმოდეს“.

ავტორი ყოველი დადებითი თვისების განხილვის შემდეგ გადადის საპირისპირო უარყოფითი თვისების განხილვაზე და პირიქით. მაგალითად, ამპარტავნების შემდეგ ანალოზებს სიმდაბლეს და სიმდაბლით ლამობს ამპარტავნების აღმოფხვრას. ამიტომაც ამპარტავნების მომდევნო თავი ასეა დასათაურებული: „შვიდთა მათ მადლთა უპირველესი ესე არს, რომლისაგან აღმოიფხვრების ხე იგი ამპარტავანებისა ძირითურთ — სიმდაბლე“, „სიმდაბლიდან“ ავტორის აზრით, მრავალი დადებითი თვისება გამომდინარეობს, მაგალითად, „სიგლახაკე“, რაშიც იგულისხმება „ღმრთის სახელისათვის გღარბებება“, ე. ი. სიმდიდრეზე, დოვლათზე, საკუთრებაზე უარის თქმა. დაახლოებით, ანალოგიური შინაარსი აქვს „სიშიშველს“. იმ განსხვავებით, რომ თუ „სიგლახაკე“ მხოლოდ ქონების უარყოფას გულისხმობდა, „სიშიშველ“ ყოველივე პირადულის უარყოფას ნიშნავს.

ტრაქტატში ყურადღებას იქცევს თავი, რომელიც დასათურებულია „არაწმინდობა“ და რომელშიც განიხილავს „სიძვას“, „მრუშებას“ და სხვა სქესობრივ ამორალობათ, რომელთა აღმოფხვრელ საშუალებად „სიწმინდე“ მიაჩნია. ეს თავი რუსთაველის პოემის აშკარა გავლენის კვალს ატარებს. ავტორი დიდ ადგილს უთმობს სიმართლისა და პირდაპირობის თვისებას, რომელსაც ადამიანთათვის მრავალი სარგებლობა მოაქვს, უშურველობას, როდესაც ადამიანს არავისი არ შურს, თვით მტრებისაც კი. მორალურ სისპეტაკედაა მიჩნეული, უმანკობა, როდესაც ადამიანს ყველასათვის კეთილი სურს. შექებულია „სიწრფელე“, რომელიც განმარტებულია, როგორც სიმართლის, „უზაყველობის“, პირდაპირობის სიყვარული.

ადამიანის ჯანმრთელობისა და სულიერი მდგომარეობისათვის უაღრესად საზიანოდ არის მიჩნეული „ნაყროვანება“, გადაჭარბებული ჭამა-სმის სიყვარული. განსაკუთრებით გაკიცხულია „სიმთრუალე“, უზომო სმა, რასაც, ავტორის დაკვირვებით, „აღმოგდება“ მოსდევს. იქვე განმარტებულია „აღმოგდება“. „აღმოგდება ეს არის, კაცმა რომ ავმუცლობით ან ბევრის სმისაგან არწყოს“. გადაჭარბებულ სმას შედეგად მოსდევს, აგრეთვე, „შფოთება“, „ჩხუბი“ და ჭირვეულობა. საერთოდ, ავტორის აზრით, ყოველივე ზომასგადასულობა დასაგმობია.

„უძიდებებას“ „მარხუა“ უპირისპირდება, როგორც მისგან განმათვისუფლებელი და განწმენილი საშუალება. ამ თავში ავტორი ქადაგებს მოთხოვნილებების შეზღუდვას და მოყვასის ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვას. მეოთხე თავში გაკიცხულია „მცონარება“, სიზარმაცე, რომელსაც შედეგ-

გად მოსდევს „დახსნილება“ (ქველმოქმედების სიძულვილი), სხვისთვის ზიანი-სა და ვნების მიყენების სურვილი („განკითხვა“), სიცრუე, მატყუარობა („სიციბილი“), შურისმაძიებლობა, „ცრუ ფიცი“, „მედგრობა“, უმეტეობა და სასოწარკვეთილება.

სიზარმაცე-მცონარებას უპირისპირდება „სიმხნე“, რაშიც ნიკოლოზ ორბელიანი გულისხმობს, როგორც საეკლესიო წესების პირნათლად შესრულებას, ისევე შრომის, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების სიყვარულს. ურთიერთ-დაპირისპირების წესითაა განხილული, აგრეთვე, მრისხანებისა და სიმშვიდის თვისება. პირველის შედეგია სიძულვილი, გინება, წყევლა, უწყისობა, „შეურაცხება სხვათა“, „უმაღლოება“, „მანკიერება“, „გულარძნილება“. სიმშვიდის გამოვლენაა სიბრძნე, გონიერება, კაცთმოყვარეობა, მოთმინება, მორჩილება, სიმტკიცე, ქველმოქმედება და სხვ.

თავში, რომელსაც „შური“ ეწოდება, შურის აღმოსაფხვრელ საშუალებად მიჩნეულია სიყვარული, ე. ი. სათნობა, მიტევება, სიტკბოება, ღმობიერება, წყალობა, ძვირუხსენებლობა, „წურთა უგუნურთა“, „დაფლუა მკუდართა“. სათნობის ამ სახეებს აქვთ საერო და არა საეკლესიო ხასიათი. მაგალითად, სათნობა ესაა „ყოველის კეთილის საქმის მოქმედება“, „მიტევება“ — ვალის პატიება, „სიტკბოება“ — მოყვასის ტყბილად ხსენება, „ღმობიერება“ შეწყალება, შებრალება, თანაგრძნობა, „ძვირუხსენებლობა“ — სხვის მიერ ჩადენილი ბოროტების დავიწყება. დაახლოებით, ასევეა გაგებული ავტორის მიერ „შენდობა“. „წურთა უგუნურთა“ გაგებულია, როგორც გზიდან აცდენილთა სწორ და ქვეშაირტ გზაზე დაყენება. საინტერესოა „მკუდართა დაფლვის“ ავტორისეული ინტერპრეტაცია. ესაა უპატრონო მკვდრის „თვისის ხარჯით“ დამარხვა, ხოლო ღარიბი, უსახსრო მკვდრისათვის შესაწირავის გაღება.

ნ. ორბელიანი ერთმანეთს უპირისპირებს ანგარებასა და მოწყალებას. ანგარების სახეთა შორის დასახელებულია „ვეცხლისმოყვარეობა“, „ღადრობა“, „ცილისწამება“, ტაცება, კაცის კვლა, ტყვეთა გაყიდვა, პარვა, კერპთმასხურება და სხვ. ამათგან „ღადრობას“ ავტორი განმარტავს ასე: „კაცმა რომ კაცი არას ფერზედ არ დაინდოს“. „მმატუა ეს არის, კაცმა რომ ავი ურჩიოს ვისმე, შტერსა თუ მოყვარესა“. მოწყალების სახეთა შორის დასახელებულია: მშვიდობა, მწყურვალთ სმევა, თბლების ზრდა, სნეულთ მოვლა, შიშუელთ შემოსევა, პურობილთ ნახვა, უცხოთ შეწყნარება, ტყუეთ ხსნა, დავრდომილთა ურვა, შტერთა და მოყუარეთათვის ღოცვა.

„უცხოთ შეწყალებას“ ავტორი ასე განმარტავს: „კაცმან რომ უცხო ვინმე ნახოს, სახლში მოიყვანოს, სმითა, ჭამითა სულიერად განუსვენოს“. ავტორი მოითხოვს პატიმართათვის დახმარების აღმოჩენას, „სიტყვით ნუგეშინის ცემას და მოწყალების მიცემას“.

ტრაქტატში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საეკლესიო სათნობათა და მანკიერებათა ანალიზს. მაგალითად, ავტორი კიცხავს საეკლესიო დოგმატთაგან ვანდგომას, რომელსაც ის ურწმუნოებას, „წვალებას“, „გმობას“¹⁰ თვითობა რჩეულობას¹¹ უწოდებს. ვაკიცხულია, აგრეთვე, „უღებება“, ანუ სიზარმაცე საეკლესიო წესებისა და რიტუალების შესრულებაში. ტრაქტატის ავტორის მაღალ მორალურ თვისებად მიაჩნია ღმერთის სამსახური, შიში ღვთისა, მოქდვართან ხშირად აღსარების თქმა, საღმრთო წიგნების კითხვა, რაც, მისი აზრით, სიბრძნის ერთ-ერთი ნიშანია. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ ტრაქტატს მხოლოდ საეკლესიო ხასიათს მივაწერდით, რადგან, როგორც უკვე აღ-

ვნიშნეთ, იგი, ძირითადად, საზოგადოების მორალურ სრულყოფას ისახავს მიზნად და ამისათვის მას გამოსადევად მიაჩნია არა მარტო სარწმუნოება, არამედ სათნოება, მორალური სისპეტაკე და სიმაღლე.

ამრიგად, სამშობლოსგან დაცილებული ქართველი მოღვაწენი ნაყოფიერ მუშაობას, ეწერდნენ აზროვნების ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორც ეთიკა იყო.

ქრისტიანული იდეოლოგიის ბატონობის პირობებში აზროვნება ამ იდეოლოგიის მარწუხებში მოექცა. ამით თითქოს უნდა შეჩერებულიყო აზროვნების თავისუფალი განვითარება, რადგან ადამიანის გონებას ერთი მსოფლმხედველობა, ერთი მიმართულება დაეპატრონა. მაგრამ ქრისტიანული აზროვნების ერთფეროვნებამ ვერ შესძლო მთლიანად ამოეშანთა თავისუფლება და თუმცა ხუსტად, მაგრამ აქა-იქ მაინც კიაფობდა თავისუფალი აზრის ნაპერწკალი. რადგან ქრისტიანული მსოფლმხედველობა თეოლოგიის გვერდით, მორალსაც წარმოადგენდა, ამიტომ ის შედარებით ნაკლებ ზღუდავდა ეთიკურ აზროვნებას. გარდა ამისა, ლოგიკა თვითაც ესაჭიროებოდა ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების დასათრგუნავად და ამიტომ ის ლოგიკის მიმართაც ერთგვარად ლოიალურად იყო განწყობილი. ყველაზე მეტად დაზარალებული ქრისტიანული მსოფლმხედველობის ბატონობის პირობებში ზუსტი შეცნირება აღმოჩნდა. ამით აიხსნება ის, რომ ამ დროს, ძირითადად, თეოლოგიური და ნაწილობრივ, ეთიკური და ლოგიკური ხასიათის ტრაქტატები იქმნებოდნენ, რომელთა ავტორები არცთუ დიდი ძალდატანებით ახერხებდნენ საკუთარი შეხედულებების გამოთქმას ქრისტიანულის გვერდით. ასეთია ტრაქტატი „შვიდთა მათ მიმაკუდინებელთა ცოდვთა“ შესახებ, რომელსაც, მართალია, საეკლესიო თემაზე დაწერილი, მაგრამ პარალელურად ორიგინალურ ეთიკურ შეხედულებებსაც შეიცავს. ტრაქტატი გამსჭვალულია ჰუმანიზმის სულისკვეთებით.

საკურადლებოა ტრაქტატის უაღრესად დახვეწილი სტილი. ავტორი გაურბის ზედმეტსიტყვაობას. განმარტებებს აყალიბებს ზუსტად და ლაკონურად. ნაშრომს გააჩნია უაღრესად მკაცრად ჩამოყალიბებული არქიტექტონიკა. მასში შვიდ მადლს ანუ შვიდ სათნოებას შვიდი „ცოდვა“ ანუ ბოროტება უპირისპირდება. ამიტომაც ნაშრომი 14 თავს შეიცავს. ყოველ თავს აქვს მოკლე შესავალი, განმარტება და ერთი ფრაზით გამოხატული დასკვნა. თითოეული თავი შეიცავს ათ მუხლს, რომელთაგან თითოეული რომელიმე მორალურ ან ამორალურ თვისებას ეხება და ამრიგად, ნაშრომში ზუსტად 140 მუხლია, ე. ი. 140 დადებითი და უარყოფითი თვისებაა განხილული. შეიძლება ითქვას, რომ ტრაქტატის ავტორს ადამიანის, თითქმის, არც ერთი მორალური თუ ამორალური თვისება არ დაჩინია განუხილველი. მართალია, საეკლესიო ლიტერატურაში უამრავია ანალოგიურ თემაზე დაწერილი ტრაქტატები, მაგრამ ვერც ერთი მათგანის ავტორი ვერ დაიკვეხის ისეთი ზუსტი არქიტექტონიკითა და მკაცრად ჩამოყალიბებული ფორმით, როგორც ამ ტრაქტატს აქვს.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ მომარჯვებული ერთგვარი დიალექტიკური მეთოდი, რომლის მიხედვით, ყოველ დადებით თვისებას უპირისპირდება უარყოფითი და პირიქით. რითაც ავტორი კარგად აღწევს მიზანს: თვისების მკვეთრად მოხაზვას და ადვილად დაყვანას მკითხველამდე.

ნიკოლოზ ტფილელი

შვიდნი მომაკუდინებლნი ცოდუანი

ესე არს შვიდთა მათ მომაკუდინებელთა ცოდვათა უბირველესი, რომელ წერილ არს ხესა მას ზედა პირველსა ამპარტავნება.

ამპარტავნება ეს არის, რომელსაც თავისი ნაქმარი და ნათქუამი დიდად მოსწონდეს და თვითან დიდების მოყვარე და სწავლების მოთაკილე იყოს. ამისგან გამოვა: 1. უსჯულოება, 2. ურცხვინოება, 3. თვითრჩულობა, 4. ქედმალლობა, 5. მაჩუენებლობა, 6. ზემთამჩენობა, 7. ლალობა, 8. წულუბა, 9. გმობა, 10. ზუაობა.

1. უსჯულოება ეს არის, კაცი სჯულის ბრძანებაზედ რომ არ დადგებ და სხვარივად რასმე ამბობდეს.

2. ურცხვინოება ეს არის, რაც სასირცხვილო ვინმე რამე თქვას თუ ქნას, ის არ შეირცხვინოს.

3. თვითრჩულობა ეს არის, როგორც თვითან ვისმე უნდოდეს, რჯულზე ისე იქცეოდეს.

4. ქედმალლობა ეს არის, კაცმა არა იცოდეს რა და უცოდინარი ამპარტავნიც იყოს.

5. მაჩვენებლობა ეს არის, რასაც კეთილსა და სამაღლოს ვინმე იქმოდეს, კაცის მოსაწონად და საჭებელად იქმოდეს.

6. ზემთამჩენობა ეს არის, სხვის უპატიოსნესად თავი ვისმე მოსწონდეს, ამპარტავნულად სხვისაგან თავის ქება უყვარდეს.

7. ლალობა ეს არის, უცოდინარი კაცი თამამობდეს და უღირსს პატივში ეჩრებოდეს.

8. წულუბა ეს არის, ვინცა სჯულსა და ეკლესიის ბრძანებას წინ აღუდგებოდეს.

9. გმობა ეს არის, ვინცა ღმრთის სჯულსა უარპყოფდეს და სჯულის გარდამავალს იტყოდეს.

10. ზუაობა ეს არის, თუ ვინმე უმსგავსოდ დიდად იქცეოდეს და უღირსს პატივს ითხოვდეს.

ამაების ყველასი აღმომფხურელი და დამარღვეველი სიმდაბლე არიხ.

შვიდთა მათ მაღლთა უბირველესი ესე არს, რომლისაგან აღმოიფხურების ხე იგი ამპარტავნებისა ძირითურთ — სიმდაბლე

სიმდაბლე ეს არის, კაცი კეთილს რომ იჩვენოდეს, გული არ აღიმაღლოს და თავისი თავი ყოველის კაცისაგან უღარესად მიაჩნდეს. ამისგან გამოვა: 1. კრძალვა, 2. სულგრძელება, 3. მყუდროება, 4. სიგლახაკე, 5. უბოვარება, 6. უნდობა, 7. სიშიშულე, 8. უცხოება, 9. უშვერება, 10. შეურაცხება.

1. კრძალვა ეს არის, კაცი მუდამ გაფრთხილდეს ცოდვაზედა და ღმრთის სიამოვნება ცდილობდეს.

2. სულგრძელება ეს არის, კაცსა რაც საჭირო ქრისტეს სახელისათვის მიადგეს, გრძლად შეწუხება გახსლოს და არ უმძიმდეს.

3. მყუდროება ეს არის, ვინც სულის უზიანოდ ხორციელს შეწუხებაზედ მშვიდად იყოს და მყუდროდ შეიწყნაროს და არ აჩქარდეს.

4. სიგლახავე ეს არის, ვინც ღმერთის სახელისათვის გაღარიბება არა ინაღლოსრა.

5. უპოვარება ეს არის, კაცმა ღმერთის გულისათვის აღარა ინდომოსრა თავისთვის მოსახმარად, საქონელად თუ შესანახავად.

6. უნდობა ეს არის, კაცმა რომ თავისის გულის ნება და ამ სოფლის სიამოვნე აღარა ქნას.

7. სიშიშვლე ეს არის, კაცი ყოვლის თავისის ნაქონებისაგან გამიშულდეს და ღმრთის გულისათვის თავისის სულის სარგებლად ყველაზედ ხელი აიღოს და არა ზრუნევდეს.

8. უცხოება ეს არის, სულისათვის თავი გაიუცხოვოს და უპატიობა და შეწუხება გასძლოს.

9. უშვერება ეს არის, კაცმა ღმერთისათვის ამ სოფლის სასიამოვნო და მოსაწონი თავის თავზე აღარა ქნას.

10. შეურაცხება ეს არის, კაცმა რომ თავისი თავი აღარად მიიჩნიოს და ამ სოფლის გემოსა და პატიოსნებაზედ ხელი აიღოს.

ამათ ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი და უჩინო მყოფელი ამპარტავენება არის.

მეორე ცოდვა მომაკუდინებელი სულთა არაწმინდება

არაწმინდება ეს არის, კაცი ცოდვას არ ერიდებოდეს და სიწმიდე არ უნდოდეს. ამისგან გამოვა: 1. ნათესავთ აღრევა, 2. ტრიობა, 3. პირუტყვება, 4. სოდომური, 5. ლაციობა, 6. ბილწება, 7. სიჩუკნე, 8. ლირწება, 9. მრუშება, 10. სიძვა.

1. ნათესავთ აღრევა ეს არის, ნათესავსა და ნათლიას შეეგმანოს ვინმე.

2. ტრიობა ეს არის, ბოზებმა ერთმანეთისა ბოზობით სიყვარული ვერ დამაღონ.

3. პირუტყვება ეს არის, კაცმა თავისი შემარცხვენელი პირუტყვთან სიბილწე ქნას.

4. სოდომური ეს არის, კაცმა კაცთან ღმრთის განმარისხებელი, ღმრთის საძაგელი და კაცთან სასირცხვილო ცოდვა ქნას.

5. ლაციობა ეს არის, ბოზებისა ხელითა და ფეხითა ერთმანეთის სააშიყოლთამაშობა.

6. ბილწება ეს არის, კაცი თუ დედაკაცი ცოდვას აღარ მოშორდენ და აღარ გამოვიდენ იმ სიბილწისაგან.

7. სიჩუკნე ხელით დაცემასა ჰქვიან. მაგრამ სიმხრდლესაცა ჰქვიან და ხელით დაცემაც სიმხრდლისაგან არის. როგორც მხრდალს შებმისა ეშინიან, ისე ცოდვის მოშორებისაგან ეშინიან და სიმხრდლითა იქს.

8. ლირწება ეს არის, კაცისა და დედაკაცისაგან ერთმანეთთან დაუწყნარებელი გულისთქმა ჰქონდესთ და საქმითაც ირჯებოდენ.

9. ძრუშება ეს არის, კმრიანი დედაკაცი და ცოლიანი კაცი ბოზობდენ სადმე, თუ ერთად.

10. სიძვა ეს არის, უცოლო კაცი და უქმრო დედაკაცი რომ ბოზობდენ სადმე, თუ ერთმანეთთან ირჯებოდენ.

ამაების ყველასი წამალი და აღმომფხურელი სიწმიდე არის, რომ კაცმან ესეები აღარა ქნას.

მეორე მადლი მომკლველი მომაკუდინებელთა მათ ცოდვათანი სიწმიდეა

სიწმიდე ეს არის, კაცი რომ ყოველს ცოდვას მოშორდეს და ბიწუებაზედ ხელი აიღოს. ამისგან გამოვა: 1. სინანული, 2. აღსარება, 3. მოღვაწება, 4. სარწმუნოება, 5. სასოება, 6. სიმართლე, 7. უმანკოება, 8. სიწრფოება, 9. ღუმილო, 10. სახიერება.

1. სინანული ეს არის, კაცს რომე ეს უმძიმდეს, ჩემთვის ტანჯული და ჯვარცმული ქრისტე ჩემის ცოდვით რატომ შეგაწუხე და მისი საწყენი რასთვის ვქენიო.

2. აღსარება ამას ჰქვიან, კაცმა თავისი დანაშაული განწმენდილს გულითა, დაუშალავად შოძღვარს მოახსენოს და აღთქმა დაუღვას.

3. მოღვაწება ეს არის, კაცი სულის სარგებლად იჭირვოდეს და რასაც ხორციელად გაისაჯოს, ის სულის უზიანო იყოს.

4. სარწმუნოება ეს არის, კაცმა დაჯერებით იცოდეს კეთილის მოქმედი ცხოვნება და ვინც ცოდვაზედ ხელს არ აიღებს და არ შეინანებს, უეჭველად წაწყმდება.

5. სასოება ეს არის, კაცსა თავისის კეთილის მოქმედებისათვის უეჭველად ცხოვნების იმედი უნდა ჰქონდეს ჰეშმარტად.

6. სიმართლე ეს არის, კაცი რომე არც მტრისა და არც სხვის კაცისასა კეთილის საქმესა და სიმდიდრეზედ არ შეწუხდეს და უხაროდეს.

7. უმანკოება ეს არის, კაცი რომე გულითა და გონებითა და საქმიითა ასე წმიდა იყოს, რომე მტრისათვის კეთილი უნდოდეს და ავი ეწყინოს.

8. სიწრფოება ეს არის, როგორც კარგსა და სწორეს მინდობრზე ღელე და ქვაყრილი არ იყოს, აგრე კაცი სწორე და უზაკველი უნდა იყოს.

9. ღუმილი ეს არის, კაცი თუ არ კეთილსა და ღმერთის სიამოვნესა, ცუდსა აღარას იტყოდეს.

10. სახიერება ეს არის, კაცი სიმართლისა, სიბრძნისა მცდელი და მოქმედი იყოს და უმართებელს ერიდებოდეს.

ამათ ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი არაწმიდება არის.

მესამე ცოდვა მომაკუდინებელი სულთა ნაყროვანებაა

ნაყროვანება უმსგავსოდ გაძლომასა ჰქვიან. ამისგან გამოვა: 1. სიმთრვალე, 2. ცთომა, 3. აღმოგდება, 4. განცხრომა, 5. თოდრაკელობა, 6. შფოთება, 7. უთმინოება, 8. უძღებება, 9. გემოთმოყვარება, 10. ამბონება.

1. სიმთრვალე ეს არის, კაცი ბევრს სასმელს რომ დაღვეს, ჰკუთის გზებს სმა შეუქრავს და გაბრუვებული აღარას სირცხვილს არ დაერიდება.

2. ცთომა ეს არის, კაცმა ვერც სულიერი და ვერც ხორციელი საქმე კარგად ვერა ქნას.

3. აღმოგდება ეს არის, კაცმა რომ ავმუცლობითა ან ბევრის სმისაგან არწყვიოს.

4. განცხრომა ეს არის, უმგავსო ლხინი და ხუმრობა და უწესო თამაშობა.

5. თოდრაკელობა ეს არის, რაც რამ ავი საქმე უნამუსოდ და ურიდად ქნას ვინმე.

6. შფოთება ეს არის, კაცმა ვინმე ჩხუბი ქნას და სიმთრვალით დაჭირვეულდნენ

7. უთმინობა ეს არის, კაცმა ვერაფერი სულის სარგებელი და ღმრთისათვის შესაწუხებელი ველარა გასძლოსრა და ველარც მოითმინოს.

8. უძღებება ეს არის, კაცმა რომ ამ სოფლისა ველარა დასთმოს რა და ველარც ცოდვით გაძღეს, ველარც ჰამითა, ველარც სმითა და ვერას ფერიოთა.

9. გემოთ მოყვარება ეს არის, რაც რამ კაცსა იამებოდეს, თუ სჰამდეს, თუ სმიდეს, ან რასაც ღმრთის საწყენს ირჯებოდეს.

10. ამბოხება ეს არის, კაცნი რომ ავად ლხინობდენ, არეულობა შეექნასთ და ფინთად და აფხმად ყვიროდენ.

ამაებისა ყველასი ძირით აღმომფხურელი და დამაქცეველი მარხულობა არის.

მესამე მადლი მომკლველი მომაკუდინებელთა მათ ცოდვათანი მარხვაა

მარხვა ეს არის, კაცმა ყოველს ცოდვასა და ყოვლის კაცის დასაკლისზედ ხელი უნდა აიღოს, თორემ ეშმაკი რა დაიბადა, არა უტჰამიარა. ამისგან გამოვა:

1. მღვიძარება, 2. ცრემლი, 3. მგლოვარება, 4. სულთქმა, 5. შიმშილი, 6. წყურვილი, 7. ხმელსაწოლა, 8. ხმელსაჰამა, 9. ოხრვა, 10. კუნესა.

1. მღვიძარება ეს არის, ვინცა სასუფეველის სურვილისათვის ღამე და ღღე ღმერთს ეხვეწებოდეს, ილოცევდეს, თუ სულიერს წიგნს იკითხევდეს, ან ხელთსაქმარსა თუ საღმრთოდ რასმე ირჯებოდეს.

2. ცრემლი ამას ჰქვიან, კაცმა თავისის ნაქმარის ცოდვისათვის გული შეიწუხოს და იმ დანაშაულის შენდობისათვის ღმერთს შესტიროდეს.

3. მგლოვარება ეს არის, როგორც საყვარელს მკუდარზედ შეწუხდეს ვინმე, აგრევე თავის ნაქმარის ცოდვისათვის კაცი უნდა წუხდეს და სულის სარგებელად იგლოვდეს.

4. სულთქმა ამას ჰქვიან, კაცი, რომელიცა ჯოჯოხეთის სიმწარეს მოიგონებს, იმაში შესლვისა და სატანჯველის შიშითა შეწუხებული ამოიხუნეს.

5. შიმშილი ეს არის, როგორც მშვიერი ვინმე ხაჰმელს ცდილობდეს და პურს ეძებდეს, აგრევე კაცი ცოდვის მოშორებების მცდელი და კურნების მეძიებელი უნდა იყოს.

6. წყურვილიც ისე გასინჯე, ასე უნდა, კაცმა თავისი გული გაახმოს და ენა გააშროს და ყური დაიყრუოს, რომე გულის თქმა ცოდვისა არ შეიწყნაროს, სხვისაგან ხარჩევი არ გაიგონოს და ენით აღარა თქვას.

7. ხმელსა წოლა ეს არის, სიცივეში შიშველს კაცსა არც სითბო რითმე აქვს, მაშინ ცოდვის გულისთქმა გამხმარი ექნება იმ სიცივისაგან. აგრევე კაცმა კარგად მწოლემა და ავად მწოლემა ღმერთის საწყენზედ გული უნდა გაიხმოს და ცოდვას დაერიდოს.



8. ხმელსა ჰამაც იმავე გზით გასინჯე. თუ კაცი ღმერთის გულისათვის არ მოითმენს და ჯოჯოხეთისა არ შეიშინა, ცარიელის ხმელა პურის ჰამითაცა ბევრს აგსა იქს.

9. ოხრვა ეს არის, რომელსაცა სასუფეველის სურვილი ექნება, გულის თვალსა და შეურყეველს გონებასა ღმერთს შემსჰვალავს და სასუფეველის შოვნისათვის მალე მალე ამოიოხრავს.

10. კუნესა ეს არის, როგორც მძიმედ დაკოდილი კაცი კუნესოდეს და იმ წყულულებისა მალე გამოთლება უხდოდეს, აგრევე კაცი სულის წყულულებისათვის უნდა კუნესოდეს და ცოდვის მოშორებას ცდილობდეს.

ამათ ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი ნაყროვანება არის.

მეთოხე ცოდვა მომაკუდინებელი სულთა მცონარებაა

მცონარება ეს არის, კაცსა რაც რამ კეთილი საქმე, სულიერი თუ ხორცის სარგებელი საქნელად ეზარებოდეს. ამისგან გამოვა: 1. უღებება, 2. დახსნილობა, 3. მოწყინება, 4. განკითხვა, 5. სიცბილი, 6. ცუნდრუკება, 7. ცრუფიცი, 8. მედგრობა, 9. უმეცრება, 10. სასოწარკუთითლება.

1. უღებება ეს არის, ზოგს ვისმე სულიერს საქმეზედა ლოცვაზედა, წირვაზედა წელი და მუხლები ტკივილს დაუწყებს და ცოდვისა და სიცრუვისათვის არა სტკივარა და მხნედაც არის.

2. დახსნილობა ეს არის, კეთილის საქმეზედა, თუ მუშაობაზედ მოშლით იყოს კაცი.

3. მოწყინება ეს არის, კეთილის მოქმედებაზედა, თუ ლოცვაზედა ხალისი გარდაუარდეს ვისმე.

4. გახკითხვა ეს არის, ვინც სხვის კაცის ურიგოს საქმეს ეძებს და სხვასთან იმის ავს ლაპარაკს დაიწყებს და ავად ახსენებს.

5. სიცბილი ეს არის, ვინც სხვას მოატყუებს.

6. ცუნდრუკება ეს არის, ვინცავინ ჩურჩულითა, ან თვალის ქნითა, თუ ნიშნებითა კაცისათვის ავს ლაპარაკობდეს და გამოჩენით პირს ვერა უთხრას რა.

7. ცრუფიცი ეს არის, კაცმა ტყუვილად რომ დაიფიცოს ვინმე.

8. მედგრობა ეს არის, კაცისათვის გულში ძვირი შეინახოს ვინმე და იმაზედ გული აღარ ამოიწმიდოს.

9. უმეცრება ეს არის, კაცმა არა იცოდეს რა, არცა რას სწავლობდეს და მცოდინარეს ვისმე უძრახევდეს და მისთვის ავს უზნობდეს.

10. სასოწარკუთითლება ეს არის, ცხოვნების იმედი გარდაიწყვიტოს ვინმე და ცოდვას აღარ მოშორდეს.

ამაების ყველასი დამარღვეველი და აღმომფხვრელი სიმხნე არის, კაცმა რომ ილოცოს, გამაგრდეს და ესეები აღარა ქნას.

მეთოხე მაღლი მომკლველი მომაკუდინებელთა მათ ცოდვათანი სიმხნეა

სიმხნე ეს არის, ვისაც ცოდვა მოუნდეს, უნდა გამაგრდეს და არა ქნას და თავისის გულის ნებას აღარ მიჰყვეს. ამისგან გამოვა: 1. ლოცვა, 2. დაყუდება, 3. ფსალმუნება, 4. შრომა, 5. სწავლა, 6. მხურვალება, 7. მეცნიერება, 8. მოკვდინება, 9. მუხლთ დრეკა, 10. ვედრება ღმერთისა.

1. ლოცვა ამას ჰქვიან, თავისგან გაწყრომილს მეფეს წინ რომ კაცი გასაკითხავად წააყენონ, გასინჯე მაშინ როგორი შეწუხებული გული ექნება, იმ გვარის გულითა კაცი ღმერთსა თავისის დანაშაულის შენდობას უნდა სთხოვდეს.

2. დაყუდება ეს არის, კაცმა რომ ამ სოფლის ყოვლის საქმისაგან მოიცილოს და წმიდის გულითა ილოცევდეს, თუ სწერდეს, ან საღმრთო წიგნს იკითხევდეს, თუ საღმრთოდ და რჯულის სარგებელად რასმე ირჯებოდეს.

3. ფსალმუნება მარტო დავითის კითხვას არა ჰქვიან, მუდამ რომ კაცი ღმერთის სამსახურს ირჯებოდეს კითხვითა, თუ წერითა, თუ ლოცვითა, თუ ხელით საქმრითა თავისი თავი ცოდვისათვის არ მოაცალოს, იმას ჰქვიან.

4. შრომა ეს არის კაცი, რომელიცა ღმერთის სამსახურზედ დაიღალოს.

5. სწავლა ეს არის, კაცი ნიადაგ ღმერთის სიამოვნეს იწუროთიდეს, სწავლობდეს და სხვასაც ასწავლიდეს.

6. მხურვალეობა ეს არის, კაცი ღმერთის სიყვარულითა ცეცხლსავით მხურვალე უნდა იყოს, რაც ცოდვა რომ მოუნდეს, იმ ღმერთის სიყვარულით დაწვას და აღარა ქნას.

7. მეცნიერება ეს არის, კაცმა საქმე გასინჯოს, კარგი და ავი გაარჩიოს, რომელიც ღმერთის უწყინარი კეთილი იყოს, ის ქნას და ღმერთის საწყენი ავი არა ქნას რა.

8. მოკუდინება ეს არის, როგორც მკუდარს არა ესმისრა და არაფერი სიამოვნე არ უნდა, აგრევე კაცმან სასუფეველის შოენისათვის თავისი თავი ცოდვის სიამოვნეზედა მკუდარს უნდა დაამსგავსოს და ეშმაკის რჩევა არ დაიჯეროს და ცოდვა აღარა ქნას.

9. მუხლთდრეკა ამას ჰქვიან, კაცსა გული ღმერთთან უნდა ჰქონდეს და შემუსრვილის გულითა ხელსა და ფეხსა ლოცვისა და ღმერთის სამსახურისათვის რჯიდეს, თორემ აქლემებზეც დაიჩოქებენ ხოლმე.

10. ვედრება ღმრთისა ეს არის, კაცი რომე შეწუხებულის გულითა და ცრემლიანის თვალითა ღმერთს ეხვეწებოდეს.

ამათ ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი მცონარება არის.

მესუთე ცოდვა, მომაკუდინებელი სულთა მრისხანება

მრისხანება ეს არის, კაცი მუდამ ჭავრობდეს ღმრთიანად და უღროოდ. ამისგან გამოვა: 1. სიძულილი, 2. გულისწყრომა, 3. გინება, 4. წყევლა, 5. შეურაცხება, 6. ლალვა, 7. უწყისობა, 8. უმადლოება, 9. მანკიერება, 10. გულარძნილება.

1. სიძულილი ეს არის, კაცსა სხვა ვინმე საძაგელად რომ მიაჩნდეს, მისი ამბავი რომ უთხრას ვინმე, ეწყინება, არათუ მისი დანახვა.

2. გულისწყრომა ეს არის, კაცსა რომე ნაწყენი ვისგანმე მუდამ ახსონდეს, მუდამ ჭავრობდეს იმაზედა და მაგიერის ქნას ცდილობდეს.

3. გინება ეს არის, კაცსა რომე ავად ვინმე ახსენებდეს და პირსა თუ უკან უმართებელსა და უწყესურს სიტყვას ლაპარაკობდეს.

4. წყევლა ეს არის, ვინც ღმერთზედა თუ ხატზედ არისხებდეს ვისმე.

5. შეურაცხება ეს არის, კაცმა რომე სხვა კაცი არაფრად არ მიიჩნიოს.

6. ლალვა ეს არის, კაცნი ვინმე ერთმანეთსა ავისიტყვად და ავგულად ეშუღლებოდენ.

7. უწესოება ეს არის, კაცმა რომე რიგიანი და წესიანი არაფერი არა ქნას რა.

8. უმადლოება ეს არის, ვიზღდაც კაცმა კეთილი ქნას, იმ კეთილის მოქმედს არა დაუმაღლოსრა და არცარა სხვის დასამადლებელი თვითანაც არაფერი ქნას.

9. მანკიერება ეს არის, კაცმა რომ სხვის მტერობა გულიდამ ველარ ამოიწმიდოს.

10. გულარძნილება ეს არის, კაცი რომ კაცისათვის გულით ავის მდომი იყოს და პირით ტკბილი და კეთილის მყოფელის მსგავსი იყოს.

ამაების ყველასი დამარღვეველი და ძირით აღმომფხურელი სიმშვიდე არის. ესეები აღარა ქნას და მშვიდობას ეცადოს.

**მეხუთე მადლი მომკლველი მომაკუდინებულთა მათ ცოდვათან
სიმშვიდეა**

სიმშვიდე ამას ჰქვიან, კაცი თვითან გულკეთილ და აუჩქარებელი იყოს და ყოვლის კაცისათვის კეთილი უნდოდეს და იმ კეთილის ნდომას საქმითაც იქმოდეს. ამისგან გამოვა: 1. სიბრძნე, 2. გონიერება, 3. კაცთმოყვარება, 4. მოთმინება, 5. მორჩილება, 6. შიში ღმრთისა, 7. სიმტკიცე, 8. მშვიდობა, 9. ქველი საქმე, 10. ღმრთისმსახურება.

1. სიბრძნე ეს არის, კაცი საღმრთოს წიგნს იკითხვედეს და წმიდათა და ღმრთისმეტყუელთ ცხორებას იწვრთიდეს და საღმრთოს წერილთა გონებით გამოიმეძიებელი იყოს.

2. გონიერება ეს არის, კაცი მუდამ ღმრთის სიამოვნესა ცდილობდეს და ცოდვასა და კაცის დასაკლისს ერიდებოდეს.

3. კაცთმოყვარება ამა ჰქვიან, როგორც ქრისტემან ჩვენის ცხოვნებისათვის თავი დადვა და ჩვენთვის მოკუდა, აგრევე კაცმა სხვის ცხოვნებისათვის თავი უნდა დადვას და რითაც საქმით ცოდვას მოარჩინოს და ხორციელადც უნდა არგოს.

4. მოთმინება ეს არის, ვინც ღმრთის რჯულისათვის, რასაც შეწუხებაში შევარდეს, გასძლოს და ღმრთის მადლობით შეიწყნაროს.

5. მორჩილება ეს არის, ვისაც ღმრთის საწყენს გარდა ასწავლოს რამე, ან ურჩიოს ვინმე, რომ დაუჯეროს.

6. შიში ღმრთისა ამას ჰქვიან, კაცი ღმრთის მოშიშებით ასე შეჭურვილი იყოს, ვინც ღმრთის საწყენი რამე ურჩიოს, არც ნებითა და არც ძალითა არ დაემორჩილოს.

7. სიმტკიცე ეს არის, რჯულზედა და სიწმიდებზედა კაცი ასე მაგარად იდგეს, როგორც მაგარს კლდეზედა მაგარი ქვითკირი ქარისაგან შეუქრავი არის.

8. მშვიდობა ეს არის, კაცი ყოვლის კაცისა მტერობისა დამამშვიდებელი იყოს და ყოვლის შფოთის დაწყნარება უნდოდეს.

9. ქველის საქმე ეს არის, რაც რამ სამადლო და ღმერთის სასიამოვნო კაცმა ქნას.

10. ღმრთისმსახურება ეს არის, რაც ღმერთს იამა, კაცი იმას იქმოდეს და მისი მცდელი იყოს და რომელიც ღმერთის საწყენი არის, იმას ყველას ერიდებოდეს.

ამათ ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი მრისხანება არის.

მექუსე ცოდვა მომაკუდინებელი სულთა შურია

შური ეს არის სხვის კეთილის მოქმედება და სიკეთე რომ უმძიმდეს ვის-მე. ამისგან გამოვა: 1. ზაკვა, 2. მტერობა, 3. სივერაგე, 4. თვალღება, 5. კიცხევა, 6. ძვირისხსენება, 7. შესმენა, 8. ქირღვა, 9. უწყალოება, 10. მწამლველობა.

1. ზაკვა ეს არის, კაცი რომ სხვისათვის პირით კეთილს ჩემობდეს და გულთ ავის მეძიებელი იყოს, ვითარცა ეშმაკი კაცსა ზედა.

2. მტერობა ეს არის, კაცი რომ სხვისათვის სიტყვითა თუ საქმითა დასაკლისა ცდილობდეს.

3. სივერაგე ეს არის, კაცი რომ მრავალს ხერხიანობდეს ვინმე სხვისათვის დასკლისზედა თუ შესამატზედა.

4. თვალღება ეს არის, კაცი რომე პირს ფერობით სხვა ვისმე ატყუებდეს.

5. კიცხევა ეს არის, კაცმა რომ სხვა ვინმე სასაცილოდ აიგდოს.

6. ძვირის ხსენება ეს არის, კაცმა რომ სხვას ვისმე ავის ნაქმარის პასუხი უყოს.

7. შესმენა ეს არის, კაცი ვინმე თავის ბატონსა თუ უფროს კაცსა დააბეზლოს ვინმე.

8. ქირღვა ეს არის კაცი რომე კაცისათვის სხვასთან ვისთანმე თავსა ცილსა და სასირცხვოს სიტყვას ლაპარაკობდეს ვინმე.

9. უწყალოება ეს არის, თუ ვისმე შეწუხებული ნახოს ვინმე, მტერი თუ მოყვარე და ის შეღონებული არ შეიბრალოს.

10. მწამლველობა ეს არის, კაცმა რომე გრძნებითა თუ წამლითა რაც რამ კაცსა დააკლოს ვინმე.

ამაების ყველასი დამარღვეველი და განმაქარვებელი სიყვარული არის, კაცი რომე ყოვლის კაცის სიყვარულს ეცადოს და შური აღარავისი ჰქონდეს.

მექუსე მაღლი მომკლველი მომაკუდინებელთა მათ ცოდვათანი სიყვარულია

სიყვარული ამას ჰქეიან, ვისაც კაცსა რაც თავისის თავისათვის არ ემეტებოდეს, მის მეტი ავი სხვისათვის არ უნდოდეს და ღმთრის მამებლად იყვარებოდეს.

ამისგან გამოვა: 1. სათნობა, 2. მიტევება, 3. სიტკბობა, 4. ღმობიერება, 5. წყალობა, 6. ძვირუხსენებლობა, 7. შენდობა, 8. ურისხველობა, 9. წურთნა უგუნუროთა, 10. დაფლვა მკუდართა.

1. სათნობა ყოვლის კეთილის საქმისა საერთო სახელი არის, როგორც ხილი საყოველთაო სახელია და სულ ყველას ცალკე სხვა სახელი ჰქეიან.

2. მიტევება ეს არის, თავისი ვალი მოვალესა ქრისტეს გულისათვის აპატიოს ვინმე.

3. სიტკბობა ეს არის კაცზე კაცმა საქმეც ტკბილი და სარგებლიანი აჩვენოს. თორმე ენას ტკბილის თქმაც შეუძლია და მწარისაცა.

4. ღმობიერება ეს არის კაცმა რომ სხვა ვინმე შეწუხებული ნახოს, თვიანაც იმის გულისათვის შეწუხდეს და იმის რგებას ეცადოს.

5. წყალობა ეს არის, მტერსა თუ მოყვარესა ავი რამე დაემართოს და ან ცოდვას ირჯებოდენ, იმათთვის კაცი რომ წუხდეს და უმძიმდეს იმათი ავი.

6. ძვირფასეობა ეს არის, კაცმა სხვისაგან ავის ნდობა და ნაწყენი აღარ მოიგონოს და იმის ავ ნაქმარის მაგიერად იმაზე კეთილის ყოფა მიიღოს.

7. შენდობა ეს არის, კაცმა რომ თავის მტერსა და შეცოდებულს ვისმე მანვე დანაშაული აბატოს.

8. ურისხველობა ეს არის, კაცი რომე მრისხანე არ იყოს და ცუდად არ ჯავრობდეს.

9. წურთნა უგუნურთა ეს არის, თუ ვინმე რჯულის გარდამავალსა და ან თავის სულზედ ავად ირჯებოდეს, იმ კაცსა სიტკბოებითა და სიყვარულითა კეთილი გზა დაანახევოს და ასწავლოს.

10. დაფლვა მკუდართა ეს არის, თუ ვინმე საბრალო მკუდარი ნახოს ვინმე, შეაწიოს რამე და თუ უპატრონო მკუდარი არის, თავისის ხარჯით დამარხოს. ამით ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი შური არის.

მეშვიდე ცოდვა მომაკუდინებელი სულთა ანგარებაა

ანგარება ეს არის, კაცმა რომე უსამართლოდ და სიხარბით საქონელი შეიკრიბოს. ამისგან გამოვა: 1. ვეცხლის მოყვარება, 2. ღადრობა, 3. ცილისწამება, 4. ტაცება, 5. კაცის კლვა, 6. ძმაცვა, 7. ტყვის გასყიდვა, 8. პარვა, 9. მოზოჰვა, 10. კერპთმსახურება.

1. ვეცხლისმოყვარება ეს არის, რასაც საქონელისა თუ საყოლელისა სიმრავლე ვისმე უნდოდეს უსამართლობითა, თუ უნაშუალოებითა.

2. ღადრობა ეს არის, კაცმა რომ კაცი არაფერზედ არ დაინდოს.

3. ცილისწამება ეს არის, რომელმანცა კაცმა ტყუილი მოუგონოს ვისმე.

4. ტაცება ეს არის, კაცმა პატრონის უნებურად და უსამართლოდ წაართვას რამე ან თუ მოსტაცოს ვისმე.

5. კაცის კლვა ეს არის, მოსამართლის უბრძანებლად საქონელისა ან თუ მძულის შოვნისათვის თავისის ნდომითა კაცი მოკლას ვინმე.

6. ძმაცვა ეს არის, კაცმა რომ ავი საქმე ურჩიოს ვისმე, მტერსა თუ მოყვარესა.

7. ტყვის გასყიდვა ეს არის, კაცმა ვინმე ვეცხლისა თუ რისაც სიხარბითა გასაურჯულოებელად კაცი თუ ქალი არ შეიბრალოს და იმაში თეთრი აიღოს.

8. პარვა ეს არის, პატრონის ნამალევად მისი რაც რამ წაიღოს და ან საზიაროსაგან მეტი დაუხარჯოს ვინმე.

9. მოზოჰვა ეს არის, ქრთამითა ან თუ უსამართლობითა კაცი ვისაც რასმე გამორჩეს.

10. კერპთმსახურება ეს არის, კაცმა დამბადებელი ღმერთი აღარ მოიგონოს, ღმრთის ნაწყენს აღარას ერიდებოდეს. მაგრამ ამაების მოქმედება ყველა კერპთმსახურება არის.

ამაების ყველასი ძირითურთ აღმომფხურელი და განმაქარვებელი მოწყალება არის.

მეშვიდე მადლი მომკლველი მომაკუდინებელთა მათ ცოდვანთა მოწყალეებაა

მოწყალეება ეს არის, კაცმან რომე თავისი მტერი გაჭირებაში ნახოს, იმას მოეხმაროს და არგოს სიტყვიტა თუ მისაცემელითა, რომელიც ეჭირება. ამისგან გამოვა: 1. მშვიერტ კმევა, 2. მწყურვალთ სმევა, 3. ობოლთ ზრდა, 4. სნეულთ შოვლა, 5. შიშველთ შემოსა, 6. პურობილთ ნახვა, 7. უცხოთ შეწყხარება, 8. ტყვეთა ხსნა, 9. დავრდომილთ ურვა, 10. მტერთა და მოყვარეთათვის ლოცვა.

1. მშვიერტ კმევა ეს არის, ვინც ღარიბი და გლახაკი არის, საკმლითა თუ ჰიცეჰითა, რითაც დაჭირვებული არის, მისცეს და სიტყვიტა კეთილითა ნუგეშინისცეს.

2. მწყურვალთ სმევა, მარტია წყალი რას არგებს, რაც იმას არგებს და შენ გაიმეტებ, ყველა სასმელია და ღმერთა დაგიმადლებს.

3. ობოლთ ზრდა ეს არი, ობოლი მიიყვანო, ღმრთის გზა და რჯული ასწავლო, ბატონყმობა და სიყვარული ასწავლო, დედამამს რომ შენახვა და ამავების სწავლება არ შეეძლოს, ისიც ობოლი არის.

4. სნეულთ შოვლა ეს არის, ავადმყოფს მოუაროს და რაც ეჭირებოდეს, ხელი მოუშარტოს და სულით სნეულის შოვლა კიდევ უფროსი მადლია, რომ შოაქციოს მტერი თუ მოყვარე კარგის ნუგეშინისცემითა.

5. შიშველთ შემოსა ეს არის, თუ შესამოსელის მიცემითა, თუ რომლისაცა სახმარის მიცემითა, იმის შეჭირვებისათვის გაიმეტებ, ყველა დიდი მადლია.

6. პურობილთ ნახვა ეს არის, ვინც საპურობილში არიან, კაცი უნდა მივიდეს, ნახოს, სიტყვიტ ნუგეშინისცეს, მოთმინება ასწავლოს და მიცემით მოწყალეება უყოს.

7. უცხოთ შეწყხარება ამას ჰქვიან, კაცმან რომე უცხო ვინმე ნახოს, სახლში შეიყვანოს, სმითა, ჰამითა სულიერად გაუსვენოს.

8. ტყვეთა ხსნა ეს არის, კაცმან გასყიდული ვინმე დაისხნას ან თუ მოვალისაგან გამოიხსნას და გაუშვას.

9. დავრდომილთ ურვა ეს არის, კაცი ვინმე სიმდიდრისაგან დაცემული, გლახასავით თხოვნა ესირცხვება და სარჩოს ღონე არა აქვს, იმისი მისაცემელი დიდი მადლია.

10. მტერთა და მოყვარეთათვის ლოცვა: თვითან უფალი ჩვენი ბრძანებს მოძულეთა და გაჭირვებულთათვის ლოცვასა. მისი ბრძანება უნდა აღვასრულოთ, რადგან მტერს ულოცავთ, მოყვარეს უფრო უნდა ლოცვა.

ამათ ყოველთა კეთილთა დამაბნელებელი ანგარება არის.

ესენი არიან შვიდნი იგი ცოდვანი მომაკუდინებელნი სულთანი და მათ ცოდვათა დამარღვეველნი მადლნი და მოტევბისა და კურნებისა წამალნი და იგი ცოდვანი და მადლნი, რომელნიცა რომელთა მშობელ არიან, მათ ყოველთა სახელები თვითთოულად რტოთა მათვე ხეთასა ხილთა ზედა აღწერილ არიან. არამედ დასაბამნი მათ ცოდვათა, გინა მადლთა აღმოცენება ქვეშე ძირთა მათვე ხეთასა წერილ არს და მათვე ძირთაგან აღმოცენებულისა მის ხისა ნაყოფნი განეფინების რტოთა ზედა მათვე ხეთასა. ხოლო მათ ყოველთა ხეთა ზედა წერილისა დამარღვეველნი იგი სახელნი ზემთა თავთა მათვე ხეთასა წე-

რილ არს და ამათ ყოველთა ცოდვათა და მადლთა სახელნი ყოველთათვის საცნაურად გამოთარგმანებით მათთავე თანა ხეთასა შემდგომად აღვწერე.

გვედრები ყოველთა მხილველთა, მოქმედი ამისა მცირისა შრომისა პროველ ეპისკოპოსის და აწ ტფილელ მიტრაპოლიტად სახელდებული და ორისავე დიდად შორს მყოფი ნიკოლოზ ორბელისშვილი შენდობას მიბრძანებდეთ ქრისტეს სიყვარულისათვის. რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად. და თუ ვინმე გარდასწერდეთ, ან ღმერთმან ინებოს და სტამბა გაჩნდეს და იმაში გამოიღოთ ვინმე, ქრისტეს ჯვარცმის გულისათვის და წმიდის ღმრთისმშობლის სიყვარულის გულისათვის ჩემს სახელსა და ამაზედ ღირსახულს ნუ დააგდებთ. ეგების შენდობა მიიხრას ვინმე. 1730 აგვისტოს კა.

ნაშრომი საშრომ, მშრომელი უშრომ.

აღვწერე დიდსა სამეფუფოსა ქალაქსა შინა მოსკოს მეფობასა კურთხევით ხსენებულისა მეფეთ მეფაის ანა იოვანეს ასულისასა. უფალმან განაგრძოს დღე მისი სვე სვიანობით.

მეფეთაგან მცნობი აწ ვარ საცნობი,

ვიშევ ვისადვე შევედ მისდავე“.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



პ რ ი ზ ი კ ა ლ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

„ზაცნა“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სოციალური სწავლების განყოფილება, 1971, № 2

ქართული სამართლის ისტორიის ძვირფასი მემკვიდრე

ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო **ი. სურგულაძემ**, 1970.

სარეცენზიო წიგნში მოცემულია ქართული სამართლის ორი ძეგლის „ქელმწიფის კარის გარიგებისა“ და „დასტურლამალის“ ტექსტები. წიგნი შეიცავს 81.07 ნაბეჭდ თაბახს. აქედან ორივე ძეგლი და ქელმწიფის კარის გარიგების ექ. თაყაიშვილისეული და ავტორისეული რუსული თარგმანი შეადგენს 8 თაბახზე ცოტა ნაკლებს, სარეცენზიო წიგნის დანარჩენი ნაწილი მოდის ი. სურგულაძის გამოკვლევებზე, კომენტარებზე, ლექსიკონებზე და საძიებლებზე. წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა — ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

„ქელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“ ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლებია. ივ. ჯავახიშვილი წერს: ქელმწიფის კარის გარიგების „შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამ დარგში სხვა ასეთი უხვი ცნობების შემცველი ძეგლი XVIII ს. დამდეგამდე არ მოგვეპოვება ჯერჯერობით მაინც და XVIII ს. ამ ხასიათისავე გარიგება ვახტანგ VI-ის დასტურლამალი თუ შეედრება და აჯობებს მას, თორემ სხვა ვერაფერი. ამის თქმაც მხოლოდ იმიტომ შეიძლება რომ კარის გარიგება დაზიანებულია და ნაკლებევახად დაცულობის გამო ბევრ ისეთ ცნობებს არ შეიცავს, როგორც დასტურლამალსა აქვს. და თანაც კ. გარიგება ოფიციალური კანონმდებლობის ძეგლი არ არის, დასტურლამალი კი სწორედ ამნაირი თვისებების მქონებულია“¹.

ექ. თაყაიშვილი ქელმწიფის კარის გარიგების შესახებ წერდა: „ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზემოთა ჩვენი ისტორიისათვის“².

გახუზომლად დიდია ორთავე ძეგლის მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიის, კერძოდ მისი კულტურის, სამართლის, პოლიტიკურ მოძღვრებათა და ეკონომიკის ისტორიის შესასწავლად. ორივე ძეგლი თავისი შინაარსით სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია 1, 1928, გვ. 67—68.

² პროფ. ექ. თაყაიშვილი, ქელმწიფის კარის გარიგება, 1920, XXVIII.

სარეცენზიო წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში წარმოდგენილია კელმწიფის კარის გარიგების მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, გამოკვლევა, კომენტარები, დასკვნა რუსულ და გერმანულ ენებზე, ლექსიკონები და საძიებლები. წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია დასტურამალის დადგენილი ტექსტი, გამოკვლევა, კომენტარები, დასკვნა რუსულ და გერმანულ ენებზე, ლექსიკონი და საძიებლები.

„კელმწიფის კარის გარიგება“ დაწერილია XIV საუკუნეში და ჩვენამდის მოღწეულია XVII საუკუნის ერთადერთი ხელნაწერით. ხელნაწერი ნაკლულია, ტექსტი ხშირად დამახინჯებულია, ენა მძიმე, და ხელნაწერის დეფექტურობის გამო ტექსტის ძრავალი ადგილი გაუგებარია. ხელნაწერის დეფექტურობის გასათვალისწინებლად საკმარისია აღვნიშნოთ რომ ჩვენამდე არ მოუღწევია ძეგლის ხახევარზე შეტს. მიუხედავად ამისა, კელმწიფის კარის გარიგების არც ერთი სხვა ძეგლი არ შეედრება გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების დასახასიათებლად.

სარეცენზიო წიგნში კრიტიკულად არის ათვისებული კელმწიფის კარის გარიგების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

სარეცენზიო წიგნში დაყენებულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის საკითხი. განხილულია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტიტუტები, ხაჩვენება რომ დავით აღმაშენებლის დროიდან ყურთლუ არსლანის აჯახებამდის შეუზღუდველი მონარქია არსებობდა. ხოლო ყურთლუ არსლანის აჯახების შემდეგ შეუზღუდული მონარქია დამყარდა (გვ. 20-21).

სახელმწიფოებრივ წყობილების ფორმის საკითხს აშუქებს ავტორი, როცა ასაბუთებს გაერთიანების ხანაში სახელმწიფოს მმართველობის უწყებებად დაყოფას, ამ დროს თითოეული უწყების სათავეში ვეზირი დგას. ხოლო სულ ზემოთ ვეზირთა სათავეში კანცლერი ანუ მწიგნობართუხუცესი — ჰყონდიდელია. იგი უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეც არის (გვ. 34, § 8, გვ. 23, 24, 141—142).

სარეცენზიო წიგნის ავტორის აზრით, ათაბაგობა ათალიკობისაგან მიმდინარეობს, ათაბაგის ძირითადი ფუნქცია უფლისწულის აღზრდა იყო; ათაბაგობა დაპირისპირებული იყო მწიგნობართუხუცეს — ჰყონდიდელისადმი, იგი შემოღებული იქნა საქართველოში მსხვილი ფეოდალების მეფის ხელისუფლებაზე გამარჯვების ვითარებაში (გვ. 24—25).

ხაშრომში შესწავლილია ცენტრალური მმართველობის სამხედრო, საპოლიციო, საფინანსო და სასახლის მეურნეობისა და სამსახურის უწყებები, ამ უწყებათა ხელმძღვანელების ფუნქციები, მათი მოადგილეებისა და დაქვემდებარებული მოხელეების საქმიანობა (გვ. 25—30, 143—147, გვ. 40, § 18, გვ. 49, § 36, გვ. 35, § 11, გვ. 47, § 33, გვ. 41, § 20, გვ. 36, § 14).

სარეცენზიო წიგნის ავტორს მოძღვართ მოძღვარი დახასიათებული ჰყავს როგორც ფილოსოფიური სკოლის მეთაური, როგორც სწავლეობის უმაღლესი ხარისხი და ყურადღება აქვს მიქცეული იმაზე, რომ სწავლულის ასეთი პატივისცემა მაშინდელი ქართველი საზოგადოების განვითარების მაღალი საფეხურის მაჩვენებელია (გვ. 30—31).

ჩვენს მხრივ ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: ა) ასეთი ცნობა, შემონახულია მხოლოდ კელმწიფის კარის გარიგებაში, ამით იმისი თქმა გვიწინდებს, თუ რამდენხად ძვირფასია ეს ძეგლი ქართული კულტურის ისტორიისათვის, ბ) რომ 12. „მაცნე“, ფილოსოფიის ... სერია, 1971, № 2

4) პირველ პარაგრაფში საუბარია მეფის მორთვის შემდეგ მის დასმაზე სატრაპეზოდ: მეფეს „საღვინეთ წინ ქვე დასმენ მალა სკამითა. ტაბლას წინ დაუდგმენ“ (§ 1, გვ. 32). ექ. თაყაიშვილის აზრით აქ საუბარია მეფის დასმაზე საღვინე სასმისის წინ (გვ. 51 რუსული თარგმანი), ივ. სურგულაძის აზრით, აქ იგულისხმება არა საღვინე სასმისი, არამედ საერთოდ ღვინის შესანახი ადგილი, მარანი (გვ. 5). ასეთი ჩვეულება უძველესი დროის გადმონაშთია და ის სხვადასხვა სახით შემონახული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

5) მეხუთე პარაგრაფში წერია: „გიორგი მეფეს, თამარის მამას თვით ვერცხლისა შეუქნია სალამისურის სახესა ზედა და მას ჩაიციმდენ“ (გვ. 33).

ექ. თაყაიშვილს უწერია: „По примеру Салманасара“, ი. სურგულაძეს: „По образу Саламасурских“.

6) მე-6 §-ში წერია: „ჰყონდიდელი-მეფესა და საწოლის მწიგნობარი ზარდახნის მწიგნობარი“ (გვ. 33). ე. თაყაიშვილის გადმოცემით ჰყონდიდელი უკითხავს მეფეს, ხოლო საწოლის მწიგნობარი (უკითხავს) ზარდახნის მწიგნობარს (გვ. 53). ი. სურგულაძეს „ჰყონდიდელი“-ს შემდეგ აღდგენილი აქვს სიტყვა „მოიკითხავს“ (გვ. 33), რომლის შემდეგ ეს აღგილი ასე იკითხება:

„ჰყობდიდელი [მოიკითხავს] მეფესა და საწოლის მწიგნობარი [ჰყონდიდელსა]. ზარდახნის მწიგნობარი [საწოლის მწიგნობარსა]“ (გვ. 33, გვ. 53). და მართლაც ამავე პარაგრაფის წინა წინადადებაში, აგრეთვე მომდევნო პარაგრაფში საუბარია „მოიკითხავზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ აღვსებისა (აღდგომის) ან სხვა დღესასწაულის დროს უმცროსი ვალდებული იყო მოეკითხა ე. ი. გაძობცადებულიყო და სალამი მოეხსენებინა — უფროსისათვის (შეიძლება ძღვენიც მიეტანა). ამაზეა აქ საუბარი და არა „კითხავზე“, როგორც ე. თაყაიშვილი ვარაუდობს.

აქვე ე. თაყაიშვილის წაკითხვის მიხედვით საწოლის მწიგნობარი უკითხავს ზარდახნის მწიგნობარს (გვ. 63), მაშინ როდესაც საწოლის მწიგნობარი, მოხელეობის კიბურზე უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ზარდახნის მწიგნობარი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი სამართლის ისტორია, წ. II ნ. 1, 1928, გვ. 136).

7) მე-7 §-ში (გვ. 34) მეაბჯრეთუხუცესს მოიკითხავს მესაწოლეთუხუცესი, ამავე დროს ამავე პარაგრაფით მსახურთუხუცესს მოიკითხავს მესაწოლეთუხუცესი. ანა ტექსტში და ასევე აქვს ე. თაყაიშვილს (გვ. 53). ი. სურგულაძეს პირველ შემთხვევაში „მესაწოლეთუხუცესისა“ შეუცვლია სიტყვით „ზარდახნის უხუცესისა“ (გვ. 34). მართლაც მესაწოლეთუხუცესი ამირსპასალარის სახელოში არ შედიოდა, იგი მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა. ცხადია აქ ვადაშვირის შეცდომასთან გვაქვს საქმე, ტექსტში ისე იქნებოდა როგორც ი. სურგულაძე გვთავაზობს.

8) მე-8 §-ში წერია: „ჰყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, „ობოლთა და ქერივთა და მომძლავრებულთა მოჩვიართა განიკითხავს, და ყოველი საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის: და ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის“ (გვ. 34). ე. თაყაიშვილს ასე აქვს ეს აღგილი გაგებული: „И все дырки спальни присутствуют, и он посылает дырка оружейной палаты“ (გვ. 54, № 8). ი. სურგულაძის აზრით, ჰყონდიდელს საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის; ხოლო ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის მოჩვირებთან.

9) მე-12 პარაგრაფის მიხედვით მანდატურთუხუცესი ვენახების დამუშავების შესახებ მანდატურს „მისცემს ბრძანებასა და დაწერილებს გამოსაჩვენებ-

ნიერსა, უჩვენებს, მუშად ვითა ესე ქვეყანა მოასხითო“ (გვ. 35, § 11), „გამოსაჩვენებთ“ ე. თაყაიშვილის გაგებით არის — „ღია ქალღლი განკარგულებსა“ (გვ. 174, გვ. 55). ი. სურგულაძის აზრით, „გამოსაჩვენებთ“ ნიშნავს მუშების გამოყვანის შესახებ განწყობას (გვ. 174, გვ. 55).

10) მე-12 §-ში წერია „...საურავი და ძღვნის შეწირვა ყოველი მისია (ამირეჯიბის, — ვ. ა., მ. კ.) საღამოს რეკამდის ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს“ (გვ. 35, გვ. 56), ტექსტის ასეთი გამართვა ი. სურგულაძისაა.

ე. თაყაიშვილს ასე აქვს ადგილი გამართული „საურავი და ძღვნის შეწირვა ყოველი შათია. საღამო რეკამდის ზედამდგომელი ამირეჯიბს მანდატურივე მართებს“ (ე. თაყაიშვილი „ქელმწიფის კარის გარიგება“ გვ. 5, § 12; 1920).

11) ე. თაყაიშვილით: მე-13 §-ის ტექსტში სიტყვების „მაშინღა მესტუმრეს მისცეს“ შეძღვევი წერია: „და რა თავი მოკვეთონ საკლავსა, ცოცხალი მუქიფის ჭელთ შიბარონ“ (გვ. 5, § 18) ეს სიტყვები ი. სურგულაძეს გადატანილი აქვს მე-12 §-ში, იმ ადგილზე სადაც საკლავის დაკლავზეა საუბარი. „ცოცხალი მუქიფის ჭელთ შიბარონ და, რა თავი მოკვეთონ საკლავსა“ და შემდეგ მიდის მე-12 §-ის ტექსტის სიტყვები: „რაზომიცა მრავალი დაიკლას“ (გვ. 36, გვ. 56). ი. სურგულაძის მიერ წინადადება მე-12 §-ში მართებულად არის გადმოტანილი.

12) მე-14 §-ში ი. სურგულაძეს სიტყვების „რა ითაყანოს“ შემდეგ აღუდგებია სიტყვა „მსახურთუხუცესი“, აქ როცა „თაყანებასა“ ან „მოკითხვაზე“ და ბეჭდის შიგნითაა საუბარი, შესაფერისია რომ ვეზირი (ამ შემთხვევაში მსახურთუხუცესი) მიდიოდას მეფესთან და არა სამი მოხელე ქვემდებარეობის მიხედვით უფმფროს — უმცროსი, როგორც ეს ე. თაყაიშვილს აქვს (იხ. ე. თაყაიშვილის ქელმწიფის... გვ. 6, § 14; ი. სურგულაძე, გვ. 36, § 14; გვ. 57, გვ. 97).

13) მე-15 §-ში ნახსენებია „ერთი ყათარი სხვა ჯორი, სასაგებლე“ (გვ. 37, § 15). ე. თაყაიშვილს მოყავს სიტყვა „ყათარი“ ლექსიკონში, მაგრამ არ განმარტავს. ი. სურგულაძე დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ სიტყვა „ყათარი“ ცხოველთა შუკრივს, შედეგულს ნიშნავს და ამის მიხედვით აკეთებს თარგმანსაც (გვ. 50, § 15, ლექსიკონი, გვ. 195).

14) მე-16 §-ში საუბარია „ხილობას“ ტანტის მოკაზმაზე (გვ. 38, § 16). ე. თაყაიშვილის მიხედვით „ხილობა“ მეფის სასახლეში აღდენციას, დარბაზობას, ხილვა-ნახვას ხიშნავს (გვ. 60). ი. სურგულაძე მართებულად ასაბუთებს, რომ „ხილობა“ ამ შემთხვევაში გაგებული უნდა იქნეს ამ სიტყვის პარადაპირი მხიშვნელობით: ხილით გამასპინძლებად. მეფის სასახლეში საამისოდ ცალკე სახილე დარბაზიც იყო გამოყოფილი.

15) მე-17 პარაგრაფი ე. თაყაიშვილს ასე ესმის: „სასყიდელი და სასამართლო გადასახალი ქალაქების გარეთ აგრეთვე მას ეკუთვნის (მეჭურჭლეთუხუცესს — ვ. ა., მ. კ.). ის თანასწორია მსახურთუხუცესისა ისევე როგორც თახასწორია ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა“ (გვ. 62, § 17).

ი. სურგულაძეს ეს ადგილი ასე აქვს გაგებული:

„ქალაქის გარდა სხვა სასყიდელი და ანაზღაურება თანამდებობრივ სამსახურის შესრულებისათვის ეკუთვნის მეჭურჭლეთუხუცესს, და ეს სასყიდელი და ანაზღაურება თანასწორია მსახურთუხუცესის თანამდებობის სამსახურისათვის დაწესებული სასყიდელ-ანაზღაურებისა. ისე როგორც თანასწორია

ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობათათვის დაწესებულ სასყიდლო და ანაზღაურება“ (გვ. 61—62).

ივ. სურგულაძის მოსაზრებით აქ ვეზირთა თანასწორობაზე კი არ არის საუბარი, როგორც ეს ე. თაყაიშვილს აქვს გაგებული, არამედ საზღაურის თანასწორობაზე (გვ. 43, § 92, გვ. 44, § 24, § 25, გვ. 49).

17) მე-18 §-ში წერია „... და ამილახორი ვეზირი არის ამირსპასალარისა და ამის კელის[ა] მეაბჯრეთუხუცესიცა“ (გვ. 40, § 18). ორი „ა“ ი. სურგულაძის შიერაა აღდგენილი. ე. თაყაიშვილს, ამ აღდგენის გარეშე ასე ესმის ეს ადგილი: „ამილახორი არის ვეზირი ამირსპასალარის და მასზე დაქვემდებარებული მეაბჯრეთუხუცესის“ (გვ. 62 § 18). საქმე იმაშია რომ ამილახორი შეიძლება იყოს ამირსპასალარის ვეზირი, მაგრამ არა მეაბჯრეთუხუცესისა, რომელიც არ არის ამილახორზე მალა მდგომი. მომდევნო წინადადებაში სწორედ ის წერია, რომ მეაბჯრეთუხუცესი ამილახორის ქვემდებარე იყო (გვ. 40, § 18). ი. სურგულაძე ამ ადგილს ასე კითხულობს: „ამილახორი არის ამირსპასალარის მრჩეველი და ამირსპასალარის უწყებას ეკუთვნის აგრეთვე მეაბჯრეთუხუცესი“ (გვ. 62, § 18).

18) მე-18 §-ში გვაუწყებს „რაჲ მეფე ცხენსა ზედა ზის, ვისაც უღარბა-ზებს [ამილახორი], ვინგინდა იყოს, ათაყვანებს“ (გვ. 40, § 18). ე. თაყაიშვილს ეს ადგილი ასე აქვს გადმოცემული: „როდესაც მმეფე ცხენზე ზის, ვისთანაც მისურვებს პატივი დასდოს თავისი უმადლესობის საუბრით, ვინც არ უნდა იყოს, იმას წარადგენს ამირსპასალარი“ (გვ. 62, § 18). წინა და მომდევნო წინადადებაში ამილახორზეა საუბარი და არა ამირსპასალარზე, ამიტომ მეფესთან წარმადევიც ამილახორი უნდა იყოს. ამდენად ივ. სურგულაძის მიერ ტექსტის ამ ადგილზე სიტყვა — „ამილახორი“-ს აღდგენა მართებულია.

„უღარბაზებს“ აქ გაგებული უნდა იყოს, როგორც „ისტუმრებს“, „მიიღებს“ ვისაც მეფე მიიღებს, იმას წარადგენს ამილახორი (გვ. 62, § 18).

19) „საჯედარი — ცხენი მართებს საურავად“ არა ამირსპასალარს, როგორც ეს ე. თაყაიშვილს აქვს გაგებული (გვ. 62, § 18), არამედ ამილახორს, როგორც ი. სურგულაძეს ესმის (გვ. 63, § 18), რადგან ამის წინა წინადადებაში სწორედ ამილახორზეა საუბარი (გვ. 40, § 18).

20) მე-18 §-ში გვხვდება ტერმინი „დაბარჩამნი: „დიდი დროშა, „დაბარჩამნი ორნი, თავგადარჩედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი“ (გვ. 40, § 18) ე. თაყაიშვილს ეს სიტყვა გაგებული აქვს, როგორც „პატარა ცული“, რუსულად მას ხათქვამი აქვს ასე: „Две секиры с кованными концами“ (გვ. 63, § 18). ი. სურგულაძის აზრით, ასეთი გაგება ტექსტს არ უღებია. ამიტომაც ეს სიტყვა რუსულად არ გადაუთარგმნია (გვ. 63, § 18), მაგრამ ლექსიკონში ახსნილი აქვს, რომ დაბარჩამნი დროშის ტარს უნდა ნიშნავდესო (გვ. 175, 104).

21) ხელნაწერის მე-20 §-ში არის ასეთი ადგილი: „ორშაბათს მეორეს ლამპრას მოხადირენი შეიქმენ მეფეს წინაშე მიიღებენ და ცოლსა მეფისსა და შვლთა, ვეზირთა და მლოარეთა ყველას მიართმე [ევეცა]. მეფე უბრძანებს პურსა, ღვინოსა და ფურბერწსა: ეგრეთვე დედოფალიცა — უბოძებს: ვეზირნი და შოურავნი ყოველნივე მისცემენ პურსა ღვინოსა და საკლავსა“. ი. სურგულაძე „მოლარეთა“ მაგიერ სვამს სიტყვას „მოურავთა“-ს (გვ. 42, § 20). ცხადია ორთავე შემთხვევაში ან „მოლარენი“ უნდა იყოს ან კიდევ „მოურავნი“, ამიტომაც სათანადო მტკიცებათა მოტანით ორივე შემთხვევაში „მოურავს“ ტოვებს (გვ. 42, § 20).

22) 27-ე §-ში საუბარია იმაზე, რომ ქუთათელი არის მეფის „მოსაფლავე“. მომდევნო წინადადებაში საუბარია აგრეთვე მეფის ლოცვაზე, ი. სურგულაძე, ივ. ჯავახიშვილის შრომაზე მითითებით, სიტყვების „ქუთათელი მოსაფლავეც არის“ შემდეგ აღადგენს სიტყვებს: „და დამლოცველიცა“ (გვ. 44, § 7, გვ. 71, 108).

23) 29-ე პარაგრაფი რომ ბუნდოვანი არ იყოს, ი. სურგულაძე სიტყვა „როსცა“-ს შემდეგ აღადგენს „წავლენ“-ს (გვ. 73, § 29) აქვე „ჩაფლა“ ი. სურგულაძის აზრით ფეხსაცმელს უნდა ნიშნავდეს (იხ. „კელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონი).

24) 30-ე §-ში გვხვდება ტერმინები „სათავადო“ და „სამთავრო“ (გვ. 46, § 30). ე. თაყაიშვილი ორთავე ტერმინს გადმოგვცემს სიტყვებით: „Княжеские владение“ (გვ. 74, § 30) ი. სურგულაძის აზრით, სათავადო — სენიორის ნიშნავს, ამ შემთხვევაში სამთხლეოდ განკუთვნილს, ხოლო სამთავრო, ძლიერი საფეოდალოა, რომელსაც ამა თუ იმ ხარისხის დამოუკიდებლობამდე მიუღწევია, იგი ზოგჯერ სამეფოსაც ნიშნავს (გვ. 74, § 30, კელმწიფის კარის გარიგების ლექსიკონი).

25) 33-ე §-ში საუბარია მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოსებისა, ჭყონდიდელ-შვიგზობართუხუცესისა, ათაბაგის და ამირსპასალარის მოწვევაზე (გვ. 47, 48, § 33). ექ. თაყაიშვილი ძეგლის რუსულ თარგმანში ამ საპატიო პირთა ჩამოთვლას კათალიკოსებით იწყებს (გვ. 75, 76, § 33) მიუხედავად იმისა რომ იგი თავის გამოკვლევაში მართებულად აღნიშნავს, რომ მოძღვართ-მოძღვარი სხვა ყველა შოხელეზე, ძალდა დგას ივ. სურგულაძე პირველ რიგში მოძღვართ-მოძღვარს ასახელებს (გვ. 75, 76, § 33) და ასახულებს კიდევ მოძღვართ-მოძღვარის პირველობას (გვ. 30—31, გვ. 184, ლექსიკონი). მოძღვართ-მოძღვარი კათალიკოსსა და ჭყონდიდელზე უწინ იხსენიება 24 და 32 პარაგრაფებშიც.

26) 33-ე §-ის ტექსტში და ე. თაყაიშვილის გამოცემაში, მოძღვართ-მოძღვარი მრავლობით რიცხვშია მოხსენიებული. იგი თავის გამოკვლევაშიც აღნიშნავს მოძღვართ-მოძღვართა სიმრავლეს (იქვე, გვ. XXVIII) ი. სურგულაძის აზრით „კელმწიფის კარის გარიგებაში“ ერთი მოძღვართ-მოძღვარი უნდა იყოს. ი. სურგულაძე, ნ. ბერძენიშვილის შრომის მოწვევებით, ასახულებს, რომ 33-ე პარაგრაფში „მოძღვართ-მოძღვართა“ დასახელება მრავლობით რიცხვში XVII საუკუნის გადაწყვერის შეცდომაა, ამიტომაც ტექსტს ასწორებს და მოძღვართ-მოძღვარს მხოლოდ ერთ რიცხვში ახსენებს (გვ. 47—48, § 33, გვ. 169—170).

27) 34-ე §-ში ხაკულთია და ბუნდოვანი: „... პირმშობეაჲ მან მიიღო და ოდეს აკურთხეს, არ მავად აკურთხევინეს. არ მოელის კათალიკოზსა, რომე არავის] კვეშეთ შეიქმოდესო, ვარქვე და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი, არა შე შმართებსო, არა მეო“ (გვ. 48, § 34) ი. სურგულაძის ვარაუდით პარაგრაფი უნდა ასახავდეს კათალიკოსთა ცილობას მეფის დალოცვასთან დაკავშირებით: ი. სურგულაძეს სიტყვა „არავი“-ს შემდეგ აღდგენილი აქვს „ს“. ე. თაყაიშვილის იგივე სიტყვა „არავი“-ს შემდეგ აღდგენილი აქვს „ქი“: „არავი(ქი)“, „არავიქი“ კი ლექსიკონში, საბაზე მითითებით ასე აქვს განმარტებული: „არავი(ქი) მღვდელთმთავარის სამოსი“.

ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ ნაწილი იმ შესწორებათა, რომელიც მოცემულია ი. სურგულაძის მიერ „კელმწიფის კარის გარიგების“ დადგენილ ტექსტში. შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ ძირითადად რა სიახლე შეიტანა ი. სურგულაძემ

ძეგლის წაკითხვაში: ამომწურავად მოყვანა ყველა განსხვავებისა თითქმის შეუძლებელია: ყოველ პარაგრაფში, ყოველ აბზაცსა თუ წინადადებაში არის რაიმე სიახლე, იგი გამოიხატება ან სიტყვების გადასმაში, ან სასვენი ნიშნის დასმაში, ან წინადადების შინაარსის გააზრებაში, ასევე ამა თუ იმ ტერმინის შინაარსის სხვაგვარად გავებაში, ვიდრე ეს ექ. თაყაიშვილს აქვს.

ივ. სურგულაძის მიერ, ნაშრომში ვრცლად არის გამოყენებული ი. დოლიძის მიერ გამოცემული „გელმწიფის კარის გაროგება“.

„დასტურლამალი“ ისე როგორც „გელმწიფის კარის გაროგება“ სახელმწიფო სამართალს ეკუთვნის თავისი შინაარსით, მაგრამ დასტურლამალი გელმწიფის კარის გაროგებასთან განსხვავებით საკანონმდებლო ძეგლია, ის თავის დროის მოქმედ კანონს წარმოადგენდა. დასტურლამალში ძვირფასი მასალა მოიპოვება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის შესახებ. დასტურლამალი, ქართლის მეფის სასახლის განაწესია, მასში მოცემულია სასახლის მმართველობის სხვადასხვა დარგის დახასიათება, მათი ხელმძღვანელები, ხელმძღვანელებისადმი დაქვემდებარებული სამოხელეო აპარატი, აგრეთვე სამეფოს სავადასაზადო სისტემა, გლეხთა სხვადასხვა კატეგორიები, საქალაქო წყობილება, ცნობები მომთაბარეობის შესახებ, და სხვა. ძეგლში უხვი ცნობები მოიპოვება ქართლის სამეფოს ეკონომიური მდგომარეობის, ფინანსების შესახებ და სხვა.

საქართველოს გვიანფეოდალური ისტორიის შესასწავლად დასტურლამალი უძვირფასესი წყაროა, ამ მხრივ მას სხვა ძეგლი ვერ შეედრება.

სარეცენზიო წიგნში განხილულია საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების უმთავრესი საკვანძო საკითხები დასტურლამალის მიხედვით. ავტორის დაკვირვებით პირველ ყოვლისა, ქართლის სამოხელეო წყობილება მოცემულია უწყებების მიხედვით: უწყებების მიხედვით მოხელეები არიან 1) სამეურნეო-ადმინისტრაციული, 2) სამდივნო, 3) სამხედრო, 4) საპოლიციო, 5) საშოსამართლო, 6) სამონადირეო და 7) სამეჩინიბო (გვ. 739).

გვიანფეოდალურ საქართველოს ქართლის სამეფოში ყველაზე დიდი მოხელე, სასახლისა იყო სახლთუხუცესი, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ცენტრალური მმართველობის თითქმის ყველა დარგზე (გვ. 644—646, § 135, გვ. 739—740).

სარეცენზიო წიგნის ავტორს წამოყენებული აქვს დებულება, რომ მდივანბები, სხვა მოხელეებისაგან განსხვავებით: ნიშანდობლივად ატარებს საჯარო სამართლის საწყისებს, ამ დებულების დასამტკიცებლად სარეცენზიო შრომის ავტორი იმ გარემოებაზე უთითებს, რომ დასტურლამალისა და სხვა წყაროების მიხედვით მხოლოდ მეფეს ყავს მდივანბები, მაშინ როდესაც სხვა მოხელეები მავალითად, სახლთუხუცესი, ნაზირი, მოლარე, მდივანი ეშიკაღასბაში და სხვა, ფეოდალებსაც ყავს (გვ. 741).

ხევისათვის თანამდებობა დასტურლამალით სასამართლოს ფუნქციების ქონება, და ის არის ქურდების მდევნელი და ამ სახით დანაშაულის მაძიებელი. ავტორის აზრით გვიანი პერიოდის ხევისთავი XII საუკუნეში არსებულ მპარავთმძებნელის და XVI საუკუნის მეკობრის მძებნელის მონაცვლეა. ხევისათვის საქმიანობა მხოლოდ სოფლებით არის განსაზღვრული.

ივ. სურგულაძის დაკვირვებით აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში გვიანფეოდალურ ქართლში ეშიკაღასბაში იდგა. ეშიკაღასბაშისადმი დაქვემდებარებულ პოლიციის დაბალ მოხელეებს ხელჯობიანები და იასაულები ეწოდებოდა, ძველად ამ მოხელეს ხელარგოსანი ანუ მანდატური ერქვა. ხელ-

ჯოხიანის პარალელურად გვიანფეოდალურ პერიოდში დარჩა სახელწოდება მახდატურიც. ეპისკოპოსატის მოადგილეს ბოქაულთუხუცესი ეწოდება (გვ. 734).

სარეცენზიო ხაზრობში დაწვრილებითაა შესწავლილი ტერმინი „მოურავის“ წარმოშობა: ავტორის აზრით მოურავი როგორც კონკრეტული თანამდებობა XV საუკუნიდან უექველადა დადასტურებული. „მოურავი“ ნაწარმოებია ისეთი ძველი ტერმინებიდან როგორცაა „ურვა“, „საურავი“. ავტორის აზრით სახამ „მოურავის“ კონკრეტული თანამდებობა დამკვიდრდებოდა, მანამ მას ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის დასადასტურებლად უთითებს „ვეფხისტყაოსანზე“ (გვ. 742, იხ. აგრეთვე სიტყვა მოურავი კელმწიფის კარის გარიგებისა და დასტურლამალის ლექსიკონებში).

სარეცენზიო წიგნის ავტორის აზრით ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება წარმოადგენდა დეცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიას, და სახელმწიფოებრივი წყობილების ცენტრალიზაციისაკენ ლტოლვა ავტორის მართებულ მოსაზრებით, იმაში გამოვლენდა, რომ ვახტანგ VI გამოსცა სამართლის წიგნი და დასტურლამალი. ამით მან ერთიან სისტემაში მოიყვანა კანონმდებლობა და ცენტრალურ ხელისუფლებას შეუქმნა მტკიცე დასაყრდენი (გვ. 733—739).

სარეცენზიო წიგნის ავტორის ხანგრძლივი კვლევის ნაყოფია ცალკეული გადასახადების დადგენა და მათი კლასიფიკაცია.

ავტორს გამოვლენილი აქვს 149 სახის საგლეხო გადასახადი. ცხადია მათ ერთი და იგივე გლეხი არ იხდიდა. ერთი გლეხი ჩვეულებრივად 7—8 გადასახადს იხდიდა.

სარეცენზიო წიგნის ავტორი, მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ დასტურლამალში გლეხთა გადასახადები ერთიან სისტემაშია მოყვანილი, ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხთა გადასახდლები საკანონმდებლო გზით არის მოწესრიგებული, ამტომაც თვითნებობა შეზღუდულია.

ი. სურგულაძეს შესწავლილი აქვს დასტურლამალის შემადგენლობის საკითხი. დასტურლამალის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა დროს არის შედგენილი, რომელსაც საბოლოო რედაქცია 1707—1709 წლებში მიუღია.

დასტურლამალზე მრავალ მეცნიერს უმუშავია. მ. ბროსეს იგი უთარგმნია ფრანგულად, მაგრამ ბოლომდე ვერ მიუყვანია და გამოცემაც ვერ მოუსწრია.

სარეცენზიო წიგნში მოყვანილია ყველა ის შრომები, რომლებიც ეხება დასტურლამალს (გვ. 211—215). ავტორს ხსენებული ნაშრომები გამოყენებული აქვს ტექსტის გამართვისათვის.

სარეცენზიო წიგნში „დასტურლამალის“ ტექსტის დადგენისათვის შესწავლილია 15 ხელნაწერი: მირველ თუმანიშვილის (M 1729 წლის), სულხან მდიუნისა (S XVIII საუკუნის ორმოციანი წლების), ყავრიშვილის (K XVIII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების), იესე მდიუნისა (I 1773 წლის ახლო დროის), დავით რექტორის (D 1789 წლის), ქობულაშვილისა (Q 1805 წლის ახლო დროის) იოანე ზაგრატიონის კოლექციიდან (B XIX საუკუნის პირველი ათეული), ალექსიძისეული (a 1815—1816), ლორთქიფანიძისეული (L 1821 წლის ახლოს დროს), იოველ ალექსიძის (I 1821 წ.), გიორგი მაისურაძის (g 1841 წ.), ნაზარიშვილი (N 1842 წლის) და სიმონ ტაბიძის სამი ხელნაწერი (T. f, f' 1969 წლის). გარკვეულია ამ ხელნაწერთა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხები გამოვლიხებულია ის განსხვავება-მსგავსებანი, რომლებიც მათ შორის არსებობს. მეტად შრომატევადი კვლევაა ჩატარებული თითოეული ნუსხის წარმომავლობის და მათი გადაწერის თარიღთა დადგენის თვალსაზრისით:

სარეცენზიო წიგნში შესწავლილია ამა თუ იმ ხელნაწერთა სხვადასხვა რედაქციები და დადგენილია თუ რომელი რედაქცია უნდა დაედვას საფუძვლად გამოსაცემ ტექსტს. ამის მიხედვით გამოაკვეულია „დასტურლამალის“ აღნაგობა.

სარეცენზიო წიგნის ავტორის მართებული შენიშვნით, როდესაც საუბარია „დასტურლამალის“ დედნისეულ, პირვანდელ აგებულებაზე, ასეთი აგებულების შესასწავლად მხოლოდ საგნობრივ სისტემაზე შედგენილი ხელნაწერები გამოდგება (მირველ თუმანიშვილისა, სულხან მდიენისა და ყაყრიშვილისეული ხელნაწერი).

ხაშროშში განხილულია საკითხი „დასტურლამალის“ მოქმედების დროისა და ტერიტორიის შესახებ. ავტორი ასაბუთებს, რომ „დასტურლამალი“-ს მრავალი მუხლი ჩვეულებით სიმართლეს ემყარება.

სარეცენზიო წიგნი იწვევს შენიშვნებს:

1) სარეცენზიო წიგნი მოცულობით ძლიერ დიდია (81, 07 ფორმა), ამავე დროს ორი სრულიად დამოუკიდებელი ნაწილებისაგან შედგება. პირველი ნაწილი კელმწიფის კარის გარიგებას ეხება, ხოლო მეორე ნაწილი დასტურლამალს. მათ საერთო აქვს მხოლოდ წინასიტყვაობა, სასურველი იყო რომ ეს ნაშრომი ორ წიგნად გამოსულიყო, რაც მკითხველისათვის სახმარადაც უფრო ადვილი იქნებოდა.

2) სარეცენზიო წიგნი არ არის ერთიან გეგმაზე აგებული. მაშინ, როდესაც კელმწიფის კარის გარიგების ორი რუსული თარგმანია მოცემული, დასტურლამალის თარგმანი არ არის წიგნში წარმოდგენილი. წინასიტყვაობაში ამ გარემოებას წიგნის ავტორი იმით ხსნის, რომ დასტურლამალის თარგმანი წიგნის ისედაც დიდ მოცულობას კიდევ უფრო გაზრდიდათ. ეს მართალია, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ერთი წიგნის ნაცვლად ორის გამოცემა.

3) კელმწიფის კარის გარიგების მესამე პარაგრაფში სწერია: „რა მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დრომით წავა და მუნვე კარის შესავალს ქქვეშე დადგების“ (გვ. 33) ი. სურგულაძეს „იქვე დადგების“ ისე აქვს გაგებული, რომ საუბარია ეკლესიის კარზე, ე. თაყაიშვილის აზრით ეკლესიიდან გამოსული მეფე მიდის სასახლეში დრომით, და დროშას დგამენ სასახლის გამოსავალ კარებთან (გვ. 52). ამ შემთხვევაში ექ. თაყაიშვილის გაგება ძეგლის ამ ადგილის მართებული უნდა იყოს.

4) სარეცენზიო წიგნის ავტორს ვერ გაუთვალისწინებია, რომ დავით რექტორის სხვადასხვა დროს გადაწერილ ერთსა და იმავე ტექსტში სიტყვის დასაწყისი დიდი ასო, ერთგან მხედრულად აქვს შესრულებული, ხოლო მეორედან ასომთავრულთ (გვ. 359).

5) ლექსიკონში ზოგიერთი სიტყვის განმარტება (ჩუხჩარხი, მოურავი და სხვა) გამოდის ლექსიკონის ფარგლებიდან და სტატიის ხასიათს ატარებს. ასეთი განმარტებანი ავტორს გამოკვლევაში უნდა გადაეტანა.

გვხვდება კორექტურული შეცდომებიც: არის: გვრგვნი, უნდა იყოს: გვრგვნი (გვ. 45, მე-4 სტრ. ზემ.); vero — y него (გვ. 59, მე-10—11 სტრ. ქვ.); амицухг — амируцухг (გვ. 64, მე-7 სტრ. ზემ.); ცნობა — ცილობა (გვ. 110, მე-7 სტრ. ზემ.); მეფა — მეფე (გვ. 119, მე-2 სტრ. ზემ.); საჯელოისაქ — სხვათაქ (114, მე-13 სტრ. ზემ.); სხვათაქ — საჯელოისაქ (გვ. 114, მე-15 სტრ. ზემ.); ცოტა გარეჯით — ცოტაგარეჯით (გვ. 117, მე-9 სტრ. ზემ.), „... წვევა სამ-

თა საბატოთა დარბაისელთა საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია“ — „წვევა სამთა საბატოთა დარბაისელთა [მართებთ] [ეინმეს] საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია“ (გვ. 122, 1-ლი სტრ. ზემ.); правая — первая (გვ. 132, 21-ე სტრ. ზემ.).

შეიძლება კიდევ მოინახოს სხვა შეცდომები, სადავო საკითხები და სხვ., მაგრამ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით.

დასკვნა: 1. სარეცენზიო წიგნის ავტორი მიზნად ისახავს ჯელმწიფის კარის გარიგებისა და დასტურლამალის ტექსტების მეცნიერულ დადგენას და ამასთანავე ამ ძეგლების მიხედვით საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიის საკითხების განხილვას.

2. ავტორის მიერ გამოსაცემად შერჩეულია შესანიშნავი ძეგლები, ამასთანავე, ის გეგმა, რომლის მიხედვით მას განუხორციელებია ძეგლების გამოცემა (გამოკვლევები, კომენტარები, თარგმანები, ლექსიკონები, დასკვნები, სამ ენაზე და საძიებლები) არ იწვევს რაიმე შენიშვნას, მაგრამ რაც მთავარია ისიც უნდა აღვხიზხოთ, რომ ავტორმა შესძლო ამ გეგმის ღირსეულად შესრულება.

3. სარეცენზიო წიგნის ავტორს მრავალი წლის განმავლობაში ჩაუტარებია კოლოსალური სამუშაო ტექსტების დასადგენად, საკმარისია აღვნიშნოთ რომ ორივე ძეგლის ტექსტს, რომელიც 6,5 ფორმას შეადგენს ახლავს კომენტარები, სქოლიოები 18 ფორმის რაოდენობით, გარდა ამისა ტექსტის შესახებ განმარტებები გამოკვლევებსა და ლექსიკონებშიც არის მოცემული.

4. წიგნის ავტორის მიერ გამოწვლილვით შესწავლილია ჯელმწიფის კარის გარიგების ხელნაწერი, ხელნაწერის რიგი ადგილებისა — ახლებურად არის წაკითხული. ზოგი ადგილი აღდენილია, ზოგი წინადადებები თუ სიტყვები გადაადგომებულია, თითოეული ცვლილება დამაჩერებლად დასაბუთებულია და ამგვარად წარმოდგენილია მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, ამასთანავე დადგენილი ტექსტის სქოლიოებსა და სპეციალურ შენიშვნებში, რომელიც ცალკე გამოკვლევის სახით არის წიგნში წარმოდგენილი, ნაჩვენებია ის განსხვავებული წაკითხვები თუ მოსაზრებანი ძეგლის ამა თუ იმ ადგილის შესახებ, რომელიც გამოთქმულია იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. ამასთანავე, სარეცენზიო წიგნში მოცემულია ავტორისეული თარგმანი ამ ძეგლისა რუსულ ენაზე და ამის პარალელურად ამავე იგივეს თარგმანი ექვს. თაყაიშვილის მიერ შესრულებულია. ამ თარგმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ძეგლის ორი თარგმანის სახით ფაქტიურად ძეგლის ორი წაკითხვა არის მოცემული. ყოველივე ამას გახსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმითმ აქვს რომ ჯელმწიფის კარის გარიგების ერთადერთი ნაკლები ხელნაწერი XVII საუკუნის გადამწერს ეკუთვნის, რომელსაც გადაწერის დროს მრავალი შეცდომაც აქვს დაშვებული.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ჯელმწიფის კარის გარიგების ტექსტის დადგენის საკითხს განსვენებული დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი იქიდან ჩანს, რომ მას განზრახული ჰქონდა დაედგინა ტექსტი, შეუდგა მუშაობას, ამ ძეგლის პირველი პარაგრაფის ტექსტი კიდევ დაადგინა, ძეგლის სხვა ადგილებზე, ექვს. თაყაიშვილის გამოცემას გაუკეთა მრავალი შენიშვნა.

5. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია დასტურლამალის მეცნიერულად დადგენილი ტექსტი. სარეცენზიო წიგნის ავტორს ხელთ ჰქონია 15 ხელნაწერი. თითოეული მათგანი დაწვრილებით შეუსწავლია და დაუხარისხებია დროის, აღზავობისა და შინაარსის მიხედვით. დაწვრილებით შეუსწავლია ხელნაწერთა ურთიერთმიმართება და ამის საფუძველზე მოცემულია დასტურლამალის მეც-

ხიერულად გამართული ტექსტი. წიგნის ავტორის მიერ დასაბუთებულია დადგენილი ტექსტის თითოეული ადგილი. ავტორის ცდა იქით იყო მიმართული, რომ აღდგენილი ტექსტი შესაძლებელი სისრულით მიახლოებოდა დედანს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. განუზომელია დასტურლამალის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის, კერძოდ კი ქართული სამართლის ისტორიისათვის, ამიტომაც დასტურლამალის ტექსტის მეცნიერულად დადგენას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

6. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო წიგნს ახლავს ლექსიკონები (ცალკე კელმწიფის კარის გარიგებისათვის და ცალკე დასტურლამალისათვის შედგენილი). ლექსიკონებში ძეგლების ტერმინები ყოველმხრივ არის შესწავლილი. ტერმინის შინაარსის გახსნასთან ერთად ზოგჯერ საჭიროების მიხედვით ასწავლია ამ სიტყვის სხვადასხვა წაკითხვა სხვადასხვა ხელნაწერებში და დადგენილია თუ როგორ უნდა იქნეს შეტანილი ესა თუ ის სიტყვა გამართულ ტექსტში, მაგალითად ავტორს დასაბუთებული აქვს, რომ სიტყვა „ესთიბერიანი“ გვხვდება მხოლოდ 1842 წლის დასტურლამალის ხელნაწერებში, სხვა ხელნაწერებში ეს სიტყვა ფორმით სხვა არის მოცემული, ხოლო დადგენილ ტექსტში უნდა დარჩეს 1842 წლის ხელნაწერში მოცემული ამ სიტყვის ფორმა.

გარდა იმისა რომ ტერმინები ყოველმხრივ არის შესწავლილი, ზოგჯერ ავტორს საჭიროდ უცენია, ლექსიკონის ფარგლებიდან გამოსვლით, ცალკეული ტერმინისათვის (ამ ტერმინით, ავტორის აზრით მნიშვნელოვანი და მეცნიერებაში სადავო ან გასარკვევი ინსტიტუტია შესწავლილი), წარმოედგინა გამოკვლევა, რომელშიაც მოცემულია ავტორის მრავალი საყურადღებო მოსაზრება ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებ. ასეთი ტერმინებია — ამირან და ჭხუჩარხი კელმწიფის კარის გარიგებაში. ამანათი ლანჩპარი, მოურავი, ნოქარი და სხვა დასტურლამალის მიხედვით.

ზოგიერთი ასეთი სტატია ერთ ფორმამდის აღწევს. ამ სტატიებში ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ გამოცემული ძეგლების მასალით, არამედ ამ ტერმინის შესახებ მოყვანილი აქვს მრავალი მასალა, და ამ მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზეა მოცემული ავტორის დასკვნები.

7. ხაშრომში განხილულია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სახელმწიფოს ფორმის შესახებ საქართველოს გაერთიანების ხანისა (კელმწიფის კარის გარიგების მიხედვით) და საქართველოს პოლიტიკურად დაშლის პერიოდის XVII—XVIII საუკუნეებისა (დასტურლამალის მიხედვით).

8. დავით აღმაშენებლის მეფობიდან დაწყებული თამარის მეფობის იმ ხანამდე, როდესაც ყურთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მოხდა, საქართველოში მოხარქია ფაქტიურად შეზღუდულია. კელმწიფის კარის გარიგებასა და ამ პერიოდის სხვა ძეგლებში წამოყენებული აბსოლუტიზმის იდეები გამართლებას პოულობენ გაერთიანებული საქართველოს პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ შოვლენებში (საწარმოო ძალთა განვითარება, საქალაქო ურთიერთობის განვითარება, დავით აღმაშენებლის პოლიტიკური შეხედულებანი და მისი რეფორმები, შოთა რუსთაველის პოლიტიკური შეხედულებანი, ყურთლუ არსლანის დასის პროგრამა, ურტალები და სხვა) თამარის მეფის დროს მეფის ხელისუფლება შეიზღუდა. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სახელი წარმოშობილი იყო ქართული სახელმწიფოს ცენტრალიზმის გაძლიერების ვითარებაში და თავისი არსებობის განმავლობაში მეფის ხელისუფლების განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. თამარის მეფობის უკანასკნელ ხანებში შემოღებული



ათაბაგობის სახელო თავისი არსით მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის წინააღმდეგ იყო მიმართული, რამდენადაც სავაზიროში პირველი ადგილი ათაბაგს უნდა დაეჭირა. ეს გარემოება მაჩვენებელი იყო ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების აბსოლუტიზმისაკენ მიმართული პროგრესული განვითარების შეფერხება-შეჩერების, მსხვილი ფეოდალების მეფის ხელისუფლებაზე საბოლოო გამარჯვების და არა მარტო ათაბაგობის, არამედ საერთოდ ვაზირის სახელოში სამართლის საჯარო საწყისის ნაცვლად, სამართლის კერძო ფეოდალური განკერძოებისაკენ მიმართული საწყისის გამარჯვების.

9. დასტურლამალის ხანაში საქართველო დაყოფილია სამეფოებად და სამთავროებად. დასტურლამალის მიხედვით ქართლის სამეფო ერთი მხრივ სპარსეთის ვასალია, და მეორე მხრივ სახელმწიფოს შინაგანი აგებულებით ის დეცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიას წარმოადგენს. მეფე ცდილობს ფეოდალების ალაგმვას, მათ დამორჩილებას.

დასტურლამალში კანონმდებლის მიერ გატარებულია პროგრესული იდეები, რომელსაც იზიარებდა მაშინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. დასტურლამალით გათვალისწინებული ღონისძიებანი მიმართულია მეფის ხელისუფლების გაძლიერებისაკენ: ერთიანი კანონების, ერთიანი საგადასახადო სისტემის შემოღებით. დასტურლამალი ცდილობს მსხვილი ფეოდალების ცენტრალურ ხელისუფლებისადმი დამორჩილებას, ფეოდალური თვითნებობის აღკვეთას. დასტურლამალით კანონმდებელი ავალებს მოხელეებს, რომ გლეხებს არ შიაცენონ იძულება, ძალადობა, არ შეაწერონ თვითნებური გადასახადები და სხვა. რასაკვირველია, დასტურლამალი გაბატონებული კლასის კანონია, მათი ინტერესების სადარაჯოზე დგას, მაგრამ ამ კლასის პროგრესულმა ნაწილმა კარგად იცის, რომ თვით ფეოდალური საზოგადოების არსებობა გლეხობაზეა დამოკიდებული (არჩილ მეფის ცხოვრილი სიტყვები გლეხობაზე) და გლეხობის გადაშენება თვით ფეოდალური საზოგადოების არსებობასაც შეუქმნიდა საფრთხეს.

10. სარეცენზოო წიგნი ქართული სამართლის ისტორიის ძვირფასი შენაძენია.

პახტანჰ აბაშვიძე
მისწილ კეკელია

633/1

ფანა 1 მან.

Индекс 76 196

